PRIME Time

N5 (255) ორშაბათი, 10 თებერვალი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„პრაიმტაიმის“ ექსკლუზივი ბრიუსელიდან

EXCLUSIVE

ირაკლი ღარიბაშვილი: „მაინტერესებს როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია, თქვენი ქალაქის მერი 50 მილიონის გაფლანგვაში რომ იყოს ეჭვმიტანილი?“

ექსკლუზიური ინტერვიუ გიორგი შენგელაიასთან

EXCLUSIVE „ორი გვამი მჭირდება“ ეს სააკაშვილის სიტყვებია... ვიცი მაგის ფსიქოლოგია... ვანო, უბრალოდ, „პეშკა“ იყო...

ია ფარულავამ სუროგატი დედის საშუალებით შვილის გაჩენის გადაწყვეტილება მიიღო

ია ფარულავა: „სიბერეში რომ არ ვინანო, ეს ერთხელ ნამდვილად უნდა ვცადო“

EXCLUSIVE

„პრაიმტაიმის“ სპეციალური რეპორტაჟი კახეთიდან

როგორ მიმდინარეობს მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი და რა დახმარებას მიიღებენ გლეხები წელს?

EXCLUSIVE

რა კავშირი აქვს იური ვაზაგაშვილს „ნაციონალურ მოძრაობასთან?“

ლევან გაბუნია: „პირდაპირ განმიცხადეს, – სანამ სააკაშვილის EXCLUSIVE მთავრობა იქნება, ამ საქმეში ვაზაგაშვილის დასჯას ნუ ელოდებიო...“

SCANDAL

EXCLUSIVE

64 წლის ენგურელი მიქელთაძის თვითმკვლელობის გაუხმაურებელი ფაქტი

გია ბურჯანაძე: „ენგურის პროკურატურიდან აკითხავდნენ, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააგდეს. სამწუხაროდ, მან ველარ გაუძლო და თავი მოიკლა“

რა კავშირი აქვს ამ სუიციდს 26 მაისის მოვლენებთან

SCANDAL

„ექიმები დღეს ისეთივე ბარიგები ხდებიან, როგორც თავის დროზე „მაკის“ გამყიდველები გახდნენ...“

„ისინი შედიან, მათ აძლევენ წამალს, პაციენტები მას ტუჩის ქვეშ, ღრძილებში, ან ენის ქვეშ მალავენ და ეგრევე გამოდიან. გამოსვლისთანავე გადმოაფურთხებენ „ფოლგაზე“ და წამალი უკვე მზად არის გასაყიდად...“

სკანდალური დოკუმენტი

EXCLUSIVE

როგორ აღმოჩნდა დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება დავით დარახველიძის ოჯახის საკუთრებაში?

ცხოვრება კარდიოლოგიის ინსტიტუტში

EXCLUSIVE

„ჩემი 4 წლის ბიჭი ერთად შეკრებილ ხალხს რომ დაინახავს, მეკითხება, დედა, გვასახლებენო? ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად ვართ“

ზურაბ აბაშიძე: „ვანო მერაბიშვილი გაფუჭებული და უვარგისი კაცია“

„მერაბიშვილის შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენი აუცილებლად დადგება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა კავშირი აქვს იური ვაზაგაშვილს

იური ვაზაგაშვილი



„ჩემი შვილი ერთი წლით ადრე მეგობრის, ბექა პაპუაშვილის მკვლელობის მოწმე გახდა“

„გიორგიმ დაინახა, ვინ მოკლა ბექა. მაგრამ ერთი წლის განმავლობაში ხმას არ იღებდა“

მარიამ ნადირაძე

იმ დროს, როდესაც 2006 წელს კორტებთან გარდაცვლილი ზურაბ ვაზაგაშვილის მამა 9 თებერვალს შემთხვევის ადგილზე აღმართულ მემორიალთან იხმობს მოსახლეობას, რათა ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენისკენ მოუწოდოს, მინისტრ ჭიკაიძეს კი – ქალაქის პოლიციის უფროსის, გიორგი დალაქიშვილის სამსახურიდან განთავისუფლებისკენ, მოქალაქე ლევან გაბუნია, რომელსაც 10 წლის წინათ შვილი 16-სართულიანი კორპუსის სახურავიდან გადმოუგდეს, ხელს ზურაბ ვაზაგაშვილს ადებს, იური ვაზაგაშვილს კი ყოფილ ხელისუფლებასთან კავშირში ამხელს.

ერთი მხრივ, ამ ინფორმაციაში ლოგიკის მოძებნაც შესაძლებელია. მით უმეტეს, რომ, თუ კარგად დავაკვირდებით, ოპოზიციაში გადანაცვლებული ძველი ხელისუფლება სწორედ იმ თემებით ებრძვის ღარიბაშვილის მთავრობას, რა თემებითაც თავის დროზე მის წინააღმდეგ გამოდიოდა საზოგადოება. ალბათ, სწორედ იმის დასადასტურებლად, რომ რაშიც თავის დროზე მათ ადანაშაულებდნენ, თურმე სულაც არ ყოფილან დამნაშავეები და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რაღატომ რჩება იგივე პრობლემები ახალი ხელისუფლების პირობებშიც?

ეს ერთგვარი სტრატეგიაა, თუმცა არსებობს თამაშის სხვა წესებიც...

დაანონსებული 9 თებერვლის მიტინგის წინა დღეს ლევან გაბუნია, რომელსაც 21 წლის შვილი, როგორც თავად აცხადებს, 2004 წელს 16-სართულიანი კორპუსიდან მხოლოდ იმიტომ გადმოუგდეს ზურაბ ვაზაგაშვილის დაკვეთით, რომ 2003 წელს ბექა პაპუაშვილის მკვლელობის მოწმე გახდა, სადაც, მისივე განცხადებით, დანაშაული ისევ ზურა ვაზაგაშვილმა ჩაიდინა, განცხადება შეაქვს პოლიციაში. ეს განცხადება კი რეგირებისთვის ქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოს ეწერება, რომლის ხელმძღვანელიც ის გიორგი დალაქიშვილია, ვის განთავისუფლებასაც იური ვაზაგაშვილი მინისტრ ჭიკაიძისგან ითხოვდა...

თუ ლოგიკას მივყვებით, სურათი დაახლოებით ასე გამოიყურება: თუ „ნაციონალური მოძრაობა“ შინაგან საქმეთა სამინისტროზე სერიოზულად გეგმავს იერიშის მიტანას, ეს უკანასკნელი თავდაცვის ხერხებსაც წარმატებით იყენებს.

სანამ ეს პოლიტიკური თამაშები უფრო ღრმად გაიშიფრება, „პრაიმტაიმმა“ გადაწყვიტა, რომ მკითხველი საქმის ვითარებაში უკეთ გაარკვიოს. ამისთვის ჯერ გიორგი გაბუნიას მამასთან, ლევან გაბუნიასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ, რომელიც ჩვენთან საუბარს იური ვაზაგაშვილისგან დასმული კითხვის პასუხით იწყებს. „თუ მართლა ჰგონია გაბუნიას მამას, რომ ჩემი შვილია მისი შვილის გარდაცვალებაში მონაწილე, ამდენი წლის განმავლობაში სად იყო? ეს ამბავი მაშინდელი ხელისუფლებისთვის რომ ეცნობებინა, ნაციონალები ამას ჩემს წინააღმდეგ არ გამოიყენებდნენ?“ – კითხულობს იური ვაზაგაშვილი.

ლევან გაბუნია:

– 10 წლის განმავლობაში სულაც არ ვყოფილვართ ჩუმად. სწორედ ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების წვალებითა და ძალისხმევით, სამჯერ დაიწყო შეწყვეტილი საქმის გამოძიება. თხებივით დამყავდა გამომძიებლები მოწმეების დასაკითხად და ექსპერტიზის ჩასატარებლად. ბოლოს კი, როცა საქმე ქალაქის სამმართველოს გადაეცა, იქ პირდაპირ განმიცხადეს – სანამ სააკაშვილის მთავრობა იქნება, ამ საქმეში ვაზაგაშვილის დასჯას ნუ ელოდებიო... დიახ... ჩემი შვილი ერთი წლით ადრე მეგობრის, ბექა პაპუაშვილის მკვლელობის მოწმე გახდა. იმ დღეს ბექამ დაურეკა, ბებიაჩემთან და პაპაჩემთან მინდა გადასვლა, მითვალთვალებენ და გამომყევიო. გიორგიც გაჰყვა. სადარბაზოში რომ შევიდნენ, მაშინვე მოხდა გასროლა. გიორგიმ დაინახა, ვინ მოკლა ბექა. მაგრამ ერთი წლის განმავლობაში ხმას არ იღებდა. ხომ იცით, ახალგაზრდა ბიჭებს შურისძიება თავად სწყურიათ ხოლმე. ბექას წლისთავზე სხვა ბიჭებთან ერთად იყო მისული. იქ მიუცია პირობა, – გია, ბიძია, ბექას მკვლელს აუცილებლად ამოვიცნობ და დავასახელებო. ზუსტად სამ დღეში ის ე.წ. მეგობარმა აიყვანა სახლის სახურავზე, საიდანაც გადმოაგდეს.

– თუმცა, გამოძიების ვერსიით, ეს უბედური შემთხვევა იყო...

– აბა, რას დაწერდნენ? ბექას მკვლელობის ჩასაფარცხად იური ვაზაგაშვილმა 70 ათასი დოლარი გადაიხადა და სანამ თვითონ მოუკლავდნენ შვილს, ძალიან შეხმატკბილებულიც იყო იმ სამართალდამცველებთან, რომლებმაც ამასობაში დაბალი პოსტებიდან ზევით გადაინაცვლეს.

– კორტების ისტორიის მერე მაინც ვერ გადაწყვიტეთ ამ საქმის განახლება? ამ შემთხვევაში თქვენი და ხელისუფლების „ინტერესი“ ხომ დაემთხვეოდა ერთმანეთს?

– ეს დამთხვევა არასდროს მოხდებოდა, რადგან ის ხალხი არასდროს აღიარებდა, რომ ფული ჰქონდა აღებული.

– თქვენ საიდან იცით ეს ამბავი?

– ვაკე-საბურთალოს პროკურატურაში მითხრეს... ჩემი შვილი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც სიმართლე იცოდა პაპუაშვილის მკვლელობაზე. დღეს მის ოჯახს ბოდიში მინდა მოვუხადო. გიორგის რომ თავის დროზე ეთქვა ყველაფერი, დღეს ისიც ცოცხალი იქნებოდა და, ალბათ, ზურაბ ვაზაგაშვილიც.

– თქვენ მხოლოდ მოწმის მოცილების შესახებ ვარაუდი გარწმუნებთ, რომ თქვენი შვილი ზურა ვაზაგაშვილმა მოკლა?

– საქმეში ნებისმიერმა არაიურისტმაც რომ ჩაიხედოს, რომელსაც, უბრალოდ, დეტექტიური ფილმი აქვს ნანახი, ისიც დარწმუნდება ამაში.

იური ვაზაგაშვილი:

ლევან გაბუნია

„ჩემი შვილი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც სიმართლე იცოდა პაპუაშვილის მკვლელობაზე. დღეს მის ოჯახს ბოდიში მინდა მოვუხადო. გიორგის რომ თავის დროზე ეთქვა ყველაფერი, დღეს ისიც ცოცხალი იქნებოდა და, ალბათ, ზურაბ ვაზაგაშვილიც“

„გიორგიმ დაინახა, ვინ მოკლა ბექა. მაგრამ ერთი წლის განმავლობაში ხმას არ იღებდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაციონალურ მოძრაობასთან“?



უშანგი კელენჯერიძე

ბექა გაბუნია

– მე და გაბუნიას დედა, ქალბატონი ციცინო ერთად დავდიოდით სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესებზე. მაშინ მითხრა და თვითონვე იცინოდა ამაზე, ჩემთან მოვიდნენ პაპუაშვილები და მითხრეს, განცხადება გააკეთე, რომ შვილი ვაზაგაშვილებმა მოგიკლესო. მე გავიკითხე და აღმოჩნდა, რომ მათ ერთმანეთთან ნაცნობის ნაცნობიც არ აკავშირებდათო. დღეს გამახსენდა ეს ისტორია. რაც შეეხება ბექა პაპუაშვილს, მასთან ინციდენტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი. იმ დღეს ზურა კაფეში იყო შეყვარებულთან ერთად, ისინიც სამნი იყვნენ გოგოებთან ერთად. ზურას მათთვის სანთებელა უთხოვია და ამაზე მოუვიდათ შელაპარაკება. პაპუაშვილმა ის დანით დაჭრა. სამი ჭრილობა ჰქონდა, მათგან ერთი – ხერხემალში. ამ ინციდენტიდან 2-3 დღეში მოუკლავთ ბექა პაპუაშვილი. ზურაც დაკითხეს, მაგრამ გარდაცვლილს იმდენი ჰყავდა განაწყენებული, პოლიციას ყველა ჰყავდა მოყვანილი და სავსე იყო საბურთალოს პოლიცია. ზურა მოწმის სახით დაკითხეს მაშინ. უკვე რამდენი წელია, ზურას გაკრიმინალება უნდათ. როდესაც კორტებზე ის ჩაცხრილეს, მაშინ გვითხრა ერთმა პოლიციელმა, რომ ზუსტად 2 მაისს მისთვის მიუციათ დავალება, რომ მისულიყო ბექა პაპუაშვილის ოჯახში, ეთხოვა, რომ ბექას მკვლელობაში ზურა დაედანაშაულებინათ და ამის შესახებ „რუსთავი 2“-ში გაეკეთებინათ განცხადება. მშობლებმა ეს არ იკადრეს, მაგრამ გამოძებნეს ვიღაც ნათესავი, უშანგი კელენჯერიძე, რომელმაც ეს გააკეთა და მართლა იყო ასეთი სიუჟეტი. ამის გარდა, ერთი ასეთი შემთხვევაც იყო: კორტების ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე მოკლეს ახალგაზრდა ბიჭი, მიშიკო სეროდინაშვილი. მისი გასვენება იყო 2 მაისს, ზუსტად იმ დღეს, როცა ზურა მოკლეს. დედამისს გაუგზავნეს ხალხი და უთხრეს, – რაღა გინდა, შენი შვილის მკვლელი ვაზაგაშვილი იყო და მოკლესო. როცა კლავდნენ, პოლიციელმა მიაძახა, – აბა, რა გეგონა, შეგრჩებოდა მიშიკო სეროდინაშვილის სიკვდილიო? მისმა დედამ, პედაგოგი ქალბატონია, ბევრი ირბინა, ეძია და დარწმუნდა, რომ ჩვენს შვილებს შეხება საერთოდ არ ჰქონიათ და ის დღესაც იბრძვის სიმართლის დასადგენად... ასე რომ, მუშაობენ და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ხვალ ზურას კენედის მკვლელობა დააბრალონ. თუმცა აქვე გეტყვით, რომ მე დღეს სამართალდამცველებს როგორც ზურას საქმის გამოძიებას ვთხოვ, ისე მოვითხოვ პაპუაშვილისა და გაბუნიას გარდაცვალების საქმეების გამოძიებასაც.

– ლევან გაბუნიას განცხადებით, პაპუაშვილის მკვლელობის საქმის ჩასაფარცხად თქვენ 70 ათასი გადაიხადეთ.

– მოუკლავთ თანხისთვის... ადრე 90 ათასს ამბობდნენ. არასერიოზული იქნება ჩემი მხრიდან ამაზე კომენტარის გაკეთება.

სამწუხაროდ, პაპუაშვილების ოჯახთან დაკავშირება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ამიტომ ჩვენს მკითხველს ბექა პაპუაშვილის ბიძის რამდენიმე წლის წინათ გაკეთებულ განცხადებას შევთავაზებთ.

უშანგი კელენჯერიძე: „2002 წლის 23 ნოემბერს ბექას რესტორან „ვილა-ძარაში“ ზურაბ ვაზაგაშვილთან ჩხუბი მოუხდა. ბექას მოკვლას ვაზაგაშვილი იმ დღესვე აპირებდა, გულში დანის ჩარტყმა უნდოდა, მაგრამ ბექამ დანა ხელით დაიჭირა და იმ დღეს სიკვდილს გადაურჩა. პირიქით, ვაზაგაშვილი დუნდულში დაჭრეს. ორი დღის შემდეგ, 25 ნოემბერს, ბექა თავის სახლთან მოკლეს. მკვლელი სადარბაზოსთან ელოდა. მკვლელობამდე შვიდი წუთით ადრე, ბექას სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან, ვაზაგაშვილს დაურეკეს და იცით, ვისი ტელეფონიდან იყო ზარი? – იმ ქალისა, რომელიც 23 ნოემბერს ვაზაგაშვილს რესტორან „ვილა-ძარაში“ ახლდა. გარდა ამისა, მკვლელობის შემდეგ შემთხვევის ადგილზე დარჩა ვაზაგაშვილის ავტომანქანაც. ერთი სიტყვით, სამხილები საკმარისზე მეტი იყო. ვაზაგაშვილი დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ ელენე თევდორაძის შუამდგომლობით მალევე გაათავისუფლეს(!). ბექას იმ დღეს ორმა ესროლა. ერთს TT ჰქონდა, მეორეს – „მაკაროვი“. ბექა ორივე სისტემის იარაღიდან ნასროლი ტყვიით არის მკვდარი. ბექა თავისი ფეხით ავიდა სახლში და დაჭრილი ბებიამისს ჩაუვარდა ხელებში. გამოძიება დაიწყო. ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო ნაწილის მაშინდელმა უფროსმა ლაერტ დუღაშვილმა საქმე ისეთ გამოუცდელ გამომძიებელს ჩააბარა, რომ მან მომხდარს ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო. მერე გამომძიებელ ფირცხალავას გადასცეს, მაგრამ აზრი აღარ ჰქონდა – გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ფელიქს ძიმისტარაშვილმა საქმე „ჩაფარცხა“. ის ვაზაგაშვილის მეზობელი იყო – ძიმისტარაშვილის შვილი და ზურაბ ვაზაგაშვილი მეგობრები იყვნენ... ვაზაგაშვილის დაჭრა რესტორან „ვილა-ძარაში“ სპეციალურად დაიფარა და საავადმყოფოს შეტყობინებაც გააყალბეს. ამის მერეც არ გამოიძიეს საქმე ობიექტურად. სამი წლის განმავლობაში ვის არ მივმართეთ, მაგრამ ამაოდ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა უტყუარი ფაქტები, ეჭვმიტანილი ვაზაგაშვილი ორ-სამ დღეში გაათავისუფლეს და როგორც საგამოძიებო მასალებშია მითითებული, მისი უდანაშაულობა თურმე ელენე თევდორაძის შუამდგომლობით „გამაგრებულა“. ეს აბსურდია, სამართალდამცველებსა და შსს-ს ჩინოვნიკების ჩარევის გარეშე ამ საქმეს ელენე თევდორაძის შუამდგომლობა ვერ უშველიდა. მკვლელობა უამრავი თვითმხილველის თვალწინ მოხდა და იმას, ვინც ასე აშკარად ისვრის, ცხადია, გავლენიანი მფარველიც ეგულება.

ვაზაგაშვილის ლიკვიდაციით ჩვენს ოჯახს არაფერი მომატებია. პირიქით, სამართალდამცველებს რომ მაშინ თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინათ, დღეს ის ცოცხალი იქნებოდა. ამ ხნის განმავლობაში რას აკეთებდა გამოძიება?“

„ბექას მკვლელს აუცილებლად ამოვიცნობ და დავასახელებო. ზუსტად სამ დღეში ის ე.წ. მეგობარმა აიყვანა სახლის სახურავზე, საიდანაც გადმოაგდეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ

ეკა სოსელია

მიმდინარე პოლიტიკური პროცესები მხოლოდ პოლიტიკოსების განხილვის საგანი არ არის. არსებული რეალობა, ახდენილი თუ აუხდენელი ოცნებები ხშირად ხდება საზოგადოების მსჯელობის თემა. რას ელოდა, რა შესრულდა და რა არა, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, რა შენიშვნები აქვს მთავრობასთან - „პრაიმტაიმი“ რეჟისორ გიორგი შენგელაიას ესაუბრა. შენგელაია ფიქრობს, რომ ახალი ხელისუფლება ზედმეტად ლიბერალურია.

- ხელისუფლების ცვლილების შემდეგ უკვე საკმარისი პერიოდი გავიდა იმისთვის, რომ გავაანალიზოთ არსებული პოლიტიკური რეალობა, როგორ ფიქრობთ, ბატონო გიორგი, თქვენთვის, როგორც რეჟისორისთვის და რიგითი მოქალაქისთვის, მოლოდინი გამართლდა?

- თავის დროზე მე პასუხისმგებლობა ავიღე და „საქართველოს ვაზის პარტია“ ჩამოვაყალიბე. ახლაც არსებობს, მაგრამ ჩრდილში იმიტომ არის, რომ ფული ვერ ვიშოვეთ, მე ჭუჭყიანი ფულით ვერ ვიმუშავებ, როგორც დედაჩემის და მამაჩემის შვილი და როგორც გიორგი შენგელაია. ისე კი, აქტიურად ვარ ჩართული პროცესებში, ვეცნობი ქართულ, რუსულ პრესას და ვითარებას ვაანალიზებ.

- ვიშვიშს და წუწუნს თავი უნდა დავანებოთ, ჩვენი მთავრობა ყველაფერს გააკეთებს. შესაძლოა, რომ პატარ-პატარა შეცდომები საკადრო საკითხებში მოხდეს, მაგრამ მაინც. მაგალითად, მთავარი პროკურორის საკითხი, ვიღაცამ დაწერა, პროკურორი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი არ უნდა იყოსო და ესენიც იმ ლოგიკას წაჰყვნენ როგორიც ევროპასა და ამერიკაშია, მე კი სულ ვიძახდი, ჯერ კიდევ ახალი ხელისუფლების შეცვლამდე, პროკურორად ან თინა ხიდაშელი უნდა დაინიშნოს ან ეკა ბესელია მეთქი... ამაში ცუდი არაფერია, დაენიშნათ ეკა ბესელია და გამოვიდოდა უმრავლესობიდან, შესანიშნავი პროკურორი იქნებოდა.

- თქვენ ამბობთ, წუწუნს თავი უნდა დავანებოთო, ანუ რას გულისხმობთ, ახალ მთავრობას ხალხმა დრო უნდა მისცეს?

- დიახ. მთავრობას სულ აკრიტიკებენ, მე კი ვფიქრობ, რომ რაც შეუძლიათ იმ ფარგლებში მუშაობენ, თავის მაქსიმუმს აკეთებენ. ახლა ისეთ რაღაცას ვიტყვი, რაც ბევრს არ მოეწონება. საქართველო, ჯერჯერობით, კარგა ხანს, ასეთ მდგომარეობაში იქნება, იმიტომ რომ ძალიან ღარიბი ქვეყანაა... არ გვაქვს გაზი, ნავთობი... გინდ რუსეთში გაფრინდი, გინდ ევროპაში შედი, ცხოვრების დონე მაინც ნელა გაიზრდება. მთავრობაში კარგი ხალხია, არ იპარავენ, სხედან და მუშაობენ. ჯერ ბევრი რამ აქვთ გამოსასწორებელი, რაც სააკაშვილის რეჟიმმა გააფუჭა, თუმცა ამასაც რომ მიხედავენ, პრობლემები მაინც დარჩება. დახედეთ რუკას, ჩვენს გეოპოლიტიკურ მდებარეობას, სატრანსპორტო კორიდორმაც ვერ გაამართლა... ობიექტურად რომ ვთქვათ, ძალიან მცირე შესაძლებლობები გვაქვს, რომ მდიდარი სახელმწიფო გავხდეთ. არიან ქვეყნები, რომელთაც გაზი და ნავთობი არ აქვთ, მაგრამ აქვთ დიდი ინტელექტუალური პოტენციალი, ქმნიან ტექნიკას, ჩვენ ეგ არ შეგვიძლია, ქართველები მიწათმოქმედი ხალხი ვართ, არ უყვართ ქართველებს მეცნიერება... დიდი დრო უნდა, რომ ამ ყველაფერს მიაჩვიო...

„მთავრობაში კარგი ხალხია, არ იპარავენ, სხედან და მუშაობენ. ჯერ ბევრი რამ აქვთ გამოსასწორებელი, რაც სააკაშვილის რეჟიმმა გააფუჭა, თუმცა ამასაც რომ მიხედავენ, პრობლემები მაინც დარჩება“

- „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე ძალიან აქტიურად აკრიტიკებს მთავრობას, საუბრობენ პოლიტპატიმრებზე, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე, შეუსრულებელ დაპირებებზე... რა ხდება, თქვენი აზრით, ხელისუფლება ამ განცხადებების გაკეთების საფუძველს იძლევა?

- ძალიან მოკლედ გიპასუხებთ, ძაღლი ყეფს - ქარავანი მიდის... გამგები გაიგებს რაც ვთქვი...

- საზოგადოების ნაწილს აქვს განცდა, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა გვიანდება (და ძალიან ბევრი რეზონანსული საქმე კვლავ გამოუძიებელია), აქცენტი კი მხოლოდ ორი ადამიანის ბრალის დამტკიცებაზე კეთდება. თქვენც გაქვთ ეს განცდა? და რა არის ამის მიზეზი?

- საზოგადოების ნაწილს ვეთანხმები, მათ გვერდით ვარ. ცუდად მუშაობს მთავრობა მაგ კუთხით, იმიტომ რომ ლიბერალები არიან, კანონმდებლობა აუცილებლად უნდა გამკაცრდეს! ამდენ საზიზღარ სასამართლოებს კი არ უნდა ვუყურებდეთ, რომლის იურისტებიც ყოფილი პოლიციელები არიან, მაგალითად, გოგა ონიანი, რამდენი კაცი ჰყავს ნაცემი... ან ოთო კახიძე, ადეიშვილის მარჯვენა ხელი... ეს მთავრობა ყველაფერზე იძახის უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დავარღვიოთო... რეცეპტი მაქვს, როგორც უნდა მოიქცნენ, მაგრამ ვერ ვიტყვი პირდაპირ. რეცეპტი ჩვენს ისტორიაში დავით აღმაშენებლის ეპოქაში დევს, გავიხსენოთ როგორ უსწორდებოდა ის მოღალატეებს, მაგალითისთვის ავიღოთ კლდეკარის ერისთავის ბაღვაშის ისტორია, დავით

„რეცეპტი მაქვს, როგორც უნდა მოიქცნენ, მაგრამ ვერ ვიტყვი პირდაპირ. რეცეპტი ჩვენს ისტორიაში დავით აღმაშენებლის ეპოქაში დევს, გავიხსენოთ როგორ უსწორდებოდა ის მოღალატეებს“

აღმაშენებელს უნდოდა საქართველოს გაერთიანება და რამდენჯერმე აუხსნა ბაღვაშს, მაგრამ ერისთავი განუდგა... რომ ვერ გააგებინა, ავიდა კლდეკარში მიიყვანა მცირე რაზმი და საკუთარი მამულის ეზოში ხეზე ჩამოკიდა ბაღვაში. ასევე მოიქცა, როდესაც თურქ-სელჩუკებმა აიღეს სომხეთის დედაქალაქი ანი, დავითმა მოაგროვა ჯარი, ჩავიდა ანში და დაამარცხა სელჩუკები, რომლებმაც მანამდე 5 ათასი ქრისტიანი სომეხი შეიყვანეს ქრისტიანულ ეკლესიაში და თავები დააჭრეს. დავითმაც დამარცხებული სელჩუკებიდან 500 ტყვე შეიყვანა მეჩეთში და თავები დააჭრევინა, თვითონ კი იდგა და ამ ყველაფერს უყურებდა და ეს ის ჩვენი მონარქი იყო, რომელსაც ცალ ხელში ყურანი ეჭირა და მეორეში სახარება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენმა მთავრობამ ქმედებები უნდა გაამკაცროს, გამოძიება უნდა დააჩქაროს. უფრო მაღალკვალიფიციური პროკურორი უნდა მოიყვანონ,

„ახლა ისეთ რაღაცას ვიტყვი, რაც ბევრს არ მოეწონება. საქართველო, ჯერჯერობით, კარგა ხანს, ასეთ მდგომარეობაში იქნება, იმიტომ რომ ძალიან ღარიბი ქვეყანაა... არ გვაქვს გაზი, ნავთობი... გინდ რუსეთში გაფრინდი, გინდ ევროპაში შედი, ცხოვრების დონე მაინც ნელა გაიზრდება“

„საზოგადოების ნაწილს ვეთანხმები, მათ გვერდით ვარ. ცუდად მუშაობს მთავრობა მაგ კუთხით, იმიტომ რომ ლიბერალები არიან, კანონმდებლობა აუცილებლად უნდა გამკაცრდეს!“

„ამდენ საზიზღარ სასამართლოებს კი არ უნდა ვუყურებდეთ, რომლის იურისტებიც ყოფილი პოლიციელები არიან, მაგალითად, გოგა ონიანი, რამდენი კაცი ჰყავს ნაცემი... ან ოთო კახიძე, ადეიშვილის მარჯვენა ხელი...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ძალლი ყეფს ქარავანი მიდის...“

ნუ ჰგონიათ, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დონეზეა საზოგადოების მსჯელობა, გლეხი სხვანაირად მსჯელობს, მე დიღომში ვცხოვრობ და ხალხი ითხოვს მათ დასჯას, ნაციონალები, როგორც რეჟიმი, უნდა გასამართლდნენ!

„ვის ელაპარაკებიან, ვინ არიან ეს „მიშისტები“?! პათოლოგიური ხალხი! მაგათ მკაცრად უნდა მიუდგნენ და ცოტა არაპოპულარული ზომები მიიღონ“

„რაღაც ნამდვილად ხდება მანდ, ცუდი ან კარგი... არ მჯერა ის ვერსია, რომ სადღაც თავში ჩაარტყეს, შესაძლოა, მართლა გაზით გაგუდეს, ოღონდ მაგათ გაგუდეს, უბედური შემთხვევა არ ყოფილა... “

EXCLUSIVE

დამოკიდებულებაა მთავარი, ვის ელაპარაკებიან, ვინ არიან ეს „მიშისტები“?! პათოლოგიური ხალხი! მაგათ მკაცრად უნდა მიუდგნენ და ცოტა არაპოპულარული ზომები მიიღონ. ერთი ხომ გააკეთეს, მერაბიშვილი რომ გაიყვანეს ციხიდან? მე მჯერა, რომ გაიყვანეს.

- და ეს კანონის დაღვევად არ მიგაჩნიათ?

- ამ კონტექსტიდან გამომდინარე, რაზეც გესაუბრეთ, არ ვხედავ დანაშაულის ნიშნებს, ნუ ჰგონიათ, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დონეზეა საზოგადოების მსჯელობა, გლეხი სხვანაირად მსჯელობს, მე დიღომში ვცხოვრობ და ხალხი ითხოვს მათ დასჯას, ნაციონალები, როგორც რეჟიმი, უნდა გასამართლდნენ! წელავენ პროცესს, ჯერ ერთი სასამართლო, მერე მეორე სასამართლო, ბაძავენ ამერიკას და ევროპას, იქ 5- 5 წელი მიდის თითოეული პროცესი... მაგრამ ჩვენთან სხვა რეალობაა, ჩვენ გარდამავალ პერიოდში ვართ.. რა გახდა ბოლოს და ბოლოს, როგორ ჭიანურდება მერაბიშვილის პროცესი, ჭიანურდება ჟვანიას საქმის გამიძიება... ხომ ხედავთ ღმერთი როგორ გვეხმარება, მაინც ათქმევინა ის საზიზღრობა ვანოს, ორი გვამი მჭირდებაო! ადგნენ და ჩაატარონ მეორე დღესვე სასამართლო, გამოუტანონ განაჩენი, გაუშვან იქ, სადაც საჭიროა და დაამთავრონ საქმე! ახლა დაიწყება განხილვა, ასე თქვა ვანომ? ეს იგულისხმა? მე მეტსაც გეტყვით, „ორი გვამი მჭირდება“ ეს სააკაშვილის სიტყვებია... ვიცი მაგის ფსიქოლოგია... ვანო, უბრალოდ, „პეშკა“ იყო...

„რა გახდა ბოლოს და ბოლოს, როგორ ჭიანურდება მერაბიშვილის პროცესი, ჭიანურდება ჟვანიას საქმის გამიძიება... ხომ ხედავთ ღმერთი როგორ გვეხმარება, მაინც ათქმევინა ის საზიზღრობა ვანოს, ორი გვამი მჭირდებაო! ადგნენ და ჩაატარონ მეორე დღესვე სასამართლო, გამოუტანონ განაჩენი, გაუშვან იქ, სადაც საჭიროა და დაამთავრონ საქმე!“

- ჟვანიას პროცესი ახსენეთ, თქვენი აზრით, ამ დრომდე რატომ არ გაიხსნა საქმე?

- არ ვიცი, რა გითხრათ... მე ზურა ჟვანიას ძმას გოგლა ჟვანიას ვიცნობ კარგად და მასაც არ უნდა ამ თემაზე ლაპარაკი ტელეფონში... რაღაც ნამდვილად ხდება მანდ, ცუდი ან კარგი... არ მჯერა ის ვერსია, რომ სადღაც თავში ჩაარტყეს, შესაძლოა, მართლა გაზით გაგუდეს, ოღონდ მაგათ გაგუდეს, უბედური შემთხვევა არ ყოფილა...

- ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ გამოძიების დასრულების შემთხვევაში მაშინდელი მაღალჩინოსნების პასუხიმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?

- რა თქმა უნდა. სააკაშვილის, ბარამიძის... ყველა სააკაშვილთან გადახტა და ჟვანია მიატოვეს, ბარამიძეს შეეძლო ფლიდურად ეღალატა მისთვის. მონაწილეობა მიეღო არა პირდაპირი გაგებით, მაგრამ თანხმობა მიეცა ჟვანიას სიკვდილზე. რაც შეხება გამოძიების გაჭიანურებას, არის პოლიტიკური მომენტები, ეს საქმე პირდაპირ სააკაშვილზე მიდის. ხომ ხედავთ მთელი ევროპა და ამერიკა გაიძახის, თავი დაანებეთო, ძალიან ცდებიან! სააკაშვილი მაგათ ემსახურა, ამერიკელების აგენტი იყო, არსებობს მოსაზრება, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტი კი არ დაამთავრა, არამედ სადაზვერვო ინსტიტუტში სწავლობდნენ ეგ და თავისი ცოლი! ბევრი ჰქონია ეგეთი შემთხვევები ამერიკას, როცა უნდა, რომ რომელიმე ქვეყანაში გავლენა დაამყაროს თავის აგენტს უშვებს პირველ პირად... ჯერ ჯერობით, ალბათ, ადრეა და ამიტომ ამუხრუჭებს ჩვენი მთავრობა. მაგრამ მალე ამერიკაშიც დაინახავენ ვინ არის რეალურად, მე წავიკითხე რუსულ პრესაში, თუ სწორად მახსოვს „კომერსანტში“, რომ გამოგდებაზე აქვს საქმე იმ უნივერსიტეტიდან სადაც ლექციებს კითხულობს. ერთ-ერთ პროფესორს მიუწერია რექტორისთვის, არჩევნებზე საქართველოში ვიყავი დამკვირვებლად და ეს რა კაცია, ამომრჩევლის ხმებს ყიდულობდა, აყალბებდაო, მოკლედ, საშინელებებს წერს სააკაშვილზე, ეგ ჩვენს უნივერსიტეტში როგორ მიიღეო... ასეთივე წერილი, სხვათა შორის, სტუდენტებმაც დაწერეს. აი, ნახავთ მალე გამოაბუნძულებენ მაქედან.

„არაჩვეულებრივი კაცია დავით ნარმანია, დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კარგი მერი იქნება. უგულავა კი დასაჭერია და დარწმუნებული ვარ, რომ დაიჭერენ კიდეც“

- რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას, დადებით ძვრებს ხედავთ?

- ეს მნიშვნელოვანი თემაა, რუსეთთან ურთიერთობები უნდა დავალაგოთ. ჩვენს მთავრობას სწორი პოზიცია აქვს, პრაგმატულად უყურებს საკითხს, გვჭირდება ჩვენ რუსეთი, მაგრამ არსებობს ზღვარი. თუ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებენ, და ურთიერთობას დაძავაბენ, იმ წუთასვე უნდა შევწყვიტოთ მათთან კონტაქტი და ისევ ქამრები მოვიჭიროთ. ხომ ხედავთ რა ხდება უკრაინაში, თუ დემონსტრანტებმა გაიმარჯვეს, ეს, პირველ რიგში, პუტინის დიდი დამარცხება იქნება

„მე მეტსაც გეტყვით, „ორი გვამი მჭირდება“ ეს სააკაშვილის სიტყვებია... ვიცი მაგის ფსიქოლოგია... ვანო, უბრალოდ, „პეშკა“ იყო...“

და მერე შეიძლება ჩვენ მოგვადგნენ.

- და ბოლოს, მოახლოებულ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე მინდა გკითხოთ, მერის სახელისუფლო კანდიდატზე აზრთა სხვადასხვაობაა..

- არაჩვეულებრივი კაცია დავით ნარმანია, დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კარგი მერი იქნება. უგულავა კი დასაჭერია და დარწმუნებული ვარ, რომ დაიჭერენ კიდეც.

„სააკაშვილი მაგათ ემსახურა, ამერიკელების აგენტი იყო, არსებობს მოსაზრება, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტი კი არ დაამთავრა, არამედ სადაზვერვო ინსტიტუტში სწავლობდნენ ეგ და თავისი ცოლი! ბევრი ჰქონია ეგეთი შემთხვევები ამერიკას, როცა უნდა, რომ რომელიმე ქვეყანაში გავლენა დაამყაროს თავის აგენტს უშვებს პირველ პირად...“

„მალე ამერიკაშიც დაინახავენ ვინ არის რეალურად, მე წავიკითხე რუსულ პრესაში, თუ სწორად მახსოვს „კომერსანტში“, რომ გამოგდებაზე აქვს საქმე იმ უნივერსიტეტიდან სადაც ლექციებს კითხულობს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზვიად ძიძიგური: „არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნები წერილობით მაქვს შენახული და შემიძლია, თქვენც წარმოგიდგინოთ საჭიროების შემთხვევაში“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

არასაპარლამენტო ოპოზიცია „ოცნებას“ ნაციონალებად ქცევაში სდებს ბრალს. ისინი ზუსტად ისეთივე წარმატებით იბრძვიან, როგორც ადრე, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, ოღონდ ამჯერად მათი საბრძოლო სამიზნეებია შეცვლილი. ქრისტიან-დემოკრატები, თავისუფალი საქართველო, „ქართული დასი“, ლეიბორისტები – ადრე რესპუბლიკელებისა და კონსერვატორების გვერდით იყვნენ და ნაციონალებს ერთად უყენებდნენ საკუთარ მოთხოვნებს: საარჩევნო კოდექსი გაეადამიანურებინათ და კონსტიტუციაც ქვეყნის ინტერესებზე მოერგოთ. ხელისუფლებაც, პრინციპში, ამ მიზეზით შეცვალეს. აღმოჩნდა, რომ არასაპარლამენტოები, რესპუბლიკელებისა და კონსერვატორების გამოკლებით, იგივე პრობლემის წინაშე დგანან ახლაც. მათი შანსები კარსმომდგარ არჩევნებზე ისევ ნულია. ამას კი ისინი ისევ ხელისუფლებას აბრალებენ...

ხელისუფლებაში მოსული ყოფილი ოპოზიცია საარჩევნო კოდექსს სხვა პოსტებიდან სხვადასხვანაირად ხედავს, ოპოზიციის მიერ ჩამოთვლილ პრობლემებს თითიდან გამოწოვილს უწოდებს და აცხადებს, რომ მათი ყველა მოთხოვნა შესრულებულია...

ზვიად ძიძიგური, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– არასაპარლამენტო ოპოზიციას თავისი პოლიტიკური ნება აქვს, რასაც უნდა, იმას ილაპარაკებს. თუმცა ყველა ერთ პოზიციაზე არ არის, ფაქტია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ითხოვდა მერებისა და გამგებლების პირდაპირი არჩევის წესს და ასევე, მათი მოთხოვნაა ბარიერთან დაკავშირებით – 50%-ს პლუს 1 ხმა. არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნები წერილობით მაქვს შენახული და შემიძლია, თქვენც წარმოგიდგინოთ საჭიროების შემთხვევაში. ჩვენ შევჯერდით იმაზე, რომ მათი მთავარი მოთხოვნა მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის შესახებ შესრულებულია. ბარიერი 30%-დან გავზარდეთ 40%-მდე თბილისში.

– თუმცა მათი მოთხოვნა 50%-ია და ამბობენ, რომ ასეთი ბარიერი სწორედ თქვენს ინტერესებში არ შედის...

– ფაქტია, რომ 10%-იანი ზრდა არის ბარიერში, რაც უდავოდ წინსვლაა. არასაპარლამენტო ოპოზიცია ასევე წერილობით ითხოვდა, რომ პროპორციული არჩევნების 5%-იანი ბარიერი 3%-მდე ჩამოსულიყო. ჩვენ ჩამოვიყვანეთ 4%-ზე, ანუ ერთი ნაბიჯი ჩვენ გადავდგით და ერთი ნაბიჯი, წესით, მათ უნდა გადმოედგათ, თუმცა ისინი არც ერთი ნაბიჯის გადმოდგმას არ აპირებენ. მიმაჩნია, რომ აქაც არის პროგრესი. ამას გარდა, ისინი ითხოვდნენ პროპორციულისა და მაჟორიტარულის თანაფარდობა საკრებულოებში 2/3-დი 1/3-ზე ყოფილიყო. დღეის მდგომარეობით იყო პირიქით. ჩვენ მოვუმატეთ პროპორციულის თანაფარდობა და ახლა არის 1/1-ზე. რასაც ისინი ითხოვდნენ, ზუსტად ისე არ არის, თუმცა უკეთესი ვარიანტია, ვიდრე იყო. ცვლილების შემდეგ პატარ-პატარა პარტიებს აქვთ შესაძლებლობა, თავიანთი წარმომადგენლობები გაიყვანონ საკრებულოებში. ჩვენ, არასაპარლამენტო ოპოზიციის გარდა, არასამთავრობოების მოთხოვნებიც შევასრულეთ.

კულტურის მინისტრად ჯაბა სამუშიას ნიშნავენ?

my View

მირიან ბოქოლიშვილი

საქართველოს მთავრობაში საკადრო ცვლილებები იგეგმება. „პრაიმტაიმს“ სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყარო უყვება, რომ მალე ცვლილებები შეეხებათ სოფლის მეურნეობისა და კულტურის მინისტრებს. სოფლის მეურნეობაში შესაძლოა, კვლავ დავით კირვალიძე დაბრუნდეს. ღარიბაშვილის კაბინეტში კირვალიძის საკითხზე კონსულტაციები რომ მიმდინარეობს, ეს გასულ კვირას ჯანდაცვის მინისტრმაც დაადასტურა. რაც შეეხება კულტურის სამინისტროს, ჩვენი ინფორმაციით, გურამ ოდიშარიას პოსტზე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯაბა სამუშია განიხილება. მეტიც, კულტურის მოღვაწეებთან სამუშია უკვე მართავს დახურულ შეხვედრებს. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას ცნობილი ქორეოგრაფი ომარ მხეიძეც ესწრებოდა. ჩვენთან საუბრისას, ის ადასტურებს, რომ ჯაბა სამუშიასთან შეხვედრა ნამდვილად შედგა, თუმცა კულტურის მინისტრობის თემა იქ არ განხილულა.

„დიახ, შეხვედრა ნამდვილად შედგა, თუმცა საუბარი ეხებოდა ფილარმონიის ორგანიზაციის დაფუძნებას. მსგავსი ორგანიზაცია ბევრ ქვეყანაში არსებობს და ვმსჯელობდით საქართველოში ორგანიზაციის აღდგენის შესახებ“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ომარ მხეიძე.

თავად ჯაბა სამუშიასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. ის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილთან ერთად უკვე რამდენიმე დღეა, შეერთებულ შტატებში იმყოფება. სამუშიას პრესმდივანმა თამარ ხომერიკმა კი განგვიმარტა, რომ „მსგავსი ინფორმაცია მისთვის უცნობია“.

სკანდა

my View

მირიან ბოქოლიშვილი

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს დრო და დრო სკანდალები არ აკლდება... დავით დარახველიძის განცხადებები ხშირად ხმაურიანი დისკუსიების საფუძველიც გამხდარა, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა მისი გამონათქვამები არაფერ შუაშია... საქმე მისი გუბერნატორობის პერიოდს ეხება, კერძოდ, 2003 წელს, როდესაც ამჟამინდელი მინისტრი რაჭა-ლეჩხუმში პრეზიდენტ შევარდნაძის რწმუნებული გახლდათ. „პრაიმტაიმს“ ხელში ჩაუვარდა სკანდალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, როგორ აღმოჩნდა სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ქონება დავით დარახველიძის ოჯახის საკუთრებაში. სანამ ამ დოკუმენტის დეტალებს გაგაცნობთ, თვალი გადავავლეთ იმ ქონებას, რომელსაც მინისტრი დარახველიძე ოფიციალურად ფლობს და თანამდებობის პირისთვის სავალდებულო დეკლარაციაშიც აქვს მითითებული.

მოკლედ, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მფლობელობაშია 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი ონის რაიონის სოფელ გლოლაში, ორი საცხოვრებელი სახლი ამბროლაურის რაიონის სოფელ ბოსტანაში და ამავე სოფელში 26 ათას 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი. მეუღლის, ნინო საგანელიძის სახელზეა რეგისტრირებული ბინა თბილისში, მუხიანის დასახლებაში, შარტავას ქუჩაზე მდებარე ბინა კი რძლის, რუსუდან კოხოძის სახელზე ირიცხება. დეკლარაციით ირკვევა, რომ, გარდა საჯარო სამსახურისა, დავით დარახველიძეს გასულ წელს სოლიდური ანაზღაურება აქვს მიღებული კერძო კომპანიებიდანაც, სადაც ის ფინანსური მენეჯერის პოზიციაზეა მითითებული. ასე, მაგალითად: შპს „ორიენტიდან“ მიღებული აქვს 18 ათას 750 ლარი, „ლიბო ენ კომპანიდან“ – 6 ათას 250 ლარი, შპს „იკორთადან“ – 12 ათას 250 ლარი, შპს „მნგ კომპანიდან“ – 1300 ლარი. გარდა ამისა, დარახველიძეების ოჯახმა ყურძნის რეალიზაციიდან 19 ათას 485 ლარი მიიღო.

ასე გამოიყურება ოფიციალურად დავით დარახველიძის ქონებრივი მდგომარეობა, თუმცა ეს მხოლოდ ოფიციალურად... დოკუმენტი, რომელიც „პრაიმტაიმს“ ჩაუვარდა ხელში, ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ დარახველიძე გაცილებით დიდი ქონების პატრონია... სახელმწიფო ქონების მიღება-ჩაბარების აქტი 2003 წლის ოქტომბრით თარიღდება. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ მწიფდებოდა, დარახველიძე კი გუბერნატორის პოსტზე ბოლო დღეებს ითვლიდა. რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე ჩატარდა აუქციონი ამბროლაურის სატყეო მეურნეობის სახელზე რიცხული ქონების პრივატიზების მიზნით და რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქონების ერთპიროვნული მესაკუთრე გახდა ინდსაწარმო „საგანელიძე პეტრე“. ამ საწარმოს უკან რომ რეალურად იმდროინდელი გუბერნატორი, დავით დარახველიძე იდგა, ადგილობრივებს ეჭვიც არ შეჰპარვიათ, ვინაიდან აწ გარდაცვლილი პეტრე საგანელიძე, დარახველიძის სიმამრი გახლავთ. მიღება-ჩაბარების აქტში დეტალურადაა აღწერილი, რა ფასად და რა რაოდენობის ქონება გადაეცა დარახველიძის სიმამრს.

„2003 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ამბროლაურის ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა რუსუდან ჭოხონელიძემ, შემდგომში გამყიდველად წოდებულმა, მოვახდინე აუქციონის წესით პრივატიზებული სატყეო მეურნეობის ორი სახერხი საამქროს ჩაბარება ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად ინდსაწარმო „საგანელიძე პეტრეს“ სახელზე“, – ვკითხულობთ დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერს დავით დარახველიძის სიმამრი. დოკუმენტის ბოლოში მითითებულია კონკრეტული თანხა, რა დაუჯდა დარახველიძის ოჯახს აღნიშნული ქონება.

„ობიექტზე დამაგრებული 10 ათასი კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულება შეადგენს 3 ათას 850 ლარს, გადახდილია მყიდველის მიერ. ობიექტის მთლიანმა გასაყიდმა ღირებულებამ შეადგინა 1652 აშშ დოლარი, რომელიც გადახდილია მყიდველის მიერ“.

ამ ფასად მაშინდელი გუბერნატორის ხელში აღმოჩნდა სოფელ სადმელში მდებარე ორი სახერხი საამქრო, გარაჟის შენობა, თესლების საწყობი, სპეციალისტების სახლი, აბანოს შენობა, პურის საცხობი და წყალსადენის ხაზიც კი. ეს ქონების მხოლოდ პასიური ნაწილია, რაც შეეხება აქტიურ ნაწილს, ის ასევე შთამბეჭდავად გამოიყურება: 7 ერთეული ავტომანქანა „მაზი 509“; 2 ერთეული ავტომანქანა „ზილი 131“; 3 ერთეული ავტომანქანა თვითმცლელი; 1 ავტომანქანა-სახელოსნო; 1 ავტოკრანი; 1 ტრაქტორის მისაბმელი; 1 სახარატე დაზგა; 1 ექსკავატორი; 1 ტრაქტორი დტ-75; ოთხი 25-ტონიანი, სამი 3-ტონიანი და ერთი 10-ტონიანი ცისტერნა; 2 ტრანსფორმატორი; 1 ცირკულის დაზგა; 3 ვაგონეტი; 1 კოშკურა ამწე რ-100; 2 რამახერხი და მისი კომპლექტი; 1 ხერხი გორიზოტი; 1 ცირკული კც დაზგა; 1 ცირკული უტ-120; 1 ცირკული მ-12; 1 ხერხი ბრაუნოტასკა; 15 მეტრი რკინის გზა; 1 ქვესადგური; 1 ვულკანიზაციის აპარატი; 1 „სვარკის“ აპარატი და 2 სამჭედლო ქურა.

როგორც გითხარით, მთელი ეს ქონება საბოლოოდ პეტრე საგანელიძის ხელში აღმოჩნდა. თავის მხრივ, პეტრე საგანელიძე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, დავით საგანელიძის ბიძა გახლავთ.

რა კავშირი ჰქონდა იმდროინდელ გუბერნატორ დარახველიძეს სატყეო მეურნეობის პრივატიზაციასთან და როგორ აღმოჩნდა მისი სიმამრის ხელში აურაცხელი ქონება მიზერულ თანხად? იურისტების თქმით, ხსენებული დოკუმენტით თანამდებობის პირის მიერ რაიმე სახის დანაშაული არ იკვეთება, ვინაიდან ოფიციალური დოკუმენტაციაც სამართლებრივ ჩარჩოებში ზის. თუმცა, როგორც საია-ს იურისტი სულხან სალაძე ამბობს, გასარკვევია, ჰყავდა თუ არა აუქციონს სხვა მონაწილეები და ის, თუ რატომ შეჩერდა არჩევანი პეტრე საგანელიძეზე, რომლის მიერ შეთავაზებული თანხაც არანაირად არ შეესაბამება ხსენებულ ქონებას.

„ამ დოკუმენტში ქონება პეტრე საგანელიძეს გადასცა ეკონომიკის სამინისტრომ. პირდაპირი ბმა ამ ქონებას გუბერნიასთან არ აქვს. რაც შეეხება ღირებულებას, ცხადია, ფასი ძალიან დაბალია, იმდენად დაბალი, რომ არანაირად არ შეესაბამება ამ ქონების ჩამონათვალს. გასარკვევია აუქციონის საკითხი, რამდენჯერ ჩატარდა და იყვნენ თუ არა სხვა პრეტენდენტები, რომლებიც, დავუშვათ, უფრო მაღალ ფასს გადაიხდიდნენ ამ ქონებაში. თუკი გაირკვა, რომ აუქციონში სხვა პირებიც მონაწილეობდნენ და შესაძლებელი იყო მათი ინტერესიც დაკმაყოფილებულიყო, ცხადია, ეს უნდა გახდეს შესწავლის საგანი. ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა, ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე ტიპის ჩარევას გუბერნატორის მხრიდან“, – ამბობს საია-ს იურისტი სულხან სალაძე.

„პრაიმტაიმმა“ ამ თემაზე კომენტარი პირადად დავით დარახველიძესაც სთხოვა.

„ამ თემას ნაციონალური ხელისუფლება, საკუთარი პროკურატურისა და სასამართლოს მეშვეობით წლების მანძილზე იკვლევდა, იძიებდა რაჭა-ლეჩხუმი-ზემო სვანეთის გუბერნატორის, მისი მოადგილეების, ეკონომიკის იმდროინდელი მინისტრისა და შესაბამისი ქვემდებარე სტრუქტურების საქმიანობას იმისთვის, რომ როგორმე ან სადმე ჩემი მხრიდან კანონდარღვევა ან გადაცდომა აღმოეჩინა. თუმცა, მიუხედავად მათი აქტიური მცდელობისა, ასეთი რამ ვერ შეძლო, იმ მარტივი მიზეზით, რომ ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობდა. მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც მივიღე მონაწილეობა მაჟორიტარულ არჩევნებში და რეალურად გავიმარჯვე კიდეც, რომ არა ნაციონალების მხრიდან არჩევნების გაყალბება... ეს იცის საზოგადოებამ! და განსაკუთრებით კი, რაჭველებისთვის ყველაფერი ნათელია“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ დავით დარახველიძემ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლური დოკუმენტი

EXCLUSIVE

დავით დარახველიძე: „ამ თემას ნაციონალური ხელისუფლება, საკუთარი პროკურატურისა და სასამართლოს მეშვეობით წლების მანძილზე იკვლევდა, რომ, როგორმე კანონდარღვევა აღმოეჩინა, თუმცა, ასეთი რამ ვერ შეძლო“

როგორ აღმოჩნდა დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება დავით დარახველიძის ოჯახის საკუთრებაში?



სახელმწიფო ქონების მიღება-ჩაბარების

ა ქ ტ ი

ორიათას სამი წლის [illegible] საქართველოს ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ამბროლაურის საბ. ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა რუსუდან ჭოხონელიძემ შედგომში გამყიდველად წოდებულმა მოვახდინე აუქციონის წესით პრივატიზებული სატყეო მეურნეობის ორი სახერხი საამქროს ჩაბარება ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად ინდ. ხაწარმო „საგანელიძე პეტრეს“ სახელზე:

გამყიდველიდან მყიდველს ჩაბარდა ქვემოთ ჩამოთვლილი ქონება:

პასიური ნაწილი

1.	სახერხი საამქრო	სოფ სადმელი
2.	სახერხი საამქრო	სოფ სადმელი
3.	გარაჟის შენობა	სოფ სადმელი
4.	თესლების საწყობი	სოფ სადმელი
5.	სპეციალისტების სახლი	სოფ სადმელი
6.	აბანოს შენობა	სოფ სადმელი
7.	პურის საცხობი შენობა	სოფ სადმელი
8.	წყალსადენის ხაზი	სოფ სადმელი

აქტიური ნაწილი

1.	ავტომანქანა მაზი -509	1ცალი
2.	ავტომანქანა მაზი-509	1 ცალი
3.	ავტომანქანა მაზი 509	1 ცალი
4.	ავტომანქანა ზილ -130 /31/	1 ცალი
5.	ავტომანქანა ზილ-130 /31	1 ცალი
6.	ავტომანქანა თვითმცლელი	1 ცალი
7.	ავტომანქანა თვითმცლელი	1 ცალი
8.	ავტომანქანა გაზ-53 თვითცლელი 3507	1 ცალი
9.	ავტომანქანა -სახელოსნო	1 ცალი
10.	ავტოკრანი	1 ცალი
11.	ავტომანქანა მაზზი-509	1 ცალი
12.	ტრაქტორის მისამბმელი	1 ცალი
13.	სახარატო დაზგა	1 ცალი
14.	ავტომანქანა მაზი-509	1 ცალი
15.	ეშკავატორი	1 ცალი
16.	ტრაქტორი დტ-75	1 ცალი
17.	ცისტერნა 25 ტონიანი	1 ცალი
18.	ცისტერნა 25 ტონიანი	1 ცალი
19.	ცისტერნა 25 ტონიანი	1 ცალი
20.	ცისტერნა 25 ტონიანი	1 ცალი
21.	ცისტერნა 2,9 ტონიანი	1 ცალი
22.	ცისტერნა 2,9 ტონიანი	1 ცალი
23.	ცისტერნა 10 ტონიანი	1 ცალი
24.	ცისტერნა 3 ტონიანი	1 ცალი
25.	ტრანსფორმატორი	1 ცალი
26.	ტრანსფორმატორი	1 ცალი
27.	ცირკულის დაზგა	1 ცალი
28.	ვაგონეტი	1 ცალი
29.	კოშკურა ამწე რ-100	1 ცალი
30.	რამახერხის კომპლექტი	1 ცალი
31.	ხერხი გორიზოტი	1 ცალი
32.	ცირკული კც დაზგა	1 ცალი
33.	ცირკული უტ-120	1 ცალი
34.	ცირკული ბ-12	1 ცალი
35.	რამახერხი	1 ცალი
36.	ხერხი ბრაუნოტასკა	1 ცალი
37.	ავტომანქანა მაზი-509	1 ცალი
38.	რკინის გზა 15 მეტრი	1 ცალი
39.	ქვესადგური	1 ცალი
40.	რამახერი 64	1 ცალი
41.	ვულკანიზაციის აპარატი	1 ცალი
42	სვარკის აპარატი	1 ცალი
43.	სამჭედლო ჭურა	1 ცალი
44.	სამჭედლო ჭურა	1 ცალი
45.	ავტომანქანა მაზი-509	1 ცალი
46.	ვაგონეტი	1 ცალი
47.	ვაგონეტი	1 ცალი

ობიექტზე დამაგრებული 10000მკვ. მიწის ნაკვეთი რომლის ღირებულრბა შეადგენს 3850 ლარს რომელიც გადახდილია მყიდველის მიერ.

ობიექტის მთლიანმა გასაყიდმა ღირებულებამ ნულოვანი საწყისი ფასით შეადგინა 1652 (ერთიათას ექვსას ორმოცდათორმეტი) აშშ დოლარი,რომელიც გადახდილია მყიდველის მიერ.

ჩაბარებელი:

ჩაბარებელი: ინდ ხაწარმო „ საგანელიძე პეტრე“

ჩვენ დავინტერესდით ამჟამად რამდენად არის ნდობა მისი და მისი უწყების მიმართ. დარახველიძე ამბობს, რომ მინისტრობის პერიოდში ათასობით დევნილს შეხვდა და სამინისტრო ყველაფერს აკეთებს ამ ადამიანების დასახმარებლად.

„ჩვენ დაგვხვდა ძალიან მძიმე მემკვიდრეობა, დევნილებს არ ჰქონდათ ნდობა სამინისტროს მიმართ, ხშირი იყო სხვადასხვა ობიექტებში არაკანონიერი შეჭრის ფაქტები, მათ აკლდათ კომუნიკაცია და სწორედ ამიტომ 2012 წლის 15 ოქტომბრიდან დევნილებისთვის მიღების დღეები დავაწესე. მინისტრი და მოადგილეები პირადად ხვდებიან დევნილებს. ჩემი მიღების დღეა სამშაბათი. დღემდე მინისტრი და მოადგილეები 11 000 დევნილს შეხვდნენ, რამაც სამინისტროს მიმართ ნდობა დაუბრუნა დევნილებს. მინისტრი, მოადგილეებთან და დევნილთა დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ერთად, პერიოდულად სტუმრობს თბილისსა და რეგიონებში კომპაქტურ ჩასახლებებს. ამის პარალელურად სამინისტრომ დაიწყო აქტიური ზრუნვა სარეაბილიტაციო ობიექტების მოძიებაზე და სახელმწიფოსგან მათ გამოსყიდვაზე. დავიწყეთ და დავასრულეთ მუშაობა ახალ კანონზე „კანონი დევნილთა შესახებ“. კანონის მიხედვით შემოვიღეთ ოჯახის ცნება, დაცულია ოჯახის ხელოვნურად გაყოფა, შემოვიტანეთ უძრავი ქონების რესტიტუციის უფლება და მემკვიდრეობით გადაცემის უფლება. მოვხსენით დისკრიმინაციული დაყოფა, რაც აქამდე იყო კომპაქტური და კერძო ჩასახლება, დაიხვეწა დევნილის სტატუსის ცნება და რაც მთავარია, დევნილის შემწეობა გაიზარდა 45 ლარამდე. წლის განმავლობაში მასშტაბური სამუშაოები ჩავატარეთ 106 ობიექტზე, აქედან ექსპლოატაციაში გავუშვით 34 ახალი ობიექტი, სადაც 1546 ოჯახმა ახალმოსახლეობა იზეიმა. მარტო თბილისში 565 ოჯახი დავაკმაყოფილეთ ბინით, მაშინ როცა წინა ხელისუფლების დროს, დევნილებს თბილისში ბინებით უზრუნველყოფა ეკრძალებოდათ. ეს დისკრიმინაციული მიდგომაც გავაუქმეთ. წლის განმავლობაში ერთჯერადი დახმარება (200-დან 500 ლარამდე) გაეწია 1811 ოჯახს, რაზეც დაიხარჯა 299 067 ლარი, ბინის ქირით უზრუნველყოფილ იქნა 160 ოჯახი, რაზეც ერთ წელიწადში დაიხარჯა 158 050 ლარი; „გამოზამთრების პროგრამის“ ფარგლებში 23 000 ოჯახს გადაეცა 200-ლარიანი ვაუჩერი. მოხმარებული ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარად. 60 სოციალურად შეჭირვებულ ოჯახს 150 ლარი გადაეცათ შეშის შესაძენად. და კიდევ უამრავი სხვა პროექტი, თუნდაც ის, რომ უკვე შევიმუშავეთ ნორმატიული აქტი ეკომიგრანტებისთვის ბინების განაწილების თაობაზე და სხვ. მთავრობამ დევნილთა საარსებო წყაროების სტრატეგია დაამტკიცა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის 2012 წელს გაფორმებული ფინანსური მხარდაჭერის ხელშეკრულების ფარგლებში 5 მლნ ევროთი გათვალისწინებულია დევნილთა შემოსავლის წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამისთვის სამინისტროში შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დევნილთა შემოსავლის წყაროების სააგენტო. პერსპექტივაში არის შესაძლებლობა, რომ მსოფლიო ბანკმა დამატებით 2 მლნ აშშ დოლარი დაამტკიცოს, ხოლო 2015 წლიდან 30 მლნ დოლარიანი პროექტი გაიხსნას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დევნილთა ხელმისაწვდომობას შემოსავლებზე, მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ქვეყნის ეკონომიკური აღმშენებლობის საკითხში მათი ჩართულობის ხარისხს“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ დავით დარახველიძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით უსუფაშვილი: „შეუძლებელია 17-18 პოლიტიკური პარტია ყველა საკითხზე ერთ დასკვნამდე მივიდეს“

რატომ დაიშალა ინტერფრაქციული ჯგუფი

ქეთი ხატიაშვილი

პოლიტიკოსები ხშირად აპროტესტებენ ხოლმე სხვადასხვა საკითხებს. აპროტესტებენ ყველა, ზოგჯერ დაუშვებელი მეთოდითაც კი. თუმცა, ის, რაც ქობულეთში მოხდა, როგორც თავად პოლიტიკოსებმა შენიშნეს, ქართულ პოლიტიკას ჯერ არ ახსოვს. ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელსაც საარჩევნო კანონმდებლობაზე უნდა ემუშავა, პირველად არასამთავრობო ორგანიზაციებმა დატოვეს. პროტესტის გამოხატვა მათ პოლიტიკოსებსაც კი დაასწრეს. დავით ბერძენიშვილმა შენიშვნა ისევ არასამთავრობოებს მისცა: მიშას დროს რატომ არ ტოვებდით პროტესტის ნიშნად შეხვედრებსო.

ინტერფრაქციული ჯგუფი დატოვეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, საია-სა და „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლებმა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის განმარტებით:

– ჩვენ გავაპროტესტეთ ის, რომ მმართველ კოალიციას არ აქვს სურვილი, საარჩევნო სისტემის ძირეული ცვლილება განახორციელოს და სამართლიანი საარჩევნო სისტემა შექმნას.

არასამთავრობოების პოზიცია გასაგებია. მიშას დროს ისინი „რვიანის“ ფორმატში მხარს უჭერდნენ მაშინდელ ოპოზიციას თავის მოთხოვნებში. და ახლა, როცა „რვიანიდან“ სამი პარტია – რესპუბლიკელები, ირაკლი ალასანია და ზვიად ძიძიგური ხელისუფლებაში არიან, მათთვის გაუგებარია, რატომ არ იცვლება კანონმდებლობა. რატომ უჭერენ მხარს ახლა უკვე ხელისუფლებაში მყოფები მიშას დროს მიღებულ კანონს. მათი შეფასებით, ყველა ხელისუფლება ცდილობს, კანონმდებლობით საკუთარი გამარჯვება გაიმყაროს არჩევნებზე.

ამბობენ, რომ ქობულეთში, როცა ოპოზიცია ყოველ ჯერზე „რვიანის“ ფორმატში მიღებულ შენიშვნებს აყენებდა, დავით ბერძენიშვილი პასუხობდა: არა, ეგ მუხლი არ შეიცვლებაო, მიხეილ მაჭავარიანი მას მადლობას უხდიდა. ხომ ხედავთ, ჩვენ რაც მივიღეთ, ის იმდენად რეალური იყო, რომ მისი შეცვლა ამ ხელისუფლებასაც არ უნდაო.

ახლების ერთ-ერთმა ლიდერმა თქვა:

– უნდა გენახათ, ქობულეთის შეხვედრაზე რა ბედნიერები იყვნენ ხათუნა გოგორიშვილი და მიხეილ მაჭავარიანი, როდესაც აღმოჩნდა, რომ „ქართული ოცნება“ მათ პრინციპებს იზიარებს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით და, ფაქტობრივად, ტოვებს ერთმანდატიან ოლქებს, ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესს, რაოდენობრივად მაჟორიტარების პრიმატსა და პრიორიტეტს საკრებულოებში, არ იზიარებს სამართლიან 50%-იან ბარიერს პირველ ტურში გამარჯვებასთან დაკავშირებით და 33%-მდე წევს გამგებლების არჩევნების და 40%-მდე მერების არჩევნების ბარიერს.

სწორედ იმიტომ შეადარა საარჩევნო კანონი გიორგი გუგავამ მარადისობის კანონს.

– ივანიშვილმა ხათუნა გოგორიშვილის კოდექსი ჩოხასავით მოირგო. „ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩენას კიდევ ოცი წელი აპირებს. მაგრამ ივანიშვილის პინგვინები უფრო ადვილად გაფრინდებიან თბილ ქვეყნებში, ვიდრე ის ამ ოცნებას აისრულებს, – ამბობს გუგავა და დასძენს, – ხათუნა გოგორიშვილმა უნდა იამაყოს, საარჩევნო კოდექსი კი არა, მარადისობის კანონი დაუწერია.

ამ შეფასებით ინტერფრაქციული ჯგუფი ლეიბორისტებმა დატოვეს (ისე, ნოდარ დუმბაძე ხათუნა გოგორიშვილის ბიძა ყოფილა. ასე რომ, მარადისობის კანონის დაწერა, ალბათ, მასაც შეეძლო).

ოპოზიცია ახლაც იმას ითხოვს, რაც მაშინ „რვიანის“ დროს. ახლა უკვე ახალი ხელისუფლება არ თანხმდება: გაითვალისწინოს ბიულეტენების გადათვლის პროცედურა; შემოიღოს 50%-იანი ბარიერი; დააკომპლექტოს საარჩევნო კომისიები პარიტეტულ საწყისებზე; შეამციროს მაჟორიტარების კვოტა. მაჟორიტების შემცირებას პარტიები ყველაზე მეტად ითხოვდნენ. მათი განმარტებით, ხელისუფლება მაჟორიტარებს, როგორც წესი, პირწმინდად იგებს და ეს ხელისუფლებას გამარჯვების გარანტიებს აძლევს.

სხვათა შორის, იგივე „რვიანის“ ფორმატში მაშინდელი ოპოზიცია, პირველ რიგში კი, „ფორუმი“ ბიომეტრიული პასპორტების შემოღებას ლობირებდა. მაშინ ისინი ამბობდნენ, რომ ბიომეტრიული პასპორტების შემოღებას მხოლოდ 6 თვე და ამდენივე მილიონი ლარის სჭირდება. ახლა ამ თემას ხელისუფლებაში მოსული ოპოზიცია აღარც ახსენებს. როცა პარლამენტსგარეთ დარჩენილმა ოპოზიციამ შეახსენა ახალ ხელისუფლებას ეს მოთხოვნა, მათ თქვეს, რომ ბიომეტრიულ პასპორტებს 6 თვე კი არა, 2 წელი მაინც უნდა და რომ მისი დანერგვა 6 მილიონი კი არა, სინამდვილეში 30 მილიონამდე ჯდება. ასე იცვლება რეალობა ოპოზიციიდან ხელისუფლებამდე.

ინტერფრაქციული ჯგუფის დაშლას დავით უსუფაშვილიც გამოეხმაურა. მისი თქმით:

– ის კრიტიკა, რომლებიც ბოლო შეხვედრის დროს ინტერფრაქციული ჯგუფის შეხვედრაზე გამოითქვა... მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო ამ ჯგუფის წევრებს ინტერფრაქციული ჯგუფის დანიშნულება და მასში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები. ინტერფრაქციული ჯგუფი შეიქმნა პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით და ის, პირველ რიგში, არის პარლამენტში არსებულ ფრაქციებს შორის საკონსულტაციო ორგანო. თუ რაიმე საკითხებზე ბოლომდე ვერ იქნა მიღწეული ურთიერთგაგება, ეს მოულოდნელი არ არის, რადგან შეუძლებელია 17-18 პოლიტიკური პარტია ყველა საკითხზე ერთ დასკვნამდე მივიდეს.

ლოგიკურია, რა თქმა უნდა, ყველა პარტიის მოთხოვნას ვერ გაითვალისწინებ, თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარეს გამორჩა, ეთქვა, რატომ არის ახლა მიუღებელი ის მოთხოვნები, რასაც ისინი „რვიანის“ ფარგლებში აყენებდნენ.

ასე რომ, მარადისობის კანონზე მარადიული კამათი გრძელდება.

„უნამუსო შესვლა

ნატა დვალიშვილი

გასული კვირის მსოფლიო ყურადღების ცენტრში სოჭის ზამთრის ოლიმპიადის გახსნა მოექცა, საქართველოსთვის - ორმაგად, რადგან პოლიტიკურ ასპექტში გადასული მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა, სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის რანგში იყო ასული. ამის გარდა, აიწია შიდა პოლიტიკურმა ტემპერატურამაც, პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებმა „კომპრომატების ომში“ ახალი ეტაპი დაიწყეს. კიდევ კარგი, ლარის კურსი თითქოს დასტაბილურდა, თორემ ერთიანობაში, გამოკვეთილად, მძიმე და ნეგატიური კვირის შეფასება მოგვიხდებოდა.

მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ „პრაიმტაიმი“ პარლამენტის ვიცე-სპიკერს, ზურაბ აბაშიძეს გაესაუბრა:

- ბატონო ზურაბ, ოპოზიცია გამუდმებით საუბრობდა, რომ სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობით დავასუსტებდით ჩვენს სახელმწიფოებრივ პოზიციებს სეპარატისტულ რეჟიმებთან მიმართებაში. დღეს ანქვაბი და თიბილოვი სოჭში იმყოფებიან, თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით...

- ამ თემებზე მუშაობს საქართველოს სპეციალური წარმომადგენელი რუსეთში და საგარეო საქმეთა სამინისტრო. ჩვენი ინფორმაციით, თიბილოვი და ანქვაბი იქ ოფიციალური პირები არ არიან. ვიღაც სადღაც ჩავა და წავა, რაღაც ღონისძიებას დაესწრება, ამის გამო არ უნდა მიგვეღო მონაწილეობა? ესენი ოფიციალურად რომ ყოფილიყვნენ მიწვეულები, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, ჩვენგან ამას მძაფრი რეაქცია და სათანადო პასუხი მოჰყვებოდა, მაგრამ მე ეს ინფორმაცია არ მაქვს. ეს უნდა ჰკითხოთ ჩემ მოსახელეს და მოგვარეს, სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთის ფედერაციაში, ამ ინფორმაციებს მისგან ვღებულობთ. ჩვენს სპორტსმენებს ოლიმპიადაზე წარმატებებს ვუსურვებ.

- რაც შეეხება ოპოზიციის მხრიდან წარმოდგენილ ბრალდებებს, თანამდებობის პირების მხრიდან ბიზნეს ინტერესების ლობირებაზე, კორუფციული სქემის შექმნაზე. იმის მიუხედავად, რომ პირადად თქვენ არაფერი გეხებოდათ, მომეჩვენა, რომ ნერვებმაც კი გიმტყუნათ მათთან დებატებში, როცა უსმენდით ამ ბრალდებებს...

- პირდაპირ ვიტყვი, რომ უკვე უნდა დასრულდეს ამ ტიპის დებატები ქვეყანაში, არავისთვის სასიამოვნო მოსასმენი არ არის. ის ადამიანები, რომლებიც სულის ამოხდით გვემუქრებოდნენ და მართლაც ამოხადეს ბევრ ადამიანს სული და ათასი უმსგავსოება ჩაიდინეს, დღეს გვესაუბრებიან აღვირახსნილობაზე და დანაშაულებრივ ქმედებებზე დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან. ეს ყოველგვარ საზღვარს გასცდა, ყოვლად მიუღებელი გახდა და მე პირადად აღარ ვაპირებ ამ ადამიანებთან მსგავს დებატებში შესვლას. ამ ადამიანებს სინდისი რომ ჰქონდეთ, თვითონ არ გამოვიდოდნენ და არ ისაუბრებდნენ ამ თემებზე, ხოლო უსინდისო და უნამუსო ადამიანებს რა უნდა ველაპარაკო, აღარ ვიცი... მათი აღზრდით ვერ დავკავდები, რადგან საკმაოდ ჩამოყალიბებული აზროვნება აქვთ. ვიტყვი ერთს, რომ ღმერთმა დაგვიფაროს მათი მსგავსი ადამიანების ხელისუფლებაში მოხვედრისგან.

- ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ ოპოზიციის ბრიფინგზე წარმოდგენილი სქემით საგამოძიებო ორგანოები უნდა დაინტერესდნენ?

- კი ბატონო, დაინტერესდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ უნდა იყოს სერიოზული? თქვენ, ან საზოგადოებამ იქ რა ნახა ასეთი? მე პირადად ვერაფერი გავიგე და ვერ მივხვდი, რა სერიოზულ საფრთხეს შეიცავდა მათი წარმოდგენილი ნახაზები. რაღაც კორუფციაზე საუბრობენ, გვარებს ახსენებენ... თამაზაშვილი თუ არის ადამიანი, უკვე პრემიერის ნათესავია? ჯანყარაშვილი, ქადაგიშვილი ახსენეს... სხვა ამ გვარის ადამიანები არ არსებობენ? აცხადებენ ეს ადამიანები, რომ არ ვართ მათი ნათესავებიო და რა ქნან მეტი? საქართველოში ყველა ერთმანეთს იცნობს და ყველას რაღაც ურთიერთობა აქვს. ეს აბსურდული და თითიდან გამოწოვილი ბრალდებები იყო. მთავარი შეკითხვა გახლავთ, რატომ აკეთებენ ამას? ეს არის წარუმატებლობის ნიველირება, რომ ჩვენ კი ვიყავით ცუდები, მაგრამ ესენიც ცუდები არიანო. ყველა თემა, რომელზეც ისინი საუბრობენ, ემსახურება მხოლოდ გადაფარვის პოლიტიკას. ამით უნდათ გადაფარონ ვანო მერაბიშვილის კადრები, სადაც ის ორ გვამს უკვეთავს, რადგან ეს ყველაფერი მათ ძალიან მძიმედ ურტყამთ. ეს ის კაცია, რომელსაც პარტიის და ხელისუფლების ხერხემალს ეძახდნენ. ეს თემები მათ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს, მაგრამ ესენიც არ ემიჯნებიან ამას, ამართლებენ მერაბიშვილს, რომ თითქოს ის რუსეთის აგენტებზე საუბრობდა. უკაცრავად გამოთქმაზე, სისულელეებს ბოდიალობენ და უნდათ, რომ ეს ხალხმა დაიჯეროს. იმის ვაჟკაცობაც არ ჰყოფნით, რომ თქვან რა იყო სინამდვილეში ვანო მერაბიშვილი - გაფუჭებული და უვარგისი კაცი.

- ურთიერთბრალდებებისას თქვენ მოიყვანეთ კეზერაშვილის კომპანიის მაგალითი და ამტკიცებთ, რომ მილიონები, რასაც ეს კომპანია შოულობდა, „ნაციონალურ მოძრაობას“ ხმარდებოდა. ამჟამად კეზერაშვილის და მერაბიშვილის სასამართლო პროცესები მიმდინარეობს. როგორ შეაფასებდით ორ-

„ამით უნდათ გადაფარონ ვანო მერაბიშვილის კადრები, სადაც ის ორ გვამს უკვეთავს, რადგან ეს ყველაფერი მათ ძალიან მძიმედ ურტყამთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ადამიანებთან დებატებში ს ადარ ვაპირებ!“

„მერაბიშვილის შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენი აუცილებლად დადგება“

„ამ ადამიანებს სინდისი რომ ჰქონდეთ, თვითონ არ გამოვიდოდნენ და არ ისაუბრებდნენ ამ თემებზე, ხოლო უსინდისო და უნამუსო ადამიანებს რა უნდა ველაპარაკო, აღარ ვიცი...“

EXCLUSIVE

ივე პროცესს, დადგება თუ არა გამამტყუნებელი განაჩენები?

- მერაბიშვილის შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენი აუცილებლად დადგება, კეზერაშვილიც უნდა გასამართლდეს ქართული სასამართლოს მიერ, თუმცა ეს როდის იქნება, არ ვიცი. დღეს, როცა გვესაუბრებიან ბიზნეს-მონოპოლიებზე, კეზერაშვილის ბიზნესზე პირდაპირი ფაქტები გვაქვს: „ჯორჯიან ტრანზიტი“ იყო თხევადი პროდუქტების მთავარი გადამზიდველი კომპანია საქართველოში, რომელსაც ჰქონდა ექსკლუზივი რკინიგზასთან და შეღავათებით სარგებლობდა. დღეს ეს კომპანია 100%-ით სახელმწიფო კომპანიაა. მისი შემოსავალი მარტო გასული წლის 9 თვის განმავლობაში 21 მილიონი ლარი გახლდათ, რისი გენერირებაც მან სახელმწიფოში მოახდინა. ეს თანხა ადრე კეზერაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ჯიბეში მიდიოდა, რადგან ისინი თვითონ ამბობენ, რომ კეზერაშვილი იყო მათი მთავარი დამფინანსებელი და მისგან იღებდნენ ამ კონტრიბუციას. რეალურად ასე იყო ყველაფერი და ახლა ამბობენ, რომ ზღაპრებს ვყვებით. ზღაპრებს თვითონ გვიყვებიან.

- შექმნილი სიტუაცია, ალბათ, მომავალ არჩევნებს უკავშირდება, რადგან ოპოზიციას მაგალითად მოჰყავს დავით ნარმანია, „ქართული ოცნების“ მხრიდან დასახელებული თბილისის მერობის კანდიდატი და მისი სამინისტროს მუშაობა, რაზეც აცხადებენ, რომ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა...

- ცხადია, ცდილობენ ნარმანიას დისკრედიტაციას, ამბობენ, რომ არაფერი გაუკეთებია, უუნაროა და ა.შ. მაგრამ შედეგები და სტატისტიკა ხომ სახეზეა? შესრულებულ სამუშაოებს ყველა ვხედავთ. საქმე კეთილსინდისიერად სრულდება, მათგან განსხვავებით, არავინ არაფერს იპარავს. ეს ყველაფერი ისე კეთდება, როგორც უნდა ხდებოდეს ცივილიზებულ, ნორმალურ სახელმწიფოში.

- გასულ კვირას პარლამენტმა მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. ის ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევა, მომავალ არჩევნებს რა ახლა სიბრტყეში გადაიყვანს?

- თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც მივიღეთ, ერთი თემაა, სხვა საკითხია საარჩევნო კოდექსი. მიღებული თვითმმართველობის კოდექსი არის უპრეცედენტო საქართველოს უახლოეს ისტორიაში. ამ კანონის მიხედვით ყველა თვითმმართველ ქალაქში, რომელთა რაოდენობაც გაიზარდა, პირდაპირ მოხდება მერების არჩევა, ხალხი გადაწყვეტს, ვინ იქნება მერი და მას აღარ დაუნიშნავენ გნებავთ საკრებულოდან თუ გამგეობიდან. გამგებლებსაც პირდაპირ ხალხი აირჩევს. ეს საკმაოდ სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია და წარმატებულად უნდა შეფასდეს. დანარჩენი პროცესი, უკვე არჩევნები იქნება ამ სისტემაზე აგებული. ვფიქრობ, სერიოზული გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის და ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად ჩაივლის. უბრალოდ, მინდა აღვნიშნო, რომ ეს ამ საკითხის დასასრული არ არის. ეს პირველი ნაბიჯია და წინ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ თვითმმართველობა მეტად დაიხვეწოს, განვითარდეს, რასაც, ბუნებრივია, დრო სჭირდება.

- მართალია, არჩევნების თარიღი ჯერ არ დასახელებულა და პარტიებს წინასაარჩევნო მზადება არ დაუწყიათ, მაგრამ იმ ფონზე, რაც დღეს გვაქვს, როცა საზოგადოება დაძაბულია, პოლიტიკური ტემპერატურაც აწეულია, რა შანსები აქვს „ქართულ ოცნებას“, დამეთანხმებით, რომ წინ საკმაოდ რთული არჩევნებია...

„ჩვენი შანსები ყველაზე მაღალია, ვიდრე რომელიმე სხვა პარტიისა. ჩვენ კოალიციური ხელისუფლება ვართ, ხალხის მხარდაჭერა აშკარად მაღალია“

- ვფიქრობ, რომ ჩვენი შანსები ყველაზე მაღალია, ვიდრე რომელიმე სხვა პარტიისა. ჩვენ კოალიციური ხელისუფლება ვართ, ხალხის მხარდაჭერა აშკარად მაღალია. საზოგადოება ნახავს, რომ ჩვენი კანდიდატები იქნებიან ყველაზე მეტად საქმიანები და ეფექტურები, რომ დაკისრებულ მოვალეობას გაუძღვნენ და თავი ყველაზე კარგად გაართვან. საზოგადოება თვითონ გადაწყვეტს ვინ აირჩიოს. ეს არჩევნები კიდევ ერთხელ გამოკვეთს საქართველოში პოლიტიკური მოძრაობის ტენდენციებს. ჩვენ გვინდა, რომ პოლიტიკური პარტიები რეალურად განვითარდნენ.

- ბატონო ზურაბ, თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული „მოქალაქე“ რამდენად იქნება ხელისფულების რეალური კრიტიკოსი და მაკონტროლებელი?

- ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი რამ მოვისმინე. ის, რომ თითქოს ბიძინა ივანიშვილი ვერ იქნება თავისივე შექმნილი ხელისუფლების კრიტიკოსი. ვფიქრობ, მას არ გაუჭირდება ხელისუფლების კრიტიკა, თუ დაინახავს, რომ რამე არასწორი გზით მიდის. ბიძინა ივანიშვილი ძალიან გულწრფელი, უშუალო ადამიანია, რომელიც ღიად საუბრობს ყველაფერზე. ვფიქრობ, საკმაოდ წარმატებული იქნება მისი მოღვაწეობა ამ სფეროში. დაველოდოთ, რას გააკეთებს, გამოჩნდება სხვადასხვა სახის პროექტი და ის მიმართულებები, რომლითაც ეს ორგანიზაცია იმუშავებს.

„ვანო მერაბიშვილი გაფუჭებული და უვარგისი კაცია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტრაგედიის უცნ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის ისტორიები სრულიად საქართველომ იცის. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ამ ფაქტზე გამოძიება ზუსტად იმდენჯერ დაიწყო, რამდენი ახალი პროკურორიც დაინიშნა. ნინო ბურჯანაძის სურვილით დაწყებული „განმათავისუფლებელი ბრძოლა“ ამ ორი ადამიანის სიცოცხლის შენირვით არ დასრულებულა. ეს ისტორიები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ერთად და ცალ-ცალკე მედიითაც შუქდებოდა და თავად პოლიტიკოსებიც ბევრს ყვიროდნენ სხვადასხვა ინტერვიუებსა თუ ტოქშოუებში. „სახალხო კრებაც“ და „დემოკრატიული მოძრაობაც“ სნორედ ამ ისტორიებით იცოცხლებდა თავს. მაგრამ არასოდეს არავის უხსენებია ენგული მიქელთაძე. არადა ისტორია ნამდვილად შემზარავია... ის სულ ცოტა ხნის წინ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გაიხსენეს „სახლახო კრების წევრებმა“ – როგორ აიძულეს 71 წლის, ხანშიშესული მამაკაცი სამართალდამცავებმა, თვითმკვლელობამდე მისულიყო. მიზეზად გია ბურჯანაძეც, ბესო ტაბატაძეც და გიორგი კობახიძეც სწორედ „წინა ხელისუფლების არაადამიანურ რეჟიმს“ ასახელებენ: „ენგულიმ უბრალოდ პროკურატურის ზეწოლას ვერ გაუძლოო“... თითოეული მათგანი დეტალურად იხსენებს, როგორ იბრძოდა მათ გვერდით 26 მაისის ღამეს ბურჯანაძის მხარდამჭერი და როგორ უმოწყალოდ სცემდნენ მას სამართალდამცავები... ეს ისტორიის ერთი მხარეა.

სვეტა მიქელთაძე: „ჩემი მეუღლე 26 მაისს თბილისში არ ყოფილა... არც დარბევაში მოყოლილა“

რატომ არ გახმაურდა ენგული მიქელთაძის თვითმკვლელობის ამბავი - ოჯახზე მუქარა გრძელდება?!

რეალურად ენგული მიქელთაძემ თავი მართლაც მოიკლა, თანაც 26 მაისიდან ზუსტად ათ დღეში. სინამდვილეში ის 64 წლის იყო და არა 71-ის... გარდაცვლილის ოჯახის წევრების განცხადებით, მან მიტინგზე მხოლოდ ორი დღე გაატარა და არა კვირები. მათივე თქმით, 26 მაისს ის თბილისში საერთოდ არ იმყოფებოდა და შესაბამისად, მას ფიზიკურად ვერ დააპატიმრებდნენ. დედაქალაქის დატოვების შემდეგ კი სიცოცხლის ბოლომდე საკუთარი მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა და ვერავინ უკავშირდებოდა. ნათესავები, ვისთანაც ენგული მიქელთაძემ სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა, ოჯახის წევრებს უდასტურებენ, რომ არავინ მასთან მუქარის ტექსტით არ მისულა და არც დაკავშირებია... რა მოხდა სინამდვილეში, არის თუ არა ენგული მიქელთაძე რეჟიმის კიდევ ერთი მსხვერპლი, და შესაძლოა თუ არა, რომ ოჯახი სიმართლეს ბოლომდე არ ამხელდეს? „სახალხო კრების“ წევრებს აქვთ ინფორმაცია, რომ მიქელთაძის ოჯახს ემუქრებოდნენ.



ბესო ტაბატაძე, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ წევრი:

– 26 მაისის შემდეგ დაახლოებით 10 დღეში მოიკლა თავი ენგულიმ. მისი ოჯახი თბილისში ცხოვრობდა, მშობლები ჰყავდა დაკრძალული ქუთაისში. ამ ამბების შემდეგ თავადაც წავიდა ქუთაისში, მოიარა ნათესავების საფლავები და ბოლოს დედამისის საფლავზე გადაიჭრა ვენები. ძალიან პატიოსანი ადამიანი იყო, მთელი თავისი ცხოვრება სწორად ჰქონდა გატარებული.

– რა პოზიცია ეკავა თქვენთან?

– ის იყო „სახალხო კრების“ აქტიური წევრი, მთაწმინდის შტაბში წამყვანი ფიგურა გახლდათ, ყველა მას ეკითხებოდა რჩევას. მან 26 მაისის ღამესაც მიიღო ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა. ეს, როგორც ჩანს, ძალიან მძიმედ გადაიტანა ასაკის გამო, პატარა ბავშვი არ იყო, 71 წლის კაცი გახლდათ. იმ ღამესვე გამოუშვეს, მხოლოდ მისი ასაკის გამო არ დააპატიმრეს, თუმცა ნაცემი იყო. წარმოიდგინეთ, რა მძიმე სულიერ მდგომარეობაში იქნებოდა. როგორც ვიცით, ზეწოლა მასზე მიდიოდა, თითქმის ყოველდღე ურეკავდნენ, აშინებდნენ, ემუქრებოდნენ და მან ეს ვერ გადაიტანა.

– 26 მაისის შემდეგაც იბარებდნენ დაკითხვებზე?

– მე ეს დეტალები ზუსტად არ ვიცი, რადგან თავადაც თვალი დავკარგე და დაახლოებით ორი თვე საავადმყოფოში ვიწექი. ვიცი, რომ მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა, კონტაქტი უნევდა მაშინდელ ეგრეთწოდებულ სამართალდამცველებთან.

გია ბურჯანაძე, „სახალხო კრების“ წევრი:

– ენგულის აკითხავდნენ პროკურატურიდან, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააგდეს. სამწუხაროდ, მან ვეღარ გაუძლო და თავი მოიკლა. ის არ იყო ერთადერთი, ვინც 26 მაისს შეეწირა. მაისიდან ზუსტად ოთხ თვეში ჩემი მეგობარი, ლექსო ფორჩხიძე გარდაიცვალა დარბევის დროს მიყენებული ტრავმებით. თიაქარი ჰქონდა და ეხვეწებოდათ, მუცელში ნუ მირტყამთო, მაგრამ, როგორც კი ეს უთხრათ, გამიზნულად დაუწყეს ცემა და ოთხ თვეზე მეტხანს ვეღარც იცოცხლა. რაც შეეხება ენგულის, ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ მასზე სერიოზული ზეწოლა იყო. ამ ადამიანმა ვეღარ გაუძლო, ქუთაისში წავიდა და მშობლების საფლავზე მოიკლა თავი.

– ზეწოლაზე ხმამაღლა საუბრობდა?

– ჩვენ ვერ მოგვიყვებოდა, თითქმის ყველა საავადმყოფოში ვიწექით. იმ დღეებში ვერც მე მნახავდა, მკურნალობას გავდიოდი.

– ცნობილია, რომ წერილი დატოვა თვითმკვლელობამდე...

– დატოვა წერილი, მაგრამ ამაზე საუბარი არც ოჯახს ანყობდა და ახლაც მათი გადასაწყვეტია.

– ზეწოლა ოჯახზეც იყო?

– მაგალითად, სულიკო ასათიანის ოჯახი ამდენი წლის შემდეგ ახლა ალაპარაკდა. შესაბამისად, ეს ოჯახები ახლაც ტერორის ქვეშ არიან, ნაციონალები ჯერ არსად წასულან. ეს ადამიანები ახლაც თანამდებობებზე რჩებიან, ზოგიერთი დააწინაურეს კიდეც.

– თვითმკვლელობის ფაქტზე საქმე არ არის აღძრული?

– არა, საქმე არ აღძრულა, ან ვის უნდა აღეძრა?

– ოჯახმა არ შეიტანა სარჩელი?

– თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით ვინ აღძრავდა საქმეს, როცა თავად დახოცეს ადამიანები? ასათიანების ოჯახის მაგალითი ამწუთას მოგიყვანეთ, ასეთივე დღეში იყო ეს ოჯახიც. მე ვერიდები, ადამიანები ჩემთან ურთიერთობით კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში არ ჩავაგდო...

– ამბობთ, რომ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამ ფაქტის გახმაურებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ახლა, როცა ხელისუფლება შეიცვალა, რატომ არ მოითხოვეთ, რომ მომხდარიყო თქვენი თანაგუნდელის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტის გამოძიება?

– პირდაპირ გეტყვით, როცა ხელისუფლება შეიცვალა და იმავე პროკურორებს დააწერეს 26 მაისის საქმის გამოძიება, ვინც ადამიანები პოლიტპატიმრებად აქცია, რა აზრი ჰქონდა რაიმეს თქმას? საქმეებიდან, რომლებიც პროკურატურაშია შეტანილი, რომელიმე გამოძიებულია? ან რომელიმე ფაქტი, რომელიც გავასაჯაროეთ, გამოძიებულია? რომელიმე დამნაშავე დასჯილია? თუ რეაგირება არ მოჰყვება, რა აზრი აქვს? ახლა კიდევ

გია ბურჯანაძე: „ენგულის აკითხავდნენ პროკურატურიდან, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააგდეს. სამწუხაროდ, მან ვეღარ გაუძლო და თავი მოიკლა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

64 წლის ენგურლი მიქელთაძის თვითმკვლელობის გაუხმაურებელი ფაქტი

რა კავშირი აქვს ამ სუიციდს 26 მაისის მოვლენებთან

EXCLUSIVE

ერთი ადამიანია ცუდად, რომელმაც სამი წლის წინათ, 26 მაისს მძიმე დაზიანებები მიიღო. ამდენი ხნის შემდეგ მუცელში კიბო აღმოაჩნდა... წადით ახლა და ჰკითხეთ ავთო მეტრევლის ექიმს, რისი ბრალია ეს... ეს ადამიანი დაზარალებულად არის ცნობილი.

– ანუ აზრს ვერ ხედავთ, რომ მსგავსი ფაქტების გამოძიება მოხდეს ხელახლა?

– საერთოდ, აზრს ვერ ვხედავ საქართველოში ცხოვრების, რადგან არ არის სამართალი აქ.

გარდაცვლილის მეუღლის განცხადებით, ენგური მიქელთაძეს პირადად არც ერთ პოლიციელთან არ ჰქონია შეხება, არ მომხდარა მისი დაკითხვა და არც მუქარის შემცველი ზარები მიუღია. როგორც ირკვევა, მიქელთაძე არც „სახალხო კრებისა“ და არც „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი არ ყოფილა. ის, უბრალოდ, „სახალხო კრების“ ოფისთან ცხოვრობდა და ხშირად სტუმრობდა ოფისს... შვილის, ნატო მიქელთაძის განცხადებით, მამამისი პოლიტიკურად აქტიური არ ყოფილა და გარდაცვალების ფაქტს ნაკლებად უკავშირებს 26 მაისის მიტინგებს. ყველა ეს დეტალი კიდევ უფრო ბევრ კითხვას აჩენს და ლოგიკურად ჩნდება ეჭვი, ხომ არ ცდილობენ პოლიტიკოსები, ადამიანური ტრაგედია სათავისოდ გამოიყენონ... თუმცა არის სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადაც, ოჯახს დუმილი აიძულეს.

სვეტა მიქელთაძე, ენგური მიქელთაძის მეუღლე:

– „სახალხო კრების“ ოფისი ჩვენი სახლის გვერდით იყო, ენგური ძალიან ხშირად გადადიოდა ხოლმე იქ. სულ ვეუბნებოდი, ნუ გადადიხარ ასე ხშირად, საკმარისია დღეში ერთხელ მისვლა-მეთქი. ძალიან აქტიურად დადიოდა, ყველა იცნობდა ოფისში. როდესაც მიტინგები დაიწყო, პირველ დღეს მთელი დღის განმავლობაში იქ იყო, მომიტინგეების გვერდით. გამთენიისას მოვიდა სახლში. მეორე დღესაც იქ იყო და როგორც კი სახლში შემოვიდა, რამდენიმე წუთში დაურეკეს, ვიღაცები მოცვივდნენ და მომიტინგეები გაყარესო. ჩემი მეუღლე ამ დროს უკვე სახლში იყო.

– ანუ დარბევის დროს იქ არ ყოფილა?

– არა, დარბევაში არ მოყოლილა. მაგრამ სანამ ჩემი მეუღლე სახლში მოვიდოდა, ვიღაცები მოვიდნენ და ენგური იკითხეს.

– ვინები იყვნენ, ვინ ეძებდა?

– არ ვიცი, შავები ეცვათ და ჩემი მეუღლე ტარასიჩის სახელით იკითხეს.

– ეს მისი მეტსახელი იყო?

– კი, ასე ეძახდნენ და „სახლახო კრების“ ოფისში მისი ნამდვილი სახელი და გვარი არც კი იცოდნენ. ოფისში ყველა ტარასიჩით მიმართავდა. მე ვფიქრობ, რომ „სახალხო კრების“ ოფისიდანვე მოხდა მისი გაყიდვა. ალბათ, ვინმე იყო იქ ჩანერგილი.

– არ ჰკითხეთ, ვინ კითხულობდა, ან რა უნდოდათ?

– არა, არაფერი არ მიკითხავს. არც პოლიციის ფორმა არ ეცვათ, არც პოლიციის მანქანებით არ იყვნენ. როცა ენგური სახლში მოვიდა, ვუთხარი, ვიღაცები გეძებდნენ-მეთქი და იცით, რა დაემართა? ფერი დაკარგა, ძალიან განერვიულდა, ნამოხტა, „კურტკა“ აიღო და სახლიდან გავარდა. არც მითხრა, სად მიდიოდა. ამის შემდეგ სახლში აღარ მოსულა. პირველი სამი დღე თბილისში ახლობელთან იყო, შემდეგ კი ქუთაისში წავიდა... ის დღეები სულ იდგნენ ჩვენს სახლთან მანქანები. პერიოდულად მოდიოდნენ და ტარასიჩს კითხულობდნენ. ერთ დღეს, საღამოს, უკვე ვიწექი, პოლიცია რომ მოვიდა. ჩემმა რძალმა გაუღო კარი, ჩემი ბიჭი იკითხეს და გარეთ გაყოლა სთხოვეს. მაგრამ ზუსტად 15 წუთში ჩემი შვილი უკან დაბრუნდა.

– რა უთხრეს, ან რა მიზეზით წაიყვანეს?

– ჩემმა შვილმა ბევრი არაფერი გვითხრა. თუმცა, როგორც ვიცი, მამამისის მოძებნა და თბილისში ჩამოყვანა მოსთხოვეს. ამის შემდეგ ტატო ქუთაისში წავიდა მამამისის სანახავად.

– ანუ არც თქვენი შვილი და არც თქვენი მეუღლე 26 მაისს თბილისში არ ყოფილან?

– არა, არ იყვნენ აქ.

– არც მიტინგზე იქნებოდნენ, ბუნებრივია...

– არა, ჩემი მეუღლე 26 მაისს მიტინგზე არ ყოფილა, თუმცა მათ ტელეფონით ეკონტაქტებოდა.

– როდესაც თქვენმა შვილმა ნახა მამამისი, როდესაც თქვენ ესაუბრებოდით ხოლმე ტელეფონით, ამბობდა, რომ მასზე ზეწოლა იყო, ან ამბობდა, რომ ვინმე ურეკავდა?

– არა, მობილური საერთოდ გამორთული ჰქონდა. ჩვენ ნათესავის მობილით გვიკავშირდებოდა ხოლმე. უბრალოდ, ის მიხვდა, რა პრობლემები შეუქმნა თავის შვილს, თავის ოჯახს და საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა.

– ანუ არც დაკითხვაზე ყოფილა და არც პოლიციელებთან ჰქონია შეხება?

– ჩემს მეუღლეს ვერავინ უკავშირდებოდა, ვერც პოულობდნენ, მაგრამ, ხომ გითხარით, ჩვენს სახლთან სულ იდგა რამდენიმე მანქანა, რომელიც ჩვენ სახლს აკონტროლებდა. ერთ დღესაც, რომ გავედი, ვკითხე, ვის ელოდებით-მეთქი? მითხრეს, ტარასიჩის ნახვა გვინდაო. ვუთხარი, რომ მისი მეუღლე ვიყავი. ავუხსენი, ჩემი მეუღლე ქალაქში არ არის და თუ საჭიროა, მე გამოგყვებით და ყველა კითხვაზე გიპასუხებთ-მეთქი. მაშინვე დაიწყეს სადღაც რეკვა და რამდენიმე წუთში მომიბოდიშეს, თქვენ არა, თქვენი მეუღლეა დაბარებულიო.

– არ გიკითხავთ, საიდან იყვნენ, ვის ან სად უნდა წაჰყოლოდით, არ დაინტერესდით?

– არა, მაგის კითხვას რა აზრი ჰქონდა? ყველას ერთნაირად შავები ეცვა და ისედაც ვიცოდი, საიდანაც იყვნენ.

– როგორც ვიცით, შემთხვევამდე წერილი დაწერა თქვენმა მეუღლემ, შეგიძლიათ, გვითხრათ, რა ეწერა?

– კი, დანერილი ჰქონდა წერილი, შვილიშვილების სახელზე. თავის შვილიშვილებს წერდა, თქვენ გყავდათ წესიერი, კარგი ბაბუ და... არასოდეს არ გახდებოდა და მირჩევნია ასეთი გადაწყვეტილება მივიღოო.

– რას გულისხმობდა?

– იმას, რომ თავის შვილსა და ოჯახს პრობლემები შეუქმნა...

– ნათესავები, ვისთანაც თქვენი მეუღლე ბოლო დღეებში ცხოვრობდა, ამჩნევდნენ რამეს, ან პრობლემები თუ ჰქონდა რაიმე, ან ვინმე თუ ურეკავდა და ემუქრებოდა?

– მობილური გათიშული ჰქონდა, ისე ვერავინ ვერაფერს ამჩნევდა.

– თქვენ როდის ესაუბრეთ ბოლოს?

– მე ბოლოს დაახლოებით 7 ივნისს ვესაუბრე, ჩვეულებრივად მელაპარაკა. თუმცა, როგორც მითხრეს, ძალიან ფრთხილობდა. სადაც შევიდოდა, ოთახში კარს კეტავდა. ნათესავებმა ისიც კი არ იცოდნენ, რატომ იყო თბილისიდან ამდენი ხნით ნამოსული. ბოლოს, როდესაც სასაფლაოზე მიდიოდა ჩვენი ოჯახის ახლობლებს დაუნახავთ, ექიმები იყვნენ და ოპერაციის გასაკეთებლად მიდიოდნენ ფოთში, დაახლოებით ერთი საათი დარჩენილან ენგულისთან, ეხვეწებოდნენ თურმე, წამოგვყევი, ერთად გავატაროთ დღეო, მაგრამ არაფრით არ გაჰყოლიათ. ვერც ვერაფერი შეამჩნიეს, მსგავსი არაფერი ეტყობოდაო. ამ ორმა ექიმმა დაინახა ბოლოს, როგორ შევიდა ენგული სასაფლაოზე. მერე თქვეს, ისეთი ლაღი იყოო... როგორც ჩანს, ერთი სული ჰქონდა, რომ ეს გაეკეთებინა. საკუთარი მამის, დედისა და ძმების საფლავთან ახლოს ბრიტვით ჰქონდა ვენები გადაჭრილი. ბოლომდე ჰქონდა ვენები ჩაჩეხილი, ისეთი ჭრილობა იყო, ალბათ, ორ წუთში დალევდა სულს. მისი მობილურიც გვერდით იდო, ტელეფონის ნომრები იყო ჩამოწერილი, რომ ვინც ნახავდა, დაერეკათ. ამის შემდეგ ჩემს ბიჭს დაურეკეს, ისიც მაშინვე გავარდა ქუთაისში, მეგობრებიც გაჰყვნენ.

– თვითონ ფაქტზე ადგილობრივებმა არ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე?

– ვის უნდა აღეძრა, არაფერი არ აღძრულა.

– თუმცა თქვენ მითხარით, დამკითხესო.

– კი, იქ ადგილობრივმა სამართალდამცავებმა დამიბარეს და დამკითხეს. მე ვუთხარი, რომ ენგულის ჰქონდა სკლეროზი, კლიმაქსი, ვუთხარი, აღგზნებული კაცი იყო, ემოციური-მეთქი. ეს, რა თქმა უნდა, შეგნებულად გავაკეთე.

– რატომ?

– არანაირი პრობლემა არ ჰქონია არც ჯანმრთელობის და აბსოლუტურად ჯანმრთელი, ჯანსაღი გონების ადამიანი იყო. არ მინდოდა, პრობლემები შეჰქმნოდა ჩემს შვილს. ახლა ვის ვდიო ან რა აზრი აქვს ხელახალ გამოძიებას? მერაბიშვილს ვერაფერი დაუმტკიცეს.

– ანუ თქვენ გამორიცხავთ სხვა მიზეზს?

– მან ძალიან კარგად იცოდა, რა ხდებოდა ციხეებში, იცოდა, თუ თბილისში ჩამოვიდოდა, რა ელოდებოდა, იცოდა, რომ, როგორც კი ნახავდნენ, იმ წუთში მოკლავდნენ და ამიტომაც მოიკლა თვითონ თავი.

– ბურჯანაძის პარტიიდან ამ ფაქტის შემდეგ შეგეხმიანათ ვინმე?

– დაკრძალვის დღეს გამოგზავნეს გვირგვინები, ცალკე პარტიიდან და ცალკე „სახალხო კრებიდან“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პრემიერის ვიზიტის ექს

ნანა შონია

ნატო-საქართველოს ურთიერთობები, ოკუპირებული ტერიტორიები, აფხაზებთან და ოსებთან დნობის აღდგენა და ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა გახმაურებული საქმეები - ეს ის საკითხებია, რაზეც საქართველოს პრემიერმა, ბრიუსელში ეგმონტის საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტში შეხვედრისას ისაუბრა. პრემიერის შეხვედრა საერთაშორისო ექსპერტებთან და დიპლომატებთან საათზე მეტ ხანს, კამერებს მიღმა გაგრძელდა. რა პასუხი აქვს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე პრემიერ ღარიბაშვილს ყველა იმ საკითხზე, რომელიც ევროპას აინტერესებს და რაზეც მეტწილად არის დამოკიდებული საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნის საერთაშორისო სტრუქტურებში სრულფასოვანი ინტეგრაცია. ბრიუსელში გამართულ შეხვედრას „პრაიმტაიმი“ ესწრებოდა - რა გამოწვევები დგას საქართველოს ახალი ხელისუფლების წინაშე და რა პასუხი აქვს ირაკლი ღარიბაშვილს ევროპის პოლიტიკური ელიტისთვის. რა რეაქცია ჰქონდათ მათ პრემიერის მოხსენებაზე - შეხვედრის ექსკლუზიური დეტალები ბრიუსელიდან.

ევროპის პოლიტიკის კვლევის ცენტრის ანალიტიკოსი, მაიკლ ემერსონი ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ არსებული ბრალდებებით დაინტერესდა - კითხვაზე ხომ არ არის პოლიტიკურად მოტივირებული ყველა ის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღძრულია მთავრობის ყოფილ ჩინოვნიკთა წინააღმდეგ - ირაკლი ღარიბაშვილმა უპასუხა:

„მინდა გითხრათ მოტივაცია, თუ რატომ ჩათვალეს ქართველმა სამართალდამცავებმა მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა საჭიროდ. ეს იმ გახმაურებული მკვლელობების გამოძიებიდან გამომდინარე გახდა აუცილებელი, რომელშიც სწორედ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების სახელები ფიგურირებდა. საგამოძიებო სტრუქტურებს სხვა არჩევანი არ დარჩათ. მნიშვნელობა არ აქვს, ვის რა პოსტი ეკავა, დანაშაულის ნიშნების შემთხვევაში, არ შეიძლება კანონზე მაღლა ვინმე იდგეს და იცავდეს იმუნიტეტი. თუ მე პრემიერობის პერიოდში გადაცდომას ჩავიდენ, მეც დავექვემდებარები სამართალწარმოებას, ისევე როგორც ჩვენი მთავრობის სხვა მაღალჩინოსნები“.

პრემიერის თქმით, ვანო მერაბიშვილი ყოფილი ხელისუფლების გავლენიანი მაღალჩინოსანი იყო და მას შეეძლო გამოძიებისთვის სერიოზულად შეემალა ხელი და მნიშვნელოვან მონმეებზე ზეწოლა მოეხდინა. ეს კი გამოძიების პროცესისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება გამხდარიყო, რასაც მართლმსაჯულება არ დაუშვებდა.

პრემიერმა ბრიუსელის შეხვედრაზე მუხროვანის ცნობილი ვიდეოკადრებიც ახსენა და განცხადა, რომ არსებობს ვიდეომასალა, სადაც ვანო მერაბიშვილი თანამშრომლებს ორი გვამს სთხოვს...

„მე მაინტერესებს როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია, თქვენი ქალაქის მერი 50 მილიონის გაფლანგვაში რომ იყოს ეჭვმიტანილი?“

რაც შეეხება თბილისის არჩეული მერის, გიგი უგულავას ბრალეულობის საქმეს, პრემიერმა ევროპელებს კონტრშეკითხვით მიმართა, თუ როგორი რეაქცია ექნებოდათ, მათი დედაქალაქის მერი 50 მილიონის გაფლანგვაში რომ ყოფილიყო ეჭვმიტანილი.

ირაკლი ღარიბაშვილი: „მე მაინტერესებს როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია, თქვენი ქალაქის მერი 50 მილიონის გაფლანგვაში რომ იყოს ეჭვმიტანილი? მე გულწრფელად მაინტერესებს, როგორი იქნებოდა ასეთ შემთხვევაში თქვენი რეაქცია? ბუნებრივია, ვერ წარმოგიდგენიათ, რომ ასეთი რამ შეიძლება მოხდეს. ჩვენთან ეს მოხდა და საზოგადოების შეშფოთებაც ამით არის განპირობებული. მე ვწუხვარ და მინდა ვთქვა, რომ, ალბათ, მეტი კომუნიკაციაა საჭირო, რომ თქვენ სრული და ამომწურავი ინფორმაცია გქონდეთ. მეტი ახსნა სჭირდება ამ ყველაფერს. ჩვენ გვაქვს სასამართლო, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დამოუკიდებელია. ყოფილი ხელისუფლების მხრიდან მთელი წლის განმავლობაში იყო მცდელობები ამ საქმეებში აქტიური ჩარევისა და სასამართლოზე ზეწოლის. ამის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირებულია. ჩვენი მთავრობის მხრიდან კი არავითარი ჩარევა არ მომხდარა“, - აღნიშნა პრემიერმა.

რაც შეეხება დავით კეზერაშვილის საქმეს, პრემიერმა აღნიშნა, რომ საკმაოდ სერიოზულ ეჭვს აღძრავს ყოფილი თავდაცვის მინისტრის კუთვნილი კომპანიების საქმიანობა, რაც გამოძიების საგანია.

შეხვედრის დასასრულს „პრაიმტაიმი“ მაიკლ ემერსონს გაესაუბრა. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, დასმულ კითხვებზე პრემიერისგან გულწრფელი და ამომწურავი პასუხები მიიღო და მისთვის ამაში ეჭვის შეტანა რთულია.

მაიკლ ემერსონი: „თქვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა საკმაოდ დეტალური, ვრცელი და სიღრმისეული პასუხები გამცა ამ საქმეებთან დაკავშირებით. ძალიან დეტალურად აღწერა ყოფილი მინისტრების წინააღმდეგ აღძრული საქმეები. ვფიქრობ, რომ საკმაოდ სერიოზული პასუხი მივიღე. ასეთ შემთხვევაში კითხვა შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ პასუხი საკმაოდ არგუმენტირებული იყო; ძნელია ამ პასუხებში ეჭვის შეტანა, სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია“.

ზურაბ იაშვილი, ევროპის პოლიტიკის კვლევის ცენტრის ანალიტიკოსი: „პრემიერი მომზადებული იყო ამ გამოსვლებისთვის, მის სიტყვაში აქცენტები ზუსტად და ადეკვატურად იყო დასმული. ადამიანები რომლებიც ამ შეხვედრას დაესწრნენ, აცხადებდნენ, რომ ქვეყნის ევროპულ მისწრაფებებთან დაკავშირებით, არაფერი შეცვლილა. საგარეო პოლიტიკას არ უყვარს ცვლილებები და თავისთავად ეს ცუდი არ არის. მთავრობის პირველმა პირმა, ამ შეხვედრაზე, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო ევროპულ ინტეგრაციას უჭერს მხარს და ეს კურსი უცვლელია. მერაბიშვილი, კეზერაშვილი, უგულავა, ამ ადამიანების საქმეებზე პრემიერმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას. ისაუბრა მოტივაციაზე, რატომ ჩათვალა სამართალდამცავმა სისტემამ მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა აუცილებლად. ის ემოციურად გადმოსცემდა ამ ყველაფერს და აცხადებდა, რომ მათი საქმიანობიდან გამომდინარე, ქართველ სამართალდამცავებს სხვა არჩევანი არ შეიძლება ჰქონოდათ. არ შეიძლება ვინმე იდგეს კანონზე მაღლა და იცავდეს იმუნიტეტი. საზოგადოების ნაწილი, ალბათ, ასე სიღრმისეულად არც იცნობდა ამ საქმეებს, ამიტომაც ბევრმა საინტერესო და სერიოზული მესიჯები მიიღო“.

მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი: „პრემიერმა საქართველოში მიმდინარე გამოძიებებზე კითხვებს ამომწურავად უპასუხა. მას ჰქონდა ბრწყინვალე გამოსვლა. აუდიტორია იყო დაინტერესებული, რაც შეკითხვებში აისახა. იყო კითხვები ნატოზე, ნდობის აღდგენაზე ქართველებსა და აფხაზებს და ოსებს შორის“.

„საზოგადოების ნაწილი, ალბათ, ასე სიღრმისეულად არც იცნობდა ამ საქმეებს, ამიტომაც ბევრმა საინტერესო და სერიოზული მესიჯები მიიღო“

„მთავრობის პირველმა პირმა, ამ შეხვედრაზე, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო ევროპულ ინტეგრაციას უჭერს მხარს და ეს კურსი უცვლელია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თუ პრემიეროობის პერიოდში გადაცდომას ჩავიდენ, მეც დავექვემდებარები სამართალწარმოებას, როგორც სხვა მაღალჩინოსნები“

„ პრაიმ ტაიმი“ ბრიუსელიდან

EXCLUSIVE

ირაკლი ღარიბაშვილი: „არ შეიძლება ვინმე იდგეს კანონზე მაღლა და იცავდეს იმუნიტეტი“

ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები, საკონსტიტუციო ცვლილებები, თავისუფალი მედია, ადამიანის უფლებები და თავისუფლება, მათ შორის უმცირესობათა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, საკუთრების უფლებების დაცვა და ბიზნესის ხელშეწყობა - ეს ის ექვსი საკითხია, რომელიც პრემიერმა, ამავე შეხვედრაზე, ქვეყნის საშინაო პოლიტიკის მიღნევად დაასახელა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, მათ შორის საქართველო, რუსეთის მხრიდან გაძლიერებული ზეწოლის ქვეშ მოექცნენ. მდგომარეობა განსაკუთრებით მიმდინარე თვეს გაუარესდა. ეს ჩვენი ევროპული არჩევანის, ევროპული სწრაფვის გადმოსახედიდან ხდება. რა თქმა უნდა, ველით, რომ კვლავ იქნება პროვოკაციები მოსკოვის მხრიდან, განსაკუთრებით ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე. თუმცა ჩვენ მზად ვართ ყველა ზეწოლას გავუძლოთ, რადგან ეს შეთანხმება არა მხოლოდ მორიგი ხელმოწერა, არამედ ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავალია. ასევე უნდა მივიღოთ პარტნიორობის გაკვეთილი აღ-

„ჩვენთვის ეს გადაწყვეტილება, არ გამოგვეცხადებინა ბოიკოტი სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის, რთული მისაღები იყო, მაგრამ გადავწყვიტეთ და ვგზავნით სპორტსმენებს. ყველა მცდელობის მიუხედავად, მოსკოვი აგრძელებს პროვოკაციულ ქმედებებს, უკანონოდ აბამს მავთულხლართებს და ღობეებს. ჩვენ მოველით, რომ ზეწოლა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება“

მოსავლეთ რეგიონში მიმდინარე მოვლენებისგან, განსაკუთრებით უკრაინისგან. ევროგაერთიანებამ უნდა გამოიყენოს მთელი მისი ძალაუფლება იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს მესამე მხარის ჩარევა. საქართველო წლების განმავლობაში ცდილობდა შეემცირებინა დაძაბულობა. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა განგებო ნაბიჯები. ჩვენ რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში სპეციალური წარმომადგენელი დავნიშნეთ. გადავწყვიტეთ ბოიკოტი არ გამოგვეცხადებინა სოჭის ოლიმპიადისთვის. რუსეთის ხელისუფლებას ოლიმპიადის უსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობა შევთავაზეთ. ვაკეთებთ ყველაფერს, რომ ავირიდოთ ნებისმიერი პროვოკაცია, რომელიც ოლიმპიური თამაშების წინააღმდეგ იქნება მიმართული. ჩვენთვის ეს გადაწყვეტილება, არ გამოგვეცხადებინა ბოიკოტი სოჭის ოლიმპიური თამაშებისთვის, რთული მისაღები იყო, მაგრამ გადავწყვიტეთ და ვგზავნით სპორტსმენებს. ყველა მცდელობის მიუხედავად, მოსკოვი აგრძელებს პროვოკაციულ ქმედებებს, უკანონოდ აბამს მავთულხლართებს და ღობეებს. ჩვენ მოველით, რომ ზეწოლა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება. ჩვენი ხელისუფლება კი გააგრძელებს მუშაობას ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა თავიდან აიცილოს ვითარების შემდგომი ესკალაცია“.

რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებსა და მათი პრევენციის გზებზე საუბარს შეეხო ნატოს შტაბ-ბინაში გამართული შეხვედრაც. ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას კიდევ ერთხელ გამოუცხადა მხარდაჭერა და ძალადობა დაგმო.

ანდერს ფოგ რასმუსენი: „ჩვენ შევნიშნეთ უკანასკნელი გადაწყვეტილება, ე.წ. სასაზღვრო ზონის დროებითი გაფართოების შესახებ აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიის შიგნით, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე. ჩვენ ძალიან შეშფოთებული ვართ ამ გადაწყვეტილებით. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს საქართველოსთან მიმართებაში აღებული ყველა ვალდებულება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღობეების და სხვა დაბრკოლებების მშენებლობა მიუღებელია და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალსა და რუსეთის მიერ აღებულ ვალდებულებებს. ეს ხელს უშლის მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებას და ცხოვრებას და ეს უნდა შეიცვალოს. XXI საუკუნეში ღობეების მშენებლობის დრო არ არის“.

ევროპელ მაღალჩინოსნებთან: შტეფან ფულესთან, ჟოზე მანუელ ბაროზოსთან, ჰერმან ვან რომპუისთან, სესილია მალმსტრომთან შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველო ევროკავშირთან შეთანხმებას ხელს რეკორდულად მცირე დროში მოაწერს. გადაწყდა რომ ევროპელი დიპლომატები საქართველოს ხელმოწერამდე ხშირად ეწვევიან. საქართველო კი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს 2014 წლის ზაფხულში, აგვისტოს ბოლომდე მოაწერს.

„საქართველო, რუსეთის მხრიდან გაძლიერებული ზეწოლის ქვეშ მოექცა. მდგომარეობა განსაკუთრებით მიმდინარე თვეს გაუარესდა. ეს ჩვენი ევროპული არჩევანის, ევროპული სწრაფვის გადმოსახედიდან ხდება. რა თქმა უნდა, ველით, რომ კვლავ იქნება პროვოკაციები მოსკოვის მხრიდან, განსაკუთრებით ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე. თუმცა ჩვენ მზად ვართ ყველა ზეწოლას გავუძლოთ, რადგან ეს შეთანხმება არა მხოლოდ მორიგი ხელმოწერა, არამედ ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავალია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



დაჯავშნეთ ბილეთები online
ჩვენს ვებ-გვერდზე
WWW.AIRZENA.COM

20 წელი თქვენს გვერდით

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გვამების ისტორიის სკანდალური გაგრძელება

EXCLUSIVE

რას ყვება შევარდნაძეზე ტერაქტის ორგანიზატორი 15 წლის შემდეგ?

ოთარ უბილავა: „კობალაძე რომ საუბრობს გვამებზე, მისი ბრძანებით დახვრეტილი ოთხი ახალგაზრდა ბიჭი რატომ არ ახსენდება“?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

1998 წელს ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტიდან ამ დღეებში 15 წელი სრულდება. ტერაქტის ერთ-ერთი ორგანიზატორი ოთარ უბილავა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას აღიარებს, რომ ტერორისტული აქტის უკან რეალურად რუსეთის სპეცსამსახურები იდგნენ, რომლებმაც ე.წ. ზვიადისტები საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს. ოთარ უბილავამ ჩვენთან საუბარი წარსულის ერთი საინტერესო ისტორიით დაიწყო, რომლის გასაჯაროება მას შედეგ გადაწყვიტა, რაც ტელეეთერში გამოჩნდა სკანდალური კადრები მუხროვანის ამბოხებასთან და ვანო მერაბიშვილის მიერ მოთხოვნილ „ორ გვამთან“ დაკავშირებით. როგორც უკვე იცით, ამ სკანდალურ კადრებს გამოძიება სწავლობს და იმის გარკვევას ცდილობს, კონკრეტულად ვის გვამებს ითხოვდა შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი დიდი პრემიის სანაცვლოდ.

ამ საქმეში, პრემია დიდი არ ყოფილა, თუმცა გაცილებით დიდი იყო გვამების რაოდენობა... ისტორია, რომელზეც ჩვენი რესპონდენტი საუბრობს, სოხუმის დაცემის შემდეგ, ფოთში ვითარდება. ამ ისტორიის მთავარი გმირი კი მუხროვანის ამბოხების ერთ-ერთი ფიგურანტი, გენერალი კობა კობალაძეა. ვინ გასცა 4 ახალგაზრდა ბიჭის ლიკვიდაციის ბრძანება და რა შოკისმომგვრელ ფაქტებს იხსენებს შევარდნაძეზე ტერაქტის ორგანიზატორი ოთარ უბილავა? ის იმ დროს ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო უფროსის მოადგილე გახლდათ. ამჟამად „უპარტიოთა მოძრაობას“ წარმოადგენს და გადაწყვიტა, ამ თემებზე ღიად ესაუბრა.

ოთარ უბილავა:

– 1993 წელია, სოხუმი დაეცა და ვფიქრობდით, როგორ აღგვედგინა კომუნიკაცია დასავლეთ საქართველოსთან. დავალებული გვქონდა მე და გურამ ლაკიას, რომ კომუნიკაცია დაგვემყარებინა ფოთთან, რათა საკვები, საწვავი და სხვა საშუალებები მიწოდებოდა დანარჩენ საქართველოს. მანამდე სოხუმიდან დაბრუნებული ჯარის ნაწილი, დაახლოებით 1200 კაცი დატოვეს ფოთში, ამდენივე დააყენეს სამტრედიაში. კობალაძე დანიშნეს ფოთის კომენდანტად. კანონიერმა ეროვნულმა გვარდიამ, რომელიც ზვიად გამსახურდიას ექვემდებარებოდა, გადაწყვიტა ფოთში ჩასვლა, ვფიქრობდით, რომ კობალაძე, კაცი, რომელიც სოხუმში იბრძოდა, ნინაალმდეგი არ იქნებოდა და ჩვეულებრივ მოვახდენდით კავშირის აღდგენას ფოთთან. სამწუხაროდ, მწარედ შევცდით, კობალაძე პირდაპირ ასრულებდა უკვე შევარდნაძის მითითებებს. იმ პერიოდში რაც იქ ხდებოდა, კარგად აჩვენებს, რას სჩადიოდნენ სოხუმიდან გამოქცეულები დასავლეთ საქართველოში. გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, რომ პირდაპირ ტროლეიბუსები მიჰქონდათ ჯართად, სპილენძის ხაზებიც კი ჩამოხსნეს. სახლებში არ დატოვეს არაფერი, როიალებიდან დაწყებული, ფულით დამთავრებული. სრული ქაოსი იყო, კობალაძემ თავის თავზე აიღო, რომ ფოთში ეროვნულ გვარდიას არ შეუშვებდა. მასთან მოსალაპარაკებლად წავიდა გურამ ლაკია, ვინაიდან მას კარგად იცნობდა, თუმცა ეს არაფრად ჩააგდო კობალაძემ, ნაბადაზე, მდინარის გადასასვლელთან აუტეხა სროლა, რა დროსაც მოკლეს ოთხი კაცი: ასმეთაური ჯაფარიძე, ტაბიძე, ტაბატაძე და ასკურავა. ამ ოთხი ახალგაზრდა ბიჭის ლიკვიდაციის ბრძანება გასცა პირადად კობა კობალაძემ. მაშინ მებრძოლები, რომლებიც კობალაძის მხარეს იყვნენ, მიხვდნენ, რასთან ჰქონდათ საქმე, 30-მდე კაცმა იარაღი დაყარა და ჩაგვბარდა. ყველა ჩავსვი ავტობუსში და მივიყვანე ზუგდიდში, სადაც დამხვდა ზვიად გამსახურდია. მისი თხოვნით, ზედმეტი არაფერი უთქვამს მათთვის არავის, ქუთაისამდე მივიყვანეთ და გავუშვით ყველა.

– გარდაცვლილთა ცხედრებს რა ბედი ენია?

– ცხედრები წამოვასვენეთ. ამას ხელმძღვანელობდა ქალბატონი მადონა მაქაცარია. ზუგდიდის ეკლესიის ეზოში დავასაფლავეთ ოთხივე, შემდეგ მშობლიურ სოფლებში მოხდა გადასვენება. კობალაძემ პირადად გასცა ბრძანება, რომ ამ ბიჭებისთვის ესროლათ, რათა ისინი ფოთში არ დაეშვა. დღეს ეს ხალხი საუბრობს, რომ აი, მერაბიშვილი გვამებს ითხოვდაო. კი ბატონო, თუ ითხოვდა, პასუხი უნდა მოეთხოვოს, მაგრამ ცოტა ისეთმა მაინც ილაპარაკოს ამ თემაზე, ვინც თავად არ არის გასვრილი და უარესი არ აქვს გაკეთებული. კობალაძე რომ საუბრობს ამაზე, მისი ბრძანებით დახვრეტილი ოთხი ახალგაზრდა ბიჭი რატომ არ ახსენდება? თავის დროზე ყველაზე დიდ უსამართლობას ვინც სჩადიოდა, ის ხალხი ითხოვს დღეს სამართლიანობის აღდგენას. მე არ ვითხოვ ამ ხალხის დახვრეტას, მაგრამ, თუ სამართლიანობაა, გავასაჯაროოთ მაინც, რა დანაშაული ჩაიდინეს მათ, ან რა დანაშაული მიმიძღვის თუნდაც მე. თავის დროზე ჩემზე ძებნა რომ გამოაცხადეს, სხვადასხვა პიროვნების პასპორტით, შეცვლილი მონაცემებით ვსარგებლობდი, ის ადამიანი, რომელიც მე ყალბ პასპორტს მიკეთებდა, გამოდის და იძახის, სამართლიანობა უნდა აღდგესო, კარგი რა მართლა, ნამუსი აღარაა?! არ მინდა, რომ ჩემს ქვეყანაში ისევ პასპორტის ყიდვა იყოს შესაძლებელი.

– პირადად თქვენ რაც შეგეხებათ... თქვენ იყავით ერთ-ერთი ორგანიზატორი ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერორისტული აქტის. 15 წელი გავიდა მას შემდეგ, რის თქმა შეგიძლიათ დღეს? ვინ იდგა რეალურად ამ ტერაქტის უკან?

– რა თქმა უნდა, რუსეთი. ჩვენ ვინც დავიჭირავეთ, მათ შორის ბევრი აღმოჩნდა რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელი. მე ძალიან აქტიურად ვიყავი ამ ტერაქტის ორგანიზებაში, მაგრამ მაშინ აზრადაც არ მოგსვლია, რისთვის ხდებოდა ჩვენი გამოყენება. ტერაქტის მონაწილეები მომზადებას უშუალოდ რუსულ ბაზაზე გადიოდნენ.

– და რატომ იყო დაინტერესებული რუსეთი შევარდნაძის ლიკვიდაციით?

– ეს ხდება იმ დროს, როცა შევარდნაძემ ოდნავ გაიხედა დასავლეთისკენ. მათ უკვე აღარ სჭირდებოდათ ასეთი ლიდერი. და ვისი ხელით იქნებოდა ამის გაკეთება ყველაზე უპრიანი, თუ არა ზვიადისტების. მე რომ მცოდნოდა, რომ ამ ყველაფრის უკან სპეცსამსახურები იდგნენ, ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებდი, მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც იმთავითვე ჩასმული ჰყავდათ ჩვენს რიგებში. ტერაქტის დღეს მე ვიყავი ნოვოროსიისკში, გემი უნდა მექირავებინა და სოჭიდან ფოთში უნდა ჩამომეყვანა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები.

– ვინ იყვნენ ტერაქტის ის მონაწილეები, რომლებიც რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ?

– მე არ მინდა კონკრეტული გვარების დასახელება, მაგრამ დრო მოვა და მე თქვენ დაგისახელებთ ამ პიროვნებებს. მე დღეს ბოდიშსაც ვიხდი და ღმერთს მადლობას ვეუბნები, რომ შევარდნაძე ვერ მოვკალით, რადგან იმ ტალღას პარლამენტშიც და ხელისუფლებაში მოყვებოდა ბევრი ისეთი პირი, რომლებიც ზვიადის გარემოცვაად ითვლებოდა და სინამდვილეში გამყიდველი იყო. იმას, რომ ტერაქტის უკან რუსეთის სპეცსამსახურები იდგნენ, მოგვიანებით მივხვდი, რადგან გადის დროს და ტერაქტის ერთ-ერთი მონაწილე ხდება რუსეთში გენერალლეიტენანტი. საუბარი მაქვს კოტე ფირცხალავასთან, რომელიც მოგვიანებით ფედერაციის საბჭოს წევრიც გახდა.

– ბოლოს... კობალაძის თემას რომ მივუბრუნდეთ... თქვენი საუბრიდან ირკვევა, რომ მან დაუმორჩილებლობა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას გამოუცხადა?

– რა თქმა უნდა, ზვიადის მერე იყო შევარდნაძე, მერე იყო სააკაშვილი და დარწმუნებული ვარ, საშუალება რომ მიეცეს, კვალავ მოაწყობს ამბოხს. დღეს ამ ხალხის მიერ სამართლიანობის აღდგენაზე საუბარი უზნეობაა. თუ სამართლიანობაა, დავიწყოთ იმ პერიოდის მოვლენებით და მოვყვეთ იქიდან სამართლიანობის აღდგენას. ჩემგან განსხვავებით მათ ამის მორალური უფლება არ აქვთ. აფხაზეთის ომს შეენირა ჩემი ძმა, დახვრიტეს პირდაპირ დედაჩემის თვალწინ, რომელიც დაბმული ჰყავდათ და შვილის სიკვდილს ისე აყურებინეს. ჩემმა ვაჟმა ჭრილობა მიიღო და მოგვიანებით გარდაიცვალა. მეც მოსაკლავად დამდევდნენ. ჩემი ოჯახი იმ მოვლენებს შეენირა, ბევრმა კი ამით ხელი მოითბო. როგორ შეიძლება კიტოვანი თბილისში თავისუფლად დასეირნობდეს და სამართლიანობაზე ელაპარაკებოდეს ხალხს. 108 ადამიანია დახვრეტილი თბილისის ქუჩებში იმ ავადსახსენებელ დროს, ამის გამოძიება არაა მნიშვნელოვანი? ყველაფერი უნდა გაირკვეს და ნებისმიერმა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს, მაგრამ ისე არ უნდა მოხდეს, დამნაშავეების დასჯას მათზე უფრო დიდი დამნაშავეები ითხოვდნენ. ჯერ მათი „ვაჟკაცობის“ ამბები გამოვიძიოთ და მერე თუ გინდათ სააკაშვილსაც მოვაჭრათ თავი და დანარჩენებსაც.

ოთარ უბილავას მიერ გაჟღერებულ ბრალდებებთან დაკავშირებით „პრაიმტაიმმა“ კობა კობალაძეს სთხოვა კომენტარი. მან ამ ისტორიას სრული სისულელე უწოდა.

„სრული სისულელეა. თუ რამე ბრალს მიყენებს, არსებობს სასამართლო. არ ვიცი მე, რა ამოძრავებს მაგ კაცს. ეტყობა, ამ ბოდიალის მიზეზი აქვს. თუ კონკრეტულ გვარებსაც ასახელებს, მტკიცებულებებიც ჰქონია, აგერ არის სასამართლო და მიმართოს. დიახ, ვიყავი ფოთის კომენდანტი. ვიღაც დეგენერატმა პირი გააღო და რაღაცას ბოდიალობს. ოთხი კაცი კი არა, მტერი არ დამიხვრეტია. ამ უაზრობაზე მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას კობა კობალაძე.

კობა კობალაძე: „ოთხი კაცი კი არა, მტერი არ დამიხვრეტია. ამ უაზრობაზე მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ხდება კერძო ნარკ

მარიამ ნადირაძე

სანამ სახელმწიფო ფსიქოტროპულ აფთიაქებს ებრძვის, „პრაიმტაიმმა“ იმ პრობლემის შესახებ შეიტყო, რომლის თაობაზეც ჯერ ინფორმაცია არ გაჟღერებულა და ვფიქრობთ, სასწრაფო ზომების მიღებას საჭიროებს. ამბავი, რომელსაც ჩვენი ინკოგნიტო რესპონდენტისგან შეიტყობთ, უსათუოდ შეგძრავთ...

ნარკოდამოკიდებულთათვის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა 2005 წელს „გლობალური ფონდის“ ინიციატივით ამოქმედდა. ის უმთავრესად მეტადონით მკურნალობას გულისხმობს, თუმცა ასევე გამოიყენება შედარებით ძვირი სუბოქსინი მათთვის, ვისთვისაც მეტადონი მიზანშეწონილი არ არის.

ეს პრეპარატი შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება ბუპრენორფინს და ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დიდ ხანია ჩანაცვლებითი თერაპიით გათვალისწინებული მკურნალობის ფარგლებში გამოიყენება.

სახელმწიფო პროგრამა სუბოქსინის გამოყენებით დაახლოებით 4 წლის წინათ ამოქმედდა. ვინაიდან ეს გაცილებით ძვირი სიამოვნებაა, ბენეფიციართა მკურნალობა თანადაფინანსებით ხორციელდება და მათ ყოველთვე 110 ლარის გადახდა უწევთ. თუმცა, სულ სხვა საქმეა, რა მდგომარეობაა, ამ მხრივ, იმ კერძო კლინიკაში, სადაც მომსახურება ფასიანია და პაციენტისთვის დღიური დოზის მიღება 28 ლარითაა განსაზღვრული?

როგორც შევიტყვეთ, პოლიციამ უკვე დააკავა რამდენიმე პაციენტი, რომლებიც ამ პროგრამას ნარკოტიკების რეალიზაციის მიზნით იყენებს და შესაბამისად, ამბავიც გასკდა, რომლის შესახებაც ჩვენს მკითხველს „პრაიმტაიმის“ რესპონდენტი უამბობს, ვის ვინაობასაც, თემის სიმძიმიდან გამომდინარე, ვერ გავშიფრავთ:

– სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ ნარკომანებს უმკურნალოს. არის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, ნარკოტიკების მომხმარებლები მიდიან სამედიცინო დაწესებულებებში, დგებიან აღრიცხვაზე და მკურნალობენ სუბოქსინით. ეს არის მეტადონის მსგავსი პროგრამა, ე.წ. ჩანაცვლებითი თერაპია.

– სუბოქსინის პროგრამა ახალი დაწყებულია?

– დიახ. თუმცა, როგორც შევიტყვე, ის კერძო კლინიკა, რომლის შესახებაც უნდა გიამბოთ, ახალი შექმნილია. ეს არის მედიკების სახლში, ვარანცოვზე. თუმცა, ჩემი ინფორმაციით, იგივე ხდება სხვა კლინიკებშიც. ნებისმიერ დილას იქ რომ მიხვიდეთ, დაინახავთ ნარკოტიკების მომხმარებელ პაციენტებს, რომლებიც შედიან, იღებენ მათთვის განკუთვნილ სუბოქსინის დოზას, ტაბლეტების სახით და გამოსვლისთანავე სხვებზე ასაღებენ მათ.

– ეს დოზა როგორ განისაზღვრება?

– იმის მიხედვით, რამდენად სტაჟიანი მომხმარებელია პაციენტი. ნაკლებად სტაჟიანს ერთ აბს აძლევენ, ზოგს კი – სამსაც. ეს წამალი, სუბოქსინი, „ჯიპისი“-ს შემოაქვს და მერე ნაწილდება ამ კლინიკებში – სახელმწიფოშიც და კერძოშიც. სახელმწიფო კლინიკებში, რომლებსაც ჯანდაცვის სამინისტრო აკონტროლებს, შედარებით მოწესრიგებული სიტუაციაა, ისეთი რაღაცები არ ხდება, რაც კერძოში, კონკრეტულად კი მედიკების სახლში. ფაქტია, რომ ასეთი კლინიკები სოკოებივით მომრავლდა. ეს საქმე მომგებიანია. აქ მომსახურება ფასიანია. ერთი აბი 28 ლარი ღირს, თანაც სახელმწიფო კლინიკებისგან განსხვავებით, ვიზიტის დროს ფულს ქეშად



„ასეთი კლინიკები სოკოებივით მომრავლდა. ეს საქმე მომგებიანია. აქ მომსახურება ფასიანია. ერთი აბი 28 ლარი ღირს, თანაც სახელმწიფო კლინიკებისგან განსხვავებით, ვიზიტის დროს ფულს ქეშად იხდიან“

იხდიან. ახლა რაშია პრობლემა: ნარკომანი, თავისი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, კლინიკაში სამკურნალოდ არც ერთ შემთხვევაში არ მიდის, რადგან ის ერთი აბი მას „ლომკას“ ვერ მოუხსნის. სამკურნალო მიზნით მისულთა რაოდენობა შესაძლოა, მხოლოდ 10 იყოს. ეს რაოდენობა კი კერძო კლინიკისთვის ძალიან ცოტაა, წამგებიანია. ამ დროს ამ ცენტრს აღრიცხვაზე 150 პაციენტი ჰყავს. წესი ასეთია: პაციენტი უნდა მივიდეს ექიმთან, ექიმმა უნდა მისცეს წამალი, რომელიც ენაზე უნდა დაიდოს, წყალი მიაყოლოს და გადაყლაპოს. სულ ორი წუთია საკმარისი იმისთვის, რომ ის გადნეს. სინამდვილეში კი ისინი შედიან, მათ აძლევენ წამალს, პაციენტები მას ტუჩის ქვეშ, ღრძილებში, ან ენის ქვეშ მალავენ და ეგრევე გამოდიან. გამოსვლისთანავე გადმოაფურთხებენ „ფოლგაზე“ და წამალი უკვე მზად არის გასაყიდად...

– ყიდიან?

– რა თქმა უნდა. ზოგს კლიენტი იქვე ხვდება, ზოგს კი შეგულებული ჰყავს.

– რამდენად ყიდიან?

– ერთი აბის ფასი 150 ლარიდან იწყება და 300 ლარს აღწევს.

– ეს რაზეა დამოკიდებული?

– რამდენად სუფთად ახერხებს ის წამლის გამოტანას.

– თქვენ თქვით, რომ ერთი აბი, რომელშიც პაციენტი გარკვეულ საფასურს, 28 ლარს იხდის, მას ლომკის მოსახსნელად არ ჰყოფნის და მისი კლიენტები ასე ძვირად რატომ იყიდიან?

– გარეთ ნარკოტიკების მომხმარებლები მას ჯგუფურად ყიდულობენ. 4-5 კაცი შეგროვდება, თანხაც ამდენივე კაცზე გადანაწილდება. შემდეგ მას ჩვეულებრივი წესით ხარშავენ, ვენაში იკეთებენ და ამ შემთხვევაში ეს ერთი აბი მათთვის საკმარის დოზად გადაიქცევა „კაიფის მისაღებად“. თუმცა, არიან პაციენტებიც, რომლებსაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ერთის ნაცვლად ორს, ან სამ აბს აძლევენ კლინიკაში.

– კლინიკაში თავად ობიექტურად ვერ განსაზღვრავენ, რომელი პაციენტი რამდენად მძიმეა და რეალურად რამდენი აბი ესაჭიროება?

– რა თქმა უნდა, ექიმი საზღვრავს პაციენტის მდგომარეობას. სწორედ ამაშია მთელი უკონტროლობა: ექიმმა რეალურად იცის, რისთვის შედის პაციენტი. კარგად იცის, პაციენტები მასთან სამკურნალოდ რომ მიდიოდნენ, 150 პაციენტის ნაცვლად 10 ეყოლებოდა მხოლოდ, რაც კლინიკისთვის აბსოლუტურად არ არის მომგებიანი. ნარკოტიკების რეალიზატორებს თურქეთიდან რომ შემოაქვთ ეს წამალი, იქ 50-60 დოლარს აძლევენ. ახლა, ბუნებრივია, ურჩევნიათ პროგრამაში ჩაერთონ, 28 ლარი გადაიხადონ და შედეგად გაცილებით მეტ მოგებას მიიღებენ, თანაც გაცილებით უსაფრთხოდ.

– დაწესებულების მოგება რა არის?

– ყოველდღე 150-ჯერ 28 ლარი... ამას გარდა, არის სხვა შემოსავლებიც: ზოგიერთი ექიმი კორუფციაშია ჩართული: ხეირს ნახულობს იმაში, რომ პაციენტის თხოვნით მას ერთის ნაცვლად ორ ან სამ აბს უნიშნავს და ასე განუსაზღვრავს დოზას, სამაგიეროდ ამისთვის გასამრჯელოს იღებს მისგან. თუ ხელზე გაატანს წამალს და არ აიძულებს, რომ პირში ჩაიდოს, სუფთად შენახული წამალი ხომ უფრო ძვირად საღდება? ჰოდა, ის მედიკიც „ატკატს“ ითხოვს. ამას გარდა, კლინიკა სთხოვს ექიმს, მეტი პაციენტი იყოლიოს, ვინაიდან მისი ხელფასიც ამ რაოდენობაზეა დამოკიდებული.

– ამ ე.წ. „ატკატის“ წილი რამდენია?

– რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის ნახევარი. ხშირად იმისთვის, რომ ასეთი პაციენტები არ დაკარგონ, ექიმები მათ აფრთხილებენ, როგორც კი დაწესებულებასთან პოლიციის მოძრაობას დაინახავენ.

– ამ ყველაფერს ჯანდაცვის სამინისტრო არ აკონტროლებს?

– კერძო კლინიკებს ვერ აკონტროლებს და ექიმის სინდისზეა ყველაფერი დამოკიდებული. გახსოვთ ყაყაჩოს თესლებზე ატეხილი სკანდალი? ბარამიძემ დიდი ცეცხლი რომ დაანთო, ე.წ. „მაკი“ რომ დაწვა? იცით, ეს ამბავი როგორ გასკდა? იმ პერიოდში ორჯონიკიძიდან ჩამოსული იყო ერთი ნარკომანი და სრულიად შემთხვევით დაიჭირეს შს სამინისტროს თანამშრომლებმა. გაირკვა, რომ ეს ადამიანი საქართველოში ჩამოდიოდა, ყიდულობდა „მაკს“ ორ ლარ-ნახევრად და მიჰქონდა. შემდეგ გაირკვა, რომ „ბულკზე“ მოსაყრელი უწყინარი თესლით ნარკოტიკი იხარშებოდა. ამ ამბავმა, ბუნებრივია, პოლიციის გარეთაც გაჟონა. ქართველმა ნარკომანებმა ეს რომ გაიგეს, ატყდა გნიასი, „დვიჟენიები“ და „მაკიც“ გაძვირდა. მას ყიდდნენ ფუნთუშების გამყიდველი ქალები. ის ჯერ 5 ლარი გახადეს, მერე 15, 20, 25 და ა.შ. ბოლოს, როცა თვითონვე მიხვდნენ, რაში იყო საქმე, ქუჩაში აღარ გამოდიოდნენ და სახლიდან ურეკავდნენ კლიენტებს. ასე გახდნენ ბარიგები ფუნთუშის გამყიდველები. ახლა კი, სამწუხაროდ, ჯანდაცვის მუშაკები დგებიან იგივე გზაზე.

„ნარკოტიკების მომხმარებლები მას ჯგუფურად ყიდულობენ. 4-5 კაცი შეგროვდება, თანხაც ამდენივე კაცზე გადანაწილდება. შემდეგ მას ჩვეულებრივი წესით ხარშავენ, ვენაში იკეთებენ და ამ შემთხვევაში ეს ერთი აბი მათთვის საკმარის დოზად გადაიქცევა „კაიფის მისაღებად“

როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, კერძო კლინიკა, რომლის შესახებაც ზემოთ გვიამბობდნენ, ერთ-ერთი ფარმაცევტული კომპანიის დამფუძნებელმა შექმნა. ვინაიდან ეს ინფორმაცია კონფ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოლოგიურ ცენტრებში?

„ექიმები დღეს ისეთივე ბარიგები ხდებიან, როგორც თავის დროზე „მაკის“ გამყიდველები გახდნენ...“

EXCLUSIVE

„ისინი შედიან, მათ აძლევენ წამალს, პაციენტები მას ტუჩის ქვეშ, ღრძილებში, ან ენის ქვეშ მალავენ და ეგრევე გამოდიან. გამოსვლისთანავე გადმოაფურთხებენ „ფოლგაზე“ და წამალი უკვე მზად არის გასაყიდად...“

იდენციალურია, ამდენად ვერც ამ კომპანიას ვშიფრავთ და ვერც მისი დამფუძნებლის ვინაობას. თუმცა აქვე გეტყვით, რომ ის სახელმწიფო პროგრამასაც ამარაგებს ამ მედიკამენტით. აღმოჩნდა, რომ ყველა კერძო კლინიკა სახელმწიფო პროგრამაშია ჩართული ამ ერთი გამონაკლისის გარდა, ვინაიდან, ის ერთადერთია, სადაც პაციენტის ანონიმურობა დაცულია. ამიტომაც არის ფასიანი. პაციენტთა კონტინგენტი კი ძირითადად ან შეძლებული მოსახლეობაა, ან სწორედ ის ადამიანები, რომლებიც ამიერიდან ამ გზით აპირებენ გამდიდრებას.



„პრაიმტაიმი“ ექსპერტ გელა ლეჟავასაც დაუკავშირდა, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ მართლაც არსებობს კერძო პროგრამა, სადაც მკურნალობა გაცილებით ძვირია და იქვე განაცხადა: „მეც მსმენია ამ პრობლემის შესახებ და ამ რამდენიმე დღის წინ ვამბობდი კიდეც, რომ რაღაც კონტროლის მექანიზმი უნდა შემოვიღოთ, ვინაიდან ის საფრთხე, რის შესახებაც თქვენ მესაუბრებით, რეალურია... დღეს ნებისმიერ ექიმს, რომელსაც ლიცენზია აქვს, საშუალება ეძლევა, გახსნას ასეთი კლინიკა და ჩაერთოს პროგრამაში“.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აღნიშნულ თემაზე საუბარი ჯანდაცვის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტთან, ეკა ადამიასთან გვირჩიეს:

– კერძო კლინიკების გაკონტროლება შედის თუ არა თქვენი სამინისტროს კომპეტენციაში?

– კი, რა თქმა უნდა. ეს არის ჩვეულებრივი მიმწოდებლები, შპსები, მაგრამ ასეთი რამ ნამდვილად პირველად მესმის. ჩვენ ამ პროგრამის ფარგლებში გვაქვს ორი მედიკამენტი – ეს არის მეტადონი და სუბოქსინისა და ნავოქსინის ნარევი. ამ მეორე ნაწილზე უფრო ნაკლები რაოდენობით ბენეფიციარია, დაახლოებით 110, მეტი არ არის. მეტადონზე ბევრად უფრო მეტია. თქვენი ნაამბობი ჩვენ საკმაოდ სერიოზულად გადამოწმების საფუძველს გვაძლევს. ჩვენი მხრივ კი, მხოლოდ ერთი განყოფილება გასცემს ტაბლეტებს. მე როგორც ვიცი, ფარმაცევტულ ფირმებსაც აქვთ ასეთი განყოფილებები და ამაზე ხომ არ არის ლაპარაკი?

– დიახ... ამ შემთხვევაში სახელმწიფოს არ აქვს მათი გაკონტროლების ვალდებულება?

– სახელმწიფოს თავისთავად აქვს კონტროლის ვალდებულება. რეგულირების სააგენტო ამისთვისაც არსებობს, რომ, თუ რამე პრობლემა დაფიქსირდება, ის მერე თავიდან ბოლომდე სწავლობს ამ თემას. კონკრეტულად ვინმე ახლა ამ თემაზე ჩასაფრებული ხომ ვერ იქნება? შესაძლოა, ამ საკითხში მე ბოლომდე კომპეტენტური არ ვიყო, მაგრამ ჩემი მხრივ ხელმძღვანელობას აუცილებლად ჩავაყენებ საქმის კურსში და, სავარაუდოდ, შეისწავლიან ამ თემას, რადგან ასეთი ინფორმაცია აქამდე ჯერ არ ყოფილა. იყო სხვადასხვა პრობლემები, მაგრამ წამალი რომ იყიდება, ასეთი რამ პირველად მესმის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ ემუქრებოდა თვითმკვლელობამდე გელა მებონიას?

გელა მებონია: „მივმართავ საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს, დაიცვათ ჩემი ოჯახი“

„პრაიმტაიმი“ აქვეყნებს ყოფილი პოლიციელის წერილს, რომელიც თვითმკვლელობამდე რედაქციაში თავად მოგვაწოდა

my View
მირიან ბოქოლიშვილი

წერილი, რომელსაც ახლა ვაქვეყნებთ, რედაქციაში ჯერ კიდევ 2013 წლის 12 ივლისს მივიღეთ. წერილში საუბარია გასული წლის 10 ივლისს ღამის კლუბ „პალმებთან“ მომხდარ ინციდენტზე. „პრაიმტაიმმა“ მაშინ ეს შემთხვევა ფართოდ გააშუქა და გავარკვიეთ ისიც, რომ მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. მას შემდეგ მებონიამ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს არწივი“ დაიფუძნა და რამდენიმე გახმაურებულ საქმეზე საკმაოდ ხმაურიანი განცხადებებიც გააკეთა. 2013 წლის 5 დეკემბერს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყოფილმა პოლიციელმა მოსკოვში მდებარე საკუთარ სახლში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. რა გახდა სუიციდის მიზეზი? ამაზე დამატებითი ინფორმაცია არ გავრცელებულა. არაოფიციალურად მომხდარს ფინანსურ პრობლემებს უკავშირებენ, თუმცა წერილში, რომელიც გელა მებონიამ თვითმკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე მოგვაწოდა, დეტალურად არის საუბარი იმაზე, ვინ და რა მეთოდებით ემუქრებოდა. ამ წერილში ყოფილი პოლიციელი იმდროინდელ მთავარ პროკურორსაც მიმართავს და არჩილ კბილაშვილს მისი ოჯახის დაცვას სთხოვს. საბოლოოდ, რამ აიძულა თვითმკვლელობა – ვალებმა თუ მუქარამ? ამის გარკვევა, ალბათ, უფრო სამართალდამცველებს ხელეწიფებათ, ჩვენ კი საჭიროდ ჩავთვალეთ, ეს წერილი ჩვენი მკითხველისთვის გაგვეცნო.

წერილის დასაწყისში ის ღამის კლუბში ძმებ აბესაძეებთან მომხდარ ინციდენტს იხსენებს.

„მე ვარ გელა მებონია, აფხაზეთის ომის ვეტერანი. 1993 წლიდან 2007 წლამდე ვმუშაობდი ძველი თბილისის კრიმინალურ პოლიციაში. ყოველთვის ვებრძოდი კრიმინალს, კორუფციასა და უსამართლობას. შევარდნაძის დროსაც და ნაციონალების დროსაც. პოლიციიდან წამოვედი მას შემდეგ, რაც გავხდი მოწმე, როგორ ჩაცხრილეს კორტებთან საქართველოს მოქალაქეები. თქვენი საშუალებით მინდა მივმართო თბილისელებს და მოგახსენოთ იმ ამაზრზენი ფაქტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2013 წლის 10 ივლისს საღამოს საათებში. მე და ჩემი ვაჟი ვმოძრაობდით ჩემი კუთვნილი ავტომანქანით კოსტავას ქუჩაზე სანაპიროს მიმართულებით, რა დროსაც ავტომანქანას აუდუღდა წყალი, „ლაგუნა ვერეს“ აუზის მიმდებარე ტერიტორიასთან. გამახსენდა, რომ „ვისოლის“ ბენზინგასამართი სადგურის უკან არის სადღეღამისო ავტოსამრეცხაო, სადაც ჩავიყვანე მანქანა. სამრეცხაოს თანამშრომლებთან ერთად დავამატე წყალი ე.წ. რადიატორში და ველოდებოდით ძრავის გაციებას. ჩემი ვაჟისთვის შევედი წყლის საყიდლად იქვე მდებარე ღამის კლუბ „ორ პალმაში“, სადაც შემხვდა მეგობარი, რომელმაც ყავაზე დამპატიჟა. რადგან ველოდებოდი ძრავის გაციებას, ბავშვს წყალი გავუტანე და კლუბში დავბრუნდი. მშვიდად მივირთმევდით ყავას და ვსაუბრობდით, როდესაც შემოგვესმა გინება და უწმაწური სიტყვები. კლუბში შემოდის ვინმე ზაზა აბესაძე, რომელიც იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში. ამ არაადამიანმა გააგრძელა გინება იმ პირების მიმართ, რომლებიც იმ მომენტში იმყოფებოდნენ კლუბში. რადგან მე მას ვიცნობდი, სიმშვიდისკენ მოვუწოდე და ვთხოვე, შეეწყვიტა სიტყვიერი შეურაცხყოფა მოქალაქეების მიმართ. ამაზე მან მიპასუხა, რომ ეს კლუბი ეკუთვნის მის ძმას, ზვიად აბესაძეს და არავის საქმე არ არის, ზაზა აბესაძე ვის აგინებს ამ კლუბში. მოგახსენებთ, რომ სინამდვილეში ღამის კლუბ „ორი პალმის“ ქვეშ იმალება საროსკიპო და ზაზა აბესაძე გახლავთ კლუბის არაფორმალური დაცვა. ეს გარყვნილების ბუდე წინა ხელისუფლებამ დახურა, მაგრამ დღესდღეობით დაუბრუნდა თავის მესაკუთრეს, ზვიად აბესაძეს, წარსულში შსს-დან გამოგდებულ პიროვნებას, იმ მიზეზით, რომ შემჩნეული იყო კრიმინალთან ურთიერთობაში, ნასამართლევია ყაჩაღობაზე, ფულისა და ქონების გამოძალვაზე. ზაზა აბესაძეს გაახსენდა, რომ მე ვმუშაობდი ძველი თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროს ინსპექტორად და უშუალოდ ვმონაწილეობდი აღნიშნული ბორდელის დახურვაში და სიტყვებით: რას აკეთებ აქ, შე ძაღლო, გამოიწია ჩემკენ, მომაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც მივიღე სხეულის დაზიანება. ამ დროს ჩემმა ვაჟმა დაიწყო გარეთ ყვირილი და იქვე მდებარე სხვა შენობიდან მოვარდა დაცვის ორი თანამშრომელი, რომლებმაც გაიყვანეს კლუბიდან ზვიად აბესაძე, ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს ჩემთვის გაურკვეველი მიმართულებით. ვიფიქრე, რომ დამერეკა საპატრულოში, მაგრამ როდესაც ავტომანქანისკენ გავიხედე დავინახე, რომ ჩემი ვაჟი შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გავიყავნე სახლში და 15 წუთში დავბრუნდი კლუბში... ამასობაში მობილურ ტელეფონზე მირეკავს ზვიად აბესაძე და მეუბნება: „შე ძაღლო, არსად არ გაინძრე კლუბიდან, ერთ ადგილზე მკიდია შენი პატრულიც და პოლიციაც, 5 წუთში მანდ მოვალ და დაგმარხავ „ორი პალმის“ ქვეშ“. დაახლოებით 5 წუთში მართლაც მოვიდა კრიმინალი აბესაძე ჩემთვის უცნობ, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ სამ პირთან ერთად, მათ მოჰყვა კიდევ ერთი ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა 5 პიროვნება, რომელთაგან ორს ვიცნობ, კრიმინალურ პოლიციაში მუშაობის დროს დაკავებული მყავდა სხვადასხვა დანაშაულისთვის. კრიმინალმა აბესაძემ გაიმეორა ის სიტყვები, რაც მანამდე მითხრა მობილურში, მაგრამ მე უკვე პატრული მყავდა გამოძახებული და როდესაც მიხვდა, რომ ამ მუქარას ვერ შეასრულებდა, დაჟინებით მოითხოვა მისი კუთვნილი ტერიტორიის დატოვება. სიტუაციის განსამუხტად გამოძახებულ იქნა საპატრულოს დამატებითი ეკიპაჟი. ადგილზე მოვიდნენ ძველი თბილისის ვერის განყოფილების კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები. ამჟამად მივმართავ საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ არჩილ კბილაშვილს, დაიცვათ ჩემი ოჯახი. აბესაძე დღეს ტრაბახობს იმით, რომ თქვენთან მეგობრობს და ამით სარგებლობს“, – წერია გელა მებონიას წერილში.



2013 წლის 12 ივლისი

ბატონ არჩილ

მიმართვა 1 ოჯახის ნების ძალვანდობის.

მე, ვარ გელა მებონია, აფხაზეთის ომის ვეტერანი 1993 წლიდან – 2007 წლამდე ვმუშაობდი ძველი თბილისის კრიმინალურ პოლიციაში, ყოველთვის ვებრძოდი კრიმინალს, კორუფციას და უსამართლობას, შევარდნაძის დროსაც, ნაციონალების დროსაც და პოლიციიდან წამოვედი იმის შემდეგ, რაც გავხდი იმის მოწმე, როგორ ჩაცხრილეს კორტებთან საქართველოს მოქალაქეები. თქვენი სახის საშუალებით მინდა მივმართო თბილისელებს და მოგახსენოთ იმ ამაზრზენი ფაქტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2013 წლის 10 ივლისს საღამო საათებში. მე და ჩემი ვაჟი ვმოძრაობდით ჩემი კუთვნილი ა/მანქანით კოსტავას ქუჩაზე – სანაპიროს მიმართულებით, როდესაც ა/მანქანას აუდუღდა წყალი „ლაგუნა ვერეს“-ს აუზის მიმდებარე ტერიტორიასთან. გამახსენდა, რომ „ვისოლი“-ს ბენზინგასამართ სადგურის უკან არის სადღეღამისო ავტო-სამრეცხაო სადაც ჩავიყვანე ა/მ. ჩვენ სამრეცხაოს თანამშრომლებთან ერთად დავამატეთ წყალი ა/მ რადიატორში და ველოდებოდით ძრავის გაციებას. ჩემ ვაჟს მოსწყურდა წყალი, შევედი წყლის საყიდლად იქვე მდებარე ღამის კლუბ „ორი პალმა“-ში, სადაც შემხვდა ჩემი მეგობარი და დამპატიჟა ყავაზე, რადგან ველოდებოდი ა/მ ძრავის გაციებას, გავუტანე შვილს წყალი და დავბრუნდი კლუბში. ერთად მივრთმევდით ყავას და ვსაუბრობდით, რადროსაც შემოგვესმა გინება და უწმაწური სიტყვები, შემდეგ კლუბში შემოდის ვინმე ზაზა აბესაძე, რომელიც იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში. ამ არაადამიანმა გააგრძელა გინება და უწმაწური სიტყვები. გამოთქვა იმ პირების მიმართ რომლებიც იმ მომენტში იმყოფებოდნენ კლუბში. რადგან მე მას ვიცნობდი, ~~მივმართე~~ ~~და ვთხოვე დამშვიდებულ~~ შემშვიდისკენ მოუწოდე და

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოლიმპიურ კომიტეტსა და "ავერსს" შორის დადებული მემორანდუმი გრძელდება

სპორტში მძიმე შრომის გარეშე წარმატების მიღწევა რთულია. ძლიერ დატვირთვას კი, ხშირად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მოსდევს. ამასთანავე, ნაკრების წევრები მუდმივად ფორმაში რომ იყვნენ რეგულარული სამედიცინო მომსახურება, დიაგნოსტიკური კვლევები და სხვადასხვა სახის პროცედურები სჭირდებათ. შესაბამისად, თუ სპორტსმენს არ აქვს სრულყოფილი სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება, ვერც სპორტულ არენაზე ასახელებს თავის ქვეყანას. ეს თემა დღეს კიდევ უფრო აქტუალურია, როცა სოჭის ზამთრის ოლიმპიადა იწყება...

ავერსისთვის ქართული სპორტის მიღწევები ძალიან მნიშვნელოვანია. კომპანიის დამფუძნებელი პაატა კურტანიძე ქართული სპორტის დიდი ქომაგი და გულშემატკივარია, ალბათ, ამიტომაც მიიღო გადაწყვეტილება, თავისი წვლილი შეეტანა ქართული სპორტის განვითარებაში - უკვე მეხუთე წელიწადია, რაც მისი ინიციატივით მოქმედებს პროექტი, რომლის თანახმად ქართულ სპორტში მოღვაწე და ვეტერანი სპორტსმენები ავერსის კლინიკაში სამედიცინო მომსახურებას სრულიად უსასყიდლოდ იღებენ. გარდა ამისა, ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტებიც პაციენტებს უფასოდ გადაეცემათ - ამ პირობებით 2009 წლის 19 თებერვალს ავერსსა და ოლიმპიურ კომიტეტს შორის პირველად გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ყოველწლიურად ერთი წლის ვადით იდება. წლეულსაც 4 თებერვალს ავერსის კლინიკაში გაფორმდა შეთანხმება დახმარების მემორანდუმის გაგრძელების თაობაზე. ბრიფინგს ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი;

ვიცე-პრეზიდენტები - ელგუჯა ბერიშვილი და ნინო სალუქვაძე;

ავერსის დამფუძნებელი პაატა კურტანიძე;

ავერსის კლინიკათა ქსელის გენერალური დირექტორი დიმიტრი ჯორბენაძე და ქართული სპორტის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები - ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები.

დღემდე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენებმა პროექტის ფარგლებში 532 640 ლარის სამედიცინო მომსახურებით ისარგებლეს და 206 025 ლარის ღირებულების მედიკამენტები მიიღეს.

მემორანდუმის თანახმად, სპორტსმენების ჯანმრთელობაზე ზრუნვა კომპანია ავერსის პრიორიტეტი გახლავთ.

როგორც **ავერსის დამფუძნებელმა ბატონმა პაატა კურტანიძემ** აღნიშნა, ხელშეკრულება ქართული სპორტის განვითარების ხელშეწყობას, ჯანმრთელი მომავალი თაობების აღზრდას და, საზოგადოდ, სპორტის პოპულარიზაციას და მხარდაჭერას ისახავს მიზნად:

სასიხარულოა, რომ 2009 წელს დაწყებული ტრადიცია კვლავაც გრძელდება. ღმერთის წყალობით და ჩვენი შრომით გვაქვს საშუალება, გამოვხატოთ პატივისცემა და მადლიერება იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ათწლეულების მანძილზე იშრომეს, იღვაწეს, ბევრი ოფლი დაღვარეს იმისათვის, რომ საქართველო ესახელებინათ. მემორანდუმის შესახებ იდეა სწორედ ამ სულისკვეთებით წარმოიშვა - ვეტერანი სპორტსმენებისთვის გაგვეწია სამედიცინო დახმარება და კიდევ ერთხელ დაგვედასტურებინა ჩვენი პატივისცემა ამ დამსახურებული, ღვაწლმოსილი ადამიანების მიმართ. მნიშვნელოვანია მოქმედი სპორტსმენებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა და მათი საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფაც. ძალიან გვინდა, რომ ახალგაზრდა სპორტსმენებმაც ისევე გაუთქვან სახელი საქართველოს როგორც ჩვენმა სახელოვანმა ვეტერანებმა. ჩვენ წელსაც ვაგრძელებთ გასულ წლებში მოქმედ მემორანდუმს, ასე რომ, ყველა ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენი, რომელსაც ოლიმპიური კომიტეტი გაუწევს რეკომენდაციას ავერსის კლინიკებში სამედიცინო მომსახურებას სრულიად უსასყიდლოდ მიიღებენ და მათ ექიმის მიერ ყველა დანიშნული მედიკამენტიც უფასოდ გადაეცემათ.

მინდა მადლიერება გამოვხატო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ბატონ ლერი ხაბელოვის მიმართ, რომელიც გამორჩეულად ზრუნავს მოქმედ და ვეტერან სპორტსმენებზე. ვფიქრობ, ეს ფაქტი თავად სპორტსმენებისთვისაც სასიამოვნო და დასაფასებელია. ასევე მისაბაძი და სამაგალითოა სხვა მსგავსი ასოციაციებისთვის. სპორტსმენებზე ზრუნვა თითოეული ჩვენი მოქალაქის ვალია და ჩვენ ბედნიერად ვთვლით თავს, რომ ღმერთის წყალობით შეგვიძლია რაღაც წვლილი შევიტანოთ ქართული სპორტის განვითარებაში

როგორც **ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა** აღნიშნა, ავერსის დამფუძნებელი ბატონი პაატა კურტანიძე ქართული სპორტის დიდი ქომაგია:

- ავერსსა და ოლიმპიურ კომიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი მართლაც წარმატებული აღმოჩნდა - ნაკრების წევრები მუდმივად ფორმაში რომ იყვნენ რეგულარული სამედიცინო მომსახურება, დიაგნოსტიკური კვლევები და სხვადასხვა სახის პროცედურები სჭირდებათ. ბატონი პაატას ხელშეწყობით ყოველივე ამას სპორტსმენები უსასყიდლოდ იღებენ. ეს მართლაც დიდი საქმეა - ქართულ სპორტს დიდი გულშემატკივარი ჰყავს, რაზეც მადლობას მოგახსენებთ ბატონო პაატა - პროექტი ნამდვილად წაადგება ჩვენს სპორტს, რადგან არა მხოლოდ ვეტერანები, არამედ ნაკრების წევრები და მოქმედი სპორტსმენები, უმთავრესად, სწორედ ავერსის კლინიკაში იტარებენ სამედიცინო კვლევებს და ასევე ფონდ ავერსის ხელშეწყობით იღებენ მედიკამენტებს, რომლებსაც ექიმი უნიშნავთ.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ავერსმა 50%-ით გადააჭარბა მემორანდუმით გათვალისწინებულ ხარჯებს. სპორტსმენების რიცხვი კი, ვინც ამ პროექტში მიიღო მონაწილეობა სულ უფრო და უფრო იზრდება. მადლობა ბატონ პაატას ამ თანადგომისთვის. სპორტის ფედერაციის სახელით, ვეტერანი და წამყვანი სპორტსმენების სახელით, დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ გულისხმიერებისთვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ ქართული სპორტის მიმართ - აღნიშნა ბატონმა ლერიმ.

ავერსის კლინიკის გენერალური დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის თქმით, მისთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა ავერსსა და ოლიმპიურ კომიტეტს შორის დადებულ მემორანდუმში მონაწილეობა:

- დღეს ავერსისთვის და ოლიმპიური კომიტეტისთვის მნიშვნელოვანი დღეა. კიდევ ერთი წლით გრძელდება შეთანხმება, რომელიც პირველად 2009 წლის თებერვალში დაიდო. ამ ხნის განმავლობაში კლინიკამ ნახევარ მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამედიცინო მომსახურება გაუწია კომიტეტის მიერ წარდგენილ სპორტსმენებს.

ავერსის კლინიკაში სარეაბილიტაციო სამსახური უმაღლეს დონეზე გახლავთ აღჭურვილი, თუმცა დიდ დატვირთვას ვეღარ აუდიოდა, გაზრდილ მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა, ამიტომ ახალი აპარატურის შერჩევა, შეძენა და სარეაბილიტაციო სამსახურის სრული განახლება მოხდა. თებერვლის თვეში კლინიკაში გაიხსნება ახალი სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე აპარატურით, აუზით და ყველა იმ საჭირო ინვენტარით რაც აუცილებელია როგორც სპორტული ტრავმების შემდგომი რეაბილიტაციისთვის, ასევე სხვა დაავადებების მქონე პაციენტთა სამკურნალოდ.

ბერძნულ-რომაული სტილის ჭიდაობაში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა რომან რურუამ აღნიშნა, რომ სისტემატური სამედიცინო კონტროლი სპორტსმენისთვის ისევე აუცილებელია, როგორც ვარჯიში:

- ამ პროექტის წყალობით იმედიანად ვართ - არ გვეშინია, რომ წამლის შესაძენად თანხა არ გვეყოფა, რომ სამედიცინო მომსახურების ღირებულებას ვერ ავანაზღაურებთ... მოგეხსენებათ, დღეს ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დაბალი ანაზღაურებაა, დაბალი ხელფასებია და სპორტსმენებსაც უჭირთ. ამიტომ მათთვის რთულია საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ავერსს იმ თანადგომისთვის, რასაც ჩვენი სპორტსმენებისა და ვეტერანების მიმართ იჩენს. ბატონი პაატა კურტანიძე უდიდეს საქმეს აკეთებს, ყველა სპორტსმენის სახელით მადლობას ვუხდი ეროვნული საქმის ერთგულებისთვის. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ავერსის კლინიკაში სამედიცინო სერვისები უმაღლეს დონეზეა.

ავერსი საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენებს უსურვებს წარმატებას, გამარჯვებას, ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშვიდეს.

გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!

ალმაშენებლის 148/2

2-967-227

WWW.AVERSI.GE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გია ვოლსკი: „რუსეთთან ურთიერთობების დათბობას არ უნდა ველოდოთ“

EXCLUSIVE

„სააკაშვილი თავისი განცხადებით გაემიჯნა ვანო მერაბიშვილს... ვფიქრობ, რჩევა მისცეს და აუხსნეს, რომ მისი მოქმედებები ხშირ შემთხვევაში სცდება ნორმებს, მათ შორის სამართლებრივ ნორმებს. ახლა მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა, მისი სახელი ვანო მერაბიშვილს უკავშირდებოდეს“

my View

მირიან ბოქოლიშვილი

რას მიიღებს საქართველო სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობით? ეს არის ბოლო დღეების ერთ-ერთი აქტუალური კითხვა. საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, გია ვოლსკი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება ურთიერთობების დათბობას ვერ მოახდენს, თუმცა კიდევ ერთხელ აჩვენებს საქართველოს კონსტრუქციულ მიდგომას საერთაშორისო არენაზე. მმართველი გუნდის წარმომადგენელთან საუბარი აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერების სოჭში ვიზიტის შეფასებით დავიწყეთ.

გია ვოლსკი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე:

– რამდენადაც ცნობილია, ის საპროტოკოლო მომსახურება, რომელიც ოფიციალურ პირებზე ვრცელდება, მათ არ ეხებათ. რასაკვირველია, სასიამოვნო ფაქტი არ არის, მაგრამ ეს ვერ გადაწონის იმ სტრატეგიულ გეგმას, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას აქვს და რომელიც უკავშირდება ეროვნულ უსაფრთხოებას.

– რას გულისხმობთ?

– საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, იდგეს ისეთ ოპტიმალურ მდგომარეობაზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ კონსტრუქციულობის დემონსტრირება და ამავე დროს დავიცვათ წითელი ხაზები, რომელიც უკავშირდება ტერიტორიულ მთლიანობას.

– და რა იქნება თანმხვედრი ნაბიჯები... წითელი ხაზებს რამდენად იცავს რუსეთი ჩვენი კონსტრუქციულობის მიუხედავად?

– ჩვენ გვაქვს ძლიერი და ცალსახა მხარდაჭერა ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, ამიტომ რუსეთს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს შანსი, რომ ილაპარაკოს შესაძლო საფრთხეებზე რომელსაც მას საქართველო უქმნის. გარდა ამისა, საქართველომ მსოფლიოსთვის უნდა მოახდინოს დემონსტრირება იმისა, რომ აქ მშვიდი ვითარებაა და არ დატრიალდება დენთის სუნი. გადაწყვეტილება ოლიმპიადაში მონაწილეობაზე საკმაოდ რთული იყო, თუმცა ის ფასეულობები, რომელსაც ჩვენ ვიცავთ, გაზიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. აქედან გამომდინარე, ბოიკოტის შემთხვევაში შეიძლება დისკრედიტაცია მომხდარიყო იმ საკითხების, რომელზეც ასეთი მხარდაჭერა გვაქვს. და რაც მთავარია – ჩვენ გავითვალისწინეთ დასავლელი პარტნიორების აზრი და ისინი საკმაოდ პოზიტიურად აფასებენ იმ ფაქტს, რომ ბოიკოტი არ გამოვაცხადეთ.

– ანუ ეს არის ურთიერთობების დათბობისკენ გადადგმული მორიგი ნაბიჯი?

– არა, აქ დათბობაზე არ არის საუბარი. რუსეთთან ურთიერთობების დათბობას არ უნდა ველოდოთ. აქ საუბარია ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობაზე და ისეთი ნაბიჯების გადადგმაზე, რომელიც შეგვიქმნის პლატფორმას, ვისაუბროთ პოლიტიკურ პრობლემებზე. ეს ხვალინდელი დღის წესრიგი, ცხადია, არ არის, მაგრამ სრული კონფრონტაცია არ მოგვცემს ასეთი პლატფორმის შექმნის საშუალებას. და რას გვთავაზობს მეორე ალტერნატივა? წავიდეთ ბოიკოტზე? ამას არ ექნებოდა დიდი მოწონება ჩვენს მეგობრებში და დამატებით პრობლემებს შეუქმნიდა საქართველოს მოსახლეობას.

– გავრცელებული ინფორმაცია, რომ შესაძლოა, შედგეს მარგველაშვილი-პუტინის შეხვედრა, რამდენად შეიძლება ახლო პერსპექტივაში რეალობად იქცეს?

– არავითარ შემთხვევაში. დღეს ჩვენ რუსეთთან ურთიერთობებში გვაქვს ჟენევის ფორმატი. გაეროში ჩვენ ჩვენს პოზიციას ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით არ მოვხსნით. გარდა ამისა, არის კარასინი-აბაშიძის დიალოგის ფორმატი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს არ გადაიკვეთება ჟენევის ფორმატთან. პრეზიდენტების შეხვედრა არ შედგება, გამომდინარე იქიდან, რომ ამის არც ადგილია და არც დრო.

– ზაფხულში დაგეგმილია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა... არსებობს თუ არა რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორი, რამაც შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ეს პროცესი?თქვენი ოპონენტები კოალიციის შიგნით გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს მოიაზრებენ ამის ინიციატორად...

– სამწუხაროდ, ჩვენი ოპონენტების მხრიდან, ყველა თემა არის მიბმული მათ პოლიტიკურ ამოცანებთან – შექმნან მაქსიმალური დაძაბულობა რუსეთთან, გამოიყენონ ყველა რესურსი იმისთვის, რომ რუსეთი კიდევ ერთხელ მოქოქონ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. მათი ეს პოზიცია საზიანოა ქვეყნის ინტერესებისთვის. ჩვენი სვლა არის ურყევი ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე და აქ არავითარი სხვა აზრი არ არსებობს. ეს თემა გამოყენებულია პოლიტიკური სპეკულაციის თემად ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ რეალობაში აზიანებს ყველაფერს. როდესაც დასავლურ ფასეულობებზე საუბრობენ ისეთი პირები, რომლებიც ამართლებენ ადამიანების მიმართ ისეთ დამოკიდებულებას, როგორიც მათი ხელისუფლების დროს არსებობდა, ბუნებრივად უწევენ დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციას. ეს არის მიზანმიმართული მცდელობა, რომ საქართველოს მთავრობას შეუქმნან პრობლემები, როგორც ევროინტეგრაციის გზაზე, ისე რუსეთთან ურთიერთობების დალაგების კუთხით. უამრავი დეზინფორმაცია გადის მათი მხრიდან, მაგრამ სასიხარულოდ დასავლელი პარტნიორები ამ სიცრუეს უკვე აღარ იღებენ, და ეს ბოლო შეხვედრებმაც დაადასტურა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ოპონენტები მხოლოდ დესტრუქციულ ძალას წარმოადგენენ, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ მოქმედებენ.

– მიხეილ სააკაშვილი საქართველოს შიდაპოლიტიკურ საკითხებზე საუბარს თავს არიდებს... როდესაც მას ჰკითხეს ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით გავრცელებულ სკანდალურ კადრებზე, მისი პასუხი იყო ის, რომ ის შიდა პოლიტიკაში აღარ ერევა... რას უნდა ნიშნავდეს სააკაშვილის გამიჯვნა ქართული პოლიტიკისგან?

– ის თავისი მოქმედებებით გაემიჯნა იმ პრინციპებს, რასაც დასავლეთი გვკარნახობდა. მან დაანგრია სამშვიდობო სტრატეგია, რომელიც დასავლეთის ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერით მიდიოდა. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილისადმი დამოკიდებულებას, სააკაშვილი თავისი განცხადებით გაემიჯნა ვანო მერაბიშვილს, ვინაიდან მიხვდა, რომ სისხლიანი შლეიფი აქვს. ვფიქრობ, რჩევა მისცეს და აუხსნეს, რომ მისი მოქმედებები ხშირ შემთხვევაში სცდება ნორმებს, მათ შორის სამართლებრივ ნორმებს. შესაძლოა, ახლა გადაფასებას აკეთებს თავის თავში, მიხვდა, რაც ჩაიდინა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისი სახელი ვანო მერაბიშვილს უკავშირდებოდეს.

ნანა შონია

გასულ კვირას, ბრიუსელში, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად ოფიციალურ შეხვედრებს საგარეო უწყების ხელმძღვანელი მაია ფანჯიკიძეც მართავდა. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები ევროკომისიის, ევროსაბჭოს და ნატოს წარმომადგენლებთან შედგა. ყველა შეხვედრაზე დაფიქსირდა საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკური სტრუქტურების მიმართ და კიდევ ერთხელ იქნა განხილული ის შესაძლო საფრთხეები, რომელსაც საქართველო რუსეთისგან უახლოეს პერიოდში უნდა ელოდოს. რა საფრთხეებია მოსალოდნელი ჩრდილოელი მეზობლისგან და როგორია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიცია სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით? ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ესაუბრა:

- საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრები გვქონდა ევროკავშირის მაღალი რანგის პირებთან - ფულესთან, ბაროზოსთან, რომპოისთან, საშინაო საქმეთა ევროკომისართან მალმსტრომთან და ენერგოსაკითხებში ევროკომისარ ოტინგერთან. განვიხილეთ საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ყველა პრიორიტეტული საკითხი, მათ შორის მიმდინარე წელს დასახული გეგმები. მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს მზაობა ასოცირების შეთანხმებას შეძლებისდაგვარად მოკლე დროში მოეწეროს ხელი. მნიშვნელოვანია ის, რაც ბატონმა ფულემ თქვა, რომ უკრაინასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ იმის გარანტია, რომ ასოცირების ხელშეკრულება არის ნაბიჯი ევროკავშირის წევრობის გზაზე. საქართველოს სირვილია გახდეს ევროპის ამ დიდი ოჯახის წევრი.

ბრიუსელში ასევე გაიმართა შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივან ანდრეს ფოგ რასმუსენთან. გენერალურმა მდივანმა გაკეთა განცხადება, სადაც კიდევ ერთხელ დაგმო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე რუსეთის არალეგალური ქმედებები, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და ხელოვნური ბარიერების აღმართვა. როგორც რასმუსენმა აღნიშნა, 21-ე საუკუნეში უნდა ხდებოდეს ხიდების მშენებლობა და არა მავთულხლართების გაბმა. ეს იყო საქართველოს მიმართ ალიანსის მხრიდან გამოხატული დიდი მხარდაჭერა. შეხვედრაზე ასევე ხაზი გაესვა რუსეთის მხრიდან მდ.ფსოუზე საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში 11 კილომეტრით უსაფრთხოების ზოლის შექმნას, გამოითქვა იმედი, რომ უსაფრთხოების ეს ხაზი გაუქმდება ოლიმპიადის დასრულებისთანავე. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთაშორისო თანამეგობრობას ძალიან მკაცრი რეაქცია ექნება რუსეთის ამ ქმედებაზე. გენერალურ მდივანთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გაიმართა, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, რომელსაც გენერალურ მდივანთან ერთად ნატოს წევრი სახელმწიფოების 28 ქვეყნის ელჩი დაესწრო. კომისიის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ხაზი გაუსვა საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს და გამოითქვა იმედი, რომ ეს პროგრესი ადეკვატურ ასახვას ჰპოვებს საქართველოს ნატოში შემდგომი ინტეგრაციის თვალსაზრისით. თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს ნატო-ს წევრი ქვეყნების ელჩებმა. მათი მხრიდან ხაზი გაესვა საქართველოში გატარებულ რეფორმებსა და ხელისუფლების მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს. საქართველომ ძალიან ბევრი ასპექტით დაიმსახურა შექება ალიანსის მხრიდან.

სხვა შეკითხვები არ ყოფილა. განვიხილეთ უკრაინის მოვლენები და მოხდა იმ საფრთხეების გაანალიზება თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის გზაზე. რა არის ის მოსალოდნელი საფრთხეები, რასაც უნდა ველოდოთ ოლიმპიადის შემდეგ ხელშეკრულების ხელმოწერამდე. ნატოში განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი და მოინონეს საქართველოს კონსტრუქციული

„ჩემთვის არის კარგი სიმბოლო, რომ რუსეთში, სოჭში, ფრიალებდეს ქართული დროშა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინტერვიუ მაია ფანჯიკიძესთან

მაია ფანჯიკიძე:
„არსებობს გარკვეული მონახაზი, თუ რა საფრთხეებს შეიძლება ველოდოთ რუსეთისგან და როგორი შეიძლება იყოს ჩვენი და საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია ამ ყველაფერზე“

„არც ევროკავშირში და არც ნატოში ეს შეკითხვები არ დასმულა. შეხვედრებზე უბრალოდ, ხაზი გაესვა იმას, რომ სასამართლო პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული, რაც ისედაც ხდება“

„ვერავინ და ვერაფერი შეუშლის ხელს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას“

„პრემიერის აშშ-ში ვიზიტთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს“

პოლიტიკა რუსეთის მიმართ. მადლობაც გადაგვიხადეს ამ ყველაფერისთვის და გვთხოვეს ამავე სულისკვეთებით გაგვეგრძელებინა ურთიერთობა. ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ 2014 წლის ნატოს სამიტზე უნდა მოხდეს საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის ადეკვატური ასახვა.

- როდესაც უშუალოდ რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე ვსაუბრობთ, თუ შეგვიძლია ვთქვათ, რა ტიპის საფრთხეებს შეიძლება ველოდოთ და თუ არსებობს გარკვეული გეგმა, რომელსაც ხელისუფლება ამ ყველაფერს დაუპირისპირებს?

- ამ საკითხზე მუშაობა და ამ მიმართულებით არსებული რისკ-ფაქტორების შესწავლა აქტიურად მიმდინარეობს, მსგავსი საკითხები არ ექვემდებარება საჯარო დისკუსიას. ბევრი უწყებაა ჩართული აღნიშნულ პროცესში, გარდა ამისა ჩვენ გვეხმარებიან ჩვენი პარტნიორები. არის გარკვეული მონახაზი იმისა, თუ რას შეიძლება ველოდოთ და როგორი შეიძლება იყოს როგორც ჩვენი, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია.

- ამბობენ, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოწინააღმდეგეები შესაძლოა, კოალიცია „ქართული ოცნების“ შიგნითაც გამოუჩნდეს, რამდენად შესაძლებელია იყოს აზრთა სხვადასხვაობა კოალიციაში ამ საკითხის ირგვლივ?

- საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი რომ არის, ეს „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ დეკლარაციაშიც განისაზღვრა. ამ დეკლარაციას ხელი მოაწერა კოალიციაში შემავალმა ექვსივე პარტიამ. ეს არის მიზანი, რომელსაც ემხრობა საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი. შესაბამისად, ვერავინ და ვერაფერი შეუშლის ხელს ამ მიზნისაკენ სწრაფვას და შესაბამისად ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას. ჩვენ ხელს მოვაწერთ ასოცირების შეთანხმებაზე, მანამ, სანამ დოკუმენტის რატიფიცირებას მოხდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტებში, შესაძლებელია, მოხდეს მისი 60-70%-ით ამოქმედება. ამას სჭირდება მომზადება. მოსამზადებელი სამუშაოებისთვის ევროკავშირს აქვს კონკრეტული გეგმა და ჩვენ ამ ყველაფერს ერთობრივად განვახორციელებთ.

- რაც შეეხება ყოფილი ხელისუფლებულებებზე დაფუძნებული, რაც ისედაც ხდება. ერთადერთი შეკითხვა ამ საქმეებთან დაკავშირებით დაისვა პრემიერის საჯარო გამოსვლის დროს ეგმონტის საერთაშორისო ინსტიტუტში. ამით პრემიერს მიეცა შესაძლებლობა კარგად აეხსნა დაინტერესებული საზოგადოებისთვის თუ რა ხდებოდა სამართლებრივ საქმეებთან მიმართებაში, კონკრეტული გვარების, სახელების, ფაქტების დასახელებით. ეს იყო ძალიან კარგი შესაძლებლობა, რომ დაინტერესებული საზოგადოებისათვის მიეწოდებინათ ის ობიექტური ინფორმაცია, რაც მათ უნდა ჰქონდეთ და ვფიქრობ, რომ ამომწურავი პასუხებიც მიიღეს.

- სოჭის ოლიმპიადაზე მინდა გკითხოთ, რადგანაც ეს ბოლო დღეების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. ოლიმპიადის გახსნაზე აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების მკაფიოდ არ აღნიშვნამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილი თვლის, რომ ეს იყო პროვოკაცია და ქართველი სპორტსმენები იქ არ უნდა წასულიყვნენ...

- მე ვთვლი, რომ ქართველი სპორტსმენები ამ ოლიმპიადაზე უნდა წასულიყვნენ და უნდა გამოსულიყვნენ ქართული დროშის ქვეშ. ვთვლი, რომ კარგია თუ სოჭში ფრიალებს საქართველოს დროშა, რატომღაც ეს ბევრს არ მოეწონა, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს არ არის დრამატული. ქართველ სპორტსმნებს ვერ დავუწუნებ იმას, რომ ისინი სწორედ ქართული დროშის ქვეშ გამოდიან თამაშებზე. ჩემთვის ეს არის ძალიან კარგი სიმბოლო, რომ რუსეთში, სოჭში, ფრიალებდეს ქართული დროშა. მინდა ჩვენს სპორტსმენებს ვუსურვო წარმატება, ოლიმპიური მედლები და თუ ისინი მიაღწევენ ამ წარმატებას, გამიხარდება, თუ ქართული დროშა მათი გამარჯვენის ნიშნად კიდევ ერთხელ აღიმართება სოჭის ოლიმპიურ სცენაზე. ეს კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იყო ოლიმპიური კომიტეტის მიერ გუნდის ოლიმპიადაზე წასვლასთან დაკავშირებით. რაც შეეხება რუკასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს, სოჭის ოლიმპიადის ოფიციალურ ვებ-გვერდზე საქართველოს რუკა ისეთი იყო როგორიც ის არის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებში - ერთიანი, მთლიანი. ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამიტომაც მე იქ დანარჩენს ვერაფერს პროვოკაციად ვერ ჩავთვლი.

- დე-ფაქტო სამხეთ ოსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლები ლეონიდ თიბილოვი და ალექსანდრ ანქვაბი იყვნენ და დაესწრნენ სოჭის ოლიმპიადის გახსნას, როგორ შეიძლება ეს აღქმულ იქნას ხელისუფლების მხრიდან?

- ნებისმიერ ადამიანს შეუძლია სოჭში ჩავიდეს, თუ მას აქვს შესაბამისი ვიზა და ბილეთი. კერძო პირის კერძო ვიზიტს მე ვერ შევაფასებ, რადგანაც ოფიციალურად ისინი არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტეტის მიერ და არც რუსეთის ხელისუფლების მიერ მიწვეულები არ ყოფილან. დე-ფაქტო ლიდერების არაოფიციალურ მოქმედებებზე მე ოფიციალური რეაქცია ვერ მექნება. თუ არაოფიციალურად, ვიღაცის კერძო და პირადი ინიციატივით რაღაცა ისეთი მოხდება, რაც ჩვენ არ მოგვეწონება, ეს მიმაჩნია, რომ სახელწიფოს მხრიდან მძაფრი და ოფიციალური რეაგირების ღირსი არ არის.

- თქვენ წარმატებული ვიზიტები ახსენეთ ევროპაში, ყოველთვის ისმის კითხვები პრემიერის ამერიკაში ვიზიტთან დაკავშირებით. დაახლოებით როდისთვის შეიძლება ველოდოთ ამ ვიზიტს?

- ამერიკის შეერთებულ შტატებში პრემიერის ვიზიტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. ამ ეტაპზე გარკვეული სამუშაოები დასრულებული არ არის. ეს ორმხირივი საკითხია და ამიტომაც მოლაპარაკებების დამთავრებამდე კომენტარისგან თავს შევიკავებთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ORBELI ორბელი

ერისთავის ქ. N1

ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13

ORBELI ორბელი

100 ლარიანი

ვაუჩერი ორბელისგან

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან ბერძენიშვილი: „ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ჩვენს რიგებში იპოვიან ვიღაცას, ვინც ევროპის წინააღმდეგი იქნება“

„საქართველოს პარლამენტში 150 კაცია, აქედან 140 მაინც დაუჭერს მხარს ხელმოწერას და ვიღაც შეიძლება მარგინალურ გზას დაადგეს და ეს მათი არჩევანი იქნება“

EXCLUSIVE

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

სოჭის ოლიმპიადისთვის რუსეთი დიდხანს და საფუძვლიანად ემზადებოდა. რამდენად მომზადებული შეხვდა სოჭი ამ ოლიმპიადას, ამაზე მსოფლიო მედია ლაპარაკობს, თუმცა პუტინისთვის სპორტული შეჯიბრებების გამართვა პირადი იმიჯის საკითხი იყო. მისი დასრულების შემდეგ კი რუსეთი თავისი ხელმძღვანელობით ნამდვილად მოიცლის სხვა საკითხებისთვის და მათ შორის საქართველოსთვისაც. მით უფრო მაშინ, როდესაც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე თვეებიღა რჩება.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ღიად საუბრობენ მოსალოდნელ საფრთხეებზე, რომლის ორგანიზებაზეც რუსეთი პირადად იზრუნებს. ასეთ საფრთხეებში პოლიტიკოსები, პირველ რიგში, ბუნებრივია, ანტიევროპული ძალების გააქტიურებას გულისხმობენ. ბუნებრივია, პრორუსული ძალების პირდაპირ დასახელებას არავინ ჩქარობს, თუმცა ყველამ ვიცით ნინო ბურჯანაძის მისწრაფებები. ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, პრორუსული პოლიტიკური ძალების მაქსიმუმი 10%-იანი რეიტინგია და თვლიან, რომ ეს ციფრი დანარჩენ 90%-ს ვერაფერს დააკლებს. თანაც ბურჯანაძისა და მისი მომხრეების ადგილი ქუჩაშია. ქუჩიდან გამართული ბრძოლის არც უმრავლესობას და არც ხელისუფლებას არ ეშინია, თუმცა თავად ბერძენიშვილივე აღიარებს, რომ მარგინალიზაციის გზას შეიძლება პარლამენტში მყოფი ძალების ნაწილიც დაადგეს. მისი განცხადებით, ასოცირების ხელშეკრულებას 150 დეპუტატიდან მაქსიმუმ 140 დაუჭერს მხარს. დარჩენილ 10 დეპუტატში მარტივი გასარკვევია, ვინც იგულისხმება. მრეწველებიდან ანტიევროპულ განცხადებებს მისივე ლიდერები აკეთებენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ლევან პირველზე, რომელიც ევრაზიის ნომერ პირველი მხარდამჭერია...

ლევან ბერძენიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– ჩვენ უნდა მოვაწეროთ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, ეს არის ჩვენი მიზანი და ამოცანა. ჩვენ წინასწარ ვიცით, ვინ იქნება ეს და როგორ შეუშლის ხელს. ამიტომ ჩვენ წინასწარვე ვართ მზად, შესაბამისად, ჩვენ ველოდებით გართულებებს, მაგრამ ასევე ვიცით გზები, როგორ უნდა დავძლიოთ ეს პრობლემები. ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ჩვენს რიგებში იპოვიან ვიღაცას, ვინც ევროპის წინააღმდეგი იქნება, თუმცა საქართველოში ძალიან დიდია ევროპის მომხრეთა ციფრი, შესაბამისად, ეს ბრძოლა უთანასწორო იქნება და აუცილებლად გავიმარჯვებთ.

– ხელისშემშლელებში ვის გულისხმობთ, თქვენი რიგებიდან იქნებიან ასეთები?

– ჩვენს რიგებში არ ვგულისხმობ კოალიციის წევრებს, ვიგულისხმე მოსახლეობის ის 20%, რომელსაც ხმა არ მიუცია ევროპისთვის და ასევე, ვიგულისხმე ადამიანები, რომლებიც რუსეთის დროშებით დარბიან საქართველოში და რუსეთის პრეზიდენტის ტექსტებით ლაპარაკობენ. ასეთი ხალხი, ბუნებრივია, არის საქართველოში, მაგრამ ისინი ღრმა უმცირესობაში არიან.

– მართალია, ღრმა უმცირესობაში არიან, მაგრამ ისინი საკუთარ დამოკიდებულებას ღიად აფიქსირებენ...

– მათი პოპულარობა არის არაუმეტეს 10%-ისა. სამაგიეროდ 90%-80% ევროპის მომხრეა.

– იმ შემთხვევაში, როცა რუსეთი უჭერს მათ მხარს და ცდილობს, გააააქტიუროს, პროცენტებს მნიშვნელობა აქვს?

– საქართველოში არასოდეს მოხდება ის, რომ 10%-მა 90% დაამარცხოს, გინდა რუსეთი დაეხმაროს და გინდა მთელი მსოფლიო. ამიტომ ამ თვალსაზრისით ჩვენ არ ველით რაიმე გართულებას, თუმცა ვამბობ, რომ გარკვეული პრობლემები შეიძლება იყოს.

– კოალიციის სუბიექტებიდან არ ელით ასეთ პრობლემებს? მაგალითად, მრეწველებისგან?..

– გამოვრიცხავ, რადგან კოალიციას აქვს განცხადება გაკეთებული, რის საფუძველზეც ერთობა შეიქმნა. ევროინტეგრაცია არის მთავარი ამოცანა და კოალიციაში შემავალ ყველა პარტიას ხელი აქვს მოწერილი ამ დოკუმენტზე. თუკი ვინმეს რაიმე, განსაკუთრებული, გამორჩეული აზრი აქვს, ეს ვერაფერს ვერ შეცვლის. ასეთ სუბიექტს მოუწევს კოალიციიდან გასვლა და ის პარლამენტში ძალიან ღრმა უმცირესობაში აღმოჩნდება. ხელმოწერის მომხრე არის არა მარტო უმრავლესობა, არამედ უმცირესობაც.

– ღრმა უმცირესობაში მრეწველები არიან?

– უმრავლესობის მოსაზრება ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტში 150 კაცია, აქედან 140 მაინც დაუჭერს მხარს ხელმოწერას და ვიღაც შეიძლება მარგინალურ გზას დაადგეს და ეს მათი არჩევანი იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში ხელმოწერას სერიოზული პრობლემა არ შეექმნება.

– რა ტიპის საფრთხეებს ელით?

– არა მგონია პოლიტიკური მიმართულებით შეიქმნას საფრთხე, საფრთხე იქნება უფრო საზოგადოებრივი მიმართულებით, მაგრამ ჩვენ დაგეგმილი, გააზრებული და მოფიქრებული გვაქვს თითოეული ნაბიჯი, როგორ უნდა ავიცილოთ საფრთხეები თავიდან. ბუნებრივია, არ ვიტყვი, საიდან ველოდებით საფრთხეს, რომ არ დავეხმაროთ მოწინააღმდეგეს. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ყველა შემთხვევაში მოვაწერთ ხელს და ეს იქნება მაქსიმალურად მალე.

– არასაპარლამენტო ოპოზიცია ბრალს გდებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსად იქცევით და ცდილობთ, ყველა პოლიტიკურ ძალას ყველანაირი გზა მოუჭრათ...

– ჩემთვის არ არის საარჩევნო საკითხები მნიშვნელოვანი. 40% და 50% დაახლოებით ერთნაირი მგონია. ვიღაცას ჰგონია, რომ ამით ქვეყანა იქცევა, ნაციონალები ამბობენ, რომ არც ერთი პროცენტი არ არის საჭირო. პირადად მე კი მგონია, რომ ეს პრობლემები თითიდან არის გამოწოვილი. ძალიან არასერიოზულია, არ ვფიქრობ, რომ, თუ კახა კუკავა არ მოიგებს არჩევნებს, საქართველო დაიღუპება. რაშიც უნდათ, იმაში დაგვდონ ბრალი, მასე მეც შემიძლია, კუკავას ბრალი დავდო იმაში, რომ ის ატარებს რუსეთის პოლიტიკას, მას არ მოსწონს ბიძინა ივანიშვილი და მოსწონს პუტინი, ნუ მალაპარაკებთ ამაზე. ეს არ არის ის ძალა, რომელზეც ჩვენ უნდა დავიხარჯოთ.

„ჩვენ წინასწარ ვიცით, ვინ იქნება ეს და როგორ შეუშლის ხელს. ამიტომ ჩვენ წინასწარვე ვართ მზად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სანდრო ბარათელი

ქართველი ფერმერები დოვლათის გაორმაგებას ელიან

EXCLUSIVE

ჯერ კიდევ გასულ წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების პროექტი“ წამოიწყო, რომელიც მცირემიწიან ფერმერთა საქმიანობის სტიმულირებას ისახავდა მიზნად. 2014 წლის პირველი თებერვლიდან პროექტი გაგრძელდა. წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, წელს 800 ათასი ბენეფიციარი მიიღებს სახელმწიფო დახმარებას.

ვინ და რატომ მიიღებს სახელმწიფოსგან დახმარებას? როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ბენეფიციარები იქნებიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 1.25 ჰექტარის ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ფერმერები, მიწის ფართობის მიხედვით, დაიყოფიან ორ კატეგორიად და მიიღებენ სხვადასხვა ოდენობის სარგებელს. ფერმერები, რომელთაც გააჩნიათ 0,25 ჰა-მდე ფართობის მიწის ნაკვეთი და ფერმერები, რომელთაც აქვთ 0,25 ჰა დან 1,25 ჰა-ის ჩათვლით ფართობის მიწის ნაკვეთები. 0,25 ჰექტარამდე მიწათმფლობელები მიიღებენ აგრობარათს, სადაც 50 ლარის ეკვივალენტის ქულა იქნება დარიცხული, რომელსაც სასუქისა და პესტიციდებისთვის გამოიყენებენ. რაც შეეხება ჰექტარზე 140 ლარის ღირებულების სარგებელს, ხვნა-თესვის სამუშაოს სახით მიიღებენ.

გლეხებმა, წლების განმავლობაში მიტოვებული მიწის დამუშავება დაიწყეს. „პრაიმტაიმი“ ამ პროექტში ჩართულ ბენეფიციარებს დაუკავშირდა.

ზვიად ლომიძე, სოფელ კალაურის მკვიდრი:

– დაახლოებით 3000 კვადრატული მიწის ნაკვეთი მაქვს. ამ ფართობში, 120-ლარიანი ვაუჩერი გადმომეცა, რითაც მიწას დავამუშავებ.

– მანამდე როგორ ამუშავებდით?

– მანამდე დახმარებას არავინ გვიწევდა, შესაბამისად, 10 წელია, რაც მიწა არ დამიმუშავებია. აქცენტი ვენახზე მქონდა გაკეთებული, რომელსაც შეძლებისდაგვარად, ჩემი სახსრებით ვაკეთებდი. თქვენ იცით, რომ კახელები ძირითადად ვენახით ვსულდგმულობთ, მაგრამ ბოლო პერიოდში ამის სტიმულიც აღარ გვქონდა. დაუმუშავებელ მიწებზე ხომ საერთოდ აღარ ვფიქრობდით. რამდენიმე წლის წინათ აქ, ჩვენთან ვენახების გაჩეხა დაიწყო. შარშანდელმა წელმა კი

„მანამდე დახმარებას არავინ გვიწევდა, შესაბამისად, 10 წელია, რაც მიწა არ დამიმუშავებია. აქცენტი ვენახზე მქონდა გაკეთებული, რომელსაც შეძლებისდაგვარად, ჩემი სახსრებით ვაკეთებდი. თქვენ იცით, რომ კახელები ძირითადად ვენახით ვსულდგმულობთ, მაგრამ ბოლო პერიოდში ამის სტიმულიც აღარ გვქონდა. დაუმუშავებელ მიწებზე ხომ საერთოდ აღარ ვფიქრობდით“

იმედი დაუბრუნა გლეხს, რომელიც უკვე გადაწურული ჰქონდათ. მეორე წელია, ვაზი ჩაყარეს. შარშანწინ დასეტყვილ ვენახზე გლეხმა საკმაოდ დიდი ფულადი კომპენსაცია მიიღო. ყურძნის ფასიც ისეთი მაღალი იყო, რომ ხალხს ახალი ვენახის გაშენების სურვილი გაუჩნდა. თუ ადრე ვაზის ნერგი 30-40 თეთრი ღირდა, ახლა უკვე 1,60-ზე და ორ ლარზეა ასული. გვპირდებიან, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო კარგი პირობები გვექნება. ყველაფერი რომ უკეთესობისკენ მიდის, ფაქტია, მომავალს იმედის თვალით ვუყურებთ. რომ არა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეს პროექტი, ამ მიწას, ვინ იცის, რამდენი წელი ვერ დავამუშავებდი. სტიმული მომეცა, რომ გაჩერებული მიწა დავამუშაო და რაღაც დავთესო.

– რის დათესვას აპირებთ?

– ალბათ, სიმინდს მოვიყვან. გვითხრეს, რომ პროექტის ფარგლებში სამინისტრო შხამქიმიკატებითა და პესტიციდებითაც დაგვეხმარება.

ჯემალ ღარიბაშვილი სოფელ ვაზისუბანის მკვიდრი:

– ჰექტარსა და 33 მეასედის მიწის ნაკვეთს ვფლობ. წლების განმავლობაში მხოლოდ მის ნაწილს ვამუშავებდი. არც შესაძლებლობა მქონდა და არც იმის იმედი, რომ მოყვანილ ბოსტნეულს ნორმალურ ფასში გავყიდდი. ამ ვაუჩერებით, მიწას დავამუშავებთ. ეს პროექტი ძალიან დიდი შეღავათია მათთვის, ვინც მიწაზე მუშაობს. პატარა ბავშვივით, შინაგანად დიდ სიხარულს განვიცდი. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას თავისი სარჩო-საბადებელი ექნება. ეს არის ძალიან დიდი ხელშეწყობა იმ ადამიანებისთვის, ვისაც მიწასთან შეხება აქვს და უნდა, რომ რაღაც შექმნას ამ დალოცვილ მიწაზე. მით უმეტეს, პატრიარქის კურთხევაა, რომ, რაც არ უნდა დიდ საქმეს მოეჭიდოთ, პატარა მიწის ნაკვეთი იქონიეთ, მან უნდა გადაგარჩინოთო. მე ამ კურთხევით ვამუშავებ მიწას და ძალიან ბედნიერი ვარ. წინა წლებში, ყველამ კარგად იცის, რომ სოფელი ჩამკვდარი იყო, ახლა უკვე გამოჩნდა ნათელი წერტილი. დიდი იმედი მაქვს, მომავალში უფრო დაიხვეწება და უფრო მეტი დახმარება წამოვა. სტიმული უკვე გვაქვს, ახლა მთავარია, მოვინდომოთ და ყველაფერი კარგად იქნება ღვთის წყალობით.

– როგორც თქვენ ამბობთ სოფელში გამოცოცხლება იგრძნობა...

– აშკარად გამოცოცხლდა სოფელი, ახლა მთავარია, რაღაცას რომ მოიყვან, სანერვიულო არ გქონდეს, როგორ მოახდინო მის რეალიზაცია. გულდასაწყვეტი იცით, რა არის? ადამიანმა, რომელიც წლების გა-

„რომ არა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეს პროექტი, ამ მიწას, ვინ იცის, რამდენი წელი ვერ დავამუშავებდი. სტიმული მომეცა, რომ გაჩერებული მიწა დავამუშაო და რაღაც დავთესო“

„ეს პროექტი ძალიან დიდი შეღავათია მათთვის, ვინც მიწაზე მუშაობს. პატარა ბავშვივით, შინაგანად დიდ სიხარულს განვიცდი. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას თავისი სარჩო-საბადებელი ექნება. ეს არის ძალიან დიდი ხელშეწყობა იმ ადამიანისთვის, ვისაც მიწასთან შეხება აქვს და უნდა, რომ რაღაც შექმნას ამ დალოცვილ მიწაზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სტიმული უკვე გვაქვს, ახლა მთავარია, მოვინდომოთ და ყველაფერი კარგად იქნება ღვთის წყალობით“

„პრაიმტაიმის“ სპეციალური რეპორტაჟი კახეთიდან

„იმის გამო, რომ არ მქონდა საშუალება, სულ არ ვფიქრობდი ამ მიწის ნაკვეთის დამუშავებას. ახლა უკვე სხვანაირი ხალისი და მომავლის იმედია“

„ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ქვეყანას სოფლის მეურნეობა ააღორძინებს. იმ პატარა მიწას, ვისაც კი გაგვაჩნია, მოვლა და პატრონობა უნდა. აქედან მოდის ყველაფრის კულტურა, მიწის სიყვარულიც კი“

ნმავლობაში წვალობდა და ვერაფერი მოინაგრა, სოფელი მიატოვა და თბილისში წავიდა. ქართველი კაცის ხასიათსა და გენში მიწის სიყვარული დევს, რაც არ უნდა განელდეს.

მანანა ბეროშვილი სოფელ ნუკრიანის მკვიდრი:

– ეს არის პროექტი, რომლითაც სოფელში მცხოვრები ადამიანი პატარა მიწის ნაკვეთის დამუშავებას შეძლებს. გახარებულები ვართ ყველა, დიდი თუ პატარა. გვიხარია, რომ სახელმწიფომ სოფლის დახმარება დაიწყო, რაც მომავალში ქალაქში საცხოვრებლად წამსვლელთა რიცხვი შემცირდება. სოფელი აღარ დაცარიელდება და გლეხს იმის საშუალება ექნება, რომ თავისი სარჩო-საბადებელი ჰქონდეს.

– თქვენ რა ფართობის მიწის ნაკვეთს ფლობთ?

– 35 მეასედი მაქვს, რომელსაც მალე დავამუშავებ. ადრე ძირითადად მზესუმზირა მომყავდა, ახლა ისევ დავთესავ. თუ ამინდებმაც შეგვიწყო ხელი, ალბათ, შრომა წყალში არ ჩაგვეყრება.

– წინა წლებში თუ ამუშავებდით ამ მიწის ნაკვეთს?

– დაახლოებით სამი წელია, რაც ვეღარ ვამუშავებდი. ყველაფერი თანხებთან იყო დაკავშირებული, შვილო, რის საშუალებაც არ მქონდა. სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილი ეს გულისხმიერება, დიდი შეღავათია გლეხისთვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ამ პროექტისთვის, რადგან სოფელში მცხოვრებ ადამიანს მომავლის იმედი დაუბრუნა. იმის გამო, რომ არ მქონდა საშუალება, სულ არ ვფიქრობდი ამ მიწის ნაკვეთის დამუშავებას. ახლა უკვე სხვანაირი ხალისი და მომავლის იმედია.

კობა კობახიძე, სოფელ კრწანისის მკვიდრი:

– მე პირადად თბილისში ვცხოვრობ, გარდაბანში აგარაკი მაქვს. ახლა უფრო ხშირად ჩავალ, ვიდრე მანამდე. დავთესავ რომელიმე კულტურას და მოვუვლი. იმ ადამიანისთვის, ვისაც გენში აქვს მიწის სიყვარული, ეს პროექტი დიდი ბიძგია, რომ რაღაც შექმნას და მოუაროს. ყველას თუ არა, ბევრს გვაქვს სოფელი, სოფელი თუ არა აგარაკი მაინც. ჩადი, მოუარე, დაბარე, რამე დათესე, შვილი ჩაიყვანე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით გამოკვებე... ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ქვეყანას სოფლის მეურნეობა ააღორძინებს. იმ პატარა მიწას, ვისაც კი გაგვაჩნია, მოვლა და პატრონობა უნდა. აქედან მოდის ყველაფრის კულტურა, მიწის სიყვარულიც კი. 6 მეასედი მიწის ფართობი მაქვს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მთლიანად ვერ ვამუშავებდი. ახლა მეძლევა საშუალება და მთლიანად დავამუშავებ. შარშან ნერგები და რამდენიმე ვაზი დავრგე, ჩავდივარ და ვუვლი. წელს უფრო ხშირად მომიწევს ჩასვლა. დავთესავ და კიდევ ჩავყრი ხეხილის ნერგებს, ასე ნელ-ნელა გავალამაზებ ადგილს. გაიზრდება ხეხილი და წლების შემდეგ, ჩემი შვილი თავის შვილს ეტყვის, რომ ეს ხე მამამისმა დარგო.

თამაზ ბერიძე სოფელ ბარეთის მკვიდრი:

– ჩვენთან, სოფელში, დიდი ხნის დაუხვნელი მიწებია. ჩვენი გამოცოცხლება შარშან დაიწყო და წელს, ამ პროექტის ფარგლებში, უკვე მეორედ ვამუშავებთ მიწას. ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი მაქვს, შარშან კარტოფილი მქონდა დათესილი და წელსაც კარტოფილს დავთესავ.

– წინა წლებში რა ხდებოდა?

– მაგალითად, შარშანწინ მხოლოდ ორი-სამი ჰექტარი ნაკვეთი მუშავდებოდა. გასულ წელს 80-მდე ჰექტარი მიწა დამუშავდა, იმედი გვაქვს, რომ კიდევ უფრო გაიზრდება ეს რიცხვი. ისეთ ფასებთან იყო დაკავშირებული მიწის დამუშავება, რომ კარტოფილის დათესვასაც არ ჰქონდა აზრი. ხარჯს ვერ ასწორებდა. ახლა, როცა ადგილს სახელმწიფოს დახმარებით ვამუშავებთ და გაზაფხულზე სასუქსაც სახელმწიფოს დახმარებით შევიტანთ, დიდი შეღავათია, შვილო. დიდი გაჭირვება იყო, ახლა ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის და გვჯერა, რომ მომავალშიც განაგრძობს სახელმწიფო ჩვენს დახმარებას, რადგან სოფელში მაცხოვრებლები იმედიანად ვიყოთ.

თინათინ ხაჟომია, სოფელ მარტყოფის მკვიდრი:

– 1,02 მეათედი ჰექტარი მიწის ნაკვეთი მაქვს, რომელიც მამისგან მერგო. 90-იან წლებში, როდესაც მამაჩემმა ეს მიწა მიიღო, საქონლისთვის მარცვლეულ კულტურას ვთესდით. დაახლოებით ხუთი წელია, არაფერი მოგვიყვანია ამ მიწაზე. ჩვენთან მოსახლეობა მიწაზე მოყვანილი პროდუქტით სულდგმულობს. აქამდე, შეძლებისდაგვარად, ვისაც საშუალება ჰქონდა, ის ამუშავებდა ადგილს. სახელმწიფოს დახმარებით წელს ყველა, ვისაც მცირე მიწის ნაკვეთი აქვს, დაამუშავებს და ცოტას ამოისუნთქავენ. დიდი შეღავათია ჩვენთვის ეს დახმარება და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თქვენი გაზეთის მეშვეობით სოფლის მეურნეობის მინისტრს, რომელმაც სოფლის აღორძინება დაისახა მიზნად. მთელი სოფელი გახარებულია, ყველას იმედი გაუჩნდა.

როგორ მიმდინარეობს მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი და რა დახმარებას მიიღებენ გლეხები წელს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ ზრუნავს კეზერ ემიჯნება მერაბიშვილ

ყოფილი პრეზიდენტისა და მინისტრების ურთიერთობის ანატომია

მარიამ ნადირაძე

იმ დროს, როდესაც სამშვიდობოზე გასული მიხეილ სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავისი თანაგუნდელი და მეგობარი, დავით კეზერაშვილი ფრანგული სამართლის წინაშე უცოდველ კრავად და პოლიტიკური დევნის მსხვერპლად წარმოაჩინოს, მეორე მხრივ, ემიჯნება ადამიანს, რომელიც წლების განმავლობაში მისი რეჟიმის ხერხემლად და ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა. ყოფილი პრეზიდენტის მიერ ვანო მერაბიშვილის „ორი გვამის ისტორიაზე" გაკეთებულმა კომენტარმა, – გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები არსებობს, ვიდრე ეს საქმეო, – საზოგადოების სხვადასხვა წრეებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მთავარი კითხვა ასე გამოიყურება: ხომ არ დაიბანა მიშამ ხელები ვანოს საქმეზე?

მათი ურთიერთობის შესახებ „პრაიმტაიმთან" საუბრისას ძალიან საინტერესო აქცენტებს აკეთებს პეტრე მამრაძე, თუმცა სანამ ამ ურთიერთობის ანატომიის განხილვას შევუდგებოდეთ, მკითხველს ზოგიერთ ისეთ დეტალს გავახსენებთ, რომელიც აუცილებლად გამოადგება დასკვნების გაკეთებისთვის.

დაახლოებით ერთი თვის წინ მასობრივი ინფორმაციის თითქმის ყველა საშუალებამ აიტაცა მიხეილ სააკაშვილის ცნობილი სკანდალური წერილი, რომელიც მან საფრანფეთში კეზერაშვილის დახმარების მიზნით გაგზავნა. ბევრმა ეს ყოფილი პრეზიდენტის „ურცხვ აღიარებად" მიიჩნია, თუმცა ექსპერტი კახი კახიშვილი ჩვენთან საუბრისას განმარტავს, რომ სწორედაც ამ წერილის შინაარსმა იმოქმედა ფრანგ პროკურორზე, რომელმაც სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, რომ მას კეზერაშვილის მიმართ საპატიმრო ღონისძიება არ გამოეყენებინა და შესაბამისად, სააკაშვილმა, როგორც იტყვიან, „ათიანში" გაარტყა. „სწორედ ეს წერილი შეახსენა ფრანგმა პროკურორმა ქართულ მხარეს და დასვა კითხვა, როდესაც ვითხოვთ კეზერაშვილის დაპატიმრებას და ექსტრადირებას, იგივე საქმეებზე სხვის მიმართ რატომ არ გვაქვს გამოყენებული საპატიმრო ღონისძიება, თუ ეს ყველაფერი მართლა პოლიტიკური დევნის ელფერს არ ატარებს?" – განმარტავს კახიშვილი.

ვანო მერაბიშვილი კი უკვე სააკაშვილის „მტრების" ხელშია... ყოფილი პრემიერის განცხადება იმის შესახებ, რომ ის საპატიმროდან გაიტაცეს და უშუალოდ მთავარი პროკურორი ითხოვდა მისგან სააკაშვილზე ინფორმაციებს, მოხერხებულად გამოიყენა ღარიბაშვილმა და ერთგვარად განხეთქილების ვაშლიც ჩააგდო თანაგუნდელებს შორის. მისი განცხადების კონტექსტი ასეთი იყო: მერაბიშვილი აშანტაჟებს სააკაშვილს და ამით ახსენებს, რომ ის ფლობს ბევრ ინფორმაციას, რომლის გახმაურებასაც მისგან დაჟინებით ითხოვენ... ყოფილი პრეზიდენტის მიერ მიუნხენში გაკეთებული ბოლო განცხადებაც ბევრმა ამის შედეგად მიიჩნია და დარწმუნდა, რომ სააკაშვილმა საბოლოოდ დაიბანა ხელები მერაბიშვილთან ურთიერთობაზე.

„სულ სხვა საქმეა მერაბიშვილი: გირგვლიანის სკანდალის შემდეგ, სააკაშვილს ნამდვილად უნდოდა, მერაბიშვილი თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა. მეტიც, გადაწყვეტილი ჰქონდა მისი ფინანსთა მინისტრად დანიშვნა"

თუმცა, პეტრე მამრაძის აზრით, ეს განხეთქილება მათ შორის სულაც არ არის ახალი და ის დიდი ხნის წინათ დაიწყო:

– მერაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ, სააკაშვილმა არაერთხელ გააკეთა მის შესახებ განცხადება, ისიც უთქვამს, – მერაბიშვილს რომ ასამართლებენ, ამით საქართველოს უახლოეს ისტორიას ასამართლებენო... ისიც უთქვამს, – დაპატიმრებულია გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, რეფორმატორი, – და ჩამოუთვლია მისი დამსახურებები. მაგრამ ეს იყო ის განცხადებები, რომელიც უშუალოდ მას აწყობდა, ვინაიდან ამით იქმნიდა იმიჯს, რომ თვითონაც ის პოლიტიკური მოღვაწეა, რომელიც დევნას განიცდის. ანუ მისი ვიწრო პირადული დაინტერესება ამაში დიდი იყო. რეალურად კი ვანო მერაბიშვილთან მისი ურთიერთობა გაცილებით რთული გახლდათ ყოველთვის, ვიდრე, თუნდაც, კეზერაშვილთან, რომელიც პრეზიდენტის ნებისმიერი დავალების უპირობო შემსრულებელი იყო, არ გააჩნდა საკუთარი ამბიცია. ამიტომ სააკაშვილი ყოველთვის ბოლომდე ენდობოდა „კეზერას", რომელიც მისი პირადი კადრი იყო, პირადად მისი შერჩეული, და რომელსაც მასთან ყოველთვის პირდაპირი კონტაქტი ჰქონდა... სულ სხვა საქმეა მერაბიშვილი: გირგვლიანის სკანდალის შემდეგ, სააკაშვილს ნამდვილად უნდოდა, მერაბიშვილი თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა. მეტიც, გადაწყვეტილი ჰქონდა მისი ფინანსთა მინისტრად დანიშვნა. ეს უტყუარი ინფორმაციაა. მაშინდელ პრემიერს, ნოღაიდელს, შესანიშნავად ესმოდა, რა დაემართებოდა ქვეყნის ბიუჯეტს ამ შემთხვევაში და მან საკუთარი გათავისუფლება სთხოვა პრემიერის თანამდებობიდან სრულიად უხმაუროდ. სააკაშვილმა ეს არ გააკეთა და მერაბიშვილი თანამდებობაზე დატოვა.

– ამის მიუხედავად, მერაბიშვილი მთელი 9 წლის განმავლობაში რეჟიმის ხერხემლად რჩებოდა...

– 2007 წლამდე იყო მომენტები, როცა სააკაშვილი ვიწრო წრეში ამბობდა: ესენი მეუბნებიან (გულისხმობდა ადეიშვილსა და მერაბიშვილს), რომ „იმედი" უნდა დავხურო, ვინაიდან პატარკაციშვილი და ოქრუაშვილი გვებრძვიან, მაგრამ ეს რომ გავაკეთო, ესენი როგორ გავაკონტროლოო?

– ვინ?

– ისევ მერაბიშვილი და ადეიშვილი.

– ეს რა ტანდემი იყო?

– ძალიან საინტერესო: ადეიშვილი, მერაბიშვილისგან განსხვავებით, ჩუმად ტკბებოდა ძალაუფლებით. ხელისუფლებაში მოსვლის პირველ თვეებში ის ვიწრო წრეებში ამბობდა კიდეც, რა მინდოდა მთავრობაში? ახლა ისეთი ფული შემოდის, ჩემი კერძო კომპანია უნდა მქონდეს და მილიონებს ვაკეთებდეო. ეს დამოკიდებულება მერე ერთბაშად იცვლება მისი ფრაზით, რომელიც არ არის მოჭორილი და მოწმეები ცოცხლები არიან: „აუ, ეს „ვლასტი", რა კაიფი ყოფილა!"

– ადეიშვილი ასეთი ლექსიკონით?!.

– კი... მაგრამ იმის გამო, რომ ის ძალიან ავად გახდა და ყოველ შაბათ-კვირას ვენაში ატარებდა, სადაც რეაბილიტაციის კურსს გადიოდა, იძულებული გახდა, ჩუმად დამტკბარიყო თავისი პოზიციით და ამის იქით მას ამბიცია არ ჰქონდა. ამიტომაც მას მერაბიშვილი ბოლომდე ენდობოდა, ვინაიდან ის მისი მეტოქე არ იყო. ასე რომ, მან საიმედო მოკავშირე ნახა...

– მოდით, ისევ 2007 წელს დავუბრუნდეთ...

– ნოემბრის მოვლენების შემდეგ სიტუაცია რადიკალურად იცვლება. სააკაშვილს უჩნდება რევანშისტული იმედი, რომ აფხაზეთში ჩაატარებდა სამხედრო ოპერაციას. ამის თაობაზე ივანიშვილმაც ისაუბრა, ახლახან კი ღიად და დეტალურად ილაპარაკა ნინო ბურჯანაძემ. ამ ჩანაფიქრს მერაბიშვილი ხელს არ უშლიდა, ვერ ბედავდა. ის ამ დროს დაკავებული იყო საკუთარი გავლენების გაზრდის მცდელობით, რათა სააკაშვილისთვის შეუცვლელი გამხდარიყო. ცდილობდა აღმოეჩინა არარსებული შპიონური ქსელები... გახსოვთ, ალბათ, იმ პერიოდში სოციალურ ქსელებსა და ზოგიერთი ტელევიზიით გავრცელებული მიშასა და ვანოს საუბრის ჩანაწერი: მიშა მას დედას აგინებს, ის კი ეუბნება: მიშა, ყველა შპიონი აღმოჩნდა, მაგათი დედაო.

– თუ ყველა შპიონი იქნებოდა, ეს მერაბიშვილს პოზიციების გამყარებაში ხელს შეუწყობდა?

– ხშირად მომხდარა, რომ სპეცსამსახურების შეფი ცდილობს, მაქსიმალურად გამოიყენოს „მის ხელთ არსებული ინფორმაცია", რათა პოლიტიკურ ლიდერს უჩვენოს, – ჩემს იქით გზა არ გაქვს, მე ყველაფერს ვაკონტროლებ, ყოველდღიურად ვპოულობ შენს მტრებს და ვსჯი მათ... მერაბიშვილიც ამით იყო იმ პერიოდისთვის გატაცებული და მასაც გაუჩნდა დემონია, რომ შეუძლია ზეამოცანების გადაწყვეტა. გაგახსენებთ 2010 წელს „კომერსანტ რუ"-ში გამოქვეყნებულ მის ინტერვიუს, რომ ევროპელებს არც უნდა მოუსმინო და თუ მოუსმენ, საპირისპირო უნდა გააკეთოო. ეს იყო სკანდალი. ამ ფონზე ცნობილია მერაბიშვილის ბრძოლა ახალაიებთან, რომლებიც თვლიდნენ, რომ ყველაფერი ცუდი ქვეყანას სწორედ მან დამართა და ამის დასტურად გაგახსენებთ დათა ახალაიას ცნობილ წერილს, რომელიც მან „ფეისბუკზე" გამოაქვეყნა... ამ განცხადების საფუძველს მას ციხის ცნობილი კადრები აძლევდა, რომელთან დაკავშირებითაც ის თვლიდა, რომ მერაბიშვილის ჩარევის გარეშე ის ვერ იარსებებდა და ამით შინაგან საქმეთა მინისტრი აჩქარებდა საკუთარ გაპრემიერებას.

– ვანოს გაპრემიერება, რამდენად უცნაურიც უნდა იყოს, ბევრმა მის დაქვეითებად მიიჩნია...

– მას უნდოდა გაპრემიერება შსს-ზე კონტროლის შენარჩუნებით, მაგრამ „ნურას უკაცრავად" – როგორც იტყოდა ჩვენი მაღალი... მერაბიშვილის ძირითადი ვნება, კეზერაშვილისგან განსხვავებით, იყო ის, რომ ხელში ჩაეგდო სრული ძალაუფლება ქვეყანაში. მეტოქეებად იმ ეტაპზე მხოლოდ ახალაიებს აღიქვამდა, რომლებსაც, სამივეს, მამასა და ორივე ძმას, პირდაპირი კონტაქტი ჰქონდათ მიშასთან და მისთვის ნებისმიერ დროს შეეძლოთ, დაერეკათ და თავში არასდროს მოუვიდოდათ, რომ მათი საუბრის შესახებ საქმის კურსში ჩაეყენებინათ მერაბიშვილი. ეს იყო დამოუკიდებელი არხი, რომელიც ვანოსთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო. ამიტომ მისი გაპრემიერება იმ ანგარიშით, რომ შეინარჩუნებდა სრულ კონტროლს შსს-ზე, მის გეგმებში შედიოდა. ამის მიღწევას კი ის სხვადასხვა გზით ცდილობდა: ის მუდმივად ახსენებდა სააკაშვილს, რომ ივანიშვილის პრობლემა არ არსებობს და არწმუნებდა, რომ კონტროლქვეშ ჰქონდა ყველაფერი. ამ ფონზე კი მოულოდნელად ივანიშვილმა გააკეთა ცნობილი განცხადება პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ... ეს ვანოსთვის საშინელი დარტყმა იყო. ის ეფიცებოდა სააკაშვილს, – პრობლემა არ არის, მაგას ახლა „გავტისკავო". ამ სიტყვების ქვეტექსტი იყო ის, რომ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აშვილზე და რის გამო ს მიხეილ სააკაშვილი?

„მერაბიშვილის ძირითადი ვნება, კეზერაშვილისგან განსხვავებით, იყო ის, რომ ხელში ჩაეგდო სრული ძალაუფლება ქვეყანაში“

„2007 წლამდე იყო მომენტები, როცა სააკაშვილი ვინრო წრეში ამბობდა: ესენი მეუბნებიან (გულისხმობდა ადეიშვილსა და მერაბიშვილს), რომ „იმედი“ უნდა დავხურო, ვინაიდან პატარკაციშვილი და ოქრუაშვილი გვეზრძვიან, მაგრამ ეს რომ გავაკეთო, ესენი როგორ გავაკონტროლო?“

„სააკაშვილი ყოველთვის ბოლომდე ენდობოდა „კეზერას“, რომელიც მისი პირადი კადრი იყო, პირადად მისი შერჩეული, და რომელსაც მასთან ყოველთვის პირდაპირი კონტაქტი ჰქონდა...“

თავის დროზე ოქრუაშვილი „გატისკა“ თავის პატარკაციშვილთან ერთად, ივანიშვილი რა პრობლემას წარმოადგენდა?.. და „გატისკვაც“ დაიწყო: ჯერ მანქანის დაყაჩაღებით თავისუფლების მოედანზე, სადაც თავის დროზე კამომ და სტალინმა დააყაჩაღეს ბანკის კორტეჟი... მერე იარაღი ჩამოართვეს ივანიშვილის პირად დაცვას. ქალაქში მოლოდინი იყო, რომ ივანიშვილის ოფისში შევარდებოდნენ, როგორც თავის დროზე „იმედში“ შევარდნენ... აი, ასე ესმის მერაბიშვილს „გატისკვა“, რამაც საპირისპირო შედეგები მოიტანა. ივანიშვილის პოპულარობა მხოლოდ იზრდებოდა და როცა „ქართუ ბანკის“ გაკოტრება დაიწყო მერაბიშვილმა, გახსოვთ, რა მეთოდებითაც, ხალხი მივიდა ბანკთან, რიგში ჩადგა და ფულის შეტანა დაიწყო, ვისაც რამდენი შეეძლო. მაშინ მითხრეს დასავლეთელმა ელჩებმა, თქვენ გადარჩებითო... ამ გაუთვლელმა შედეგებმა მიშასა და ვანოს შორის ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა...

– მაგრამ მერაბიშვილი პრემიერი მაინც გახდა...

– იმიტომ რომ ეს იყო მისი ბოლო რესურსი, პრემიერი თუ გახდებოდა, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. გაიხსენეთ მისი პრემიერად წარდგენის სცენა და სააკაშვილის სახე, როგორ ტრიალდება მიშა და მარტო ტოვებს მერაბიშვილს პატარა ტრიბუნასთან და გადის... პირდაპირ გეტყვით, რომ მერაბიშვილი იმდენად უუნარო გამოდგა ამ პოსტზე, რომ დათვური სამსახური გაუწია ივანიშვილს. ხალხში იმ დროს ჭორიც კი გავრცელდა, თითქოს ის ივანიშვილთან შეთანხმებით აკეთებდა ყველაფერს.

– სააკაშვილსა და მერაბიშვილს შორის არსებული დაძაბულობის პიკი უკვე 2013 წლის 17 აპრილის მიტინგის დროს გამოიკვეთა?..

– ამ მიტინგზე გმირი ვანო უნდა ყოფილიყო. სააკაშვილი იქ ან მივიდოდა, ან – არა. როგორც კი „კარტინკა“ შეიქმნა (ეს მათი საყვარელი ტერმინია), სააკაშვილი მივიდა, რამაც ძალიან გააწბილა მერაბიშვილი. მან ისიც კი ვერ შეძლო, რომ პრეზიდენტის გვერდით დამდგარიყო ტრიბუნაზე.

– ზოგიერთი ინფორმაციით, მერაბიშვილმა დატოვა ის მიტინგი მაშინ...

– იყო ასეთი ინფორმაციაც, მაგრამ დავადგინე, რომ ის გაშპა და სადღაც ბოლოში დადგა, კადრში რომ არ მოხვედრილიყო. მერაბიშვილი უყურებდა სააკაშვილს, როგორც ჩამოწერილ ფიგურას, რომელიც ტვირთად გადაიქცა პარტიისთვის, თვითონ კი თავის თავს ასეთად არ მიიჩნევდა. მან დაკარგა საკუთარი თავის რეალურად შეფასების უნარი.

– ამ ინციდენტიდან ძალიან მალე ის ციხეში აღმოჩნდა... სააკაშვილი კი პირველ ეტაპზე მას კბილებით იცავდა. თუ ახალაიებ-ის მხარე მას საყვედურობდა კიდეც იმისთვის, რომ მან ერთ-ერთ განცხადებაში ისიც კი თქვა, დათა ახალაიასთან მხოლოდ რამდენჯერმე ვარ შეხვედრილიო, ასეთ დამოკიდებულებაზე მაშინ მერაბიშვილი ვერ დაიჩივლებდა...

– სააკაშვილის ყველა ის განცხადება, რაც მან მერაბიშვილის მისამართით გააკეთა, ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა – პრემიერის დაკავება მას საკუთარი მიზნებისთვის და საკუთარი თავის დასაცავად გამოეყენებინა...

– ეს ყველაფერი, ალბათ, ვანომაც იცოდა და ამიტომაც დააშანტაჟა სააკაშვილი, როდესაც გააკეთა სკანდალური განცხადება მთავარი პროკურორის, ფარცხალაძის მიერ, საპყრობილიდან მის გატაცებასთან დაკავშირებით...

– დავიწყოთ იმით, რომ მერაბიშვილმა თქვა სრული სიმართლე და მთელმა სახელისუფლებო გუნდმა, სამწუხაროდ, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მერაბიშვილის სიმართლე დადასტურებულიყო. ასე რომ, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვანომ მიშა დაშანტაჟა, შიდა მოხმარებისთვის იყო და სააკაშვილზე ეს არ იმოქმედებდა.

– რატომ? ვანო მერაბიშვილი ხომ ყველა ინფორმაციის მატარებელია, რაც სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ხდებოდა და ამ ინფორმაციების გათქმის სააკაშვილს არ უნდა ეშინოდეს?

– მერაბიშვილი რომ ალაპარაკდეს, თუნდაც სააკაშვილის კორუფციაზე, რომელიც მართლაც ზემასშტაბების არის, რომ თქვას, რომ ყველაფერი იცოდა, რაც ციხეებში ხდებოდა, ან მუხროვანის ოპერაცია სააკაშვილის ბრძანებით განხორციელდა და კიდევ სხვა უამრავი რამ. ამით მერაბიშვილს გაცილებით მეტად დაუმძიმდება მდგომარეობა, ვიდრე დღეს აქვს.

– და სააკაშვილს არაფერი?..

– სააკაშვილს კი „ფერი“, მაგრამ როცა ადამიანი დაპატიმრებულია, ის უნდა მიხვდეს, რომ თანამშრომლობა მას მდგომარეობას რეალურად შეუმსუბუქებს. ამისთვის პროკურატურა სხვანაირად უნდა მოიქცეს. თავის დროზე შინაგან საქმეთა მინისტრმა, თემურ ხაჩიშვილმა ილაპარაკა ჯაბა იოსელიანზე და იგორ გიორგაძეზე, უთხრა გენერალურ პროკურორს, ჯამლეთ ბაბილაშვილს, დახვრეტაზე მივდივარ ამათ გამო, ესენი კი გარეთ დარჩნენ. ამიტომ ვიტყვი ყველაფერსო და ყვება... მე ეს ფირი თავად მაქვს ნანახი. პროკურატურამ მერაბიშვილს ისეთი ვერაფერი მტკიცებულება დაუდო, რომ მანაც მსგავსი გადაწყვეტილება მიიღოს. მანამდე კი, მან კარგად იცის, რომ მოყვება რა სააკაშვილზე, დამატებით ინფორმაციას მისცემს გამოძიებას საკუთარი დანაშაულების შესახებ.

– ამბობთ, რომ პროკურატურამ ვერ მოახერხა მერაბიშვილის ჩიხში მოქცევა. ეს სააკაშვილს აძლევს გულხელდაკრეფილად ყოფნის საშუალებას?

– სააკაშვილმა კარგად იცის, როგორ აღიქვა დასავლეთმა ციხის სადისტური კადრები და მან მაშინვე დაიწყო დისტანცირება, არ ვიცოდი, რომ ამ საქმეებში მერაბიშვილი თავად იყო ჩართულიო. ახლა, კი, როდესაც ვრცელდება კადრები, სადაც ვანო ამბობს, ორი გვამი მომიტანეთ და მაღალი პრემია გექნებათო, სააკაშვილი როგორ იტყოდა, რომ ეს განცხადება ეკუთვნის დიდ რეფორმატორსა და სახელმწიფო მოღვაწესო? ამიტომ სააკაშვილისთვის მერაბიშვილისგან დისტანცირება საუკეთესო გამოსავალი ხდება. ხვალ მან ისევ რომ გააკეთოს ვანოზე გულისამაჩუყებელი განცხადება, არ არის გამორიცხული, ვინაიდან ის ამით ისევ საკუთარ თავს დაიცავს და არა მერაბიშვილს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ცხოვრება კარდიოლ

EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

კარდიოლოგიის ინსტიტუტში მისვლამდე, ყოფილი ნეიროქირურგიის ინსტიტუტს გაივლით, ერთ დროს პაციენტებით სავსე შენობა დევნილებისა და მიწისძვრით დაზარალებულების თავშესაფრად ქცეულა. აქ მცხოვრებთ ფართები უკვე დაუკანონეს. მათგან განსხვავებით, სახელმწიფოს კარდიოლოგიის ინსტიტუტის შენობაში მცხოვრებთა ბედი ჯერ არ გადაუწყვეტია.

შენობა, რომლის რეაბილიტირებასაც სახელმწიფო გეგმავს, სოციალურად დაუცველებსა და დევნილებს აქვთ დაკავებული. ჯანდაცვის სამინისტროს მოთხოვნის მიუხედავად, იქ მცხოვრებნი გამოსვლაზე უარს აცხადებენ. მათი თქმით, სამინისტრო მათ მხოლოდ სამი თვით ბინის ქირის უზრუნველყოფას შეჰპირდა.

„200 ლარი შემოგვთავაზეს, ისიც სამი თვით. ჯერ ერთი, 200 ლარად თბილისში ბინას ვერ იშოვი, მეორეც, იმ სამი თვის მერე რა ვქნათ? ერთ-ერთი აქ მცხოვრები სამინისტროში მივიდა, დეპარტამენტის უფროსს, გია კაკაჩიას ესაუბრა და ჰკითხა, სამი თვის მერე რა უნდა ქნას ამ ხალხმაო? თავში ქვა უხლიაო, ასეთი პასუხი გასცა. ხომ ხედავთ, რა პირობებში ვცხოვრობთ, ამ პირობებში დალხენილი ადამიანი არ იცხოვრებს“, – ამბობენ დამხვდურები და ერთი „ბინიდან“ მეორეში მეპატიჟებიან.

ალბათ, რთული წარმოსადგენია, რომ 21-ე საუკუნეში, ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ შუქი, გაზი, გათბობა, წყალი და საპირფარეშო. მკაცრი ზამთრის პირობებში აქაურების ყოფა გაცილებით ძნელია. პარკებით დაგმანულ ფანჯრებში სუსხი მაინც ატანს, შეშის ღუმელი ოთახებს ვერ ათბობს. გარეთ საერთო ონკანია, სადაც რიგში დგომა უწევთ. თუმცა, ყინვის დროს მილი იყინება...

სოციალურად დაუცველები და დევნილების მცირე ნაწილი ამ შენობაში დაახლოებით ერთი წლის წინათ შემოიხიზნენ. შენობა ამორტიზებულია. დენის კაბელები მოპარულია, კანალიზაცია არ არის, ლიფტი განადგურებულია (შენობა შვიდსართულიანია). დერეფნებში სახელდახელოდ გამართულ საშრობზე სარეცხია გაფენილი.

„მრცხვენია, ამხელა კაცი ვარ, საპირფარეშოსთვის მეტროში მივდივარ. აქ რამდენიმე ოჯახი შეამხანაგდა და საკუთარი ხარჯებით კანალიზაცია გაიყვანეს. საუბედუროდ, ფეკალური მასა სარდაფში ჩაედინება. ახლა ზამთარია, ყინავს, მაგრამ, როგორც კი მზე გამოანათებს და ოდნავ დათბება, აქ საშინელი სუნი, ანტისანიტარია დადგება“, – მეუბნება აფხაზეთიდან დევნილი ლევან ფ.

„ჩვენს ბინაში 5 საათის შემდეგ ბინდდება. შუქი არ გვაქვს, ბავშვი სანთლის შუქზე მეცადინეობს. გოგონა მეორე კლასში სწავლობს, საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა, მათემატიკის ტურში გაიმარჯვა, მაგრამ ახლა სწავლაში ჩამორჩა“

40 წლის იზა ბელთაძე, ქმართან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, ორ ოთახშია დაბინავებული. „მისაღებში“ შეშის ღუმელის დგას, თუმცა, ოთახში საგრძნობლად ცივა. ოჯახი წელიწადნახევრის წინათ შესახლდა. ამბობს, რომ სოციალურად დაუცველებს სახლი არ ჰქონდათ. ქირით ცხოვრების საშუალება კი არ გააჩნდათ.

„ჩვენს ბინაში 5 საათის შემდეგ ბინდდება. შუქი არ გვაქვს, ბავშვი სანთლის შუქზე მეცადინეობს. გოგონა მეორე კლასში სწავლობს, საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა, მათემატიკის ტურში გაიმარჯვა, მაგრამ ახლა სწავლაში ჩამორჩა. მასწავლებელი გაოცებული მეუბნება, ბავშვის ასე უცებ ჩამორჩენა, არ მინახავსო. ფსიქოლოგიურად შევირყიეთ, არაფრის თავი აღარ მაქვს, ბავშვს ვერ ვამეცადინებ. ჩემი 4 წლის ბიჭი ერთად შეკრებილ ხალხს რომ დაინახავს, მეკითხება, დედა, გვასახლებენო? ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად ვართ. ამ ოთახში შედარებით თბილა. წამოდით საძინებელში, ნახეთ, იქ როგორ ცივა“, – ამ სიტყვებზე მასპინძელი მეზობელი ოთახისკენ მიმიძღვის.

ოთახში ბავშვის ორი და ერთიც მოზრდილი საწოლი დგას. „ღამით ბოთლებში ცხელ წყალს ჩავასხამ, ბავშვებს ჩამოვურიგებ, ჩვენთვისაც. რაც კი რამ გვაბადია, ვიფარებთ და ვიძინებთ. ბევრჯერ სიცივისგან გამღვიძებია“, – ამბობს იზა.

აქაურებს მეზობელი შენობიდან დენი შეუყვანიათ, მაგრამ კარდიოლოგიის ინსტიტუტის მიერ აყვანილმა დაცვამ კაბელები გადაჭრა.

„ამ შენობის ერთ-ერთმა მეწილემ, გოგიჩაიშვილმა დაცვა აიყვანა, შპს „მგლები“. ხალხს მათთან შელაპარაკება მოუხდა, რადგან დენი რამდენჯერაც შემოვიყვანეთ, იმდენჯერ გადაჭრეს. ბოლოს, დაცვის უფროსმა გვანახა კონტრაქტი, სადაც ეწერა, რომ ჩვენთვის უნდა გადაეკეტათ წყალი, დენი, ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ უნდა ვყოლოდით, რომ შენობა ნებით დაგვეტოვებინა. თქვენც ხედავთ, რომ აქ ვართ, წასასვლელი არ გაგვაჩნია“, – ამბობს მასპინძელი.

რესპონდენტების თქმით, ამ შენობის ხშირი სტუმარია ჯანდაცვის სამინისტრო. მათ შორის, სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გია კაკაჩია.

„გასულ კვირას კაკაჩია ჟურნალისტთან ერთად მოვიდა. მეშვიდე სართულზე თითქმის არავინ ცხოვრობს. სწორედ ის სართული გადაიღეს, დაკეტილი კარი აჩვენეს, ვითომ ამ შენობაში არავინ ცხოვრობსო. სხვა სართულები არ გადაიღეს. ერთი საათის წინ მეც არ ვიყავი, აქ რომ მოსულიყავით, კარები დაკეტილი დაგხვდებოდათ. თუმცა, იმას არ ნიშნავს, რომ აქ არ ვცხოვრობ. კაკაჩიამ გვითხრა, რომ სიები განიხილეს და 115 თუ 119 ოჯახიდან სულ 22 ოჯახია, რომელსაც ბინა არ გააჩნია. ე.წ. თეთრ სიაში მეც ვარ. ამის მერე გავიგეთ, რომ უსახლკაროების რაოდენობა გაიზარდა. ამჟამად, 40 ოჯახია უბინაო. ასეთმა დაყოფამ აქაურებს შორის დაპირისპირება გამოიწვია. ერთმანეთს ნუ დაგვახოცვინებენ“. – ამბობს იზა.

ნნ წლის მაგული ბებო, შვილთან ერთად, მეორე სართულზე ცხოვრობს. მას იმ დროს გადავეყარე, როცა პურის საყიდლად მიდიოდა. თუმცა, თხოვნაზე, თავისი საცხოვრებელი ეჩვენებინა, უყოყმანოდ დამთანხმდა.

მის ბინაშიც შეშის ღუმელი დგას, ცეცხლი მინაცრებულია. „ეკონომიას ვაკეთებ. იმდენი შეშა სადაა, რომ მთელი დღე ვაგიზგიზო,“, – მიხსნის მაგული ბებო. ღუმელის თავზე სარეცხია გაფენილი.

„ამ დილით გავრეცხე. ყინულივით ცივი წყალი იყო, ცრემლები ნამსკდა.

„გასულ კვირას კაკაჩია ჟურნალისტთან ერთად მოვიდა. მეშვიდე სართულზე თითქმის არავინ ცხოვრობს. სწორედ ის სართული გადაიღეს, დაკეტილი კარი აჩვენეს, ვითომ ამ შენობაში არავინ ცხოვრობსო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



„შეშის „ფეჩი“ მიდგას. ეკონომიას ვაკეთებ. დილა-საღამოს ვანთებ. შეხედეთ, ფანჯარა ცელოფნის პარკებით დავგმანე, მაგრამ ქარი მაინც უბერავს და სუსხს ვერ იჭერს“

„ამ დილით გავრეცხე. ყინულივით ცივი წყალი იყო, ცრემლები წამსკდა. გარეთ გაფენას აზრი არ აქვს, ამიტომ, შინ შემოვიტანე, აქაც როგორ გაშრება, სითბო არ არის. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ აქ ცხოვრება მოგვწონს, ცდება“

გარეთ გაფენას აზრი არ აქვს, ამიტომ, შინ შემოვიტანე, აქაც როგორ გაშრება, სითბო არ არის. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ აქ ცხოვრება მოგვწონს, ცდება. 22 წელია, უბინაო ვარ. ქირით ვცხოვრობდი, როცა ველარ გადავიხადე, სხვებთან ერთად აქ შემოვედი. სანაგვე დაგვხვდა. გავასუფთავეთ. რამდენი ხანია, შუქი თვალით არ მინახავს. საპირფარეშო არ გვაქვს, რა სათქმელია და ვედრო გვიდგას“, – ამბობს ჩემი რესპონდენტი.

„შეშის „ფეჩი“ მიდგას. ეკონომიას ვაკეთებ. დილა-საღამოს ვანთებ. შეხედეთ, ფანჯარა ცელოფნის პარკებით დავგმანე, მაგრამ ქარი მაინც უბერავს და სუსხს ვერ იჭერს. სოციალურმა სააგენტომ მაღალი ქულები მომანიჭა. გასარკვევად გამგეობაში მივედი. მართალია, არაფერი არ გაგაჩნია, მაგრამ შრომისუნარიანი ხარო. რამდენიმე თვეში საპენსიო ასაკის გავხდები. ახალგაზრდები ვერ შოულობენ სამსახურს და მე ვინ მომაშავებს? 22 წელია, უბინაოდ, ქირით ვცხოვრობ. როცა ველარ შევწვდი გადასახადს, მე და ჩემი ბიჭი სხვებთან ერთად აქ შემოვედით“. – ამბობს მაგული ბებო.

მასთან საუბრის შემდეგ მეზობლად მცხოვრები დევნილების ბინაში შევდივარ. ციცქნა ოთახში 6 სული დამხვდა. სოხუმიდან დევნილი ჯულიეტა ჩომანია ამბობს, რომ სახელმწიფოს ფართით დღემდე არ დაუკმაყოფილებია.

„მთავრობამ მოგვიძულა, აღარ ვახსოვართ. ბინა დღემდე არ გვაქვს. ჭუბერიდან გადმოვედით. ჯერ ზუგდიდში ვცხოვრობდით სხვის სახლში, შემდეგ პატრონმა ბინა დაგვაცლევინა, თბილისში წამოვედით. რამდენი წელია, ასეთ ტანჯვაში ვართ. აქ რა პირობებში ვართ, თქვენც ხედავთ“. – ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

შენობის პირველ სართულზე რენტგენოლოგია მუშაობს. ზედა სართულებს კი სოციალურად დაუცველები და დევნილები იკავებენ.

მოცემულ მომენტში კარდიოლოგიის ინსტიტუტის შენობას სახელმწიფო დაცვის თანამშრომლები იცავენ. „პრაიმტაიმი“ მათაც გაესაუბრა. დაცვის თანამშრომლების თქმით, დაცვა სამი მოვიდა ობიექტზე. მიზეზი მარტივია, შენობაში ახალი კონტინგენტი აღარ შეიჭრას.

გასულ კვირას, ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ბრიფინგზე განაცხადა, რომ სამინისტრო დიდ აგრესიას წააწყდა კარდიოლოგიის ინსტიტუტის შენობაში მცხოვრებთა მხრიდან. ისინი შენობის დატოვებაზე უარს ამბობენ.

„ჩვენ მათთან რამდენჯერმე ვცადეთ მოლაპარაკება, მაგრამ უშედეგოდ. ამ შენობაში არიან ისეთები, რომლებსაც ნამდვილად არ გააჩნიათ ჭერი. თუმცა, ისეთებიც არიან, რომლებსაც სხვების უბედურებაზე ხელის მოთბობა სურთ. ამას არ დავუშვებთ. ვისაც ნამდვილად არ აქვს ჭერი, ისინი საცხოვრებელს მიიღებენ. ამ შენობაში შიდსის ცენტრი უნდა განთავსდეს. პაციენტებს, რომლებიც საშინელ პირობებში მკურნალობენ, შესაბამისი პირობები უნდა შევუქმნათ“, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

როდის მიიღებენ სოციალურად დაუცველები ახალ ბინებს, უცნობია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გაემიჯნა თუ არა მიხეილ სააკაშვილი გუნდს?

„ნაციონალური მოძრაობის“ რებრენდინგი და ახალი სახეები

ექსკლუზიური ინტერვიუ გივი თარგამაძესთან

„საქმე ძალიან მარტივადაა, ეს იყო ვანოს ქვემდებარე სტრუქტურა, ეს ინფორმაციაც მისი გასამჟღავნებელი გახლდათ. წინა დღით ჩვენ ხომ არ ვიცოდით, თანახმა იყო თუ არა, რომ გვეთქვა ის, რაც იმ პერიოდისთვის საიდუმლოდ ითვლებოდა. ვანო ციხეშია და მასთან კონსულტაციებს ვერ ვახერხებთ“

EXCLUSIVE

ეკა სოსელია

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე „ნაციონალური მოძრაობა“ სერიოზული პარტიული ცვლილებებისთვის ემზადება. გუნდში დიდი იმედი აქვთ, რომ ამ პროცესში ახალი სახეებიც გამოიკვეთებიან. ჩატარდება პრაიმერისი ყველა თანამდებობაზე. პარტიის გენერალური მდივანი ციხეშია, ყოფილი პრეზიდენტი – ამერიკაში და როგორც ამბობს, შიდა პოლიტიკაში აღარ ერევა, თუმცა ნაციონალები ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებენ. „პრაიმტაიმს“ მიმდინარე პოლიტიკასა და მუხროვანის საქმესთან დაკავშირებით გავრცელებულ სკანდალურ კადრებზე გივი თარგამაძე ესაუბრება.

– თავდაპირველად, მუხროვანის საქმესთან დაკავშირებით გავრცელებულ კადრებზე მინდა გკითხოთ, სანამ ვანო მერაბიშვილი არ იტყოდა სასამართლო პროცესზე, რომ ორ გვამში ის რუს მრჩევლებს გულისხმობდა, თქვენს გუნდში არაერთგვაროვანი განცხადებები კეთდებოდა. თქვენი შეფასებები და ახსნა-განმარტებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. რატომ?

– საქმე ძალიან მარტივადაა, ეს იყო ვანოს ქვემდებარე სტრუქტურა, ეს ინფორმაციაც მისი გასამჟღავნებელი გახლდათ. წინა დღით ჩვენ ხომ არ ვიცოდით, თანახმა იყო თუ არა, რომ გვეთქვა ის, რაც იმ პერიოდისთვის საიდუმლოდ ითვლებოდა. ვანო ციხეშია და მასთან კონსულტაციებს ვერ ვახერხებთ. ჩვენი ინფორმაციით, იყვნენ რუსი მრჩევლები და არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბაზიდან გასვლის წინ მოხდა მათი ლიკვიდაცია, სადღაც შეიძლებოდა ყოფილიყო მათი ცხედრები... უბრალოდ, ეს ვანოს პრეროგატივა იყო, მისი გადასაწყვეტი, იტყოდა თუ არა ამას. ჩვენ არ ვართ „ქართული ოცნება“, რომელიც ასე ხელაღებით ლაპარაკობს და აპატიმრებს კიდეც ადამიანებს, რომლებიც წლების მანძილზე უმძიმეს სპეცოპერაციებს ატარებდნენ ამ ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად...

ვანომ სასამართლო სხდომაზე თქვა სიმართლე. თუმცა ეს არანაირად არ ცვლის ჩემს იმ შეხედულებას, რაც პირველივე დღეს ჩამოვაყალიბე. როდესაც ლაპარაკია იმ ადამიანებზე, რომლებიც აწყობენ ამბოხს სახელმწიფოს წინააღმდეგ, და ისინი ახალი გასულები იყვნენ ბაზიდან, იყვნენ პროფესიონალები და შეიარაღებულები, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობის შემთხვევაში ადეკვატური მოქმედებები სამართალდამცავების მხრიდან გამართლებული იყო.

– ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ ეს „სამუშაო ფრაზეოლოგიაა“, მაგრამ დამეთანხმებით, რომ საზოგადოებისთვის არ იყო მარტივი მოსასმენი, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი დავალებას გასცემს: ორი გვამი მჭირდება, პრემია დიდიაო..

– რაღაცა ნაწილისთვის ის არ არის მარტივი მოსასმენი, ნახევარი დღის განმავლობაში ტელევიზორში რომ ტრიალებდა რამდენიმე დღის წინ... ბიძინა ივანიშვილის ჟურნალისტებთან შეხვედრას ვგულისხმობ. თუკი მის გამოსვლას ნაწილებად დავჭრით, საერთოდ, შესაძლოა, კატასტროფა მივიღოთ. ჯერ კარგად უნდა გაირკვეს ყველაფერი და საზოგადოებას შემდეგ უნდა მივაწოდოთ. ვინმეს ეპარება ეჭვი, როგორ მოხვდა ეს მასალა „იუტუბიზე“? მასალა, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ ედო და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახებოდა? კადრები ჯერ „იუტუბიზე“ მოხვდა, შემდეგ კი ხელისუფლების განხილვის საგნად იქცა. მეორე წელია ერთსა და იმავეს აკეთებენ, რომ ყველაფერი გადაიფაროს, მაგრამ მუდმივად ვერ შეძლებენ არაკვალიფიციურობის გადაფარვას, რამდენი ასეთი კადრიც არ უნდა ატრიალონ ეთერში. ბუნებრივია, თუ ასეთი რაღაც გამოჩნდა, მასალა უნდა მიეწოდებინათ პროკურატურისთვის, ვანო ციხეშია და მისი დაკითხვა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა, ნებისმიერი ჩვენგანიც მივიღებდით ამ პროცესში მონაწილეობას და შემდეგ დაეწყოთ ნივილ-კივილი. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით ამ ყველაფრის არსი, არა? დაწყებული ცოცხით... თვითონ ზიან ამ ცოცხზე უკვე წელიწად-ნახევარია... ჯერ იყო ეს, შემდეგ ჟვანიას საქმე, რომელიც ვერასოდეს ვერ დაამთავრეს და ვერც დაამთავრებენ, იმიტომ რომ თვითონ შეიყვანეს თავი ჩიხში... შემდეგ კასრები... ამ მაიმუნობას ურჩევნიათ, საქმეს მიხედონ...

– თუკი ვანო მერაბიშვილმა რუსი მრჩევლები იგულისხმა, რატომ არ ფიგურირებდნენ შემდეგ ეს რუსები ბრალდების საქმეში?

– ვერ იქნენ ნაპოვნი და იმიტომ. ვერც დავადასტურებდით და ვერც უარვყოფდით, იყო თუ არა ეს მართალი. ინფორმაცია იყო ასეთი.

„მე არ ვაპირებ სააკაშვილის გამონათქვამების შეფასებას, ის არ მონაწილეობს ახლა შიდა პოლიტიკაში, ეს მისი პიროვნული აზრია და მე ვერ შევაფასებ“

– თქვენი აზრით, ეს მასალა ვანო მერაბიშვილისთვის დამატებითი ბრალდების საფუძველი გახდება?

– რთული სათქმელია. ამათ პირობებში, როცა ამდენი არარეალისტური მტკიცებულება არსებობს, ამათ ნებაზეა... რამდენი რამე იყო, რამდენი ბრალდება, რომელიც შემდეგ სასამართლოში ვერ დაამტკიცეს და ასე გრძელდება უკვე 9 თვეა... არც ერთ ქვეყანაში, არსად ასე არ ხდება, პუტინიც კი არ აკეთებს ამას. ჰყოფნის, ბოდიში და, ერთი ადგილი, რომ მიუსაჯოს ადამიანებს, მაგრამ ეს რესურსიც ამოეწურებათ... გადაივლის ეს სიტუაცია, ევროპის ასოცირებულ წევრობასთან დაკავშირებით, მათი „კარტბლანში“ უკრაინაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, გაურკვეველი პოზიცია, რომელმაც შესაძლოა, ქვეყანა სერიოზულად დააზარალოს. სულ ტყუილად აქვთ ირონიული სახეები... მიახმებათ ზედ...

– სააკაშვილის განცხადებაზე მინდა გკითხოთ, მიუნხენში ამ კადრების კომენტირებისას ექსპრეზიდენტმა თქვა, საკმარისი პოლიტიკა მქონდა ცხოვრებაში და ამაზე მაინც თავი დამანებეთო... რას ნიშნავდა მისი ეს პოზიცია?

– მე არ ვაპირებ სააკაშვილის გამონათქვამების შეფასებას, ის არ მონაწილეობს ახლა შიდა პოლიტიკაში, ეს მისი პიროვნული აზრია და მე ვერ შევაფასებ.

– ეს იმას ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილი თქვენს გუნდს გაემიჯნა?

– ვერ გეტყვით, არ ვიცი.

– გაქვთ თუ არა მასთან კონტაქტი, ან რაიმე კონსულტაციებს თუ იღებთ მისგან?

– შიდა პოლიტიკურ საკითხებში ის არ მონაწილეობს. პიროვნულად მაქვს მასთან კონტაქტი, ჩემი მეგობარია, როგორ ხარ და მოკითხვის დონეზე. სხვა მხრივ, ის ჩართული არ არის. ახალგაზრდა ადამიანია, დიდი გამოცდილებით, და არ არის გამორიცხული, ისევ ჩაერთოს, მაგრამ ახლა – არა.

– რას იტყვით იმ პროცესზე, რომელსაც დღეს „სამართლიანობის აღდგენას“ უწოდებენ? მიგაჩნიათ თუ არა, რომ რაიმე კუთხით მართლაც არის ქვეყანაში სამართლიანობა აღსადგენი?

– დავიწყოთ იქიდან, რომ არანაირი საზოგადოება არანაირ აღდგენას არ ელოდებოდა. ნახეთ ნებისმიერი კვლევა, ეს საკითხი თავისი მნიშვნელობით ყოველთვის დგას მე-15-20 ადგილზე, ეს ძალიან დაბალი პროცენტია, ხალხის მცირე რაოდენობა, რომელიც პიროვნულად დაინტერესებულია ამ თემით, შესაძლოა, ზოგი გამწარებულია მართლა შეცდომის გამო, ზოგი იმაზე მეოცნებე, რომ დამნაშავეა, მაგრამ თავს გაიმართლებს. ეს უმნიშვნელო ნაწილია საზოგადოებისა და, ზოგადად, საკითხიც იდიოტურად არის დაყენებული. რას ნიშნავს სამართლიანობის აღდგენა? რომელ დონემდე უნდა აღვადგინოთ – შევარდნაძის დროს რომ იყო, თუ დავით აღმაშენებლის დროინდელ სამართლიანობაზეა საუბარი? აღდგენა ხომ იმას ნიშნავს, რომ რაღაცას მიუსადაგო? გაუგებარია ეს ყველაფერი. ის, რასაც ესენი სამართლიანობას ეძახიან, თვითონვე ადასტურებენ, რომ სამართლიანობასთან არ არის კავშირში.

მე დავკავდები საგამოძიებო ჟურნალისტიკით. იუმორით ვუყუროთო, რომ თქვა, ვანახებ, როგორ უნდა გვიყურონ იუმორით. მე უახლოეს პერიოდში მოგაწვდით ინფორმაციას, როგორ ხდება ეს ყველაფერი ფიზიკურად და იმედია, ხალხი გაიგებს, რომ ტყუილად აქვთ მოლოდინი. ესენი ყველაფერს საკუთარ ოჯახებზე ანაწილებენ.

საინტერესოა, რატომ არ დაარქვა ბიძინა ივანიშვილმა თავის ორგანიზაციას „ორმაგი მოქალაქე“? რატომ არ თმობს საფრანგეთის მოქალაქეობას? ხელისუფლებიდან რომ არსადაც არ წასულა, დაადასტურა კიდეც. ლაპარაკობდა, როგორ დარეკა პროკურატურაში, როგორ მიმართა ვიღაცას, როგორ აკონტროლებს ნებისმიერ სექტორს. ახლა იმას აკეთებს, რომ ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ადეკვატურ შეფასებებს აკეთებენ, ჩაანაცვლოს იმ ორგანიზაციებით, რომელზეც წინასწარ ამბობს, რომ მათი შეფასებები იქნება სწორი, ანუ სხვების – არასწორი. რუსულად რომ ვთქვათ, „сам танцует, сам поёт, сам вилеты продаёт“!

– ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენი გუნდიც უშვებდა შეცდომებს ხელისუფლებაში ყოფნის დროს?

– მე არასოდეს მქონია პოზიცია, რომ არ მეღიარებინოს შეცდომები. აბა, რატომ წავაგეთ მაშინ? ბევრი რამ იყო. პირველ რიგში, დეფიციტი ხალხთან ურთიერთობისა, მედიასივრცის მეტი გახსნა იყო საჭირო, მეტი ტოქშოუ და მეტი მსჯელობა. პროკურატურის მხრიდანაც გადამეტებულ ქმედებებს ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით გარკვეულ პერიოდებში. ციხეში იყო პრობლემები, თუმცა დღეს ბევრად უარესი მდგომარეობაა.

– გაქვთ რაიმე დამადასტურებელი მასალა?

– არა, დამადასტურებელი არაფერი მაქვს. რომ მექნება, აუცილებლად წარვადგენ. გადმოცემით ვიცი... ახლანდელ სიტუაციაში, კომუნიკაციის თვალსაზრისით, იმდენად ღიაა ციხე, რომ თავისუფლად შეიძლება ინფორმაციის მიღება. ეს მათი ძირითადი პრობლემაა დღეს, ამ სიტუაციის მძევლები არიან, ციხე რომ აფეთქდეს, ვერავინ გააჩერებს, ესენი ცდილობენ სიტუაციის ქურდების ინსტიტუტით დაბალანსებას, რაც ინვევს წამებებს, ოღონდ ამჯერად „მაყურებლების“ მხრიდან, რომლებიც, გარწმუნებთ, არ არიან უფრო ლმობიერები, ვიდრე ბადრაგის რომელიმე წარმომადგენელი, თუნდაც ყველაზე არანორმალური.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გვქონდა შეცდომები და ამის გამო ვაგეთ კიდეც პასუხი. ჩვენი გენერალური მდივანი ციხეში ზის, თუმცა სრულიად უკანონოდ. ციხიდან გიროთია გამოშვებული თავდაცვის ყოფილი მინისტრი და ასე შემდეგ... მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ესენი, ბოდიში და, თავს უნდა გავიდნენ? სრულ უმეცრებას თავხედობით აბალანსებენ და ეს დიდხანს არ გასტანს.

– რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ვიცით, რომ ძალიან აქტიურად ემზადებით და ცვლილებებსაც კი გეგმავთ პარტიაში.

– მიხარია, რომ დავამტკიცეთ ის, რასაც ვამბობდით და რაც არ სჯეროდათ, რომ სერიოზული ცვლილებები იქნებოდა პარტიაში. არის პოლიტიკური საბჭო, არიან მდივნები ყველა დონეზე ჩატარდება პრაიმერისები. სწორედ ამ გზით მოდიან ახალი სახეები, რომელთა შემოყვანითაც ძალიან დაინტერესებულები ვართ.

– შესაძლოა, ახალი სახეები მერებისა და გემგებლების არჩევნებზე კანდიდატურებად ვიხილოთ?

– დიდი იმედი გვაქვს, რომ ასეც იქნება.

– ჩამოყალიბებული ხართ თბილისის მერის სავარაუდო კანდიდატურებზე?

– როცა ხელისუფლება დააყენებს საშველს და იტყვის, როგორ და როდის ატარებს არჩევნებს, მერე ჩამოვყალიბდებით. კანდიდატები – ეს შიდაპარტიული შეთანხმების საკითხია. ამაზე ჯერ სერიოზულად არ გვიმსჯელია. კვლევა უნდა ჩავატაროთ, რეალური სურათი უნდა დავინახოთ, თუ ვიღაცას ვიღაცაზე მეტი შანსი აქვს, პრობლემა არ არის. პირველ რიგში, მოწოდებულები ვართ, რომ რაც შეიძლება მეტ ადგილას გავიმარჯვოთ, მით უფრო თბილისში.



– ეს იმას ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილი თქვენს გუნდს გაემიჯნა?
– ვერ გეტყვით, არ ვიცი.
– გაქვთ თუ არა მასთან კონტაქტი, ან რაიმე კონსულტაციებს თუ იღებთ მისგან?
– შიდა პოლიტიკურ საკითხებში ის არ მონაწილეობს. პიროვნულად მაქვს მასთან კონტაქტი, ჩემი მეგობარია, როგორ ხარ და მოკითხვის დონეზე. სხვა მხრივ, ის ჩართული არ არის. ახალგაზრდა ადამიანია, დიდი გამოცდილებით, და არ არის გამორიცხული, ისევ ჩაერთოს, მაგრამ ახლა – არა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელზეც, სავარაუდოდ, მერაბიშვილს პასუხისგება მოუწევს, თუ პროკურატურა ნორმალურად იმუშავებს, ძალიან დიდი ხნით ჩასვამენ“

EXCLUSIVE

„ოცნება“ არ იყენებს იმ მეთოდებს, რასაც ნაციონალები იყენებდნენ. ვგულისხმობ მოსმენებს, ძალადობას, ზეწოლას, შანტაჟს... ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომც მისმენდნენ, ამის გამო საფრთხე არ დამემუქრება“

შანსი არის ნული იმ კანონმდებლობის პირობებში, რომელიც „ოცნებას“ ნაციონალებისგან ერგო და ახლა „ოცნებაც“ ცდილობს მის გადარჩენას

გია კობახიძე: „იცით, რომ უშუალოდ 26 მაისის დღეს 4 ადამიანი დაილუპა და მოგვიანებით კიდევ – რამდენიმე, ზოგი გულის შეტევით, ზოგი... იყო თვითმკვლელობაც კი“

ხათუნა მგალობლიშვილი

ნინო ბურჯანაძემ სამართალდამცავებს დავალება მისცა – მისი მომდევნო ვიზიტისთვის, ვანო მერაბიშვილის გვერდით, განსასჯელის სკამზე მიხეილ სააკაშვილი დაახვედრონ. „სახალხო კრების“ წევრებით დაწყებული, ბურჯანაძის პირადი პარტიით დამთავრებული, ყველა ცდილობს, 26 მაისის საქმე სწორედ ყოფილი პრეზიდენტის კვალზე დააყენოს.

გიორგი კობახიძის განცხადებით, 26 მაისის მთავარი დამრბევი მიხეილ სააკაშვილია, რადგან, მისი აზრით, მერაბიშვილი ასეთ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ და არც მიიღებდა.

გია კობახიძე:

– ბურჯანაძე არ არის ერთადერთი, ვინც ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ მისცა ჩვენება. იგივე მოვყევი მეც, სოსო ჯაჭვლიანმაც, ლუკა კურტანიძემაც, შალვა ოგბაიძემაც, ნონა გაფრინდაშვილმაც. მოსაყოლიც ერთი და იგივეა: მოგვდევდნენ, დაგვაკავეს, გამეტებით გვირტყამდნენ, უშვერი სიტყვებით გვლანძღავდნენ. როცა გარდაცვლილ ადამიანებზეა საუბარი, ადამიანურად ძალიან ძნელია კვალიფიკაცია მისცე, რომელი უფრო მძიმე დანაშაულია. იცით, რომ უშუალოდ 26 მაისის დღეს 4 ადამიანი დაილუპა და მოგვიანებით კიდევ – რამდენიმე, ზოგი გულის შეტევით, ზოგი... იყო თვითმკვლელობაც კი. ეს არ გახლდათ მარტო 26 მაისი, მანამდეც იყო ზეწოლები და შემდეგ კიდევ უფრო მძიმე ფორმებით გაგრძელდა ეს. ხალხს რამდენიმე კვირით ადრე აპატიმრებდნენ, უშუალოდ აქციის დაწყების დღეს კი რამდენიმე საკვანძო ფიგურა აიყვანეს, რომ ჩვენთვის პრობლემები შეექმნათ. მაგალითად, ადამიანი, რომელიც ტრიბუნაზე იყო პასუხისმგებელი, დააკავეს; ვინც გზებს კურირებდა, ისიც დააკავეს. ამაზე მუშაობდა სისტემა და არამარტო ვანო მერაბიშვილი. მთავარი მიზანი ამ ყველაფრისა იყო ერთი: ჩვენზე ისეთი ნნეხი, ისეთი განუმეორებელი ზეწოლა უნდა განხორციელებულიყო, რომ მეორედ არავის არ გაებედა და სურვილიც კი არ გასჩენოდა ქუჩის პროტესტის. კახა ბენდუქიძემ მეორე დღესვე თქვა ეს, ძალიან კარგი ქნეს, ასე რომ დაარბიეს, სამაგიეროდ, ქუჩაში გამოსვლის სურვილი მეორედ აღარავის გაუჩნდებაო.

– ბევრს საუბრობენ, რომ სააკაშვილის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა ქვეყნის იმიჯზე ცუდად იმოქმედებს, ამაზე თავად უმრავლესობის წევრებიც თანხმდებიან. ბურჯანაძე აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ვანო მერაბიშვილის გვერდით უნდა იჯდეს. როგორ ფიქრობთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სააკაშვილის დაპატიმრება უფრო მნიშვნელოვანია თუ ქვეყნის იმიჯი?

– არასწორად ისმება საკითხი. მთელი უბედურება ის არის, რომ თვითონ ხელისუფლების წევრებიც სწორედ ამ კითხვას სვამენ. მაგალითად, ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ თურმე სააკაშვილის რეიტინგი უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს რეიტინგი და ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთო. ეს ყველაფერი არის მცდარი. სამართლიანობაზე დიდი ღირებულება არ არსებობს. სახელმწიფოსთვის მხოლოდ ის შეიძლება იყოს კარგი, რაც სამართლიანობასა და ზნეობრივ ნორმებთან არის შესაბამისობაში. ეს არის ჩვენი დამოკიდებულება. ხელისუფლების მხრიდან სააკაშვილის რეიტინგზე მითითებების გაკეთება საკუთარი ხალხის წინაშე საკითხით სპეკულირებას ნიშნავს.

– ნაციონალების დასაცავად სპეკულირებენ?

– სპეკულირებენ და ამის მიზნები შეიძლება ბევრნაირი იყოს. მთავარი მიზანი, ალბათ, ის არის, რომ განიმტკიცონ ხელისუფლებაში ყოფნა. ბუნებრივია, ნაციონალები მათ იმისთვის სჭირდებათ, რომ მათნაირი ოპოზიცია კომფორტულია. „ნაციონალური მოძრაობა“ ვერასოდეს დაიბრუნებს ხალხის ნდობას, შესაბამისად, ნაციონალები ვერასოდეს გახდებიან „ოცნების“ კონკურენტები. ამიტომ ახალი ხელისუფლება ცდილობს, მომდევნო არჩევნებამდე გაწელოს საქმე, პარალელურად ოპოზიციური სივრცე მოასუფთაოს და პირისპირ დარჩეს „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენებთან. ამის შემდეგ ისინი უკვე შიგნით, კოალიციაში გაინაწილებენ სამართავ სტრუქტურებს, მაგრამ ასე არ გამოვა. ეს ყველაფერი ხალხმა რამდენჯერმე უკვე ნახა და საკუთარ თავზე გამოსცადა, ამიტომ ყოველ მომდევნო ხელისუფლებას, ნაციონალების შემდეგ, გაცილებით მოკლე დრო აქვს ავი ზრახვების სისრულეში მოსაყვანად.

– შეიძლება ითქვას, რომ ახალი ხელისუფლება თქვენთვის ისეთივე მიუღებელია, როგორც წინა?

– საერთოდ, მართვის ეს სტილია ჩემთვის მიუღებელი. თუმცა ნაციონალებთან შედარებას ვერ გავაკეთებ, რადგან „ოცნება“ არ იყენებს იმ მეთოდებს, რასაც ნაციონალები იყენებდნენ. ვგულისხმობ მოსმენებს, ძალადობას, ზეწოლას, შანტაჟს... ყოველ შემთხვევაში, ვიცი, რომც მისმენდნენ, ამის გამო საფრთხე არ დამემუქრება. ნაციონალების დროს კი იმიტომ გისმენდნენ, რომ ზიანი მოეყენებინათ.

– ანუ თქვენთვის, როგორც ოპოზიციისთვის, ახლა ბევრად მეტი შანსია გაძლიერების, თავისუფლად მოქმედების?

– შანსი არის ნული იმ კანონმდებლობის პირობებში, რომელიც „ოცნებას“ ნაციონალებისგან ერგო და ახლა „ოცნებაც“ ცდილობს მის გადარჩენას. ასეთ პირობებში ვერავინ გაიმარჯვებს, გარდა ხელისუფლებისა.

– ანუ იგივე კურსს აგრძელებენ?

– რა თქმა უნდა, კონსტიტუცია მოირგეს და ახლა საარჩევნო კანონმდებლობას ირგებენ. ეს კანონმდებლობა იგივე შინაარსითაა დარჩენილი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ და მარტო პროცენტების ნაწილზე ვიმსჯელოთ, ეს არის ყველაზე არადემოკრატიული გადაწყვეტილება, თანაც ამის დათმობა ხელისუფლებისთვის ყველაზე უმნიშვნელოა. ჩვენ მართლა დავიღალეთ ამ თემებზე საუბრით. თან იცით, რაზეა ლაპარაკი? იგივე მოთხოვნებზე, რომელსაც თავის დროზე დღევანდელ კოალიციაში შემავალი პარტიები აყენებდნენ, როდესაც თავად იყვნენ ოპოზიციაში. ამ მოთხოვნების შესრულებას ჩვენთან ერთად ითხოვდნენ ნაციონალებისგან. დღეს კი გველაპარაკებიან იგივე სიტყვებით, რა სიტყვებითაც მაშინ ნაციონალები გვპასუხობდნენ.

– თვითმმართველობის არჩევნებში აპირებთ მონაწილეობას?

– აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას. ახალი ხელისუფლების პირობებში არ ვაპირებთ არც ერთი არჩევნების გამოტოვებას. თუმცა, როგორ ჩავართვებით – მარტო გავალთ, კონკრეტულ პარტიებთან ერთად, თუ როგორ გადავანაწილებთ აქცენტებს, ეს ყველაფერი დამოკიდებულია ინტერფრაქციული ჯგუფის საბოლოო ჩამოყალიბებაზე.

„ამ განცხადებებით მერაბიშვილი ვერ ხვდება, რომ საკუთარ კარში აკეთებს დარტყმას, რადგან ის, რაზეც შენ უნდა იყო პასუხისმგებელი, როგორ შეიძლება სხვამ ხელიდან გამოგართვას? შინაგან საქმეთა მინისტრი იყო ვანო მერაბიშვილი, ბიწაძე კი – საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი“

– მერობის კანდიდატი გეყოლებათ?

– მერობის კანდიდატი გვეყოლება, მაგრამ ჯერ შეთანხმებულები არ ვართ, ვის გავაჩერებთ არჩევანს – პარტიულ სახეზე, საზოგადოებრივსა თუ პარტნიორულზე. კონსულტაციები გამუდმებით მიმდინარეობს. თუმცა ამ კონსულტაციებს ჯერჯერობით გეგმური სახე არ აქვს, რადგან არ ვიცით, რას, როგორ და სად ვირჩევთ.

– მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ თავის დროზე ბადრი ბიწაძე იყო მთავარი დამგეგმავი 2007 წლის ნოემბრის ღამის...

– ამ პროცესზე მერაბიშვილს, უგულავას, ბოკერიას აქვთ წინასწარ მომზადებული ფრაზები. ყველაფერს რომ თვალი გადავავლოთ, ამ განცხადებებით მერაბიშვილი ვერ ხვდება, რომ საკუთარ კარში აკეთებს დარტყმას, რადგან ის, რაზეც შენ უნდა იყო პასუხისმგებელი, როგორ შეიძლება სხვამ ხელიდან გამოგართვას? შინაგან საქმეთა მინისტრი იყო ვანო მერაბიშვილი, ბიწაძე კი – საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. რა კავშირშია? მაგრამ იმიტომ რომ წყალი აამღვრიონ, ყველაფერზე მიდიან, მას დასაკარგი არაფერი აქვს. ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელზეც, სავარაუდოდ, მას პასუხისგება მოუწევს, თუ პროკურატურა ნორმალურად იმუშავებს, ძალიან დიდი ხნით ჩასვამენ. საერთოდ, დანაშაულზე ყველამ უნდა აგოს პასუხი, ყველას უნდა მოეკითხოს. ახალი ხელისუფლება კი ბევრ შეცდომას უშვებს, ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ის იყო, როცა გამოაცხადეს, საშუალო რგოლებს არ შევეხებითო. საერთოდ არ ცდილობენ, გაიგონ, ჰქონდა თუ არა ჩადენილი დანაშაული საშუალო რგოლს. შეიძლება არ დააპატიმრო, საპყრობილეში არ ჩასვა, რადგან ვერ ახერხებდა, უარი ეთქვა დანაშაულებრივი ბრძანების შესრულებაზე, სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ წმინდა სამართლებრივად, გამოძიება მაინც რომ არ ჩაატარო, ამის უფლება არ გაქვს. ელემენტარულად ჯაჭვი წყდება და რეალურ დამნაშავემდე ვერ მივლენ ასე.

– ფიქრობთ, რომ ძიება სააკაშვილამდე მივა?

– ჯერჯერობით არ მაქვს ის განცდა, რომ მიშასთან მისასვლელი გზები არ არსებობს. ჩვენ ჯერ კიდევ 26 მაისამდე გამოვაქვეყნეთ დანაშაულებისა და დამნაშავეების ნუსხა, რომელიც უმაღლეს ეშელონებამდე მიდიოდა. ამ ყველაფერს შემდეგ კიდევ დაემატა, თორემ არაფერი დაჰკლებია. შესაბამისად, ნებისმიერი საქმე შეიძლება მივიდეს სააკაშვილამდე. შეიძლება ამ ხელისუფლებამ შეგნებულად აარიდოს თავი. სწორედ ეს თქვა ქალბატონმა ნინომაც, რომ მერაბიშვილზე დიდი დამნაშავე მიხეილ სააკაშვილია. ყველაზე დიდი დამნაშავე არის თავად „ნაციონალური მოძრაობის“ კლანი, რომელსაც მართავდა სააკაშვილი.

„ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ თურმე სააკაშვილის რეიტინგი უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს რეიტინგი და ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთო“

„მერობის კანდიდატი გვეყოლება, მაგრამ ჯერ შეთანხმებულები არ ვართ, ვისზე შევაჩერებთ არჩევანს – პარტიულ სახეზე, საზოგადოებრივსა თუ პარტნიორულზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა

ნათია ვარძელაშვილი

საქართველოში მოსახლეობის ბოლო აღწერა 2002 წლის იანვარში ჩატარდა. იქამდე მოსახლეობის აღწერა 1989 წლის იანვარში იქნა ჩატარებული. აღწერათაშორის პერიოდში, კერძოდ 1990-იან წლებში საქართველოში მომხდარ ცნობილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს მოჰყვა დემოგრაფიული შემთხვევებისა და მიგრაციის რეგისტრაციის გაუარესება, რის შედეგადაც გართულდა მოსახლეობის რაოდენობისა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე ოფიციალური სტატისტიკის პარალელურად გაჩნდა არაოფიციალური სტატისტიკა, მეცნიერულ-შეფასება გაანგარიშების სახით, რომლის მონაცემები არაიშვიათად, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და განსხვავდება საქართველოს საქსტატის შესაბამისი მონაცემებისა და მაჩვენებლისაგან.

სათანადო ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ოფიციალურად რეგისტრირებული მოსახლეობის გარე მიგრაციისა და ბუნებრივი მატების მონაცემებიდან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1989 წლისათვის იქნებოდა 73-95 ათასით ნაკლები, ვიდრე იმავე დროს მოსახლეობის აღწერის დროს იყო დაფიქსირებული.

შობადობის ნებისმიერი მაჩვენებლის ანალიზი ეფუძნება ინფორმაციას დაბადებულთა რაოდენობის შესახებ, ამიტომ აღრიცხვა მით უფრო სანდოა საბოლოოდ გაანგარიშებული ესა თუ ის მაჩვენებლი და მის საფუძველზე ჩატარებული ანალიზი და გამოტანილი დასკვნები.

გაეროს ექსპერტების შეფასებით 1950-იან წლებში დაბადებათა არასრული აღრიცხვა 3%-ის, ხოლო 1960-1965 წლებში 6% -ის ფარგლებში იყო. დაბადებათა აღრიცხვის კარგი მოცვა შეიმჩნევა 1965-1980 წლებში. 1990-იანი წლებიდან დაბადებათა რეგისტრაციის მოცვა უარესდება და ძალიან დიდ მასშტაბს აღწევს 1995-2000 წლებში.

- ბატონო გიორგი ვინ და როგორ უნდა ზრუნავდეს ჩვენს ქვეყნაში დემოგრაფიულ გაუმჯობესებაზე?

- თუ დემოგრაფიული პრობლემები სახელმწიფოს ინტერესებში შედის, რა თქმა უნდა, სახელმწიფომ უნდა დაიწყოს მუშაობა ამ მიმართულებით. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არის ნეიტრალური მიდგომა დემოგრაფიის თვალსაზრისით, უნდა ჩავერიო თუ არ ჩავერიო. მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები არ ჩავერიოს პოლიტიკას ატარებენ.

მაგალითად, საფრანგეთს ძალიან მკაფიო გამოხატულება აქვს შობადობის მხრივ, ცდილობენ ხელი შეუწყონ შობადობას. გაერთიანებულ სამეფოს კი პირიქით, ნაკლებ ყურადღებას უთმობს. ეს განსხვავებები არის და აქ გასაკვირიც არაფერია. დემოკრატიული ქვეყნებია და მათ ასეთი კურსი აირჩიეს თავიანთი ქვეყნის განვითარებისთვის.

- საქართველოს თუ აქვს ამ მიმართულებით რაიმე კურსი არჩეული?

- სამწუხაროა, რომ დღეს ამ საკითხებზე ძალიან ცოტა ფიქრობს, ხანდახან რომელიმე პოლიტიკოსის ყურამდე მიდის და შეიძლება რაღაც კომენტარი გააკეთოს დემოგრაფიულ პრობლემებზე, თუმცა საქმით ნაკლებად გამოხატოს. თუ ჩემი პოზიცია გაინტერესებთ - მე ვიტყვი რომ, ჩვენ სამწუხაროდ,

ვერ ავიყვანეთ დემოგრაფიული საკითხები სახელმწიფო დონემდე. ერთი პერიოდი იყო მსჯელობა ამ პრობლემებზე და შეიქმნა გარკვეული ჯგუფებიც, რომლებსაც უნდა ეზრუნათ ამ საკითხების მოგვარებაზე, მაგრამ შეიცვალა ხელისუფლება და შეიცვლა დამოკიდებულებაც. ჩვენი უბედურებაც ისაა, რომ რამდენჯერაც შეიცვლება ხელისუფლება იმდენჯერ იცვლება ამ პრობლემებისდამი დამოკიდებულება. ეს ხელისუფლებაზე ხომ არ უნდა იყოს დამოკიდებული, ესაა ზოგადი საკაცობრიო, ეროვნული პრობლემა.

ობიექტურად როცა კი მიდის მსჯელობა ამ საკითხებზე იკვეთება, რომ ძალიან დიდ დანახარჯებამდე მივდივართ. მე რომ მკითხოთ, საქართველო ამ ეტაპზე არა რის მზად, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, რომ ამ პრობლემებს შეეჭიდოს, ძალიან ძლიერი მატერიალური სტიმულირება არის საჭირო, რომელიც უნდა გააჩნდეს ხელისუფლებას თავის რესურსებში - რაც ჩვენ სახელმწიფოს არ გააჩნია.

პირობითად ვამბობ, ყველას ძალიან გაუხარდება, რომ ოჯახს თითოეულ შვილზე მივცეთ ასი ლარი, მაგრამ დემოგრაფიული თავალსაზრისით ეფექტი იქნება ნულის ტოლფასი. ამიტომ ვფიქრობ, რომ აქ უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტური ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო.

უწმინდესის ინიციატივას - რომელმაც მკვეთრად გაზარდა შობადობა საქართველოში, სახელმწიფოსაც რომ შეეწყო ხელი ძალიან კარგი იქნებოდა. ჩემი გათვლებით, ის ეფექტი, რაც პატრიარქის მოწოდებას მოჰყვა, სახელმწოფოც რომ გამოხმაურებოდა, იმ პერიოდში გაცილებით მეტი შობადობა გვექნებოდა და ეფექტიც კიდევ უკეთესი. პატრიარქმა თავისი გააკეთა, მაგრამ, ხელისუფლებამ არაფერი.

- როგორია საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები?

- უდავოა დემოგრაფიული პერსპექტივების განსაზღვრის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის. მსოფლიოს ქვეყნებისთვის და მათ შორის საქართველოსთვის, დემოგრაფიულ პროგნოზებს 2050 წლამდე სამი ორგანიზაცია ახორციელებს: გაერო, მსოფლიო ბანკი და აშშ-ს აღწერის ბიურო. დემოგრაფიული პერსპექტიული გაანგარიშებები საქართველოსთვის ჩვენც გაგვაჩნია.

პერიოდულად წარმოებს არსებული გაანგარიშებების გადასინჯვა. ზოგჯერ ახალი გადასინჯვა არა მარტო პროგნოზის ცვლილებას გულისხმობს, არამედ ძველ პერიოდსაც მოიცავს. მაგალითად, ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი გაეროს 2008 და 2010 წლებს გადასინჯვებისას. ზოგიერთი დემოგრაფიული მაჩვენებლები განსხვავდება 2000-2005 წლებისათვის.

სამივე ორგანიზაციისა და ჩვენს მიერ შესრულებული პროგნოზებიდან გამომდინარეობს, რომ 2015-2050 წლებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება. გაიზრდება მამაკაცების რაოდენობა 100 ქალზე და დემოგრაფიული დაბერების დონე, რამდენადმე გაიზრდება შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, თუმცა ის თაობათა განახლების ზღვარს ქვემოთ იქნება. მოსახლეობა 100 სულზე შემცირდება შობადობა და გაიზრდება მოკვდაობა. ასეთ მდგომარეობას მოჰყვება ბუნებრივი მატების კლება. მოსალოდნელია მიგრაციის უარყოფითი სალდოს შემცირება, ხოლო ჩვენი პროგნოზის შემთხვევაში მისი სიდიდე 2025 წლის შემდეგ პერიოდში დადებითი გახდება. ყველა პროგნოზით მოსალოდნელია ჩვილთა მოკვდაობის შემცირება და დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მატება.

2050-2100 წლებისათვის გაეროს ექსპერტების პროგნოზით საქართველოში მოსალოდნელია მოსახლეობის რაოდენობის შემდგომი შემცირება; შობადობის ზრდა, მოკვდაობის, მათ შორის ჩვილთა მოკვდაობის შემცირება, დაბადების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა, ბუნებრივი მატების ზრდა.

გაეროს ექსპერტების გრძელვადიანი პროგნოზით, რომელიც 2100-2300 წლებს მოიცავს, 2150 წლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ზრდას იწყებს. მოიმატებს შობადობა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას.

ასე გამოიყურება საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები.

მარნეულის სასურსათო ქარხნის წარმოება ამტკიცებს, რომ ქართული სოფლის მეურნეობას მომავალი აქვს

თეა ხომერიკი

გემრიელი და ქართველი მომხმარებლის საყვარელი „მარნეულის“ პროდუქცია, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა სავაჭრო ქსელის დახლზე აწყვია, თავის დროზე საკმაოდ რისკიანი და ინოვაციური ბიზნეს წამოწყების შედეგია. 2007 წლიდან ცნობილი ქართული მინერალური წყლის „ნაბეღლავის“ მწარმოებელი კომპანიის „წყალი მარგებლის“ აქციონერების ინტერესი სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და კვების მრეწველობის განვითარებას დაუკავშირდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება „მარნეულის სასურსათო ქარხნისა“ და „მარნეული აგროს“ ისტორიაც.

„მარნეულის სასურსათო ქარხანა“ „მარგებელი ჰოლდინგის“ ნაწილია, რომელიც 2007 წელს დაარსდა და საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა. ქარხანა ევროპული სტანდარტების მქონე დანადგარებითაა აღჭურვილი და 50-მდე დასახელების ქართული ნედლეულისგან დამზადებულ, ნატურალურ და გემრიელ საკონსერვო პროდუქტს უშვებს. ქილაში ჩადებული თითოეული პროდუქტი ქართულ მიწაზეა მოყვანილი და 100 პროცენტით ქართულია. შესაბამისად, M ნიშანი საქართველოში ხარისხისა და ჯანსაღი საკვების სინონიმად იქცა.

„სოფლის მეურნეობა რთული და სპეციფიკური დარგია, რომელიც საჭიროებს ეტაპობრივ განვითარებას, ევროპული გამოცდილების გაზიარებასა და უწყვეტ ინვესტიციას. განვითარებული ქვეყნების ინოვაციური მიდგომის გათვალისწინების გარეშე, ის პოტენციალიც განადგურდება, რაც დღეს არსებობს ქვეყანაში. „მარნეულის სასურსათო ქარხნისა“ და „მარნეული აგროს“ შვიდწლიანმა საქმიანობამ ეს ნათლად დაგვანახა“, – აღნიშნავს „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ დირექტორი ირინა გაფრინდაშვილი.

2012 წელს დანერგილმა ახალმა ტექნოლოგიებმა საშუალება მისცა კომპანიას უფრო მეტი სიახლე შეეთავაზებინა მომხმარებლისთვის. შესაბამისად, 2013 წელი „მარნეულის სასურსათო“ ქარხნისთვის გამორჩეული იყო. გაიზარდა პროდუქციის წარმოება, ამის მაგალითია სარეალიზაციო ქსელში პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპები, კომპანიამ კიტრის მწნილებისა და ტომატ პასტების ასორტიმენტის ზრდასთან ერთად სალათების გამოშვებაც დაიწყო, განხორციელდა „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ პროდუქციის პირველი ექსპორტი ევროპაში. დღეისათვის „მარნეულის სასურსათო ქარხანას“ ტომატ პასტის ბაზრის დაახლოებით 30% უკავია, ხოლო კიტრის მწნილის - 40%.

ქ-ნო ირინა, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ მიზანი იყო იმპორტირებული პროდუქციის ქართული ნაწარმით ჩანაცვლება...

საწარმოს შექმნის დღიდან ჩვენი მიზანია ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციის ქართულით ჩანაცვლება. მომხმარებელს ვთავაზობთ 100 პროცენტით ქართულ პროდუქტს. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, არსებული მითი, დაგვემსხვრია, თითქოს საქართველოში წარმოება შეუძლებელია, კონკურენციას ვერ გაუწევ თურქეთს, ჩინეთს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესია, თუმცა მიღწევადი. იმისთვის, რომ ქარხანამ შეძლოს წარმოება კონკურენტუნარიანი გახადოს, აუცილებელია წარმოების სრული ციკლი შეესაბამებოდეს და იყოს მაღალი სტანდარტების. სწორედ ამიტომ, ქარხანაში ნედლეულის უწყვეტი მიწოდების მიზნით, ინვესტიცია ჩაიდო „მარნეული აგრო“-ში. კომპანიის გაყიდვები დღითიდღე იზრდება და ასორტიმენტსაც სულ უფრო მეტად ვაფართოებთ. 2014 წლისთვისაც იგეგმება ასორტიმენტის გაფართოება. რაც უფრო მეტი ქართული საწარმო იქნება ქვეყნაში, მით უფრო მეტად დაიკავებს ქართული პროდუქცია იმპორტირებული პროდუქციის წილს ქართულ ბაზარზე.

– თქვენი პროდუქცია 2013 წელს ექსპორტზეც გავიდა და როგორც ვიცით, უცხოელების დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ მიმართულებით თუ გეგმავთ აქტივობებს?

– ძალიან ბევრი შემოთავაზება და დიდი დაინტერესებაა მარნეულის სასურსათო ქარხნის პროდუქციის ექსპორტზე გასატანად. კომპანია პერიოდულად მონაწილეობას იღებს უცხოეთში გამართულ გამოფენებზე, რომლის მაგალითია Foodlst -სტამბულში 2012 წლის დეკემბერში, ხოლო თებერვლის ბოლოს კომპანია წარმოდგენილი იქნება ამ სფეროში ერთ-ერთ უმსხვილეს გამოფენაზე - GulFood დუბაიში. მსგავსი გამოფენები ჩვენ საშუალებას გვაძლევს უფრო ახლოს გავიცნოთ, თუ რა მოთხოვნებია უცხოეთის ბაზარზე. პროდუქციის ექსპორტზე გატანა გრძელვადიანი თემაა და ჩვენ ვცდილობთ მომზადებულები ვიყოთ და ისეთი პროდუქტი შევთავაზოთ უცხოურ მომხმარებელს, რომელიც მალევე გახდება პოპულარული და ადვილად დაიმკვიდრებს ადგილს. ამ ეტაპზე კომპანია უფრო ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული.

– ქარხნის ძირითადი მომწოდებელი ჰოლდინგში შემავალი „მარნეული აგრო“ და ადგილობრივი ფერმერები არიან, როგორ ხდება დაგეგმვა, - მოსავლის მოყვანის და აღების პროცესი?

– „მარნეული აგრო“ მარგებელი ჰოლდინგის ნაწილია, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა სოფლის მეურნეობის სფეროში. კომპანია მარნეულის სასურსათო ქარხნისთვის ნედლეულის მთავარი მიმწოდებელია. გააჩნია საკუთარი სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთები, სადაც მოჰყავს ბოსტნეული და მარცვლეული კულტურები. ხდება ბოსტნეულის ჩითილების გამოყვანა საჩითილეებში და შემდეგ ხდება გადარგვა ღია გრუნტზე. „მარნეული აგრო“ იყენებს ბოსტნეულის მოყვანის ევროპულ მეთოდებს და ტექნოლოგიებს. კომპანიას გააჩნია თანამედროვე წვეთოვანი მორწყვისთვის საჭირო აღჭურვილობა, ასევე კიტრისა და პომიდვრის ამღები, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ გააჩნია. შედეგად მარნეული აგროს მოსავლიანობა ჰექტარზე გადაანგარიშებით ყოველწლიურად იზრდება, კომპანიის მთავარი მიზანია მოსავლიანობის მხრივ მივუახლოვდეთ მსოფლიოს მაჩვენებლებს. მაგალითისთვის პომიდვრის მოსავლიანობა ჰექტარზე საშუალოდ 100-120 ტონაა, მაშინ როდესაც საქართველოში საშუალო მაჩვენებელი 15-20 ტონამდეა, ჩვენს მინდვრებზე მივაღწიეთ დაახლოებით 70 ტონას. რაც შეეხება კიტრს, ევროპაში მოსავლიანობა დაახლოებით 80-100 ტონამდეა, ხოლო მარნეული აგროს მინდვრებზე 55 ტონამდე. ასევე აღსანიშნავია, რომ წელს „მარნეული აგრომ“ ხორბლის რეკორდული მოსავალი აიღო, - 120 ჰექტარი მინდვრიდან - 450 ტონა ხორბალი. ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ 7,5 ტონა შეადგინა, რაც ქვეყანაში საშუალო მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატება. ეს მაჩვენებლები საქართველოსთვის რეკორდულია.

- რაც შეეხება წარმოებას, როგორი იყო 2013 წლის წარმოების სეზონი?

- მარნეულის სასურსათო ქარხანა ნედლეულით ადგილობრივი ფერმერებისგან და საკუთარი მეურნეობიდან მარაგდება, გადანაწილება დაახლოებით შემდეგნაირია: ნედლეულის 40%-ს საკუთარი მინდვრებიდან ვიღებთ; ხოლო 60% ქართულ ბაზარზე მოღვაწე ფერმერებიდან შემოგვდის. ნედლეულს საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორიიდან ვიბარებთ. მოსავლიანობა ყოველწლიურად გვეზრდება. მომავალი სეზონისთვის მოსავლის აღების ტექნოგიებში ინვესტიციებს ვდებთ, იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ კიდევ უფრო დიდი წარმოება ბაზრისთვის. საქართველოს კლიმატი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კიტრის მოსავალი ორ სეზონზე გადავანაწილოთ. პირველი სეზონის მოსავლის აღება მაისის შუა რიცხვებიდან იწყება და ივლისის დასაწყისამდე გრძელდება, ხოლო მეორე მოსავალი სექტემბრის დასაწყისში იწყება და ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება. 2013 წელს კიტრის რეკორდული მოსავალი მივიღეთ. ქარხანაში კიტრის გადასამუშავებლად ევროპელი მწარმოებლების ცნობილი დანადგარებია, რაც უზრუნველყოფს წარმოებულის მაღალ დონეს და ხარისხს. არსებული ტექნოლოგიური ხაზები კომპანიას საშუალებას აძლევს ნედლეული დაფასოს შემდეგ ფორმატებში: 200, 250, 370, 580, 730, 1000, 3000 მლ-იან შუშის შეფუთვებში, 210,425, 830 გრამიან თუნუქის ქილებში, ასევე დიდ მოცულობებში. ჯემები დაფასოებულია 5, 10 და 20 კილოგრამიან სათლებში, კორპორატიული მომხმარებლებისთვის 2013 წლიდან დავამატეთ თუნუქის 14 და 18 ლიტრიან შეფუთვებშიც.

ირინა გაფრინდაშვილი: „სოფლის მეურნეობა რთული და სპეციფიკური დარგია, რომელიც საჭიროებს ეტაპობრივ განვითარებას, ევროპული გამოცდილების გაზიარებასა და უწყვეტ ინვესტიციას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ია ფარულავა: „სიბერეში რომ არ ვინანო, ეს ერთხელ ნამდვილად უნდა ვცადო“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ია ფარულავა ზუსტად ერთ კვირაში ტაილანდში გაემგზავრება. ეს მოგზაურობა მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე საოცნებოა. არა იმიტომ, რომ ზამთარში ზაფხულს მოიწყობს და არც იმის გამო, რომ თბილისის ქაოსს ცოტა ხნით მაინც გაექცევა. ფარულავამ გადაწყვიტა, დიდი ხნის ოცნება აისრულოს... მოგზაურობის ორგანიზატორია „NEW LIFE“-ის დამფუძნებელი მარიამ კუკუნაშვილი. სუროგატი დედის საშუალებით შვილის გაჩენის გადაწყვეტილებაც ფარულავას სწორედ მარიამმა მიაღებინა. მანამდე ია აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას ყველგან აგროვებდა – ინტერნეტში, ფორუმებზე, ექიმებთან...

სუროგაციის ცენტრის ხელმძღვანელი ზუსტად ვერ იხსენებს, რამდენმა წყვილმა ითანამშრომლა მის ცენტრთან, თუმცა აცხადებს, რომ საშობაო ეპისტოლეს შემდეგ მსურველების რიცხვი დაახლოებით გასამმაგდა. სწორედ მათ რიცხვში აღმოჩნდა ია ფარულავაც, რომლის შანსებიც შედარებით ნაკლებია მისი ასაკიდან გამომდინარე, თუმცა თავად მსახიობი აცხადებს, რომ გვიან სინანულს ურჩევნია, შანსი ერთხელ აუცილებლად გამოიყენოს...

„ჩემს მეუღლეს პირველივე დღიდან ძალიან უნდოდა, რომ შვილი გვყოლოდა“

ია ფარულავა:

– ჩემს შვილიანობასთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება, ინტერვიუ დაბეჭდილა... ეს ისეთი მგრძნობიარე თემაა... მით უმეტეს, ახლა ჩემი ასაკიც ისეთია... მარიამს ვიცნობ რამდენიმე წელია, მაგრამ ამ თემაზე არასოდეს გვისაუბრია. ბევრმა ცნობილმა ექიმმა მირჩია სუროგატი დედის საშუალებით ბავშვის გაჩენა. სხვათა შორის, იგივე რჩევა მომცა ყველა წამყვანმა ექიმმა, ამერიკაშიც და საქართველოშიც. ეს თემა ძალიან ფართოთ არის განხილული ფორუმებზე, ბევრი დადებითი გამოხმაურება აქვს. ზუსტი პასუხი, ბუნებრივია, ახლა არ მაქვს, არ ვიცით, ეს ამბავი გამოვა თუ არა. მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ მარიამმა ჩემ მიმართ ძალიან დიდი ყურადღება გამოიწვია და, კარგი გაგებით, მაწვებოდა, რომ გადაწყვეტილება მიმეღო, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, ძალიან მეშინია, რომ არ გამოვა ის, რაც ყველაზე მეტად მინდა, თუმცა თვითონ ფაქტი, რომ მარიამი უსასყიდლოდ მთავაზობს ამ მომსახურებას... მოგეხსენებათ, ეს ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ჯერჯერობით არაფრის თქმა და დეტალებზე საუბარი არ შემიძლია, რადგან არ ვიცით, როგორი იქნება პასუხები. ჩემი ასაკის ქალბატონისთვის, ბუნებრივია, რთულია. საჭირო იქნება წინასწარ ანალიზების გაკეთება. დაახლოებით ერთ თვეში მეცოდინება ყველაფერი. თუ გამოვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ღვთის ნებაა, თუ არ გამოვა, ესეც ღვთის ნება იქნება.

– როგორი რეაქცია ჰქონდა თქვენს მეუღლეს, ხომ არ გაგიჭირდათ მისი დათანხმება?

– არა, საერთოდ არ ყოფილა დათანხმების მომენტი. ჩემს მეუღლეს პირველივე დღიდან ძალიან უნდოდა, რომ შვილი გვყოლოდა. თუმცა მეუბნება, რომ მისთვის, პირველ რიგში, მე ვარ მნიშვნელოვანი. მოსამზადებელ პერიოდში მომიწევს საკმაოდ რთული ჰორმონების, წამლების მიღება, რომელმაც შეიძლება ჩემი ასაკის ქალბატონში დაარღვიოს გარკვეული სისტემები, გამოიწვიოს პრობლემები. ეს გადაწყვეტილება პირადად მივიღე, არავინ არ მაძალებს ამის გაკეთებას. უბრალოდ, შემდეგ, სიბერეში რომ არ ვინანო, ეს ერთხელ ნამდვილად უნდა ვცადო. მარიამმა ამ ყველაფერში ძალიან პოზიტიური მუხტი შემოიტანა და ჩემი ჩანაფიქრი გამყარა .

„თუ გამოვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ღვთის ნებაა, თუ არ გამოვა, ესეც ღვთის ნება იქნება“

– სუროგატი დედა ქართველი იქნება?

– ეს დეტალები არ ვიცი, მართალი გითხრათ... რაკი ტაილანდში მივდივართ, სავარაუდოდ, ქართველი არ იქნება.

ია ფარულავა, მარიამ კუკუნაშვილთან ერთად, 20 თებერვალს უკვე ტაილანდში, „NEW LIFE“-ის კლინიკაში იქნება. პროცედურებს, ანალიზებს, მოსამზადებელ პერიოდს, სავარაუდოდ, რამდენიმე დღე დასჭირდება, საბოლოო პასუხი კი ფარულავას მარტის დასაწყისში, ანუ დაახლოებით ერთ თვეში ეცოდინება...

მარიამ კუკუნაშვილი, სუროგაციის ცენტრის „NEW LIFE“-ის მსოფლიო ქსელის დამფუძნებელი:

– მე და იამ ერთმანეთი „facebook“-ის მეშვეობით გავიცანით, შემდეგ საერთო მეგობართან დაბადების დღეზე შევხვდით ერთმანეთს და ასე აეწყო ურთიერთობა. ჩემს წიგნზე მუშაობის პერიოდშიც ვურთიერთობდით. უკვე შემდეგ, თავის პრობლემასთან დაკავშირებით მითხრა: სურვილი მაქვს და მინდა ვცადო, თუ გამოვაო.

– როგორც ვიცით, ტაილანდში აპირებთ გამგზავრებას, რატომ გადაწყდა ტაილანდი?

– ტაილანდში ჩვენ გვაქვს კლინიკა, იქ არის ისეთი დონის აპარატურა, რომელიც საქართველოში არ გვაქვს. შესაძლებელი იქნება ემბრიონში ინპლანტაციურ-გენეტიკური დიაგნოსტიკის ჩატარება, ძლიერი კვერცხუჯრედის შერჩევა მოხდება, ამიტომ მთელი ეს პროცედურები ძალიან მნიშვნელოვანია.

– ასაკს დიდი მნიშვნელობა აქვს?

– საერთოდ, 40 წლამდე ქალბატონებში შანსები 50%-მდეა, შესაბამისად, ამ შემთხვევაში ასაკის გამო შანსები ნაკლებია, თუმცა ჩვენ 42-43 წლის პაციენტებიც გვყოლია და გვყავდა 44 წლის ესპანელი ქალბატონიც, რომლის ანალიზები არ ვარგოდა, თითქოს არანაირი შანსი არ ჰქონდა, მაგრამ შედეგად ტყუპები ეყოლა. საერთოდ, 45 წლიდან შანსები ნაკლებია, დაახლოებით 1-2%-მდე დადის... 20 თებერვალს უკვე ტაილანდში ვიქნებით და მარტისთვის საბოლოო პასუხი გვეცოდინება.

მარიამ კუკუნაშვილი: „20 თებერვალს უკვე ტაილანდში ვიქნებით და მარტისთვის საბოლოო პასუხი გვეცოდინება“

„ამ შემთხვევაში ასაკის გამო შანსები ნაკლებია, თუმცა ჩვენ 42-43 წლის პაციენტებიც გვყოლია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პერსპექტიული ფეხბურთელის ჩამქრალი ვარსკვლავი

EXCLUSIVE

უბედურმა შემთხვევამ ნიკა სიხარულიძის მომავალი რადიკალურად შეცვალა

მაგდა კლდიაშვილი

ნიკა სიხარულიძე 20 თებერვალს 16 წლის გახდება. ის დღეს ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო, თუმცა 7 წლის წინ მომხდარმა ტრაგედიამ მისი ცხოვრება თავდაყირა დააყენა. „ბარსელონას“ ნიჭიერთა პროგრამით არჩეული ახალგაზრდა ფეხბურთელი მძიმე ავტოავარიაში მოჰყვა და მას შემდეგ სიცოცხლისთვის იბრძვის. დაპირისპირება ნიკასა და სიკვდილს შორის ამ დრომდე ნიკას გამარჯვებით სრულდება. როგორ უმკლავდება სოციალურად დაუცველი ოჯახი ამ ყოფას და რატომ არაფერს აკეთებს სახელმწიფო ამგვარი შემთხვევებისთვის - „პრაიმტაიმი“ პატარა ნიკას ამბავს მოგიყვებათ.

მისი ვარსკვლავი ნაადრევად ჩაქრა, მაგრამ დღემდე სჯერა, რომ ისევ ითამაშებს ფეხბურთს. ნიკა თბილისის „ლოკომოტივის“ ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა, რომ არა ეს შემთხვევა, დღეს დიდი შანსია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან კლუბში, „ბარსელონას“ აკადემიაში აღმოჩენილიყო.

თავის ქალა, შიდა ორგანოები, დაკარგული მხედველობა - არასრული ჩამონათვალია იმ დაზიანებებისა, რაც ავარიის დროს მიიღო პატარა სპორტსმენმა. 2007 წლის 13 მაისს მომხდარმა უბედურებამ მის ცხოვრებაში ყველაფერი შეცვალა. „ლოკომოტივის“ ახალგაზრდულმა გუნდმა ტურნირი მოიგო და მცხეთაში აღნიშნეს გამარჯვება, უკანა გზაზე, მანქანა, სადაც ნიკა იჯდა, სხვა მანქანას დაეჯახა, ნიკა თანაგუნდელის მშობელს კალთაში ეჯდა, დაჯახების შედეგად კი საქარე მინას შეასკდა, საიდანაც გადავარდა. მისი ოჯახის წევრები იხსენებენ, რომ ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარებას ბავშვი გარდაცვლილი ეგონა და მხოლოდ მას შემდეგ მიხვდნენ, ცოცხალი რომ იყო, როდესაც მას ხელი ჩამოუვარდა საკაციდან და ვიღაცამ მის მაჯაზე პულსი გასინჯა... „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობა რამდენჯერმე დაეხმარა ოჯახს ფინანსურად, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ნიკას სრული გამოჯანმრთელებისთვის.

ის, რომ, ნიკა ახლა ლაპარაკობს და კომუნიკაციას ამყარებს ადამიანებთან, უზარმაზარი შრომის ნაყოფია. ნიკას დედის თქმით, ბავშვი ორი თვე კომაში იმყოფებოდა. მარცხენა მხარე სრულად ჰქონდა პარალიზებული, სპეციალური თერაპიის შედეგად კი ნელ-ნელა ლაპარაკი ისწავლა და მოძრაობა დაიწყო.

მხედველობაზე ნიკას პრობლემები აქვს. როგორც ექიმებმა ოჯახს უთხრეს, მას შემდეგ, რაც ბავშვი სიარულს დაიწყებს, რეაბილიტაციის პროცესის დაწყება გახდება შესაძლებელი. ეს ყველაფერი თანხებთან არის დაკავშირებული, რაც ოჯახს არ გააჩნია. ლაპარაკიც პირობითია, ნიკა დამარცვლით ამბობს სიტყვებს, თუმცა მას ტვინი არ აქვს დაზიანებული და ნორმალურად აზროვნებაც შეუძლია.

ნიკას ოცნება მოედანზე დაბრუნებაა და დღემდე არ კარგავს იმედს, რომ ფეხბურთის თამაშს შეძლებს. ამბობს, რომ მის გარეშე საქართველოს ნაკრებს არაფერი ეშველება. ნიკამ საჩუქრად „დინამოს“ მაისურიც მიიღო, რომელიც მას „დინამოს“ ფეხბურთელმა, ჯაბა დვალმა გაუგზავნა. ყოფილმა ფეხბურთელმა მაისური მაშინვე გადაიცვა და „დინამოს“ დახმარებაც ჩაიფიქრა, როდესაც ფორმას აღიდგენს...

ბავშვობის ოცნება დღემდე აუხდენელი აქვს, მას საქართველოს ერ-

ოვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, მალხაზ ასათიანის გაცნობა სურს. ყოფილმა მწვრთნელმა, თამაზ ოდიკაძემ ასათიანის მაისურიც უსახსოვრა რამდენიმე წლის წინ, თუმცა ნიკას იმედი აქვს, რომ ერთხელ ოცნება აუხდება და საყვარელ ფეხბურთელს შეხვდება.

მის სანახავად, „პრაიმტაიმთან“ ერთად „ლოკომოტივის“ მწვრთნელებიც წამოვიდნენ. დიდი ხნის განმავლობაში არ ენახათ მათი ყოფილი შეგირდი. ორივე იცნო, ხუმრობის ხასიათი ისევ აქვს შემორჩენილი.

თამაზ ოდიკაძე და გიორგი ჩიტაური იხსენებენ, რომ 8 წლის ნიკა გუნდის ლიდერი იყო. მას გასახდელში ბავშვებსაც უტოვებდნენ, მოედანზე კი - ნამდვილი კაპიტანი. როგორც მწვრთნელები ამბობენ, ნიკას ძალიან დიდი მომავალი უნდა ჰქონოდა, რადგან ის პატარა ასაკშიც კი ჩამოყალიბებული, დიდი ფეხბურთელივით იქცეოდა და უსმენდა მწვრთნელებს.

მაშინ კატალონიის „ბარსელონამ“ ნიჭიერთა პროგრამის ფარგლებში 80-მდე ბავშვი გასინჯა, სადაც ნიკა სიხარულიძემ დიდი მოწონება დაიმსახურა. ესპანელებმა, „ლოკომოტივის“ 4:0 მოგებული თამაშის შემდეგ, სადაც ერთმა ფეხბურთელმა შეძლო ოთხივე გოლის გატანა, მხოლოდ ნიკა გამოარჩიეს და თქვეს, რომ მან ორი ძალიან ძლიერი თავდამსხმელი შეაჩერა. ნიკასთან ერთად კიდევ ერთი - გიორგი არაბიძე იქნა მოწონებული, რომელიც იმყოფებოდა კიდეც კატალონიაში, სამწუხაროდ, ნიკას ოცნებები დაიმსხვრა. მწვრთნელების აზრით, რომ არა ეს უბედური შემთხვევა, ნიკა დღეს ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელი იქნებოდა.

ოჯახი გლდანში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. სამსახური მხოლოდ ნიკას მამას, გელა სიხარულიძეს აქვს, რომელსაც ქართული რეალობიდან გამომდინარე, ოჯახის შენახვაც ძალიან უჭირს, ნიკას და სტუდენტია. დედა, სოფო ბენდელიანი კი შვილის მოვლით არის დაკავებული.

რამდენიმე წლის წინ, ნიკას დასახმარებლად ის თანხა შეგროვდა, რაც რეაბილიტაციისა და ოპერაციისთვის საჭირო იყო. თავის ქალის ის ნაწილი, რაც პატარა ნიკამ ავარიის დროს დაკარგა, ხელოვნურად უნდა ჩაესვათ. ექიმების რეკომენდაციით ოჯახმა ძვლის ბანკიდან ძვირადღირებული და საუკეთესო ძვალი წამოიღეს. ოპერაცია იაშვილის კლინიკაში გაკეთდა, ექიმებმა ოჯახს უთხრეს, რომ დაახლოებით, ერთ კვირაში მათ შვილს საავადმყოფოდან გაწერდნენ, თუმცა ერთი კვირა ხუთ თვედ გადაიქცა.

როგორც ნიკას დედა ამბობს, ექიმებმა ნიკას ორგანიზმს დააბრალეს, ის რომ, მან ძვალი ვერ მიიღო.

„ასაკის გამო თუ პრობლემა შეიქმნებოდა, ეს ჩვენთვის ოპერაციამდე უნდა ეთქვა ექიმს. იმ პერიოდში ისე კარგად იყო, ვერც კი ვიფიქრებდით, რომ ასეთ დღეში იქნებოდა ოპერაციის შემდეგ. ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ძვალი ჩაესვათ. გვითხრეს, ერთ კვირაში სახლში გაგწერთო. 5 თვე ვინექით საავადმყოფოში. შემდეგ გამოვედით და 25 დღეში ისევ უკან მოგვიწია დაბრუნება, ნიკას ნაღვლის ბუშტის ოპერაცია გაუკეთეს, ძლივს გადავრჩით“, - ამბობს სოფო ბენდელიანი.

საბოლოო ჯამში, ნიკა სიხარულიძემ ლამის მთელი წელი დაჰყო საავადმყოფოში, რის გამოც კბილებზეც შეექმნა პრობლემა და ჩაემტვრა. არასწორი მკურნალობის გამო ორჯერ ანემია დაემართა და გემოგლობინი 24-მდე დაეცა.

ვიდრე ნიკას ოპერაციას გაუკეთებდნენ, მასთან სახლში მასწავლებელი დადიოდა, რაც დღემდეც ეკუთვნის კანონით, თუმცა, მესამე წელია მასთან აღარავინ მისულა. სარეაბილიტაციო კურსსაც შინ გადიოდა ყოფილი სპორტსმენი, ყოველდღიურად, მათთან მისულ სპეციალისტს სიხარულიძეები 20 ლარს უხდიდნენ, ახლა კი ამის საშუალებაც აღარ აქვთ. დაახლოებით ერთთვიანი სარეაბილიტაციო კურსი, 2 000 ლარამდე ჯდება, თუმცა ნიკას დედა ამბობს, რომ ამ თანხით, თუკი სახლში მოიყვანენ სპეციალისტს, უფრო მეტი პროცედურის გაკეთებას შეძლებენ.

თავის დროზე, შეგროვებული თანხით, ოჯახმა დაზღვევა გააკეთა და სწორედ ამან დაფარა საავადმყოფოს ხარჯები, ახლა კი აღარც დაზღვევა აქვთ. როგორც ნიკას მამა, გელა ამბობს, მათ ჯანდაცვის სამინისტროს მიმართეს განცხადებით, თუმცა უარი მიიღეს დახმარებაზე. ნიკას ოჯახის თქმით, უკვე აღარც იციან, როგორ უმკურნალონ შვილს საქართველოში, ამაზე პასუხი არც ნიკას ექიმს არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია წარმატებით არ დასრულდა, სიხარულიძეები ექიმის მიმართ უარჰყოფითად არ არიან განწყობილნი, რადგან ის პირადი მომსახურების ხარჯებს არ ართმევს ოჯახს, თუმცა არასწორმა ოპერაციამ და მკურნალობამ ნიკას მდგომარეობა გააუარესა.

ამ ყველაფერს 15 წლის ნიკა მხოლოდ იმის ხარჯზე უძლებს, რომ თავის დროზე სპორტსმენი იყო და ვარჯიშმა ორგანიზმი გაუძლიერა. როგორც ექიმები ამბობენ, სხვაგვარად ის აქამდე ვერ იცოცხლებდა. ნიკა ამბობს, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ, თუკი ფეხბურთს ვერ ითამაშებს, ჯარში წავა. სამშობლოს უნდა ვემსახუროო.

ნიკა სიხარულიძეს ისევ ესაჭიროება დახმარება, რათა ვარჯიში დაიწყოს და გამოჯანმრთელდეს. ვინც გულთან ახლოს მიიტანთ ნიკას ამბავს და მის დახმარებას მოისურვებთ, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ნიკას მამას. გელა სიხარულიძე: 595 41 17 29.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სახელმწიფო აფიორა, ნეპოტიზმი და დაბალკვალიფიციური კადრები

„უკაცრავად, თქვენ გასაუბრების შემდეგი ეტაპი ვერ გადალახეთ“

სალომე გოგოხია

მას შემდეგ რაც ხელისუფლება შეიცვალა, საჯარო სამსახურებმა სხვადასხვა პოზიციებზე კონკურსები თითქმის ერთდროულად გამოაცხადეს. ამიტომ, სამსახურის მაძიებლებს დასაქმების იმედი გაუჩნდათ. თუმცა, რეალურია თუ არა ვაკანსიები, რომელსაც საჯარო სამსახურის ბიუროს საიტზე ვეცნობით? სპეციალისტების განცხადებით, ხშირ შემთხვევაში, ვაკანტური ადგილები კვლავ ძველი კადრითაა დაკომპლექტებული, ხოლო გარეშე პირი, წარმატებით გასაუბრების შემთხვევაში თამაშგარე მდგომარეობაში რჩება.

ამიტომ, საზოგადოებაში გამეფებული ნიჰილიზმი გასაკვირი აღარ არის. სამწუხაროდ, განწბილებული რჩებიან მაღალკვალიფიციური კადრები, მათ შორის ისინიც, რომლებმაც უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მიიღეს.

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია ამბობს, რომ ნიჰილიზმი სახელმწიფო სექტორში დასაქმებისა, უკვე დიდი ხანია არსებობს.

„ამის მიზეზები რამდენიმეა, ერთი მხრივ, ხელისუფლებები, რომლებიც გარკვეული რევოლუციებით ან რევოლუციური ცვლილებებით მოდიან ხელისუფლებაში, ზედა დონიდან დაწყებული ქვედა დონეებზე, მრავალ შემთხვევაში, საკუთარ კადრებზე აკეთებენ ორიენტირს, რაც შესაბამისად, კონკურსების ჩატარებას პირობითსა და ფორმალურს ხდის. ის, რომ ამის მიუხედავად ნაკადების ანუ სამუშაოს დამწყებთა ნაკადი ჯერჯერობით მაინც დიდია, ამას იძულებითი მოტივაცია შეგვიძლია ვუწოდოთ, რადგანაც მიუხედავად არსებული რეალობისა, მოქალაქეები „კიდევ სცადეთ“ პრინციპით მოქმედებენ“,- ამბობს გამზარდია.

რთულია იმის მტკიცება, კანონის ხარვეზია თუ უწყების მიერ წინასწარ გათვლილი ნაბიჯი, ვაკანსიის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, რომ აპლიკანტს აღნიშნულ საქმიანობაში მინიმუმ სამი წლის გამოცდილება ჰქონდეს. თუ ადამიანი საჯარო სამსახურში სტაჟორადაც არ მიიღეს, ბუნებრივია, ის ვერასდროს დააგროვებს გამოცდილებას და კონკურსის პირობებსაც ვერ დააკმაყოფილებს.

რა კრიტერიუმით აფასებენ საჯარო სამსახურში მისაღებ კადრს? რამდენად კომპეტენტურები არიან კომისიის წევრები? იმყოფებიან თუ არა თანაბარ პირობებში გარეშე პირები და სამსახურის თანამშრომლები?

ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის თეა რუსიტაშვილის თქმით, მთავარი პრობლემა სამუშაო ადგილების სიმცირეა. ამიტომ, ერთ სამუშაო ადგილზე ბევრი განაცხადი მოდის. ცხადია, ყველა ვერ დასაქმდება.

„საშუალო სტატისტიკით, ერთ განაცხადზე მინიმუმ 100, მაქსიმუმ კი 500 განაცხადიც შემოსულა. ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ მოქმედი თანამშრომელი იმარჯვებს, გარეშე პირიც მიგვიღია. იურიდიულ დეპარტამენტში ერთ ვაკანსიაზე 600 განაცხადი შემოვიდა, გასაუბრების შედეგად ავიყვანეთ გარეშე პირი, ხოლო ჩვენი თანამშრომელი გავუშვით. ანუ 599 კონკურსანტი მაინც უკმაყოფილო დარჩა. ასეთი მიდგომა არ არის, რომ აუცილებლად თანამშრომელი მივიღოთ. კითხვას შეგიბრუნებთ, „პრაიმტაიმში“ გამოცხადდა კონკურსი, სადაც მე და თქვენ მონაწილეობა მივიღეთ. თქვენ აზრით, ვინ გაიმარჯვებს? მე, რომელსაც მხოლოდ ჟურნალისტური განათლება მაქვს და არანაირი შეხება გაზეთის სპეციფიკასთან, თუ თქვენ, რომელმაც ჩემზე უკეთ იცით საქმე? სწორად გაიგეთ, ადამიანი, რომელსაც საგარეო ვაჭრობაზე 10 წელი უმუშავია და ყველა პუნქტი ზეპირად იცის, ის უფრო მაღალ კონკურენტულია, ვიდრე ის, ვისაც ამ თემაზე არ უმუშავია“.

„პრაიმტაიმის“ შემთხვევაში ქალბატონ თეას მარტივად ავუხსნით, რომ რედაქციას კონკურსანტები გამოსაცდელი ვადით აჰყავს და ერთი თვის განმავლობაში აკვირდება მათ მუშაობას. ეს დრო სავსებით საკმარისია გადწყვეტილების მისაღებად. საჯარო სამსახურის შემთხვევაში მსგავსი პრეცედენტი ნულის ტოლია.

„პრაიმტაიმი“ ესაუბრა დასაქმების მსურველებს, მათ, ვინც გასაუბრება გაიარეს და შემდეგ ეტაპზე ვერ გადავიდნენ. ისტორიები ანალოგიურია.

თამუნა გორდეზიანი, 25 წლის: „გასაუბრება გავიარე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. სულ 80 კონკურსანტი ვიყავით. ჟურნალისტი ვარ, შესაბამისად, პრესასთან ურთიერთობის განხრით შევავსე აპლიკაცია. კონკურსი ვერ გადავლახე. ჩემგან განსხვავებით, სხვებმა წერილობით მიიღეს უარი, მე კი წერილიც ვერ მივიღე. კონკურსიდან ორი კვირის შემდეგ, სამინისტროს მივაკითხე და მითხრეს, თქვენი წერილი გზაშიაო. საოცარი ის იყო, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსად დაინიშნა მინისტრის მრჩეველი, რომელიც კომისიის წევრი იყო. ეს ხომ დაცინვაა? პირდაპირ ვკითხე, თუ თქვენ უნდა დაგეკავებინათ ეს პოზიცია, კონკურსი რატომ გამოაცხადეთ-მეთქი. ჩემი მოთხოვნა იყო, რომ კონკურსის გავლის გარეშე თანამდებობაზე არ დავენიშნეთო, მიპასუხა. გამოდის, ეს ყველაფერი ბლეფია, რეალურად ვაკანსიები არ არსებობს და გასაუბრება მხოლოდ ფორმალურ სახეს ატარებს. მიჩნდება კითხვა, რისთვის დაგვიბარეს 80 კაცი და რატომ გაგვამასხარავეს? დანამდვილებით ვიცი, რომ სამინისტროში სტაჟორად, გამოსაცდელი ვადით აიყვანეს პატარა ბიჭი, ჟურნალისტი. ალბათ, იმიტომ, რომ დედამისი პარლამენტარია. ამ ბიჭის ვინაობას შეგნებულად არ დავასახელებ“.

ირაკლი, 30 წლის: „თითქმის ხუთი თვე უმუშევარი ვიყავი. ამ ხნის მანძილზე, სხვადასხვა ვაკანსიებზე ჩემი ე.წ. „სივი“ გავგზავნე. გასაუბრება გავიარე სასჯელაღსრულების, ლტოლვილთა და გარემოს დაცვის სამინისტროებში. ასევე, შემოსავლების სამსახურში. სასჯელაღსრულების სამინისტროში ტესტირების ეტაპამდე მივედი, ტესტირების დღეს ზუსტად ხუთი წუთით დავაგვიანე. როცა შევედი, კომისიის წევრმა, შენ უკვე ჩააბარე ტესტირება და გარეთ გადიო. გავბრაზდი და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წამოვედი. ყველა სამინისტროდან უარი მივიღე. მიზეზი, ვერ ვაკმაყოფილებდი მოთხოვნებს. თუმცა, კრიტერიუმები ბოლომდე გაწერილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის საკმაო გამოცდილება მაქვს, ჩემი მონაცემები მათთვის მისაღები არ აღმოჩნდა. უკვე ხელი ჩავიქნიე, როცა გარემოს დაცვის სამინისტროდან დამირეკეს და სამსახურში ამიყვანეს“.

ქეთევან დობორჯგინიძე: „ვხუმრობ, სამინისტრო არ დარჩენილა, სადაც გასაურებაზე არ ვყოფილვარ. ვიცი, რომ ყველაფერი ფორმალურია და კადრები წინასწარ აყვანილი ჰყავთ, მაგრამ მაინც მივდივარ. ბოლოს მანდატურის სამსახურში ვიყავი მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურზე. ჩემი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კომისიის წევრების კომპეტენტურობა. მანდატურის სამსახურში კომისიაში დამხვდნენ პატარა გოგო-ბიჭები. მათ დანახვაზე პროტესტის გრძნობა გამიჩნდა, ამათ რა გასაუბრება უნდა ჩამიტარონ-მეთქი. ერთი ტელეფონზე ჭორაობდა, მეორე ლეპტოპს ჩაჰკირკიტებდა. ერთმა კი ნასვლის წინ რიტორიკული შეკითხვა დამისვა, ცხოვრებაში მთავარ მიღწევად რა მიგაჩნიაო. აგდებული დამოკიდებულება თავიდანვე იგრძნობოდა. ჩემს თავზე ვბრაზობდი, საერთოდ რატომ მოვედი-მეთქი. საქართველო ძალიან პატარაა, მით უმეტესს თბილისი. ამიტომ, ნეპოტიზმი აქ ყოველთვის იქნება. შესაძლოა, ათეულობით წლების შემდეგ, რაიმე შეიცვალოს, მაგრამ არა ახლო მომავალში. დასანანია, რომ ჩვენთან კვალიფიციური კადრები არ უნდათ და საქმე მეგობრობის დონეზე წყდება“.

საქმე, რომ მეგობრობის დონეზე წყდება, ამის მაგალითად მანდატურის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის თამუნა ლოლაძის საქმე გამოდგება. აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში საჯარო სამსახურის თანამშრომლებიც სხვების ინტერესებს ეწირებიან და სამსახურს კარგავენ.

ჩვენი რესპონდენტის თქმით, კონკურსი ორჯერ ჩატარდა. ცნობისთვის, ეს ინფორმაცია სხვა წყარომაც დაგვიდასტურა.

„დანარჩენების მსგავსად, კონკურსი მეც გავიარე. მაღალი ქულებიც დავაგროვე, მაგრამ მოულოდნელად მითხრეს, რომ ამ სამსახურს დაემშვიდობე, ეს ადგილი განათლების მინისტრის მოადგილის, ქეთი ნატრიაშვილის დაქალისთვის უნდათო. დავას აზრი არ ჰქონდა, რადგან გასაუბრების ოქმში ჩაწერეს, რომ კონკურსი ვერ გავიარე. მოგვიანებით, ოქმი გამოვითხოვე, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები. მათ შორისაა, პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტის მაია კობახიძის ხელმოწერაც. თუმცა, ჩემს გასაუბრებაზე ის არ ყოფილა“. - ამბობს ლოლაძე.

კიდევ ერთი გათავისუფლებული თანამშრომელი, რომლის ვინაობას მისივე თხოვნით არ ვწერთ, განათლების სამინისტროს სასამართლოში უჩივის. ჩვენი რესპონდენტი სამინისტროს ერთ-ერთ დეპარტამენტში მუშაობდა. ლოლაძის მსგავსად, მასაც სიტყვიერი გაფრთხილება მისცეს, რომ მის ადგილზე სხვა უნდა დაენიშნათ, გასაუბრების ოქმში კი ჩაუწერეს, რომ კონკურსი ვერ გაიარა.

„კონკრეტული სახელების და გვარების დასახელება მომიწევს, ამიტომ არ მინდა საუბარი. თანაც, ეს არაფრის მომტანია. ამით არაფერი შეიცვლება. ვისაც უნდა გაეგო, პირველ პირამდე ეს ინფორმაცია მივიდა. ადგილები სჭირდებოდათ, კონკურსები ჩაშალეს, ოქმში კი წერდნენ, რომ გასაუბრება ვერ გაიარა. სინამდვილეში, სამინისტროში კადრის შეფასების არანაირი კრიტერიუმი არ არსებობს. ტესტირებებზე უარესი ხდება, თანამშრომლები პასუხებს იწერენ. სამინისტრო კონკურსს აცხადებს, რეალურად კი, კადრი უკვე აყვანილი ჰყავთ. სხვა სამინისტროებში კიდევ უარესები ხდება. ისიც არ ვიცი სასამართლოში ჩივილს აზრი აქვს თუ არა, ვინც შეიტანა, ყველამ წააგო, ისეა ოქმები შედგენილი. ერთი რამ ზუსტად ვიცი, საჯარო სამსახურისკენ არასდროს გავიხედავ“. - გვითხრა ჩვენმა რესპონდენტმა.

ამ ისტორიის მოსმენის შემდეგ, „პრაიმტაიმი“ კომენტარისთვის განათლების და მეცნიერების სამინისტროს, მანდატურის სამსახურს და პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტს მაია კობახიძეს დაუკავშირდა.

მაია კობახიძემ დაგვიდასტურა, რომ სამინისტროში გამართულ კონკურსების კომისიაში მონაწილეობდა. ლოლაძის შემთხვევაში განაცხადა, რომ არ გამორიცხავს იმ დროს მართლა არ იმყოფებოდა გასაუბრებაზე.

„ერთეული შემთხვევა იყო, როცა შეხვედრებზე ვიყავი და ამ დროს, კონკურსს ჩემი იურისტი ნატა ჩანადირი ესწრებოდა, რომელიც მერე ანგარიშს მაბარებდა. თუმცა, ოქმში ჩემი გვარი იწერებოდა“.-ამბობს კობახიძე.

- სწორად მიგაჩნიათ, როცა სამინისტრო აუცილებელ მოთხოვნად არანაკლებ ორწლიან გამოცდილებას ითხოვს? თუ ადამინი საჯარო სამსახურში არ მიიღეს, როგორ შეიძენს გამოცდილებას?

მაია კობახიძე: - როცა ვაკანსია ცხადდება, წამოყენებულია მოთხოვნა, რასაც კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს. როცა ბაკალავრის ხარისხი საკმარისია, არის მოთხოვნა, სადაც მაგისტრის განათლებაა აუცილებელი. სამინისტროში დღესაც იყო გასაუბრება საერთაშორისო ურთიერთობის უფროსის ვაკანსიაზე. მოთხოვნაში ეწერა, რომ აუცილებელია მუშაობის სტაჟი, მაგრამ არა კონკრეტულ პროფესიაში, არამედ ზოგადად“.

ასევე, დავუკავშირდით მანდატურის სამსახურის უფროსს, ვახტანგ მეიფარიანს. თუმცა, კონკრეტულ შეკითხვაზე არ გვიპასუხა და მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ბევრი კონკურსი იყო.

„პრაიმტაიმის“ მიერ გამოკითხულმა საჯარო უწყებებმა ანალოგიური შინაარსის პასუხებით გამოგვისტუმრეს, რომ კონკურსი კანონის სრული დაცვით მიმდინარეობს და ყველა კონკურსანტი თანაბარ პირობებშია. თუმცა, რეალობა საპირისპიროზე მეტყველებს.

არჩილ გამზარდიას თქმით, ფინალამდე საკმაოდ მისტიკური ეტაპი ჩნდება, სახელად „გასაუბრება“, რაც კონკურსის მწარმოებლის მხრიდან სრული სუბიექტურობის შესაძლებლობებს ქმნის.

„არის კიდევ ერთი გარემოებაც, ეს კონკურსის ჩამტარებლების დაბალ კვალიფიკაციას ეხება. არა ერთ შემთხვევაში კონკურსს არც ისე კვალიფიციური პირები და საბოლოო ჯამში, სამსახურის თუ დეპარტამენტის უფროსები ასრულებენ. ეიჩარ სამსახურები (ადამიანური რესურსების მართვის სამსახურები) ხშირად ან ფორმალურია, ან ასევე დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტებისგან შედგება, მთელ ამ გარემოებებს ემატება შიდა სუბიექტური გარემოებები და ნეპოტიზმის საშუალებები. საერთო ჯამში კი ვიღებთ იმ მოცემულობას, რაც გვაქვს და რაც უახლოეს მომავალში პროცესს უპერსპექტივოს ხდის“. - ამბობს გამზარდია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ანალიტიკოსები რუსეთის გააქტიურებას, საქართველოსთან მიმართებაში, გაზაფხულიდან ელოდებიან...

EXCLUSIVE

ხელისუფლება რუსეთთან რადიკალური არ არის, რადგან რადიკალიზმი დღეს ძალიან სჭირდება რუსეთს...

ნანა შონია

ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრის ანალიტიკოსმა ზურა იაშვილმა, ეგმონტის საერთაშორისო ურთიერთობის სამეფო ინსტიტუტში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილითან შეხვედრის შემდეგ „პრაიმტაიმთან“ საუბარში აღნიშნა, რომ ხელისუფლება რუსეთის მხრიდან აქტიურობას სოჭის ოლიმპიადის შემდეგ უნდა ელოდოს და დღეს ბურთი ევროპის მოედანზეა. რადგანაც საქართველომ ევროინტეგრაციის სვლის პროცესში სრული მზაობა გამოთქვა. როგორია მოლოდინები და საფრთხეები ასოცირების ხელშეკრულებამდე? არის თუ არა კიდევ ერთი გამოცდა მოახლოებული, 17 მაისს, ქართული საზოგადოებისთვის, როგორი შეიძლება იყოს სამღვდელოების როლი და რა პროვოკაციებს უნდა ველოდოთ რუსეთიდან, ამაზე ზურა იაშვილი საუბრობს.

- რა საფრთხეებს შეიძლება ველოდოთ რუსეთის მხრიდან? ეს არის კითხვა, რომელიც ბოლო დროს ევროპაში ჩვენი მისამართით ყველაზე ხშირად ისმის. ყველა მოელის, რომ რუსეთი უმოქმედოდ არ დაელოდება ასოცირების ხელშეკრულებაზე საქართველოს ხელმოწერის პროცესს. საყურადღებოა ის, რომ ყველა ზომა რაც მსგავს სიტუაციაში შეიძლება რუსეთმა მიიღოს, საქართველოში უკვე გამოყენებული აქვს. ჩვენ გვახსოვს ემიგრანტების გამოძევება, ოკუპაცია, ომი, ეკონომიკური ემბარგო, რომელიც სხვადასხვა დროს აამოქმედა. ეკონომიკური საკითხები არის ის, რომელიც სომხეთთან და მოლდოვასთან მიმართებაში უფრო მნიშვნელოვანია დღეს, ვიდრე საქართველოსთან. ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს მზაობა ცუდი სცენარისთვის. რისი მოწმეებიც დღეს ვართ, ეს არის მუდმივი პროვოკაციები საზღვრებზე. საზოგადოების და ხელისუფლების ნერვებზე თამაში. ამ თემის გააქტიურებით რუსეთი გააგრძელებს უკმაყოფილების თემის დანერგვას, რითაც პრორუსული ძალები აუცილებლად ისარგებლებენ. საზოგადოებას კი ამ დროს ექნება მზაობა, რომ ხელისუფლებამ ბევრად უფრო რადიკალურ ზომებს მიმართოს რუსეთთან მიმართებაში. ამ კუთხით საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროტესტი, ალბათ, ლოგიკურიც იქნება, მაგრამ კარგია, რომ დღეს ხელისუფლება რუსეთთან რადიკალური არ არის, რადგან ეს დღეს ძალიან სჭირდება რუსეთს. რუსეთის მხრიდან უფრო მეტ აქტიურობას უნდა ველოდოთ სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, ზაფხული ყველაზე ცხელი პერიოდია საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ზაფხულამდე მოვასწროთ, ისე, რომ მხოლოდ და წმინდა ფორმალობები იყოს დარჩენილი. გარდა ამისა, ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ, როგორ სერიოზულად ცდილობს რუსეთი ევრაზიული კავშირის გააქტიურებას. ამ შემთხვევაში დიდი როლი შეიძლება ჰქონდეს მედიას, რომელიც დაიწყებს ინფორმაციის გაჟღერებას იმ დოვლათის შესახებ, რომელიც შეიძლება ჩვენ მივიღოთ ევრაზიული კავშირისგან. ეს დაახლოებით იგივე შეიძლება იყოს, რასაც რუსეთი აკეთებს დღეს უკრაინასთან მიმართებაში. დახმარება, რომელიც უკრაინისთვის გაზის ფასთან არის დაკავშირებული 1000 კუბურ მეტრზე შეადგენდა 400$, დღეს კი ეს ფასი თითქმის განახევრებულია და მისმა ღირებულებამ 280$-ამდე დაინია. ეს დიდი შეღავათია უკრაინის ეკონომიკისთვის, მაგრამ აქ დევს ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომ ეს ხელშეკრულება ყოველ სამ თვეში გადაიხედება. ანუ ეს გადახედვადი იქნება რეგულარულად, თუ კი უკრაინის ხელისუფლების ნაბიჯები არ მოეწონებათ, სწრაფად დაიწყებენ ამ ბერკეტების ამოქმედებას. ბოლო პერიოდში, როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება უკრაინის ნაბიჯებით კმაყოფილი არ არის და კვლავ აქტიურად მიდის საუბარი უკრაინული შოკოლადის აკრძალვის აუცილებლობაზე. ეს არის შეთავაზებები, რომელსაც თავისი საფასური აქვს. აქ კი ძალიან მნიშვნელოვანია მედიის როლი, რათა თავი დავიცვათ ამ საფრთხეებისგან. ჩვენ ძალიან კარგად უნდა გვესმოდეს რას ნიშნავს ევრაზიული კავშირი, რადგან ეს არც თუ ისე კარგად დავიწყებული ძველია.

- ევროკავშირს აქვს მზაობა დაჩქარებული წესით მოაწეროს ხელი საქართველოსთან ხელშეკრულებას, როგორ ფიქრობთ, უკრაინის მაგალითი რამდენად შეიძლება იყოს ბიძგი იმისა, რომ საქართველო უფრო ადრე გახდეს ევროპის წევრი სახელმწიფო?

- დღეს უკრაინა იქცა ორი პროექტის შეჯახების ადგილად. ამიტომაც იქ განვითარებული პროცესები ბევრ რამეს განსაზღვრავს. აღმოსავლეთ პატრნიორობის მომავალი ფაქტობრივად მის ხელშია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს ევროპის კავშირი საუკეთესო ფორმაში არ ხვდება ამ მოვლენებს. მაისში ევროპის პარლამენტის არჩევნებია, რომლის შედეგადაც მმართველი პოსტები ხელახლა დაკომპლექტდება. ისევე, როგორც გაიზრდება პარლამენტის როლი ევროპის საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხებში; აქაც უმეტესობა ექსპერტებისა თვლის, რომ ძირეული ცვლილებები მოხდება, მათ შორის საკადრო თვალსაზრისით. ზაფხულის ბოლოსკენ, ადრეულ შემოდგომაზე, ასოცირების ხელშეკრულების ზოგიერთი ასპექტი ამოქმედდება. ეს არის წმინდა ეკონომიკური საკითხები. რაც შეეხება უვიზო მიმოსვლის თემას, ამის გამარტივება შემოდგომაზე ვერ მოხდება, რადგან ეს უშუალოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პარლამენტების პრეროგატივაა. ანუ ყველა ქვეყნის პარლამენტმა, ინივიდუალურად უნდა განაცხადოს თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე და მიიღოს გადაწყვეტილება. მანამდე კი არსებობს მთელი რიგი საკითხები და საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს.

- თქვენ ცვლილებები ახსენეთ და საკმაოდ აქტუალურია უმცირესობების საკითხი, ამ კუთხით კი კიდევ უფრო მეტი კითხვები ისმის ეკლესიის როლთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს ეკლესიის როლი ამ შემთხვევაში?

- რაც შეეხება ეკლესიის როლს, იქ არსებობს ფრთა, რომელიც კონსერვატიულად არის განწყობილი, განსაკუთრებით ისინი, ვინც საგარეო კუთხით მნიშვნელოვან სიახლეს შეიძლება წარმოადგენდნენ. ნებისმიერ კავშირზე, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნის წიაღს, ალბათ, ეკლესიას ბუნებრივად ექნება დამოკიდებულება. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეკლესიის შიგნითაც ამ საკითხზე მონოლითურობა არსებობდეს. სიმართლე რომ ვთქვათ, ვერ ვხედავ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში იმგვარ ფუნდამენტურ პრობლემას, რომელმაც შეიძლება სახელმწიფოს არჩევანზე მოახდინოს გავლენა. ამავდროულად ვხედავ და იმედი მაქვს, რომ ეკლესიის მეთაურსაც აქვს ძალიან პროგრესული ხედვა, მათ შორის საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით. ამის შესახებაც შეიძლება ღიად საუბარი და მსჯელობა. რეალურ დისკუსიაში მარტივია საპირიპიროს დამტკიცება, განსხვავების წარმოჩენა ერთსა და მეორეს შორის. ის, რაც სხვებისგან საქართველოს განასხვავებს, არის მოქალაქეების მტკიცე ნება ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციისკენ. ეს არის დიდი რესურსი, რომელიც საკვანძო მომენტებში უნდა დაეხმაროს საქართველოს, რომ სამშვიდობოს გავიდეს. არაკეთილმოსურნეები ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ, თითქოს ევროპის კავშირში წევრობისთვის წინა პირობა იყოს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება, ეს ასე არ არის და ამაზე თავად ევროპაშიც აქვთ განსხვავებული აზრები. ის დამოუკიდებულება, რომელიც საქართველოში უმცირესობების მიმართ არსებობს, გაუმართლებელია. იმის გამეორება, რაც შარშან, 17 მაისს, საქართველოში მოხდა, დაუშვებელია. წინ ისევ 17 მაისი გველის და ამიტომაც აუცილებელია, სამღვდელოებამ და საზოგადოებამ, უმცირესობის უფლებების დამცველებმაც, გაითვალისწინონ არსებულ სიტუაციაში მათი პასუხისმგებლობა და ბევრად ცივილურად დაანახონ თავი ევროპას. ყველამ სათანადოდ უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა, რომ ქვეყნის ევროპულ გზას და უფრო დიდ ღირებულებებს არ შეექმნას საფრთხე. ჩვენ მუდმივად უნდა ვიფიქროთ საკუთარი თავის სრულყოფასა და განვითარებაზე. ამასთან ვერავინ ვერავის აუკრძალავს გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ, ალბათ, ამ შემთხვევაში, საზოგადოების ყურადღება ხელმოწერისკენ იქნება მიპყრობილი და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს ქვეყანაში სიტუაციის ასარევად.

„17 მაისი იქნება მნიშვნელოვანი ტესტი, რომელზეც ყველამ ერთნაირად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა“

„რუსეთის მხრიდან უფრო მეტ აქტიურობას სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ უნდა ველოდოთ“

„კარგად უნდა გვესმოდეს რას ნიშნავს ევრაზიული კავშირი, რადგან ეს კარგად დავიწყებული ძველია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ყველაზე ტიტულოვანი პარაოლიმპიელი დღეს სპორტის სამინისტროსთან შიმშილობას იწყებს

EXCLUSIVE

ბესიკ ლეკიაშვილი: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტმენებისთვის ნაყიდი მანქანით დღეს ლელა აფციაური დადის“

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენი სპორტის მინისტრის მოადგილეს კორუფციაში ადანაშაულებს

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ყველა ტიტულოვანი და 2013 წლის საუკეთესო პარაოლიმპიელი სპორტსმენი, ბესიკ ლეკიაშვილი დღეს ხელფასის გარეშე დარჩა. ვინ მოსთხოვა მას ხელფასიდან წილის გაყოფა, ვინ დადის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებისთვის ნაყიდი მანქანით და ვინ მფარველობს სპორტის სამინისტროდან პარაოლიმპიური სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს - „პრაიმტაიმს“ ბესიკ ლეკიაშვილი დაუკავშირდა და სკანდალური ინტერვიუ მისცა.

- საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, დღეს, სამწუხაროდ, ლელა აფციაურია, მისი გენერალური მდივანი კი, რევაზ რევაზიშვილი. ერთი წლის წინ, ამ ადამიანებმა, რეესტრის გაყალბებით, ამას ვაკონკრეტებ იმიტომ, რომ სასამართლომაც, თვე-ნახევრის წინ მათი გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, გამოაგდო ლეგიტიმური ხელმძღვანელობა და პრეზიდიუმში თავად დაიკავეს ადგილები. არჩევნებში გიორგი ჩაკვეტაძემ გაიმარჯვა, მანამდე კი ლევან ოდიშარია იყო პრეზიდენტი. მათ მეორე არჩევნები ჩაატარეს, იურიდიულ საკითხებს თამარ შოთაძე განაგებდა, მან გვითხრა, რომ წესდება წაგვეღო და სასამართლოში გაგვერკვია ურთიერთობები. სასამართლო წლები იწელება და მათ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გაასაჩივრეს.

- რა არ მოგწონთ ახალი ხელმძღვანელობის?

- მთავარი პრობლემა ისაა, რომ ამ ხალხს არასდროს ჰქონია შეხება პარაოლიმპიურ სპორტთან და საერთოდ არ იციან, რა უნდა აკეთონ. მოიყვანეს ახლობლები და მათ აფინანსებენ. ერთი გოგონაა, თინათინ რევაზიშვილი, ვიცე-პრეზიდენტად დანიშნეს, ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, სამოზგაუროდ ვიყავიო. გამოდის, რომ პარაოლიმპიელი სპორტსმენების ფულით, სამოგზაუროდ დადიან.

- დაფინანსება რამდენი აქვს პარაოლიმპიურ კომიტეტს?

- 100 ათასი ლარი იყო და არც გაზრდილა ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ. რაც შემეხება მე, დამიბარეს ხელმძღვანელობის კაბინეტში და მითხრეს, რომ შენი ხელფასიდან 150 ლარს გამოაკლებ და აქ დატოვებო.

- ხელფასი რამდენი გაქვთ, გაყოფასაც რომ გთხოვენ?

- 450 ლარი მქონდა, მაგრამ მომიხსნეს. ხელფასიდან წილი მომთხოვეს და როგორც კი ეს მოხდა, მაშინვე გავიქეცი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში, მინისტრის მოადგილესთან, თამაზ თევზაძესთან, რომელსაც აბარია სწორედ ჩვენი კომიტეტი და პირდაპირ ვაცხადებ, რომ ლელა აფციაური არის მისი ე.წ. დაქალი და იცავს მას, რაც არასწორია.

- თქვენ ფიქრობთ, რომ თევზაძის მხარდაჭერით გაყალბდა არჩევნები და ის მფარველობს დღემდე აფციაურს?

- დარწმუნებული ვარ, თუ მისი მხარდაჭერით და დამსახურებით არ გაყალბდა, თვალებს ნამდვილად ხუჭავს. მსოფლიოს ჩემპიონი ვარ, ევროპის პრიზიორი რამდენჯერმე, კომიტეტში მიბარებენ და მეუბნებიან, რომ ხელფასი უნდა გავყო, თორემ მომიხსნიან და თევზაძე ზომებს არ იღებს, მაშინ რა ვიფიქრო?

- რა არის თქვენი მოთხოვნა?

- ნამდვილი სპორტსმენების ჩანაცვლება მიდის სხვებით, არასპორტსმენებით. საზოგადოება ამას ვერ მიხვდება, რადგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს როდესაც ხედავს, რთული გასაგებია, ვინ არის სპორტსმენი და ვინ - არა. 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენი ვარ და ვაცხადებ, რომ მათ ეს ადამიანები დაჰყავთ ტურისტებად. იაგო გორგოძეს ბევრად ნაკლები ხელფასი აქვს, ვიდრე არასპორტსმენს, რომელიც ასე ჰყავთ გაფორმებული. ვიყავი ამ საკითხზე მინისტრთანაც, მის მოადგილესთანაც, გამოვთქვი პრეტენზია, რომ არასწორად ნაწილდება თანხები. წინა წელს, რა ტიტულებიც მოვიპოვე მსოფლიო ჩემპიონატზე, მეორე და მესამე ადგილები მარცხენა და მარჯვენაზე ხელზე მკლავჭიდში და ევროპაზეც იგივე შედეგი მქონდა, ამისთვის სპეციალური პრემიებია დაწესებული, მაგრამ კონკრეტულად უნარშეზღუდულ სპორტსმენებზე არაფერი წერია და არც გაითვალისწინეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ მივმართე მათ. იყო დაპირებები, რომ შევიტანთ, გაორმაგდება და ამ ყველაფერმა ჩაიარა, დაპირებად დარჩა. ჩემი საფუძვლიანი ეჭვია, იმიტომ მექმნება პრობლემები, რომ მინისტრის მოადგილის, თამაზ თევზაძის უახლოეს მეგობართან ხმა ავიმაღლე. მანქანა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებისთვის იყო ნაყიდი, ახლა ლელა აფციაურის ოჯახს ემსახურება. ყველა ინსტანცია მოვიარე, პასუხი ვერ მივიღე, სხვა გზა არ დამრჩენია, შიმშილობის დაწყების გარდა. სხვა სპორტსმენები, იმის შიშით, რომ ჩემ დღეში არ ჩავარდნენ და ხელფასები არ მოუხსნან, ხმას ვერ იღებენ.

- რამდენი პარაოლიმპიელი სპორტსმენია დღეს საქართველოში?

- 2008-2009 წლებში ენერგიული ხალხი მოვიდა ხელმძღვანელობაში, მაშინ იყო გარკვეული წინსვლა. ვახერხებდით მომზადებას. ახლა 3-4 სპორტსმენია, რომლებსაც შეჯიბრებებზე გამოსვლის უფლება აქვთ, დანარჩენებს სპორტსმენები არ ჰქვიათ, ისინი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები არიან, რომლებიც სპორტში არიან ჩართული. ბადროს ტყორცნა ოლიმპიური სახეობაა, ვემზადებოდი აქტიურად და კარგი შედეგებიც მქონდა, მაგრამ ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, თავი დავანებე, მითხრეს, შენთვის კარიერა დასრულდაო.

- იმის იმედი გაქვთ, რომ თქვენი პროტესტის უკიდურესი ფორმა შედეგს მოიტანს?

- შედეგს მოიტანს თუ არა, სხვა გზა არ დამრჩენია. მოთხოვნაა, ხელფასი კი არ აღმიდგეს, გამიორმაგდეს, როგორც ამას გვპირდებოდნენ არჩევნებამდე, პრემია ჩამირიცხონ, რაც აიღო საქართველოს ნაკრებმა. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ არ მოსულა ხელისუფლება, რომელმაც ააყვავა სპორტი. არაფერი არ აუყვავებიათ, რაც გვქონდა, ისიც წაგვართვეს და სხვას მისცეს. სავარჯიშო დარბაზი აღარ გვაქვს. ბოლო ერთი წელია პარაოლიმპიურ სპორტში საქმე ძალიან ცუდად მიდის.

- თქვენ ერთი რომ გამოხატავთ პროტესტს, ხელზე არ დაიხვევენს ამას თქვენი ოპონენტები?

- გასასამართლებლად ის მაქვს, რომ ხალხი ხმას ვერ იღებს და ვერ მოდის, რადგან მათაც ხელფასს მოუხსნიან და ჩემ დღეში ჩავარდებიან. ეს რა ჟესტია, ხელფასი მომიხსნეს, მანიშნეს, რომ გავჩერდე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენს შეეძლო, მისულიყო დარბაზში და ევარჯიშა, წაგვართვეს. პარაოლიმპიურ სპორტს დარბაზი აღარ აქვს, ხელფასების მომატებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ბაზაც აღარ გვაქვს, ჩართეს ახალი ადამიანები, ეს ძალიან კარგია, მაგრამ, ისინი, ვინც წლებია ამ საქმეში ვართ ჩართული და მიღწევებიც გვაქვს, გამოგვყარეს. ერთი მიზეზი მითხარით, რატომ უნდა მომწონდეს. მიკერძოებაა სამინისტროს მხრიდან და ამიტომ მივდივარ მათთან. ისინი ამბობენ, იცით, ჩვენ არაფერს ვწყვეტთ, თქვენს კომიტეტს მიმართეთ. როდესაც სჭირდებათ, ძალიან კარგად ერევიან. პარასპორტში საქმე ფუჭდება და ამის აღდგენას დიდი დრო დასჭირდება. არც აქამდე იყო იდეალურად ყველაფერი, ახლა ნულზეა. პროფესიონალი სპორტსმენები გვერდზე გაგვაჩოჩეს და სხვები მოიყვანეს, ვუსურვებ, რომ მათ ერთ დღეში დაედოთ შედეგი, მაგრამ ამას ჩვენ წლები მოვანდომეთ.

- ვიდრე შიმშილს დაიწყებ, აპირებ კიდევ მინისტრთან შეხვედრას?

- არა, მათ უკვე შევხვდი. მინისტრმა მითხრა, რომ ერთ კვირაში მოაგვარებდა ყველა პრობლემას, მაგრამ მას შემდეგ თვე გავიდა. ვიწყებ შიმშილობას სამინისტროს კართან, შესასვლელთან გავშლი კარავს, რომ ხალხმა დაინახოს. ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება ამას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გენმოდიფიცირებული თესლი - არა! საკვები - კი!

სალომე გოგოხია

სანამ პარლამენტი გენმოდიფიცირებული თესლის აკრძალვაზე შესაბამის კანონს დაამტკიცებს, გამორიცხული არ არის, რომ ქართველ გლეხს მოსავალი გენმოდიფიცირებული თესლით მოჰყავდეს. ასევე, ვიძენდეთ პროდუქტებს, რომლებსაც შესაბამისი ეტიკეტირება არ გააჩნია, რომ გავიგოთ საკვები გენმოდიფიცირებულია თუ არა.

ეს ყველაფერი იმიტომ, რომ საქართველოს არ გააჩნია შესაბამისი ლაბორატორია, სადაც გენმოდიფიცირებული პორდუქტების კვლევებს ჩაატარებს.

თუმცა, გასულ კვირას, სურსათის უვნებლობის სააგენტოში დამაიმედებელი პასუხი გვამცნეს, რომ რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთმა ლაბორატორიამ ლიცენზია მიიღო და ამიერიდან, კვლევებს ის ჩაატარებს. თუმცა, მანამდე არსებულ ლაფსუსებზე სახელმწიფო თვალს რატომ ხუჭავს, ამაზე პასუხი ვერ მივიღეთ.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის დედამიწის მოსახლეობა 10-11 მილიარდი იქნება, წინა წლანზე დაპურება წამოინევს, რაც ყველაზე სწრაფად მოსაგვარებელი პრობლემაა. პრაქტიკულად, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა სურსათზე მოთხოვნილებას ვეღარ უზრუნველყოფს. ახალ საფეხურს წარმოადგენს გენური ინჟინერია.

მსოფლიოში ეკოლოგიურად სუფთა კუნძულად ჯერჯერობით საქართველო რჩება. თუმცა, გენმოდიფიცირებული თესლის თუ საკვების გამოყენებამ შეესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნას.

სამწუხაროდ, წლების მანძილზე, ქვეყანაში შემოტანილი გენმოდიფიცირებული თესლის და საკვების კონტროლი არ ხორციელდებოდა. „1993 წელს სვანეთში, გენმოდიფიცირებული კარტოფილი მოიყვანეს, სოკო გაუჩნდა, შემდეგ ამოთხარეს და გადაყარეს“, - გვითხრა თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულმა პროფესორმა, ექსპერტმა გარემოს დაცვის საკითხებში, დიანა ძიძიგურმა.

კანონი კანონისთვის თუ ადამიანებისთვის?

გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც საქართველოში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების (თესლის) შემოტანას და ნიადაგში ინტროდუქციას (დათესვა) კრძალავს. თუმცა, აკრძალვა არ შეეხება გენმოდიფიცირებული საკვების იმპორტირებას.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, ეტიკეტზე აუცილებლად უნდა იყოს დატანილი ინფორმაცია, კონკრეტული სურსათი გენმოდიფიცირებულია თუ არა. ეს სავალდებულო მოთხოვნაა. ცალსახად იმის თქმა, რომ შესაძლებელია გენმოდიფიცირებული პროდუქტი იყიდებოდეს, არ შემიძლია. ამის დადასტურება მხოლოდ ლაბორატორიული კონტროლითაა შესაძლებელი. რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთმა ლაბორატორიამ გაიარა აკრედიტაცია და ახლო მომავალში სურსათის ეროვნული სააგენტო გენმოდიფიცირებულ საკვებზე ლაბორატორიულ კვლევებს ჩაატარებს. სააგენტო ქვეყნის შიგნით კონტროლს ახორციელებს. ვინც მოთხოვნებს დაარღვევს, პირველ ჯერზე 400, განმეორებით, 1 200 ლარით დაჯარიმდება“. - განაცხადა სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსმა კახა სოხაძემ.



მიზანშეწონილია თუ არა გენმოდიფიცირებული საკვების მიღება?

თუმცა, „პრაიმტაიმის“ შეკითხვაზე, აკონტროლებს თუ არა სააგენტო ჰორმონის შემცველ საკვებს, რომელსაც ფერმერები ფრინველების და მსხვილფეხა საქონლის გამოსაკვებად იყენებენ, ამაზე ბუნდოვანი პასუხი მივიღეთ.

„უნდა გვითხრათ, რომელ ჰორმონს შეიცავს, შემდეგ ამის ლაბორატორიული შემოწმება მოხდება“, - გვიპასუხა სოხაძემ.

თუმცა, გაუგებარია, მომხმარებელმა რატომ უნდა აცნობოს ამის შესახებ სააგენტოს, როცა მისი პირდაპირი მოვალეობაა სურსათის უვნებლობის შემოწმება.

უსაფრთხოა თუ არა გენმოდიფიცირებული პროდუქტი?

მიზანშეწონილია თუ არა გენმოდიფიცირებული საკვების მიღება, ვნებს თუ არა ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას? აზიანებს თუ არა ნიადაგს მასში მოხვედრილი გენმოდიფიცირებული თესლი? ამ შეკითხვებით „პრაიმტაიმი“ პროფესორს, ექპსერტს გარემოს დაცვის საკითხებში დიანა ძიძიგურს ესაუბრა.

მეცნიერის განცხადებით, ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, გენმოდიფიცირებული თესლის და მისგან დამზადებული საკვების გამოყენების აუცილებლობა არ დგას.

„როცა მსოფლიოს წამყვანი, გიგანტური ქვეყნების ინსტიტუტები იკვლევენ ამ თემებს, ჩვენთვის უპრიანი იქნებოდა, თავი აგვერიდებინა. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ასეთი კვლევებისთვის მზად არ ვართ. როგორც მეცნიერი, ვისურვებდი, რომ მინიმუმ 15-20 წელი ამისგან თავი შევიკავოთ. თუმცა, ამ საქმეს მარტო არ ვწყვეტ და მორალური უფლება არ მაქვს, რომ ჩემს კოლეგა მეცნიერებს, ვისაც კვლევები აინტერესებთ, ეს საკითხი ავუკრძალო. საკითხი ასე დგას, საქართველოში რომელი ინსტიტუტია მზად ასეთი კვლევებისთვის და გააჩნია შესაბამისი დაფინანსება? არის გარანტია, რომ ცოცხალი ორგანიზმი ბუნებაში არ გავა? საეჭვოა, ჩაკეტილ სისტემაში ცოცხალი ორგანიზმების ბუნებაზე მავნე ზეგავლენა შევისწავლოთ. თუ გვინდა რეალური შედეგები დავდოთ, ამისთვის დიდი ტერიტორიებია საჭირო. ვფიქრობ, საქართველო ასეთი კვლევებისთვის მზად არ არის“. - ამბობს დიანა ძიძიგური.

მისივე თქმით, გენმოდიფიცირებული თესლი უხვმოსავლიანობით გამოირჩევა. ჩვეულებრივი მცენარისგან განსხვავებით, მას ორმაგი სასუქი სჭირდება. გამოყენებული ნიადაგი გაცილებით სწრაფად იფიტება.

„მოსავალი რამდენად სრულფასოვანია საკვებად, მავნე ზეგავლენა აქვს თუ ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეს პრობლემები დღემდე შესწავლის საკითხია. არსებობს მეცნიერული შრომები, რომლებიც ცალსახად აჩვენებენ ამ საკვების უარყოფითობას. თუმცა, ასეთი ნაშრომების გამოქვეყნება სამეცნიერო ლიტერატურაში და პოპულარულ ჟურნალებში ძალიან იზღუდება იმ ხალხის მიერ, ვინც ლობირებს ასეთი ორგანიზმების გამოყენებას. მსოფლიო მეცნიერთა აზრი ორ დიდ ჯგუფად არის დაყოფილი. ერთნი ვითხოვთ აკრძალვას, მეორენი ამბობენ, რომ მავნე არაა და აკრძალვა საჭირო არ არის. თუმცა, რისკის არსებობას ადამიანის ჯანმრთელობაზე და ბუნებაზე, ვერავინ უარყოფს. როდესაც ასეთი რისკი არსებობს, ადამიანი მის თავიდან არიდებას უნდა ცდილობდეს და არა ხალხზე ექსპერიმენტების ჩატარებას, - აღნიშნა ძიძიგურმა.

პროფესორის თქმით, იმის გარანტია, რომ აქამდე გენმოდიფიცირებული თესლი ბუნებაში არ გავიდა, ან საკვები ბაზარზე გატანილი იყო, არ არსებობს.

„პომიდორი უკვე ცოცხალი ორგანიზმია, სხვაა მისგან დამზადებული ტომატი ან მწნილი. ამის საფუძველზე დამზადებულ პროდუქტს ბუნებაში ვერ გავიტანთ, მაგრამ როცა შემოდის თესლი და თუნდაც საბაზრო ქსელში დაიდება, უკვე პრობლემაა. ჩვენ ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, რომ ვერ გავაკონტროლებთ ამ თესლს საკვებად გამოიყენებენ თუ დასათესად. როცა ვიკითხე, ამას როგორ გავაკონტროლებთ-მეთქი, სურსათის სააგენტოში მიპასუხეს, რომ გავივლით მინდვრებს, ნიმუშებს ავიღებთ და სადაც გენმოდიფიცირებულს ვიპოვით, დავაჯარიმებთო. ეს არარეალურია, არამარტო ჩვენთან, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც. არც ერთი გონიერი ხელისუფალი ისეთ საქმეზე არ წავა, რომ ყოველ წუთს გლეხის ნაკვეთზე შევიდეს და ანალიზი გააკეთოს. ძალიან ძვირადღირებულია. რაც შეეხებ საკვებს, ნაყოფი კი არ არის მავნე, არამედ მცირე გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი მონაკვეთი, რომელსაც მეცნიერები პლაზმიდებს ვეძახით. ამ პლაზმიდებს კუჭიდან გასვლა უჭირთ, არ იშლება. არსებობს შრომები, სადაც საუბარია, რომ ტვინის უჯრედებშიც კი შეაღწია და ეს ინფორმაცია ჩაინერგა. ძალიან სერიოზული საშიშროებაა. ხელისუფლებისგან გვესმის, რომ ქვეყანას გამოკვება სჭირდება. ვიზიარებ ამ აზრს, ვისაც არ შეუძლია სუფთა პროდუქტით გამოკვება და 20 წლის ასაკში შიმშილით სიკვდილს ურჩევნია, საშუალოდ 50-60 წელი იცოცხლოს. ამისთვის ადამიანს არჩევანის უფლება უნდა მივცეთ. თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად გვჭირდება ეს პროდუქტი. გვაქვს საკვები პროდუქტის ნაკლებობა? თუ გვაქვს ასეთი ნაკლებობა, მაშინ უნდა შემოვიტანოთ, იქნება ცალკე დახლები, რომელსაც ექნება წარწერა, რომ ეს პროდუქტი გენმოდიფიცირებულია ან დამზადებულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმის საფუძველზე. რაც მთავარია, მას უნდა ჰქონდეს ძალიან დაბალი ფასი. ვფიქრობ, როცა ეტიკეტირება და ლეგალიზაცია მოხდება, აკრძალვა არ დაგვჭირდება, რადგან ეს პროდუქცია არ გაიყიდება. შესაბამისად, ვერც შემოვა. როგორც კი კანონი ძალაში შევა, ეტიკეტირებაც ძალაში შევ“. - ამბობს დიანა ძიძიგური.

პარლამენტმა კანონპროექტი განსახილველად უკვე მიიღო. გარემოს დაცვის სამინისტროში ვარაუდობენ, რომ საკანონმდებლო ორგანო განხილვას დააჩქარებს.

„საქართველოში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ ინტროდუქცია კანონით აკრძალულია, ხოლო ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება სამეცნიერო მიზნისთვის, დასაშვებია. საქართველო ბიომრავალფეროვნების კონვენციის წევრი სახელმწიფოა, რომელიც ბიომრავალფეროვნების კატახენას ოქმის ხელმომწერია. ამ ოქმის ერთ-ერთი ვალდებულებაა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარ ტერიტორიებზე გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების მოძრაობა უნდა უზრუნველყოს. კონვენცია მხარეებს უფლებას უტოვებს, რომ თავად გადაწყვიტონ აკრძალონ საკუთარ ტერიტორიაზე თუ რეგულირებადს დაუქვემდებარონ. საქართველოში აბსოლუტური აკრძალვა არ ხდება, რეგულირებულია და ადგილობრივი ორგანიზმების დაცვის მიზნით, გარემოში ინტროდუქცია იკრძალება. აქამდე, საქართველოში კანონმდებლობა არ არსებობდა. პრინციპში, დღესაც არ აქვს. როცა კანონპროექტი ძალაში შევა, შემდეგ უკვე დარეგულირდება“. - განუცხადა „პრაიმტაიმს“ მაია ბიწაძემ, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ქართული დელეგაცია მსოფლიოს მედიის ყურადღებას იქცევს

მაგდა კლდიაშვილი

ზამთრის ოლიმპიადებში ქართველები წარმატებულად არასდროს გამოსულან. ერთადერთი, რითაც მსოფლიოს თავი „დავამახსოვრეთ“, 2010 წელს, კანადაში, ვანკუვერში მომხდარი ტრაგედიაა. 21 წლის მოციგავე, ნოდარ ქუმარიტაშვილი, ოლიმპიადის გახსნის ოფიციალური ცერემონიალის დაწყებამდე, რამდენიმე საათით ადრე, საცდელი დაშვებისას ციგიდან გადმოვარდა და დაიღუპა. სამწუხაროდ, სხვა ვერაფრით გავიხსენებთ ქართველების გამოსვლებს ოლიმპიადაზე. საუკეთესო შედეგი კი 2006 წელს გვქონდა - ფიგურულმა მოციგურავემ, ელენე გედევანიშვილმა მეათე ადგილი დაიკავა.

სოჭის ზამთრის ოლიმპიადის პოლიტიკური დატვირთვის გამო, მიუხედავად ბევრი მითქმა-მოთქმისა, საქართველომ მაინც გადაწყვიტა მისი ტერიტორიების 20%-ის ოკუპანტი რუსეთის მიერ ორგანიზებულ ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება. შესაბამისად, იმის ინტერესი, ხომ არ მოხდება რაიმე პროვოკაცია, ძალიან დიდია. სად ცხოვრობენ, ხვდებათ თუ არა საკვებში მწერები და მოდის თუ არა მათ ონკანებში ყვითელი წყალი - „პრაიმტაიმი“ წარმოგიდგენთ „სოჭის დღიურებს“, რომელიც ოლიმპიადის დასრულებამდე გაგრძელდება.

2010 წლის ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე საქართველო 8 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი, წელს კი ეს რიცხვი ოთხამდე შემცირდა. საქართველოს წარმომადგენელი მხოლოდ ორ სახეობაში ჰყავს - მოციგურავე ელენე გედევანიშვილი და სამთო-სათხილამურო სპორტში იასონ აბრამაშვილი, ალექს ბენიაიძე და ნინო წიკლაური.

სოჭის ოლიმპიადაში ქართველი მონაწილეები 18 თებერვლიდან ჩაერთვებიან. ქართული დელეგაციის პირველი ნაწილი სოჭში 4 თებერვალს გაემგზავრა. კადრს მიღმა დარჩენილი ამბების პირველი სტუმარი მამუკა ხაბარელია, სოჭის ოლიმპიურ სოფელში, ქართული მისიის ხელმძღვანელი.

5 თებერვალი - აგრესიის გარეშე

როგორც ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, მამუკა ხაბარელი ჰყვება, მგზავრობამ ნორმალურად ჩაიარა, სოჭში კი სიმშვიდე და სიწყნარეა. ქართველების გამორჩენას მასპინძლები აგრესიის გარეშე შეხვდნენ და სააკრედიტაციო პროცესმა მშვიდად ჩაიარა. ქართული დელეგაცია ისევე მიიღეს, როგორც სხვა დანარჩენები. ისევე როგორც სხვა დანარჩენ ქვეყნებს, ქართველებსაც დამხმარეები ჰყავთ, მოხალისეები, რომლებიც ყველა პრობლემის გადაწყვეტაში ეხმარებიან ჩვენს დელეგაციას.

სოჭის ოლიმპიურ სოფელში, ქართული მისიის ხელმძღვანელის თქმით, დელეგაციის ორ ნაწილად ჩამოსვლა იმან განაპირობა, რომ 4 თებერვალს ჩასულებს საორგანიზაციო საკითხები უნდა მოეგვარებინათ.

5 თებერვალს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ავსტრიელ სპორტსმენებს გატაცებით ემუქრებიან, ეს ინფორმაცია კი ხაბარელს ჯერ არ მიუღია და მიუხედავად ამისა, ფიქრობს, რომ ქართულ დელეგაციას საფრთხეს არაფერი შეუქმნის.

ხაბარელს მისსავე სიტყვებს ვახსენებთ, რომელიც იასონ აბრამაშვილმა „პრაიმტაიმს“ ინტერვიუში უთხრა - თუკი სოჭში რაიმე საფრთხე შეიქმნება, სპორტსმენები დატოვებენ ოლიმპიადას. ხაბარელი უარჰყოფს ამას და აცხადებს, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა და ფორს-მაჟორის არსებობის შემთხვევაში, კონსულტაციების შედეგად იქნება გადაწყვეტილება მიღებული.

ქალაქში გამკაცრებულია უსაფრთხოების ზომები. ყოველი ფეხის ნაბიჯზე სამართალდამცავს შეხვდებით, ამ დრომდე რაიმე ექსცესს ადგილი არ ჰქონია. ტურისტებმაც იწყეს ჩამოსვლა. ქალაქი ნელ-ნელა ივსება.

5 თებერვალს სოჭში ოლიმპიური ცეცხლი ჩაიტანეს, რომელიც ოლიმპიურ ქალაქში ჩატანამდე გზადაგზა ბევრჯერ ჩაქრა კიდეც. ქართველები ამ პროცედურას არ დასწრებიან, მიზეზი ისევ საორგანიზაციო საკითხებია.

სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტს ჯერ ოლიმპიადისთვის მონყობილი ინფრასტრუქტურა არ უნახავს. ამბობს, რომ ჯერ ვერ მოიცალა ამისთვის, რადგან მხოლოდ ერთი დღის ჩამოსულია. დელეგაციის ნაწილი სოჭში 6 თებერვალს ჩადის, ყველაზე ბოლოს ქართველებს ელენე გედევანიშვილი შეუერთდება. ქართველი ფიგურული მოციგურავე 14 თებერვალს ჩავა, ამის მიზეზი კი ხაბარელის განმარტებით ის არის, რომ სავარჯიშოდ ელენეს მხოლოდ 40 წუთი ექნება, კანადაში კი მეტი დატვირთვის რეჟიმში მოემზადება. ელენე საციგურაო მოედანზე 20 თებერვალს გამოვა.

სოჭში ორი ოლიმპიური სოფელია. მთის სოფელი და დაბლა სოჭი, სწორედ აქ განთავსდებიან ქართველები. სამთო-სათხილამურო სახეობის წარმომადგენლები მთის სოფელში განთავსდებიან, ელენე კი დაბლა სოჭში დაბინავდება.

კითხვაზე, ხომ არ უნახავს ოსური დელეგაცია მამუკა ხაბარელს, მის გაბრაზებას იწვევს და ამბობს, რომ ეს არასწორი კითხვაა, თუმცა, ალბათ, ქართული მისიის ხელმძღვანელს „დაავიწყდა“ ის ამბავი, რომ რუსეთი, სადაც ახლა ოლიმპიადა იმართება, მხარს უჭერს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და სხვადასხვა ტურნირებში, რომელიც მის ტერიტორიაზე იმართება, დამოუკიდებელი ქვეყნების სახელით გამოდიან ოსეთიც და აფხაზეთიც.

სოჭში წითელი მაისურები გამოჩნდა, წარწერით - ABKHAdIA – ჩოუნტრყ ოფ ტჰე ფუტურე - ეს ჯერ არ უნახავს ხაბარელს და ამბობს, რომ ამის გამო მას საკითხზე საუბარი უჭირს, ნახვის შემთხვევაში კი... ისეთი ტონი აქვს, ვგონებ აფხაზეთს დააბრუნებს, ალბათ, ძალიან გაბრაზდება...

5 თებერვალი ასე სრულდება. მეორე დღეს თბილისიდან სოჭში ჩარტერული რეისი მიფრინავს.

6 თებერვალი - NO ALCOHOL

6 თებერვალი, დილის 10 საათი. თბილისის აეროპორტიდან სოჭში ჩარტერული რეისით თვითმფრინავი მიემგზავრება. დელეგაციის წევრების გარდა, სოჭში ქართველი ჟურნალისტებიც მიფრინავენ.

ფრენამ 50 წუთი წაიღო, სოჭამდე არც ისე შორია. თვითმფრინავი ადლერის საერთაშორისო აეროპორტში ეშვება. სწორედ ეს აეროპორტი ემსახურება სოჭის ოლიმპიადაზე ჩამოსულ დელეგაციებს. „პრაიმტაიმის“ დღევანდელი მეგზური სეოკ-ის პრესატაშე, კახა ბერიძეა. დეტალებს სწორედ მისგან ვიგებთ.

ადლერის აეროპორტშივე მიმდინარეობს მონაწილე ქვეყნების აკრედიტაციის პროცესი. კახა ბერიძის თქმით, აეროპორტში ჟურნალისტების დიდი ჯგუფი დახვდა ქართულ დელეგაციას, როგორც ადგილობრივი მედიის, ისე საერთაშორისო გამოცემების წარმომადგენლები. ეს მოულოდნელი არც ყოფილა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ ყველამ იცის და ისიც ცნობილი იყო, რომ ოლიმპიადის ბოიკოტირებაზე ვფიქრობდით.

სააკრედიტაციო პროცესმა მცირე ხანს გასტანა. შემდეგი გაჩერება ოლიმპიური სოფელია. ორ საათზე საქართველოს დროშის აღმართვის ცერემონიალია. ეს ჩვეულებრივი პროცედურაა. ტრადიცია, ოლიმპიადის გახსნამდე ერთი დღით ადრე სრულდება. საქართველოს დროშის აღმართვამდე, ოლიმპიური სოფლის ორგანიზატორები მონაწილეებს სიტყვით მიესალმნენ, საკონცერტო ნომრებიც შესრულდა, ორგანიზატორებსა და ქართველებს შორის საჩუქრის გაცვლაც მოხდა, ესეც ტრადიციის ნაწილია. ამის შემდეგ დროშაც აღიმართა საქართველოს ჰიმნის ფონზე. უკვე ოლიმპიადის სრულფასოვანი წევრები ვართ.

როგორც ვთქვით, ქართველი მოთხილამურეები მთის სოფელში უნდა გაჩერდნენ. აქ იმ სპორტის სახეობის წარმომადგენლები არიან განთავსებული, რომლებიც სათხილამურო სპორტში, (ტრამპლინიდან ხტომა, ბეატლონი და ა.შ.) გამოდიან. ამ სპორტსმენების ძირითადი სპროტული ასპარეზიც აქ არის. მისიის ხელმძღვანელი, მამუკა ხაბარელი მოთხილამურეებთან ერთად იცხოვრებს. ბარის ოლიმპიურ სოფელში წარმომადგენელი ჯერ არ გვყავს.

ჟურნალისტები ოლიმპიურ პარკთან ახლოს განათავსეს, აქ ბევრი სასტუმრო, კოტეჯი და შენობაა და ისევეა შემოსაზღვრული, როგორც სპორტსმენების საცხოვრებლები. ტრანსპორტირების პრობლემა ჯერ არ დამდგარა, რადგან არც დასჭირვებიათ, შემდეგ დღეებში რა იქნება, გამოჩნდება.

საცხოვრებელი პირობები ნორმალურია. მსოფლიოს ყურადღების ცენტრში სოჭი მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურისა და სხვადასხვა პირობების გამო მოექცა. ონკანებში ყვითელი ფერის წყალი მოდის, საკვებში კი ხოჭოები აღმოჩნდა. კახა ბერიძე ჩვენთვის ამონწმებს წყალს, ის ყვითელი არ არის და ჩვეულებრივი ფერისაა, რაც შეეხება საკვებს, სეოკ-ის პრესატაშე ამბობს, რომ ოლიმპიური სოფლის ტერიტორიაზე ჯერ არ უსარგებლიათ საკვებით და ქალაქში მოუხდათ ნახემსება, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ მეორე დღის საუზმეზე მწერები არ შეხვდებათ საჭმელში.

გავრცელებული ინფორმაციით, ქართულ ჭაჭასა და ჩურჩხელებს სოჭში ბევრგან შეხვდებით, თუმცა ქართველებს მშობლიური ჯერ არაფერი შეხვედრიათ. კახა ბერიძის თქმით, სოჭი, ოლიმპიური სოფლიდან 10-15 წუთის სავალზეა დაშორებული, სადაც ალკოჰოლური არაფერი იყიდება. სასმელს ვერც ერთ მაღაზიაში ნახავთ, ეს აკრძალვა ჟურნალისტებისთვისაც ვრცელდება.

ხვალ უკვე ოლიმპიადის გახსნაა. ცერემონიალის დაწყებამდე საათები რჩება. ქართველების მედროშე მოთხილამურე ნინო წიკლაური იქნება.

7 თებერვალი - ხოჭოების გარეშე და გახსნის საზეიმო ცერემონიალი

დილა საუზმით დაიწყო. საბედნიეროდ ხოჭოები არ ყოფილა საკვებში და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. დღის ამბებს ისევ კახა ბერიძისგან ვიგებთ. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრესატაშე დაგვპირდა, რომ ფოტომტკიცებულებებსაც მოგვაწვდის, როგორც კი ამის საშუალება იქნება. საცხოვრებელში სისუფთავეა, წყალი არავისთან შემწყდარა, საუზმემ და სადილმა ექსცესების გარეშე ჩაიარა, გულის რევა სასადილოში არსებულ პირობებს არ გამოუწვევია.

ცერემონიალის გახსნამდე მოთხილამურეებმა ივარჯიშეს. გახსნის საზეიმო ცერემონიალის დასრულების შემდეგ სიმშვიდე დაისადგურებს და ისინი ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ მომზადებას. ჟურნალისტების მხრიდან გადამეტებულ ყურადღებაზე უკვე ვისაუბრეთ, კახა ბერიძე გააკონტროლებს, რომ სავარჯიშო გრაფიკიდან არ ამოვარდნენ ინტერვიუების გამო ქართველი სპორტსმენები. 18 თებერვლამდე ეს რეჟიმი შენარჩუნდება. დარჩენილი დრო ქართველებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ.

100%-იანი გარანტია მიიღო ქართულმა დელეგაციამ, რომ სტადიონ „ფიშტის“ ტრიბუნაზე, სადაც გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება, პროვოკაციული არაფერი მოხდება და აფხაზეთის დროშას არავინ გამოკიდებს. რომც მოხდეს მსგავსი პრეცედენტი, სწრაფად უკან გამოფრინდებიან? - ასეთია ჩვენების დამოკიდებულება, თუმცა იმის იმედი, რომ მსგავსი არაფერი მოხდება, დიდია.

რვა საათი დაიწყო, ქართველები ავტობუსით სტადიონისკენ მიემართებიან. ორგანიზატორებს წინასწარ აქვთ ყველა დეტალი გათვლილი. რუსული ანბანის მიხედვით, გამოსვლა გერმანიის შემდეგ უწევთ, რიგით 23-ე იქნება საქართველო. პროტოკოლში, რომელიც ყველა დელეგაციას დაურიგდა, გახსნის საზეიმო ცერემონიალი 3 საათს გაგრძელდება. იქნება სიურპრიზი, დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება. ყველაფერს შოუზე ვიხილავთ.

სოჭის ზამთრის 2014 წლის ოლიმპიადა ოფიციალურად გაიხსნა. სტადიონზე მისული მაყურებელი ამ წუთებში 22-ე ზამთრის თამაშებისთვის სპეციალურად მომზადებულ შოუს უყურებს.

ოლიმპიადისთვის სცენარი სპეციალურად დაიწერა და მას „სიყვარულის სიზმარი ჰქვია“. 11 წლის გოგონამ, სახელად „ლიუბოვ“ (სიყვარული), რუსული ანბანის მიხედვით ქვეყნის ცნობილი ადამიანებისა თუ ცნობილი მოვლენების ჩამონათვალი გააკეთა.

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი, მთავარმა გმირმა, „ლიუბოვ“ 10-დან უკუთვლით დაიწყო, რასაც მცირე ფეიერვერკი მოჰყვა.

საქართველო გახსნის ოფიციაულურ ცერემონიალზე 23-ე გამოვიდა, გერმანიის შემდეგ. ცერემონიალი სამ საათს გაგრძელდა. „სოჭის დღიურები“ ერთი კვირით გემშვიდობებათ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შოპინგი, ჭამა და ბანკის ვალები

სალი კიპაროიძე

მამაკაცების აზრით, ქალების უმრავლესობამ ფულის ყადრი არ იციან და სწორედ ამიტომ ისინი გამოუსწორებელი მფლანგველები არიან. თუმცა მდედრობით სქესს რომ ჰკითხოთ, ისინი როგორც თავის, ასევე საყვარელი მამაკაცის მიერ მოპოვებულ ფინანსებს ყოველთვის „აუცილებელ“ ნივთებში ანიავებენ, მაგრამ დღეს თუ თბილისს კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ქართველის (სქესს მნიშვნელობა არ აქვს) მოთხოვნილებები, როგორც წესი, ძალიან მაღალია, თითქმის ყველას მდიდრული ცხოვრება მოსწონთ, თანაც მიაჩნიათ, რომ ყოველივე ამას უპირობოდ იმსახურებენ. ამიტომ საეჭვოა, ამ მოთხოვნებს ერთი საშუალო სტატისტიკური ადამიანის, ასეთივე საშუალო ხელფასი გასწვდეს. არსებობს გამოსავალი, რომელიც უკიდურესი შემთხვევაა, მაგრამ მაინც გამოსავლად ითვლება და მისი არსებობა ძალიან მოსწონს ქართველ ერს, გამოსავალი, რომელსაც ვალი ეწოდება. ქართველი ქალები ძირითადად შოპინგის სიყვარულით გამოირჩევიან და სტატისტიკურად მათი 74% აღიარებს, რომ ისინი წუთში ერთხელ მაინც ფიქრობენ შოპინგზე.

ნათია ხარაიშვილი (სტუდენტი, 21 წლის)

- გიყიდია, თუ არა იმპულსურად ისეთი ნივთი, რომელიც შემდეგ აღარ გამოგიყენებია?

- ძალიან მიყვარს ტანსაცმლის ყიდვა. უკვე იმდენი ტანსაცმელი დამიგროვდა, რომ აღარსად ეტევა,

თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევაც, რომ მიყიდია ისეთი ნივთები, რომლებიც არ მჭირდება. მიყვარს თვითონ გრძნობა, რომელიც ახალი ნივთების სახლში მიტანისას მეუფლება. თუ ნივთი ძალიან მომეწონა, ნებისმიერ თანხას გადავიხდი, მიუხედავად იმისა, მაქვს თუ არა იმ მომენტში.

- ანუ ყოფილა შემთხვევები, როცა ვალი აგიღია იმის გამო, რომ რაღაც ნივთი უბრალოდ ძალიან გინდა, თუმცა იმ მომენტში, ძალიან არ გჭირდებოდა.

- მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ გამაჩნია პირადი ფინანსები, ნამდვილად ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა რაღაცაზე გავგიჟებულვარ და იძულებული გავმხდარვარ ფული მესესხებინა. როდესაც რაღაც ძალიან მომწონს, თავს ვერ ვიკავებ.

- მიგიცია თუ არა ტანსაცმელში და აქსესუარებში უკანასკნელი კაპიკები, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შენთვის?

- კი, რა თქმა უნდა, ხშირად ვიქცევი ასე. შოპინგი ჩემთვის ყველაფრის მკურნალია. როგორც არ უნდა დავიღალო, საშოპინგოდ მაინც სულ მზად ვარ, მაშინ როცა ვხვდები, რომ განტვირთვა მჭირდება, მაღაზიებში მივდივარ. სასიამოვნო, განათებულ მაღაზიებში სიარული, სადაც სასიამოვნო სურნელია, კომფორტია, სითბოც საკმაოდ დარეგულირებულია და რაც მთავარია, უამრავი რაღაც გჭრის თვალს. იქ ხშირად ვხედავ ჩემნაირ ადამიანებს, რომლებსაც ახალი ნივთები უხარიათ და სასწრაფოდ მივიჩქარი ხოლმე იმ ტანსაცმლისკენ, პირველად რომ დავინახავ და შორიდანვე გულს მიჩქარებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მარტო ქართველი ქალების სენი არაა, ჩვენ მაინც ყველაფერი გამორჩეული გვაქვს. მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, მრავალმხრივი, თუმცა გაზარმაცებული ნიჭი (ჭკვიანი, მაგრამ ზარმაცი) უნიკალურობის და განუმეორებლობის განუზომელი ამბიცია (რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ), სწორედ ამიტომაა, რომ ხშირად ჩვენი სურვილები შესაძლებლობების მასშტაბებს სცდება. და, რა თქმა უნდა, ჯანმრთელი ცხოვრების ზოგადი წესი, ჭამა-სმის მოყვარული თანამედროვე ქართველების ენამოსწრებული გამონათქვამი, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“, საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დგება, მაშინ, როცა ქალაქის ქუჩებში ვხედავთ, რომ ჯანსაღ სულს დიახაც, რომ აქვს უფლება არამხოლოდ ჯანსაღ სხეულში, არამედ ნებისმიერი ფორმის, წონისა და მდგომარეობის სხეულში სამუდამოდ დაიდოს ბინა. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი ქალაქი „ვალებში იხრჩობა“ (თუმცა ამ ყველაფერს მხოლოდ ბანკებს აბრალებენ) კარგი ცხოვრება, რომ მეტისმეტად გვიყვარს, ეს ცხადია. ქართული კაფე-ბარები და რესტორნები, ყოველდღე გადაჭედილია. „პატივცემული ღიპით“, ჭამა-სმისგან კარგად დამძიმებულ ბიძაკაცებს ძირითადად ცეკვის და მოლხენის თავიც აღარ აქვთ და „განცხრომის ჟამის დასასრულს“, ვაი-ვაგლახით წამომდგარები ძლივს მიდიან თავის სამეფო „ბოინგთან“ (ჯიპთან, ქართველებს, ხომ ასე ძალიან გვიყვარს დიდი მანქანები, თანაც მიუხედავად იმისა, რომ „ქართველებს გვიჭირს“, GT motors-ის თანამშრომელი გამოგვიტყდა, რომ ახალი RANGE ROVER-ები და არა მარტო ისინი, სხვა ფეშენებელური მანქანებიც „პანტაპუნტით“ იყიდება) თუმცა, ხშირად იმის გამო, რომ ქართული საზოგადოება ხშირად „თავის ზომა საბანს“ ვერ ყიდულობს, პატივცემული მანქანების წყარო ბენზინის ნაცვლად, გაზი ხდება.

ჩვენ სწორედ ის ერი ვართ, რომელიც გიჟდება, შოპინგზე და ჭამა-სმაზე, თუმცა საშინლად არ მოგვწონს ბანკის ვალები, ერი, რომელიც ევროკავშირისკენ მიისწრაფვის და რომლისთვისაც აგერ უკვე დიდი ხანია „ნატოს“ კარი მჭიდროდაა დახურული. თუმცა ჩვენზე კარგად არავინ იცის, რომ ალიანსში გაწევრიანებით ჩვენი ქვეყანა ფრთებს ნამდვილად ვერ გამოისხამს. ყველაფერ კარგშიც არსებობს ცუდი და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამ საოცნებო ნახტომსაც გააჩნია მინუსები. გაწევრიანების პროცესში, ხომ ყველა ქვეყანა იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას და ვალდებულებებს... სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სინამდვილეში ქართველი ერი, ჯერ კიდევ ძალიან შორსაა იმ ცნებისგან, რასაც „ევროპელობა“ ჰქვია.

ვეფრის „ს

MY VIEW

ანა ბარბაქაძე

27 იანვარს საქართველოს მწერალთა სახლში ლაშა ბუღაძის ახალი წიგნების „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“-სა და „LUCRECIA515“-ის პრეზენტაცია გაიმართა.

როგორ მოიქცეოდა მადამ ბოვარი, სკაიპი რომ ჰქონოდა? როგორ იძიებდა შურს მედეა იასონზე, „ფეისბუკის“ მომხმარებელი რომ ყოფილიყო? მიუსწრებდა თუ არა რომეო ჯულიეტას, წერილი ელექტრონული ფოსტით რომ მიეღო? შეძლებდა თუ არა სანდრო პირადი სივრცის დაცვას უცხო სხეულებისგან, ინტერნეტი რომ არ ჰქონოდა? მკითხველს, რომანის პერსონაჟების მსგავსად, სანდროს პირადი ფოსტის გატეხა მოუწევს და თუკი იქ შესვლას მოახერხებს, იმას იპოვის, რაც წიგნში არ წერია. ეს ლაშა ბუღაძის თანამედროვე დონ ჟუანის ტრაგიკომედიაა. ამ ყველაფერს „LUCRECIA515“-ში წაიკითხავთ.

განსაკუთრებით საინტერესოა ბუღაძის „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“. საქართველოში პრეზენტაციამდე მან მოწონება დაიმსახურა ლონდონში, სადაც ეს პიესა თეატრ „როიალ ქორთში“ დაიდგა. ეს აბსურდული, სატირული კომედია შავი იუმორითაა გაჯერებული და სიმხდალისა და ძალაუფლების შესახებ მოგვითხრობს.

ასევე, სიახლეა აკა მორჩილაძის „მორიდებული ზურმუხტი“. ახალ რომანში თბილისს ფოთი ჰქვია, ფოთს კი – თბილისი. იმპერატორის საგანგებო ბრძანებით გადაურქმევიათ სახელები ქალაქებისთვის და ამაში მეტად ჩახლართული აზრი ჩაუდიათ. რომანშიც ყველაფერი ასევეა ჩახლართული. გასაოცარი ამბავი დიდი ამბოხებისა, რომელიც თითქმის მთელ საქართველოს მოიცავს – თბილისსაც, ფოთსაც, ქუთაისსაც და დაუსახლებელ ტყეებსაც, ერთი მხრივ, სრულიად დაუჯერებელია, თუმცა, იმდენად დამაჯერებლადაა მოთხრობილი, რომ მის ნამდვილობაში მკითხველს ეჭვი ერთი წამითაც არ ეპარება. წიგნს არაფერი აქვს საერთო რეალობასთან, მის პერსონაჟებს არ იცნობს საქართველოს ისტორია, თუმცა კითხვისას მყარია შთაბეჭდილება – „ისტორიულ რომანს ვკითხულობ“. ასევე, მყარია შთაბეჭდილება – „ეს პასაჟი მეცნობა“. საიდან? ამის გაგებაში მკითხველს ბოლო გვერდზე მოცემული „გამოყენებული ლიტერატურა“ დაეხმარება.

ზემომოყვანილმა ახლად გამოსულმა წიგნებმა უკვე დიდი დაინტერესება გამოიწვია. მანამ სანამ ისინი ბესტსელერები გახდებიან, გავიგოთ, რას კითხულობენ ახალგაზრდები. კვირის „საკითხავი“:

1. უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“ – „ვარდის სახელი“ ცნობილი იტალიელი მწერლის, სემიოლოგისა და შუა საუკუნეების მკვლევარის, უმბერტო ეკოს პირველი რომანია. წიგნი 1980 წელს გამოიცა და პოსტმოდერნისტული ლიტერატურის კლასიკად ითვლება. ეს არის ტექსტი, რომელიც ისტორიული რომანივით მასშტაბური, გოთიკური რომანივით პირქუში და დეტექტივივით მძაფრია. მოქმედება 1327 წელს იტალიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ბენედიქტელთა მონასტერში ხდება. ფრანცისკელი ბერი უილიამ ბასკერვილელი და მისი ყმანვილი თანამგზავრი ადსო მონასტერში მომხდარი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ქართული წიგნის ხელოვნების ისტორია“

თამარ ოთიაშვილი

„ჩემი მოკრძალებული სურვილი იყო, ამ ნაშრომით მისი ზოგადი მოხაზულობა გადმომეცა, მხატვრული გენერაცია, სპეციფიკური მიღწევები, სხვადასხვა სტილისტური მიმართულებები... ეტაპების მიზანმიმართული ცვლა, მიმდინარეობები, მიმართულებების ბრძოლა, მოულოდნელი შემობრუნება, ილუზიების ნგრევა და ახლის აღმოცენება, ოდესღაც ჩამქრალი ტენდენციების უცაბედი აღორძინება... სხვა სიტყვებით, ეს არის ისტორია ნამდვილი ცოცხალი ხელოვნების, ჩვენ შემთხვევაში კი მისი ერთ-ერთი სახეობის – ნახატი შრიფტის ისტორია“, – ვკითხულობთ ნინო ჯიშკარიანის წიგნში „ქართული წიგნის ხელოვნება“, რომელიც ახლახან გამოიცა და რომლის პრეზენტაციაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

როგორც ტექსტის ავტორი, **ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, კულტუროლოგი დავით ანდრიაძე** ამბობს, „ეს არის წიგნი წიგნის შესახებ; ქართული წიგნისა და ქართული ნახატი შრიფტის შესახებ...“

წლების განმავლობაში მხატვართა არაერთი თაობა მუშაობდა წიგნის გრაფიკაზე. მათ ბევრი ახალი და საინტერესო რამ შექმნეს წიგნის გაფორმების სფეროში. ეს წიგნი იმ ადამიანების შესახებ გვიყვება, რომლებმაც წიგნის გაფორმებაში, ასე ვთქვათ, წიგნის გამოცემის ხელოვნებად ქცევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. „ჩემი სურვილი იყო ალბომ-მონოგრაფიის გამოცემა, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა შემოქმედებითი ძიებანი წიგნის გრაფიკასა და მხატვრული შრიფტის ხელოვნებაზე, იმ ცნობილი მხატვრების შემოქმედების მაგალითზე, რომლებიც დაუღალავად იღვწოდნენ და იღვწიან ამ დარგის განვითარებისთვის“, – ამბობს ქალბატონი ნინო და მართლაც, წიგნში მასალა შერჩეულია ისე, რომ კარგად ჩანს მხატვრის ინდივიდუალურობა და წიგნის გაფორმებაზე მისი მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობა. მასში ნარმოდგენილია როგორც კლასიკური შრიფტებით, ისე კალიგრაფიული წერით შექმნილი წიგნების გაფორმების ნიმუშები. ბატონ დავით ანდრიაძის ტექსტობრივი მასალა კი სიამოვნებით გამოგზაურებს მხატვართა სამყაროში და გათქმევინებს, წიგნი ჯადოქარიაო.

ეს არაჩვეულებრივი წიგნი ქალბატონმა ნინომ მამის, უდიდესი პროფესიონალის, მხატვარ ოთარ ჯიშკარიანის ხსოვნას მიუძღვნა და ალბათ, ძალიან გაახარა, რადგან ბატონი ოთარი მთელი ცხოვრება ამ საქმისთვის იღვწოდა და იხარჯებოდა, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ქართულ წიგნს, და ქართული წიგნის ეროვნულობას. მისი „ანბანთქება“ ქართული ენისა და ქართული დამწერლობის ქებათაქებაა.

როგორც **ხელოვნებათმცოდნე, ბატონი სამსონ ლეჟავა** ამბობს, „ამ შესანიშნავ წიგნში თავისებური რეტროსპექტივა ვნახეთ ყველამ, მასში თავმოყრილია სხვადასხვა თაობის, ხშირ შემთხვევაში პილიგრამული ოსტატობით გამორჩეული გრაფიკული ნაწარმოებები. წიგნის შექმნა, ერთგვარად თითქოს არქიტექტურის ანალოგიური რამ არის, იმიტომ, რომ ეს გახლავთ სინთეზური ხელოვნება, სადაც მხატვარი თავისი ინდივიდუალური აზროვნების სივრციდან უნდა გავიდეს და მერე რაღაც თავისებური კონსტრუქციული აზროვნებაა საჭირო, წიგნის დიზაინი იქნება ეს თუ სხვა... ამ ყველაფერს დიდი შრომა სჭირდება, მაგრამ გზა გაკვალულია, რისთვისაც დიდი მადლობა ქალბატონ ნინოს“.

წიგნის პრეზენტაციაზე ხელოვნებათმცოდნეებთან და თავად წიგნზე მომუშავე პერსონალთან (დიზაინერი სანდრო ჩხაიძე; კონსულტანტები ქეთევან კორძახია, გოგი წერეთელი, მარიამ გაჩეჩილაძე) ერთად საკუთარი აზრი გამოთქვა პოეტმა, **მთარგმნელმა გიორგი ლობჟანიძემ,** რომელმაც აღნიშნა:

„საქართველოში გავრცელებულია, თითქოს ყველაფერი ჩვენით იწყება და რაღაცნაირად გვავიწყდება ხოლმე ის კარგი ტრადიციები, რაც იყო, თუნდაც წიგნის გაფორმების თვალსაზრისით. დღეს, მით უმეტეს, ამ ეპოქაში, კომპიუტერმა თითქოს ბევრი რამ გააიოლა, ძალიან მარტივად კეთდება წიგნის დიზაინიც, მაგრამ დაიკარგა უმთავრესი – მხატვრის შემოქმედებითი დამოკიდებულება წიგნთან. თითქოს ნებისმიერ ადამიანს, ვისაც კომპიუტერულ პროგრამასთან რამე შეხება აქვს, შეუძლია, რომ ძალიან კარგი დიზაინი გააკეთოს. ამ დროს, როდესაც ამ წიგნს გადახედავთ, დაინახავთ, როგორ ვითარდება ეტაპობრივად. ყველა მხატვარი, რომელსაც შეხება ჰქონია ამ საკითხთან, რუდუნებით ექცევა წიგნს, თავისი განსაკუთრებული სტილი, ფერწერა და მანერა აქვთ... ყველაფერი ეს იმისთვის, რომ წიგნი ვიზუალურად სასიამოვნო ყოფილიყო. რასაკვირველია, სტამბური შესაძლებლობები მაშინ შეიძლება განსხვავდებოდა შემოქმედებითად, მაგრამ, ვიმეორებ, აბსოლუტურად სხვაგვარ დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე. სწორედ ამ წარსულის ასეთი ათვისების თვალსაზრისით, მე მგონი, უმნიშვნელოვანესი პროექტი გაკეთდა. პროექტის ავტორმა აღნიშნა, ეს ზღვაში წვეთიაო. პირველი წიგნია, და ვისურვებდი, რომ გაგრძელებულიყო მასზე მუშაობა, იმიტომ, რომ ჩვენ თუ არ შევიგრძენით და გავაცნობიერეთ ის, რაც აქამდე იყო, ძალიან გაჭირდება სამომავლოდ ახალი სიტყვის თქმა. საოცრად გახარებული და ნასიამოვნები ვარ, მე, როგორც ერთი მკითხველი, და ვულოცავ საზოგადოებას“.

გარდა იდეური და ტექსტობრივი თვალსაზრისისა, წიგნი გამოირჩევა ბეჭდვის ხარისხითაც. „ქართული წიგნის ხელოვნება“ გამომცემლობა „მერიდიანმა“ (კახა რუსაძე) დაბეჭდა. მათ, როგორც ჩანს, კარგად გააცნობიერეს, რასთან ჰქონდათ საქმე და დიდი რუდუნებით იმუშავეს წიგნზე, რომელიც ერთად შეკრებილი საუკეთესო თვალხილული ნიმუშია, როგორ იქმნებოდა „ქართული წიგნის ხელოვნება“. მართალია, ალბომში ბევრი რამ არ არის შესული, მაგრამ ქალბატონი ნინო, ალბათ, გააგრძელებს მუშაობას და დაინტერესებულ საზოგადოებას ყველა მასალას მთლიანობაში მიაწვდის.

„ამ შესანიშნავ წიგნში ჩვენი დიდი მასწავლებლები და კორიფეები არიან წარმოდგენილნი, დაწყებული ტატიშვილიდან 60-იანელებით დამთავრებული... რომელი ერთი ჩამოვთვალო? ჩვენი უმეტესობა მათი მოწაფეები ვიყავით და ისინი ჩვენი უფროსი მეგობრები. მე ვამაყობ ამ ადამიანებით და ბედნიერებაა, რომ ეს წიგნი გამოვიდა... გლობალიზაციის პერიოდში ფართო საზოგადოებას ძალიან სჭირდება, რომ ვიყოთ ეროვნულ ნიადაგზე და არ დაგვავიწყდეს ჩვენი წინაპრები, არ დაგვავიწყდეს, როგორ დაიწერა ქართული წიგნი და როგორ უნდა განვითარდეს ის. ახალგაზრდობისთვის ეს ძალიან სასიამოვნო და საშური საქმე იქნება“, – ამბობს **მხატვარ-გრაფიკოსი ბატონი გოგი წერეთელი,** და ეს წიგნი მართლაც დიდი საჩუქარია ქართველი ხალხისთვის. მასში ქართული დამწერლობის მშვენებაა თავმოყრილი.

მადლობა ქალბატონ ნინოს, რომ ერის საკეთილდღეოდ ზრუნავს და ვუსურვებთ, რომ მომავალში უფრო მეტი წარმატება ჰქონოდეს...

...ᲐᲕᲘᲗᲮᲐᲕᲘᲗ“

საზარელი მკვლელობების გამოძიებას ცდილობენ. მკვლელობები მონასტრის ბიბლიოთეკაში შენახულ საიდუმლო სიბრძნის შემცველ წიგნს უკავშირდება, რომლის ხელში ჩაგდების მსურველებიც უცნაურ ვითარებაში იღუპებიან.

2. ჩაკ პალანიკის „მებრძოლთა კლუბი“ – „მებრძოლთა კლუბი“, ჩაკ პალანიკის პირველი რომანი, 1996 წელს გამოქვეყნდა. 1999-ში დევიდ ფინჩერმა წიგნის მიხედვით ამავე სახელწოდების ცნობილი ფილმი გადაიღო. ამონარიდი წიგნიდან: „არსად ისეთი ცოცხალი არ ხარ, როგორც „მებრძოლთა კლუბში“. აქ მხოლოდ შენ და შენი მეტოქე ხართ, სარდაფის ცენტრში ნათურის ქვეშ დგახართ სხვა მებრძოლებით გარშემორტყმული. „მებრძოლთა კლუბში“ გამარჯვებას ან მარცხს მნიშვნელობა არ აქვს. „მებრძოლთა კლუბი“ ცარიელი სიტყვები არაა. „მებრძოლთა კლუბშიც“ ისმის ხმაური და ხვნეშა, როგორც სპორტდარბაზში, ოღონდ აქ გარეგნობაზე არავინ ზრუნავს. აქაც ისმის ისტერიული წამოძახილები, როგორც ეკლესიაში და, როცა კვირას შუადღისა იღვიძებ, თავს გადარჩენილად გრძნობ“.







3. გოგი გვახარიას „ცრემლიანი სათვალე“ – „ამ ორმა ხატმა – ეკრანმა და მაყურებელმა – მთელი ჩემი ცხოვრების წესზე, „პირად ისტორიაზე“, ე. ი. ბიოგრაფიაზე იმოქმედა... ჩემი სათვალე ხშირად ილაქებოდა ხოლმე ცრემლით – ხან კინოგმირები მატირებდნენ, ხანაც ცოცხალი ადამიანები – რეალური ცხოვრება, რომელიც ჩემს თაობას მძიმე და მართლაც სატირალი გვქონდა. ამ ცრემლის ისტორია თაობის ისტორიაა – იმ თაობისა, რომელიც ხრუშჩოვის გადაყენებისა და „ოტტეპელის“ დასრულების შემდეგ მივიდა სკოლაში, ბრეჟნევის ეპოქაში ისწავლა და „პერესტროიკის“ ხანაში დაიწყო მუშაობა...“

4. გი დე მოპასანის „ლამაზი მეგობარი“ – მოპასანი თანამედროვე თხრობის სტილის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. ამ წიგნში მოთხრობილია ახალგაზრდა ადამიანის გარდასახვის ისტორია, ღარიბი, ქუჩაში მოხეტიალე ბიჭიდან ამბიციურ, ყველაფერზე წამსვლელ, ქალთა გულთამპყრობელ და ანგარებიან მამაკაცად.

5. ეტელ ლილიან ვოინიჩის „კრაზანა“ – ინგლისელი მწერლის ეტელ ლილიან ვოინიჩის პოპულარულ, მძაფრი რომანტიკულ-რევოლუციური პათოსით განმსჭვალულ რომანში ასახულია მე-19 საუკუნის 30-40-იანი წლების იტალია. ეროვნულ-განმათავისუფლებელ იატაკქვეშა ორგანიზაცია „ახალგაზრდა იტალიასა“ და იტალიელ ხალხს, ერთდროულად, ავსტრიელი დამპყრობლებისა და მათი მხარდამჭერი რომის პაპის წინააღმდეგ, ასევე, მცირე სახელმწიფოებად დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანებისთვის უხდებათ ბრძოლა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თბილისი LIVE“ „რუსთავი 2“-ზე ბრუნდება

სამიოდე დღის წინ სოციალური ქსელით ფოტო გავრცელდა, ერთ-ერთ ღონისძიებაზე თიკო სადუნიშვილი „რუსთავი 2“-ის მიკროფონითაა. როგორც ამბობენ, თიკო „თბილისი ლაივისთვის“ პილოტს წერდა. ტელეწამყვანმა „პრაიმტაიმთან“ საუბარში აღნიშნა, რომ ჯერ ამ თემაზე საუბარი ნაადრევია. თვის ბოლოს გაირკვევა გავა თუ არა ჩემი გადაცემა „რუსთავი2“-ის ეთერშიო. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ გადაცემა დღის შუქს მალე იხილავს. გადაცემის პილოტი მაშინ იწერება, როდესაც ის უკვე ეთერში გასასვლელად ემზადება და იქოქება.

„თბილისი LIVE“ 2010 წლის აპრილიდან სამი წლის განმავლობაში გადიოდა „იმედის“ ეთერში. შოუ-ბიზნესი, კულტურა და ცნობილი ადამიანები, ეს გადაცემის მთავარი თემები იყო. გადაცემა მაყურებელს საშუალებას აძლევდა კვირაში ერთხელ კულტურული სფეროს მოვლენების, ელიტარული პრეზენტაციების, ასევე ცნობილი ბრენდებისა, თუ პერსონების შესახებ მიეღო ინფორმაცია. პრეზენტაციებზე, ღონისძიებებსა თუ „ტუსოვკებზე“ თიკოს გამოჩენა ტკბილ-მწარე რეპორტაჟით გაშუქებასთან იყო ასოცირებული. მასთან დაკავშირებით ბევრი სკანდალიც გვახსოვს. გადაცემას შავ სიაში ჰქონდა რესპონდენტების გარკვეული სიაც. მოკლედ, გადაცემას მაყურებელი ჰყავდა. ზაფხულობით ჯგუფი „ბათუმი ლაივზე“ მუშაობდა და სამი თვით ზღვის სანაპიროდან გვაწვდიდა სიახლეებს. გადაცემასთან ერთად მისი შემქმნელები ამავე სახელწოდების ჟურნალსაც აკეთებდნენ. გადაცემას თავისი სახელობის დაჯილდოების ცერემონიაც ჰქონდა, რეზონანსული და რეიტინგული. თბილისი LIVE-მა თიკოს სუპერპოპულარობა მოუტანა. შარშან ის „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილე და მეორე ადგილის მფლობელი გახდა.

რაც გადაცემა დაიხურა თიკომ მსახიობობაში მოსინჯა ძალები. ის „ჩემი ცოლის დაქალებში“ გამოჩნდა. მირიან ბარათეონის მეორე ცოლის როლში ვიხილეთ. დაველოდოთ მოვლენებს, განაგრძობს თუ არა „თბილისი LIVE“-ი არსებობას და იქნება თუ არა ის ძველებურად რეიტინგული.

ბაადურ წულაძე - რეჟი



my View

თამარ გონგაძე

შემოდგომაზე ელდარ შენგელაიამ თავის ტრაგიკომედიაში - „კავკასიური ტრიო“ ბრძენი აზერბაიჯანელის როლი მისცა. ეს ბაადურ წულაძისა და 80 წლის რეჟისორის პირველი ტანდემია. „ვგიკელი“ კოლეგების შემოქმედებითი გზები ორჯერ გაიყარა. „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ ბაადურს ვალოდია ჯინჭარაძის როლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ დაკავებული იყო, ლანა ღოღობერიძე იღებდა. მან შენგელაიასთან თანამშრომლობის მეორე შანსიც გაუშვა - „შერეკილებში“ მარგალიტას ქმრის როლი უნდა განესახიერებინა. „ვერანაირად ვერ ვითამაშებდი, არ მეცალა. რასაკვირველია, გული მწყდება. ახლა დამეცა ტუზი და პირველად ვთანამშრომლობ ელდართან“, - სიხარულს გვიზიარებს რესპონდენტი.

5 მარტს 79 წლის ხდება. ერთადერთი, ჩემი ასაკის პრობლემა, ბევრი მეგობრისა და ნათესავის ამ ქვეყნიდან წასვლაა, ამბობს. მხნედ გამოიყურება, შემართება აქვს. აქტიური გურული გენი და შინაგანი დამოკიდებულება ეხმარება ამაში. დასთან ერთად ცხოვრობს. არც ერთს არ უქორწინია. დღეს რომ ჭერი აქვთ, მსახიობი აქტიურ არქიტექტორ დას მიაწერს. „დედა ადრე გარდაგვეცვალა, მე და მამა ჩემი დის კისერზე დავრჩით და ლედიმ თქვა, მესამე კაცის მოვლა აღარ შემიძლიაო. არ გათხოვილა“.

20 წელია თეატრალურ უნივერსიტეტში სარეჟისორო კურსს მსახიობის ოსტატობას ასწავლის. არ მენდობიან რეჟისურა რომ ვასწავლოო, ამბობს. ბათუმელმა წულაძემ მოსკოვში, ვგიკში სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრა. გადაღებული აქვს რვა ფილმი, მათ შორისაა ყველასათვის საყვარელი „ფეოლა“. გადაიღეს რეჟისორებმა: მიშა კობახიძემ, გიორგი შენგელაიამ, რეზო ჩხეიძემ, ლანა ღოღობერიძემ, ირაკლი კვირიკაძემ, გია დანელიამ, გუგული მგელაძემ, ნანა ჯორჯაძემ... 52 ფილმშია გადაღებული. ამიტომაც ამბობს: „მე ვთვლი, რომ რეჟისორი უფრო ვარ, მაგრამ ხალხი მიცნობს როგორც მსახიობს და იციან, რომ „ფეოლა“ გადავიღე“.

„შენ თავს თვითონ უნდა მოუარო“

- რა ასაკში ხართ? სიბრძნის?

- შეიძლება 100 წლის იყო და დურაკი, სიბრძნე კი არა, უფრო გამოცდილების ასაკია. ცხოვრების გზა გავლილი მაქვს, თქვენ გასავლელი გაქვთ.

- გული ბერდება?

- თეატრალურ უნივერსიტეტში ახალგაზრდებთან მაქვს საქმე და ეს დიდ ენერგიას მაძლევს. მესმის მათი და მინდა მათაც გამიგონ. შეიძლება მე კარგი რეჟისორი და მსახიობი არ ვარ, მაგრამ რაღაც გამოცდილება მაქვს. უარყოფითი გამოცდილება მაინც გამოცდილებაა და გასწავლი, მე რომ ასე გავაკეთე, შენ მაინც ნუ გააკეთებ-მეთქი. გარდა ამისა, წიგნის კითხვა, მუსიკის მოსმენა მიყვარს, ამიტომ ტონუსს არ ვკარგავ. ყველაზე ცუდია, როდესაც ადამიანი თავს ისაწყლებს, არ მივლიან, ცუდად ვარო. შენ თავს თვითონ უნდა მოუარო. ისე ველარ ვცეკვავ, როგორც ახალგაზრდობაში, მაგრამ ასაკს უნდა შეეგუო. მას თავისი ბევრი მინუსიც აქვს და პლუსიც, ისევე როგორც ახალგაზრდობას. პლუსები უნდა გამოიყენო და მინუსებს არ უნდა გადაჰყვე.

„შეიძლება 100 წლის იყო და დურაკი, სიბრძნე კი არა, უფრო გამოცდილების ასაკია. ცხოვრების გზა გავლილი მაქვს, თქვენ გასავლელი გაქვთ“

- ბევრი მინუსი იყო თქვენს ცხოვრებაში?

- ალბათ, იყო, მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევდი. „ვგიკიდან“ რომ ჩამოვედი, თბილისში 15 წელი ბინა არ მქონდა, აქ ჩაწერილი არ ვიყავი. ბათუმში დავიბადე, გავიზარდე. გადატხრულ კორიდორში ვცხოვრობდით. მაშინ კი გვეგონა, რომ სახლში ვცხოვრობდით. კინოსტუდიაში შტატში არ აგიყვანდნენ, თუ თბილისში არ იყავი ჩაწერილი, ბინაში ისე არ გწერდნენ, თუ სადმე შტატში არ იყავი და ასე... ამ „ომობანაში“ გავიდა 15 წელი... მიშა კვესელავამ ხელი ჩაიქნია და კინოსტუდიაში უმტატოდ მამუშავა. მერე ვიღაც ნათესავთან ჩავეწერე. წესისამებრ, მერე ამოვეწერებოდი, სხვაგან ჩავეწერებოდი... მერე ფილმის გადაღებაც ამიკრძალეს. იყო მომენტები ჯიბეში მანეთი არ მდებია, მაგრამ ეს არავის უგრძნია... მყავდა მეგობრები, ნათესავები, ახალგაზრდა ვიყავი და გული არ გამიტეხია. მათგან სტიმული მქონდა. ახალგაზრდა რომ ხარ უნდა გაუძლო. ბედნიერი ვარ იმით, რომ მთელი ცხოვრება იმას ვაკეთებდი, რაც მიყვარდა და მსიამოვნებდა. ამიტომ იმ მინუსებს შეგუებული ვიყავი, ეს ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო. ახლა ახალგაზრდებს წინააღმდეგობა შეხვდებათ თუ არა, მაშინვე ყრიან ფარ-ხმალს, ასე არ შეიძლება. ცხოვრება ეს არის, არავინ მოვა და ხვეწნას დაგიწყებს, არიქა, შენი ჭირიმე, ფილმი გადაიღე და არიქა, ითამაშეო. შენ თუ არ დაამტკიცე შენი მეობა, არავინ დაგეხმარება. როცა დაინახავენ, რომ რაღაცის გამკეთებელი ხარ, ხელს შეგიწყობენ.

როლები

- თქვენს მიერ გადაღებულ რომელ ფილმზე გწყდებათ გული, რომ მაყურებელმა სათანადოდ ვერ მიიღო?

- არის შედევრები, რომელიც აღარავის ახსოვს. „ფეოლას“ გარდა ყველა დანარჩენზე მწყდება გული. ეს, რასაკვირველია, ჩემი ბრალიც არის. ისე აეწყო, რომ მიშა კობახიძემ „ქორწილში“ რომ გადამიღო (ეპიზოდურ კადრში გაზეთს ვკითხულობ), მერე წავიდა და წავიდა ჩემი მსახიობის კარიერა. უსაქმურად არ ვიყავი. გია დანელიამ „არ დაიდარდოში“ რომ გადამიღო, მას შემდეგ უკვე რუსეთში, ბელორუსიაში, უზბეკეთში - რესპუბლიკა არ დარჩენილა საბჭოთა კავშირში, სადაც რეჟისორებს არ გადავუღივარ. წელიწადში სამ-ოთხ ფილმში მაკავებდნენ. ამიტომ ვარ ორგანიზებული. კინოში დაგვიანება არ შეიძლება, ასი კაცი გელოდება. ლექციაზე 5 წუთს რომ აგვიანებენ, სტუდენტებს აღარ ვუშვებ. თვითმფრინავის ბილეთების შოვნა პრობლემა იყო. მაგრამ ვიცოდი, რომ ერთ ადგილას რომ დამეგვიანა, მერე, დომინოს პრინციპით, ყველა დანარჩენ გადაღებას შევუშლიდი ხელს. კინო წარმოებაა. არავის უნდა ხელის შემშლელი მსახიობი. დროზე თუ ვერ დგები, არის პოეზია და მხატვრობა. როცა მუზა თავში „გრეკავს“, მაშინ დაჯდები და დახატავ. თუ არ მოვა მუზა, წამოწვები. კინოში, როცა გადაღებაა, მაშინ უნდა მოვიდეს მუზა.

- უამრავი როლი გაქვთ შესრულებული, რომელს გამოჰყოფთ?

- „ქორწილში“ პირველი როლი შევასრულე და ამით მნიშვნელოვანია. „მოცურავეში“ პირველი სერიოზული როლი ვითამაშე. დამირეკავდნენ მოსკოვიდან, როლის შემოსათავაზებლად, სცენარი გამოვგზავნოთო, რომ მკითხავდნენ, არა-მეთქი. რეჟისორმა იცის, რა როლში მხედავს. არ ვერევი სცენარში. არის აუტანელი მსახიობების კატეგორია, ბოლომდე ერევიან სცენარში... ის მსახიობი ვერ ასრულებს იმ როლს და უნდა ადვილად გამოძვრეს, ამიტომ ეძიება სცენარს. ყოფილა შემთხვევა, რეჟისორის ხათრით დავთანხმებულვარ როლზე, ზოგჯერ კარგად მიხდიდნენ, ზოგჯერ როლი იყო საინტერესო. ყველა ვარიანტში ისე უნდა ითამაშო, თითქოს ის არის შენი პირველი და ბოლო როლი. ზოგმა მსახიობმა, იცით, როგორ დაიღუპა თავი? ეს პატარა როლიაო, არ თანხმდებოდნენ და ელოდებოდნენ დიიიდ როლს. ამ ლოდინში წავიდა დრო. მიშა კობახიძემ - ფული არ მაქვს და ითამაშეო, რომ მითხრა, რომ არ დავთანხმებოდი, სხვას აიყვანდა. ამ დროს კი ჩემთვის ტრამპლინი აღმოჩნდა.



დედასთან და დასთან ერთად

„ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი მინდოდა. ჩემი თავი კი ძალიან ბებრად მიმაჩნდა. მაშინ თავს მარტო ძალიან კარგად ვგრძნობდი და ოჯახის შეუქმნელობას არ ვნანობდი. ახლა უკვე ვნანობ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სორი, რომელსაც კომედიანტად იცნობენ



„მე ვთვლი, რომ რეჟისორი უფრო ვარ, მაგრამ ხალხი მიცნობს როგორც მსახიობს და იციან, რომ „ფეოლა“ გადავიღე“

„მინდა არ მინდა გამოვიდა, რომ კომედიის ამპლუის მსახიობი ვარ“

„შეიძლება მე კარგი რეჟისორი და მსახიობი არ ვარ, მაგრამ რაღაც გამოცდილება მაქვს. უარყოფითი გამოცდილება მაინც გამოცდილებაა და გასწავლი, მე რომ ასე გავაკეთე, შენ მაინც ნუ გააკეთებ-მეთქი“

კომედიანტი

- ამპლუა - კომედიის მსახიობი. რას იტყვით?

- მინდა არ მინდა, გამოვიდა, რომ კომედიის ამპლუის მსახიობი ვარ. კომედიანტს შეუძლია ტრაგიკული როლი შეასრულოს. კომედიის თამაში კი ძალიან ძნელია. ეს მხოლოდ გაცინება არ არის. ბევრი რამ არის მნიშვნელოვანი, საგანთან როგორი ურთიერთობა გაქვს, როგორ გარემოს ქმნი.

- კომედიის ჟანრის მსახიობობა თქვენმა ხასიათმა განაპირობა?

- ხასიათმა. მოსწავლეობისას ბევრს ვკითხულობდი. ომის დრო იყო და წიგნები არ იშოვებოდა. ჩვენ ბაბუის დიდი ბიბლიოთეკა გვქონდა და მეც ვკითხულობდი. გაკვეთილზე უმართავი სიტუაციის დროს მასწავლებელი გამომიძახებდა, არიქა, წულაძე გამოდი, რამე მოყევიო. მეც გამოვდიოდი და წიგნში წაკითხულს ვყვებოდი. ინსტიტუტშიც კომიკურ როლებს მაძლევდნენ. ასე დარჩა, მთელი ცხოვრება იმ ისტორიებს ვყვები, რაც წამიკითხავს. ისე უნდა მოჰყვე და გააკეთო, ეს საინტერესო იყოს.

„ფეოლა“

- „ფეოლა“ და იპოლიტე გაიხსენეთ...

- „ფეოლა“ მოსკოვში კარგად მიიღეს, თბილისში - ისე რა. იპოლიტე ზლაპარი იყო. ორი რამის მეშინოდა, მე ახალგაზრდა ვიყავი, იპოლიტე განთქმული მსახიობი. „მე ნუ მასწავლი“ - ზოგჯერ ამბიცია აქვთ ხოლმე. რეჟისორებისგან იპოლიტე იყო დაშტამპული. ეტყოდნენ, აბა, იპოლიტე, შენ რომ იცი ისეო და იპოლიტეც გამოჯლიგინდებოდა და რაც იცოდა, იმას აკეთებდა. კოლორიტული იყო და გასდიოდა. მორიდებით ველაპარაკე, თუ თანახმა ხართ, კი არ დამიჯეროთ, მენდეთ და აქამდე ნათამაშევი ყველა როლი დაივიწყეთ-მეთქი. დამთანხმდა და ერთი პრობლემა არ შეუქმნია. ყველაფერში მომყვებოდა.

თეატრი - წარმოუდგენელი რიტმი

- რაიმე გინანიათ?

- როგორ არ მინანია. ვნანობ იმ როლებს, რომელთა თამაში ფიზიკურად არ შემეძლო. „იღბლიან ჯენტლმენებში“ რადნერ მურატოვის ნაცვლად მე უნდა მეთამაშა ის როლი. დეპეშა მოვიდა, როლზე ვიყავი დამტკიცებული. მაგრამ დედა დამელუპა და არ შემეძლო. გია დანელიამ ეს მოჰყვა კიდეც. მან მშვენივრად ითამაშა, მე სხვანაირად ვითამაშებდი. მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ ითამაშებ ამ ცხოვრებაში?!

- თეატრში არასდროს გდომებიათ თამაში?

- მთლად ფელინივით არ ვარ, მაგრამ თეატრისადმი ჩემი მიდგომა მაქვს. თეატრი კოლექტივია. კოლექტივი წლების მანძილზე ჩამოყალიბებულია. ამიტომ არის მასში ინტრიგები. მე სხვა ტიპის კაცი ვარ. გამიძნელდებოდა ეს ყველაფერი. ამის გარდა, ერთი და იგივე რიტმია ყოველდღე - დღისით რეპეტიცია და საღამოს სპექტაკლი. ასეა ყოველდღე, სანამ არ მობეზრდება მაყურებელს. ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. კინოს გადაიღებ, მორჩება და სხვა გადაღებაზე, სხვა კოლექტივში მიდიხარ. ვერ მოასწრებ ინტრიგებს. ეს მომწონს.

„იყო მომენტები, როცა ჯიბეში მანეთი არ მდებია, მაგრამ ეს არავის უგრძნია... მყავდა მეგობრები, ნათესავები, ახალგაზრდა ვიყავი და გული არ გამიტეხია“

ნანობს...

- პირადი ცხოვრება რატომ ვერ ააწყვეთ, როგორ ფიქრობთ?

- აქეთ-იქით ბოდიალის გამო, „ჯერ რა მეჩქარება-მეთქი“, ვამბობდი, მერე ცხოვრება რომ ავაწყვე, ვიღას ვჭირდებოდი?

- რა ასაკში?

- 35-36 წლის ასაკში. მე ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი მინდოდა. ჩემი თავი კი ძალიან ბებრად მიმაჩნდა. მაშინ თავს მარტო ძალიან კარგად ვგრძნობდი და ოჯახის შეუქმნელობას არ ვნანობდი. ახლა უკვე ვნანობ. რასაც მე დავბოდიალობდი, იმდენი თავგადასავალი მქონდა... მაგრამ ბურიდანის ვირივით ვიყავი, ორი თივის ზვინიდან ვერც ერთს რომ ვერ ირჩევს და მშიერი რჩება. ყველაფერი იღბალია. ჩერჩილი ამბობდა, არასდროს ადამიანს სადღეგრძელოში ჯანმრთელობასა და სიმდიდრეს არ ვუსურვებ, მხოლოდ იღბალს ვუსურვებო. „ტიტანიკზე“ ყველა ჯანმრთელი და მდიდარი იყო, მაგრამ იღბალმა უღალატათო... ყველაფერი ბედია.

- ეტყობა ისე არ გიყვარდათ, რომ ცოლად შეგერთოთ.

- ალბათ, მიყვარდა, მაგრამ ძალიან ძნელია. არ მაქვს პასუხი. რთულია ყველაფერზე პასუხი გქონდეს.

- იღბალს ვინ განაგებს?

- თავიდანვე დაწერილიაო, ამბობენ. ეს რომ ადამიანმა იცოდეს... როცა ღმერთი გწამს, რას ევაჭრები - ეს მომეცი და მე სამაგიეროდ ამას ვიზამ, იმას რომ მიეცი, მე რატომ არა? რა უნდა მოვთხოვო ღმერთს? ადამიანი გულუბრყვილოა. ღმერთი გაჩენს და ახლა შენ იციო, გეუბნება. მე არაფერს გავაკეთებ და ღმერთი მიშველისო, ასე არ არის. ანეკდოტი გამახსენდა. წყალდიდობაა და ებრაელი სახურავზე ზის. მის ჩამოსაყვანად ნავი მოვიდა, ჩამოდიო, დაუძახეს, თავი დამანებეთ, მე ღმერთი გადამარჩენსო. მოვიდა კატარღა, მე ღმერთი მიშველისო. ზევიდან ვერტმფრენმაც ჩამოუშვა კიბე, არ აჰყვა. და დაიხრჩო. მივიდა ღმერთთან და ეუბნება, ღმერთო, შენი იმედით ვიყავი და რა მიქენიო? რა მექნა, ნავი გამოგიგზავნე, კატარღა გამოგიგზავნე, ვერტმფრენი გამოგიგზავნე და არ ჩაჯექი, მეტი რაღა მექნაო?

ბაბუა

- ბაბუა მღვდელი გყავდათ. რა გახსოვთ მასზე?

- დიახ, უჭკვიანესი ადამიანი იყო. ფოთში პედაგოგობდა. ვაჟა-ფშაველამ აჩუქა სათუთუნე, რომელიც ახლა მე მაქვს. ბიძაჩემი ბაგრატი წამოხტა და ლექსი წაუკითხა ვაჟას. ჩარგალში რომ ჩამოხვალ, ცხენს გაჩუქებო, დაჰპირდა ვაჟა. დიდხანს ელოდა ბიძაჩემი ჩარგალში ჩასვლას... ლანჩხუთის რაიონში, სოფელ ჭანჭათში ეკლესიაში მოღვაწეობდა ბაბუა, რომელიც ბოლშევიკებმა დაწვეს. ეზოში ხატებს ცეცხლი რომ წაუკიდეს, მამიდაჩემი მიპარულა და ერთი ხატი გამოუცურებია. დაინახეს და ხმა არ ამოიღეს. ის გადარჩენილი ხატი აქვთ მამიდასთან სახლში. ასეთი დრო გამოვიარეთ და დღეს შუქი რომ ჩაქრება, ტრაგედიას ქმნიან, რა დაგვემართაო. არაფერიც არ დაგვემართა. მზად უნდა იყო ყველაფრისთვის. მარტო „არიქა, მიშველე“ თუ იძახე, ღმერთი არ დაგეხმარება. იმიტომ არის უხილავი და მაღალი, რომ ღმერთია.

- ბავშვობის ქალაქი, ბათუმი, როგორია ახლა თქვენთვის?

- ვთქვი და ვიმეორებ - უმანკო გოგონას მაკიაჟს რომ გაუკეთებენ და ძალით რომ გააბოზებენ, აი, ამას დაამსგავსეს ბათუმი. ბათუმი „კუკლა“ ქალაქი იყო. ბევრგან ვარ ნამყოფი, ყველა ცდილობს ძველი იერსახე შეუნარჩუნონ ქალაქს. პრაღა რატომ მომწონს, ქალაქში ყველა ეპოქის ფენებია შენარჩუნებული. გინდა ახალი შენობის აშენება? ქალაქგარეთ ააშენე, რაღა ცენტრში დგამ ამ სისულელეს. მდიდარი ხალხი ჩამოვიდა, როდშილდსები, მანთაშევი და ჩამოიყვანეს საფრანგეთიდან არქიტექტორები და „კუკლა“ ქალაქი ააშენეს. სამი ფილმიდან ორს ბათუმში იღებდნენ. ბულვარის ადგილას ჯუნგლები იყო, შატალოზე წასულებს მასწავლებლები ვერ გვპოულობდნენ, თავს ვაფარებდით ბუჩქებს. ფრანგებმა გააშენეს პარკი. ასლანმა დაიწყო ბუჩქების და ხეების მოჭრა. მერე გაგრძელდა. „ინტურისტი“ თეთრად გადაღებეს და პროფკავშირების სანატორიუმს დაამსგავსეს.

- გურიას როგორ იხსენებთ?

- ბავშვობა გურიაში მაქვს გატარებული. როგორ მჯეროდა გურულები რომ ყვებოდნენ, ჰიტლერის, სტალინის, ჩერჩილის, ჟუკოვის ამბებს. ისე დამაჯერებლად ყვებოდნენ, მჯეროდა, თან ვფიქრობდი, საიდან გაიგეს-მეთქი. ოჯახი არ იყო გურიაში პატარა ბიბლიოთეკა მაინც არ ჰქონოდა, შანსი არ იყო. ახლა ვინ კითხულობს წიგნს სოფელში?! უფროსს შენ დაასწრებდი სალამს? გლეხებიდან უნდა გესწავლა ზრდილობა. აი, ისინი იყვნენ ინტელიგენტები, მორიდებული და ჭკვიანი ხალხი.

„მე ვარ!“

- ცხოვრება რა არის?

- ცხოვრება საინტერესოა, მუდმივი პროცესია. ბავშვი რომ გინდა გააჩინო, პროცესი თუ არ გსიამოვნებს და არ გაიარე, არ გამოვა. ეგაა ცხოვრება, შენი გზა უნდა გაიარო.

- ვინ არის ბაადურ წულაძე?

- მე ვარ! არავის არ უნდა აწყენინო. მაგრამ არ უნდა მიგიყვანონ წყენამდე. ბაბუამ ანაფორა რომ არ გაიხადა, ღამით დახვდნენ კომსომოლები, თავში ჩაარტყეს მაუზერის ტარი და კვდებოდა. ამ დროს ბიძაჩემი და მამაჩემი ტყეში იყვნენ გავარდნილი. თავისი ჭკუით 17-18 წლის სოგრატას და ბაგრატას ბოლშევიკების ჩამოგდება უნდოდათ. ვინ დაგესხნენ თავსო, ჰკითხეს თავგატეხილ ბაბუას. მაგას ვერ გეტყვით, იმიტომ რომ შურს იძიებთო. შურისძიება ყველაზე ცუდი რამაა. ვცდილობ, ბაბუას მაგალითი გადმოვიღო, რთულია, მაგრამ ვითვალისწინებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„შინი“ და მარიკო ებრალიძე - ქარ

my View
თამარ გონგაძე

მარიკო ებრალიძემაც იმ დღეს შეიტყო „ევროვიზიის“ კონკურსანტობის შესახებ, როდესაც მედიამ და მერე მთელმა ქვეყანამ. 4 თებერვალს, საზოგადოებრივ მაუწყებელში პრესკონფერენციაზე ნოდი ტატიშვილმა და სოფო გელოვანმა გვამცნეს, რომ საქართველოს, წელს, ევროვიზიაზე „შინი“ და მარიკო წარადგენენ. „სოფო გელოვანს ხელში ეჭირა სიგელი, საგზური და ვუღებდი ფოტოს. რომ გადავიღე, მერე, ფოტოზე, სიგელზე თვალი მოვკარი საკუთარ სახელსა და გვარს. მე მივდივარ? მეე? საოცრად დავიბენი. ხელები გამეყინა, გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა“, - ემოციები გაგვიზიარა მარიკომ.

უკვე მერვე წელია საზოგადოებრივი მაუწყებელი მონაწილეობს „ევროვიზიაზე“. საქართველოს პირველი ხმა „ევროვიზიაზე“ სოფო ხალვაში იყო. მას შემდეგ ამ კონკურსზე საქართველოს წარადგენდნენ: დიანა ღურწკაია, სტეფანე და 3 G, სოფო ნიჟარაძე, „ელდრაინი“, ანრი ჯოხაძე, ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი. მეორე წელია საზოგადოებრივი მაუწყებელი თვითონ ირჩევს გასაგზავნ კონკურსანტს.

ნოდი ტატიშვილი: - ჩვენ ეს კონკურსი ძალიან გვიყვარს და ამაღელვებელი მომენტია საგზურის გადაცემა. ძალიან გაგვიხარდა, როდესაც გავიგეთ ვინ წარადგენდა წელს საქართველოს ევროვიზიაზე.

წელს 59-ე „ევროვიზია“ დანიის სამეფოში, კოპენჰაგენში გაიმართება. „ევროვიზია 2014“-ის მესიჯია - „შემოგვიერთდი“. ნახევარ ფინალები 6 და 8 მაისს, ხოლო ფინალი 10 მაისს შედგება. კონკურსში 37 ქვეყანა მონაწილეობს.

„ევროვიზია“ არის მეგაშოუ სატელევიზიო შოუებს შორის. ეს არ არის მხოლოდ მუსიკალური კონკურსი, ჩვენ ამას ხაზს ვუსვამთ. ეს ამ ქვეყნების საზოგადოებრივი მაუწყებლების კონკურსია. ამიტომ ჩვენ გვიხარია, რომ „იბირუს“ (ევროპელ მაუწყებელთა კავშირის) ასოცირებული და სრულუფლებიანი წევრები ვართ. გვაქვს პატივი წარვადგინოთ ჩვენი წარმომადგენელი. ეს ძალიან ეროვნული კონკურსია. ეს არის ჩვენი ქვეყნის წარდგენა სხვა ქვეყნებს შორის. „ევროვიზიას“ ბოლო სტატისტიკით 300 მილიონი მაყურებელი ჰყავს. ამისთვის მონდომება ღირს. წელს დიდია ამ კონკურსისადმი ინტერესი, სოციალურ ქსელში გაჩნდა ფორუმები“, - აცხადებს თიკო ბერძენიშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებლის პიარის ხელმძღვანელი.

„შიდა შესარჩევი კონკურსი ჟიურის მიერ არჩეულ კონკურსანტსა და მის გემოვნებაზეა. ეს ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას არ მოსწონს. ჯერ ისეთი ჟიური უნდა შეარჩიო, ყველასთვის კომპეტენტური იყოს, ყველა ენდობოდეს. მერე გამარჯვებული რომ გამოვლინდება, სხვას გული წყდება, მე უკეთესად ვიმღერეო. ბევრი რამ ბევრ კითხვის ნიშანს ტოვებს. წელს წესდება გვაძლევს იმის საშუალებას საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თვითონ დაასახელოს კონკურსანტი. იქნებ ვინმეს პოპ მუსიკის შემსრულებლის ხილვა უნდოდეს „ევროვიზიაზე“, მაგრამ ჩვენ, ჩვენი მდგომარეობიდან, გინდა პოლიტიკური თუ სხვა ნებისმიერი სახის გამოწვევებისგან გამომდინარე, მსოფლიოს „შინის“თვითმყოფადი მუსიკით უნდა ვესაუბროთ. რადგან გვინდა, რომ ქართული კულტურა მაღალი დონის ქარგით იყოს წარმოდგენილი, ამიტომ ავარჩიეთ „შინი“ და მარიკო ებრალიძე“, - აცხადებს გოგა ჩართოლანი, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილე ტელემაუწყებლობის დარგში.

გოგა ჩართოლანი: „ვფიქრობ, ეს ჩვენთვის ერთგვარად სარისკოა, მაგრამ ეს რისკი ღირს, რადგან „შინი“ და მარიკო ამ კონკურსზე მაღალ ხელოვნებას აჩვენებენ“

„შინი“ ამჟამად გერმანიაშია. მარიკო მათთან, 19 თებერვალს, ქალაქ შტუტგარტში ჩადის სიმღერის ჩასაწერად. 5 დღეს „შინთან“ ერთად სტუდიაში დაჰყოფს.

გოგა ჩართოლანი: „შიშიც მქონდა - დაგვთანხმდებოდნენ თუ არა „შინის“ წევრები, მაგრამ, გააჩნია როგორ მიაწვდი სათქმელს და რას ელი მათგან. მათ ვუთხარით, რომ გვინდა ხარისხიანი მუსიკა, რომელსაც 300 მილიონ ადამიანს მოვასმენინებთ. გვინდა გზავნილის გაკეთება, რამდენადაც „შინი“ ძალიან კონცეპტუალური მუსიკის შემქმნელია. ღრმა ფესვები აქვს ქართულ ფოლკლორულ

მუსიკაში. ამაზე წამოგვყვნენ. მათივე სურვილი იყო მათთან ერთად თანამედროვე და სხვა მუსიკალური ქარგის მომღერალი ყოფილიყო. ჩვენთვის მარიკო, მუსიკალური კულტურის თვალსაზრისით, მის თაობაში უნივერსალური მომღერალია, ვიფიქრეთ, მათი შერწყმა ძალიან საინტერესო იქნებოდა. იმისიც გვეშინოდა, რამდენად დაგვთანხმდებოდნენ მარიკოზე. ამ წინადადებას „შინის“ წევრები აღფრთოვანებით შეხვდნენ. ვფიქრობ, ეს ჩვენთვის ერთგვარად სარისკოა, მაგრამ ვფიქრობ, ეს რისკი ღირს, რადგან „შინი“ და მარიკო ამ კონკურსზე მაღალ ხელოვნებას აჩვენებენ. ამ კონკურსზე ყოველთვის მაღალ ხელოვნებას ვერ ვხედავ.

ზაზა მიმინოშვილი: „ვიგრძენით, რომ ამ დიდი ქართული საქმის პატარა ნაწილი ვართ. და დიდი აუდიტორიის წინაშე გადავწყვიტეთ ჩვენი სათქმელის თქმა. აუცილებელი იყო ჩვენ გვერდით ახალგაზრდა მომღერალი მდგარიყო. გვიხარია, რომ მარიკო ასეთი სიხარულით გვივარდება ხელში“

მარიკო ებრალიძე: „შვიდი თვის წინ „ივენთ ჰოლში“ ერთ-ერთ კორპორატიულ საღამოზე შევხვდით. ბატონი ზაზა მიმინოშვილი მომიბრუნდა - ძალიან ნიჭიერი გოგო ხარო. თითი „მკაცრად“ დამიქნია და ჩვენ აუცილებლად შევხვდებითო, „დამემუქრა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თული გზავნილი „ევროვიზიაზე“

EXCLUSIVE

თიკო ბერძენიშვილი: „ევროვიზიას“, ბოლო სტატისტიკით, 300 მილიონი მაყურებელი ჰყავს. ამისთვის მონდომება ღირს“

ჩვენი ქვეყანა მაინც წარსდგეს მაღალი ხელოვნებით. ვერ გაიგებ, ვინ ვის რა კრიტერიუმით აძლევს ხმას. ჩვენ გვინდა ჩვენი სიტყვა ვთქვათ ძალიან დიდი აუდიტორიის წინაშე“.

რამდენიმე თვეა მარიკოს თავისი ჯგუფი „ქამელეონი“ ჰყავს. მისთვის ბენდთან ერთად მუშაობა სიახლე არ არის. ჯაზის გარდა ეთნომუსიკაც ახლობელია მისთვის. 2012 წელს შავი ზღვის და კავკასიის ჯაზფესტივალებზე ეთნოპროექტით გავიდა.

მარიკო ებრალიძე: „აქამდე „შინთან“ არ მითანამშრომლია. თუმცა მათი მუსიკალური მიმდინარეობა უცხო არ არის. წინ საინტერესო დღეები მელის. ეს ჩემთვის დიდი სკოლა და გამოცდილება იქნება. ამ პერიოდს ჩემს ცხოვრებაში „ოქროს ხანას“ დავარქმევ. ეს იქნება ფეიერვერკული ცხოვრების დასაწყისი. „შინის“ თითოეული წევრი ძალიან ბრძენი ადამიანია. მუსიკაც ამიტომ გამოსდით ასეთი ნოყიერი, ფერადი და ძლიერი. მათ სამსაათიან კონცერტზე ნამყოფი ვარ და გასუსული ვიჯექი. ტაშის თავი არ მქონდა. მათ შემოქმედებაში რიტმული, ჰარმონიული მონახაზი იმდენად შერწყმულია, შეუძლებელია არ დაგიპყროს.

საინტერესო რამეს გეტყვით. შვიდი თვის წინ „ივენთ ჰოლში“ ერთერთ კორპორატიულ საღამოზე შევხვდით. ბატონი ზაზა მიმინოშვილი მომიბრუნდა - ძალიან ნიჭიერი გოგო ხარო. თითი „მკაცრად“ დამიქნია და ჩვენ აუცილებლად შევხვდებითო, „დამემუქრა“. ღვთის ნება იყო ეს ყველაფერი. ერთი სული მაქვს როდის დავიწყებ მუშაობას მათთან ერთად“.

- რას გვპირდები?

- გპირდებით, ჩემი წინა მორბედების სახელი და ნაბიჯი არ შევბილწო. ვეცდები, რომ ყველანაირად გავამართლო მათი იმედები. მინდა მათ ვათქმევინო, რომ ღირსეულად წარმადგინეს, რომ ვიმსახურებდი ამ ყველაფერს. მინდა თქვან, ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ეს ყველაფერი დაეფასებინა მსოფლიოს და პირველ რიგში - ევროპასო. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან რიტმული, მხიარული, და სამახსოვრებელი, ემოციური ნომერი გვექნება. ძალიან მინდა, რომ მომავალ წელს საქართველოში ჩატარდეს „ევროვიზია“. ამისთვის თავს არანაირად არ დავზოგავ. ეს დიდი და საფრთხილო გამოწვევაა და გულით და გონებით უნდა მოვეკიდო ყველაფერს. გული მწყდება, რომ არ ვარ „შინთან“ ერთად და ჩაბმული არ ვარ მათ მუსიკაში, ერთად არ ვქმნით მას.

ზაზა მიმინოშვილი: „ძალიან მოულოდნელად აღმოვჩნდით ამ კონკურსში. ეს კონკურსი ახალგაზრდების კონკურსია, ვერასდროს ვიფიქრებდით მასში თუ მივიღებდით მონაწილეობას, მაგრამ მერე ჩავთვალეთ, ვინც სულით ახალგაზრდაა უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს. ჩვენ ქართველები ვართ, ყოველთვის ვაგვიანებთ გადაწყვეტილების მიღებას, ბოლო წამს ვიღებთ. ქართული საქმე სხვადასხვანაირად ნაწილდება. ვიგრძენით, რომ ამ დიდი ქართული საქმის პატარა ნაწილი ვართ. და ამ დიდი აუდიტორიის წინაშე გადავწყვიტეთ ჩვენი სათქმელის თქმა. აუცილებელი იყო ჩვენს გვერდით ახალგაზრდა მომღერალი მდგარიყო. გვიხარია, რომ მარიკო ასეთი სიხარულით გვივარდება ხელში :) იმედი მაქვს, რომ სიმღერაზე სწორ გადაწყვეტიელბას მივიღებთ. ეს სიმღერა იქნება გზავნილი. ჩვენ მთლიანის ნაწილი ვართ. ვემსახურებით მშვენიერებას, რამდენადაც შეგვიძლია ეს. სიმღერაში ქართული ჟღერადობა აუცილებლად გვექნება, ვიზუალიც ქართული იქნება. გვინდა, რომ ვინც ამ სიმღერას მოისმენს თითოეულისთვის გზავნილი იყოს. 300 მილიონი ადამიანი ერთი დიდი ოჯახია, ჩვენ - მისი წევრები“.

ზურაბ გაგნიძე: „ყველა ვარინტში „შინური“ ანუ შინაური მუსიკა გვექნება“.

ზაზა მიმინოშვილი: „ჩვენ ამ საოცარ თავგადასავალში გადავხტით და იმედი გვაქვს, რომ ემოცია გაჩნდება“.

ზურაბ გაგნიძე: „ევროვიზიაში“ მონაწილეობას ვერ წარმოვიდგენდი, არა იმიტომ, რომ ვერ მოვხვდებოდით, არამედ სულ სხვა ესთეტიკის გამო. უცბად დავინახეთ - აქაც შეიძლება „შინმა“ რაღაც გააკეთოს, რაც ყველასთვის მისაღები და სასიამოვნო იქნება“.

„შინის“ წევრები თვის ბოლოს ათი დღით ჩამოვლენ თბილისში. კლიპსაც მაშინ გადაიღებენ.

ნათია უზნაძე (საზოგადოებრივ მაუწყებელზე „ევროვიზიის“ პროდიუსერი): „კლიპის გადასაღებად ძალიან ცოტა დრო გვაქვს. იმედია, კარგად მოვასწრებთ. რეჟისორი კახა ბუხრაშვილი იქნება და „შინის“ საქართველოში ჩამოსვლისას გადავიღებთ. სცენოგრაფიაზე და კოსტიუმებზე მალე დაიწყება მუშაობა. ჯერ არ ვიცით ვინ იზრუნებს კონკურსანტების კოსტიუმებზე და ვინ იქნება სცენოგრაფიის რეჟისორი“.

თიკო ბერძენიშვილი: „დანიიდან ჩამოვა პროდიუსერებისა და რეჟისორების გადამღები ჯგუფი და საქართველოში გადაიღებენ ტიხარს - „ჩემი ქვეყანა ჩემი დროშა“. ეს ტიხარი იტრიალებს ეთერით კონკურსის დროს“.

მარიკო ებრალიძე: „ძალიან მინდა, რომ მომავალ წელს საქართველოში ჩატარდეს „ევროვიზია“. ამისთვის თავს არანაირად არ დავზოგავ“



გოგა ჩართოლანი: „გვინდა გზავნილის გაკეთება, რამდენადაც „შინი“ ძალიან კონცეპტუალური მუსიკის შემქმნელია. გვეშინოდა იმისაც, რამდენად დაგვთანხმდებოდნენ მარიკოზე. ამ წინადადებას „შინის“ წევრები აღფრთოვანებით შეხვდნენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

„ორი ვარსკვლავი“ - „ცეკვავენ ვარსკვლავების“ შემქმნელებისგან

ზურა ფანქველაშვილთან ერთად

„თიბისი ტივი“„იმედზე“ ახალ შოუს იწყებს. „ცეკვავენ ვარსკლავების“ შემქმნელები ამჟამად ბრიტანულ პროექტზე მუშაობენ, რომლის გაკეთების ლიცენზიაც „ზოდიაქისგან“ შეიძინეს. ბრიტანული „ზოდიაქი“ არა ერთ ქვეყანაში აკეთებს დიდი ფორმატის ცნობილ შოუებს. „ორ ვარსკვლავს“ „იმედის“ მაყურებელი მარტიდან იხილავს ეთერში. შოუში საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები მიიღებენ მონაწილეობას. პროექტი მუსიკალურია. მომღერალთან აწყვილებენ არამომღერალ ცნობილ სახეს და დუეტში ამღერებენ. მათ ჟიური აფასებს, თუმცა მაყურებელი ესემესებით წყვეტს, ვინ გადავა შემდეგ ტურზე. მოკლედ, პრინციპი იგივეა, რაც „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ აქვს.

„ეს იქნება ძალიან მასშტაბური, გრანდიოზული შოუ. იგივე დიაპაზონის პროექტია, რაც „ცეკვავენ ვარსკვლავები“. მასზე ჩემი გუნდით ვმუშაობ. ჯერ ვერ დავაკონკრეტებ, რომელ თეატრში ჩატარდება შოუ. სამი წამყვანი გვეყოლება. კონკურსანტების ნაწილი არჩეული მყავს, ნაწილთან ახლა ვაწარმოებ მოლაპარაკებას. სულ 12 კონკურსანტი გვეყოლება. ამ პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელი ისევ რუსა მორჩილაძე იქნება, რეჟისორი კი ზურა ფანქველაშვილი“ - ექსკლუზიურად გაგვიმხილა ნოე სულაბერიძემ.

პროდიუსერი ჯერჯერობით ეთერში გასვლის დღესაც არ ასახელებს. შოუ ორსაათიანი იქნება.

- რადგან მუსიკალური შოუა „ბრავო რექორდსთან“ ითანამშრომლებთ, ალბათ.

- სავარაუდოდ ვითანამშრომლებთ.

- ზაზა შენგელიას ხომ არ ვიხილავთ ჟიურიში?

- ზაზა მეგობრულად დაგვეხმარება, როგორც ყოველთვის.

- შემართება როგორი გაქვს?

- ძალიან ხალისით და პოზიტივით შევუდექი მასზე მუშაობას. პროექტი მომწონს და მე მგონი, რომ გამოვა.

- „ცეკვავენ ვარსკვლავები“?

- გაზაფხულზე, ამ პროექტის პარალელურად დავიწყებთ მეოთხე სეზონს. კონკურსანტების არჩევა იქაც დაწყებული გვაქვს. იმედია, ერთად ორი მასშტაბური პროექტი გამოგვივა.

ანრი ჯოხაძე „კავკასიაზე“ არ მივიდა

4 თებერვალს ტელეკომპანია „კავკასიაზე“ გადაცემა „თქვენი დროს“ მეორე ბლოკის სტუმარი ანრი ჯოხაძე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მომღერალი გადაცემაში არ მივიდა. გადაცემის პროდიუსერმა თავის „ფეისბუქზე“ სტატუსი დადო.

„ვერ ვიფიქრებდი, თუმცა ყველამ ცუდად დაახასიათა, არ მეგონა, მატყუარა, ამბიციური და უპასუხისმგებლო თუ იყო, შოუბიზნესის წარმომადგენელი, რომელიც ვერასდროს საზოგადოების სიმპათიას ვერ დაიმსახურებს და ვერც ვერასოდეს წავა წინ, რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს, ვერა რااااა. ყველაფერს ხაზი გადაუსვა. მიხვდება ვისაც ეკუთვნის. და ეს ტყუილი რაში გჭირდებოდა არ ვიცი, და ამით რა გააკეთა“, - წერს თამარ ციცვიძე.

გადაცემა „თქვენი დრო“ 13 იანვრიდან „კავკასიაზე“ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა პირდაპირ ეთერში გადის. ორი ბლოკისგან შემდგარ გადაცემაში ყველა სფეროს სტუმარს იწვევენ, მათ შორის მომღერლებსაც. გადაცემის წამყვანები არიან ლელა ნინუა და ზურა გორგაძე.

თამარ ციცვიძე: „რესპონდენტს რამდენიმე დღით ადრე ვუთანხმდები, შეუძლია თუ არა მოსვლა. რამდენიმე დღით ადრე შევუთანხმდით ანრისაც. დაგვთანხმდა, ოღონდ ორშაბათს არა და სხვა დღეებში მოვალო. მოკლედ, სამშაბათს 4 თებერვალზე შევთანხმდით. ისიც მკითხა, რა ფორმატის პლუს ფონოგრამა მოვიტანოო. ყველა დეტალზე შევთანხმდით. 5 საათზე ველოდით, პირდაპირ ეთერში უნდა მჯდარიყო. მითხრა, 2 საათზე დამირეკე, რომ გავიღვიძო და მოვიდეო. როგორც მოვილაპარაკეთ, დავურეკე. არ მიპასუხა, არც ჩანდა. ვხედავდი „ფეისბუქზე“ იყო, იქაც მივწერე. მივუმესიჯე კიდეც - არ დაგვაღალატო, პირდაპირი ეთერი გვაქვს-მეთქი. არაფერზე არ მიპასუხა. მე ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ ანრი ჯოხაძე მატყუარაა. ნიჭიერია, თუ არანიჭიერი, ის მატყუარაა და ამას ყველგან ვიტყვი. გასაგებია, შეიძლება ტელეკომპანია „კავკასიაში“ არ გინდოდეს მოსვლა, მესმის, მაგრამ როცა მპირდები, რატომ მატყუებ? ამით რა გააკეთა, ვერ გავიგე. წამყვანებიც ცალკე შეუთანხმდნენ მოსვლაზე. მეორე ბლოკში პირველი ბლოკის სტუმარი დავტოვე, გადაცემა არ ჩამვარდნია. მერე შვიდის წუთებზე მირეკავდა, ყურმილი რომ ავიღე, გათიშა. გადავურეკე და აღარ მიპასუხა“.

- თემა იყო რაიმე ისეთი, რომ თავის არიდება უნდოდა?

- არაფერი. თავის სამომავლო გეგმებზე უნდა ესაუბრა. მაგას ლაპარაკი არ ეშლება, ყველაფერზე შეუძლია. სიმღერაც, რაც უნდოდა, ის უნდა ემღერა. ზურა გორგაძეც ესაუბრა, რომელსაც უთხრა, შენ თუ ხარ, მით უმეტეს მოვალო.

ზურა გორგაძე: - კარგი საქციელი არ არის, როდესაც საუბარია პირდაპირ ეთერზე და ადამიანს თავიდან ბოლომდე ენდობი. მერე კი ბოლო წუთებში აღმოჩნდება, რომ არ მოდის. მეც დამპირდა, რომ მოვიდოდა. პირადად ვიცნობ ანრის. პროდიუსერთან ერთად მეც გავესაუბრე - ჩემი გადაცემაა-მეთქი. ამ დროს რესპონდენტთან ნაცნობობა ამართლებს. მაგრამ უპასუხისმგებლოდ მოიქცა. ლამის ეთერი ჩავარდა, მაგრამ გამოსავალს მივაგენით.

ლელა ნინუა: - როდესაც ადამიანი პირდაპირ ეთერში არ მოდის, ეს უპასუხისმგებლობაზე მეტია, არ ეპატიება ოჯახის წევრსაც კი. ეს ფაქტი მისი მხრიდან შეურაცხმყოფელი და გაუმართლებელია. როცა საზოგადო მოღვაწე ხარ, ყველას ერთნაირად უნდა სცე პატივი. ყველანი გაბრაზებულები ვართ.

- ეთერის შემდეგ ელაპარაკეთ?

- როგორც იცის ხოლმე, ხუმრობაში გაატარა, ვფიქრობ, ნანობს, მაგრამ არანაირი გამართლება არ არსებობს.

ამ ყველაფერზე კი ჯოხაძემ მშვიდი ხმით ასეთი კომენტარი გააკეთა, **ანრი ჯოხაძე:** „დამეძინა. ეს არის ჩემი კომენტარი“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეკატერინე ტოგონიძის აქცია-პრეზენტაცია - რომანი „A სინქრონი“

EXCLUSIVE

ლაშა ბუღაძე: „იმდენად ღრმა და მოულოდნელი ტექსტია, მე სხვა ანალოგი არ მახსენდება. ეს არის მნიშვნელოვანი და არაზედაპირული რომანი ეკას ბიოგრაფიისთვის და ჩვენი ლიტერატურისთვის“

ეკატერინე ტოგონიძე: „ვწერ იმ საკითხებზე, რაზეც გული ყველაზე მეტად შემტკივა. თქვენს ყურადღებას მსოფლიო მოსახლეობის 10 პროცენტზე ვაჩერებ, ანუ დედამიწის ყოველ მეათე მოსახლეზე, ე.წ. ყველაზე მრავალრიცხოვან უმცირესობაზე“

my View

თამარ გონგაძე

„უმცირესობათა დაცვა ყოველი ჩვენგანის ბუნებრივი სურვილი და ნებაყოფლობითი მოვალეობა უნდა იყოს. თქვენს ყურადღებას მსოფლიო მოსახლეობის 10 პროცენტზე ვაჩერებ, ანუ დედამიწის ყოველ მეათე მოსახლეზე, ე.წ. ყველაზე მრავალრიცხოვან უმცირესობაზე. ესენი შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები არიან, რომელთა უფლებები საქართველოში უხეშად და ყოველდღიურად ირღვევა. 6 თებერვალს დაგეგმილი წიგნის პრეზენტაციისთვის დიდხანს ვეძებდი ადგილს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრებისა და მკითხველების მოწვევას შევძლებდი. საპრეზენტაციო სივრცის პოვნა იოლი არ აღმოჩნდა. ზღურბლი თუ ბარიერი, რომელიც საზოგადოების გულგრილობაში ვლინდება, ფიზიკურადაც არსებობს. შენობები, ქუჩები და ტრანსპორტი მათთვის ხელმისაწვდომი არ არის. რამდენიმე წლის წინ საჯარო რეესტრში შევესწარი მომენტს, როგორ იღებდა პასპორტს ეტლით მოსარგებლე. იმ დროისთვის ახალი შემოსული იყო ელექტრო დაფაზე ხელმოწერა. ეტლით მოსარგებლე თეჯირს ვერ წვდებოდა, ელექტრო დაფა კი მის სიმაღლეზე ვერ ჩამოდიოდა. მახსოვს, უხერხული სიჩუმე, თანამშრომელთა დაბნეული სახეები. ბოლოს შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანი ორმა მამაკაცმა ხელით ასწია. ცხადია, ესეც ძალიან მოუხერხებელი და შეურაცხმყოფელი მდგომარეობა იყო. ის უკვე მღელვარებისგან ვეღარ ანერდა ხელს...“ - ეს ეკატერინე ტოგონიძის სიტყვაა, რომელიც მის მიერ მოწყობილ საქველმოქმედო ხასიათის აქცია-პრეზენტაციაზე მოვისმინეთ, რომლის სახელწოდებაც არის „მეც ერთ-ერთი თქვენგანი ვარ“. მან თავისი პირველი რომანი „ასინქრონი“ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებს მიუძღვნა. წიგნის მთავარი გმირები სიამის ტყუპები არიან - ასევე შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები. წიგნის პრეზენტაცია იმ ადაპტირებულ გარემოში შედგა, სადაც შესვლა შეძლეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებმა. მათ მხარდასაჭერად მწერალმა რამდენიმე საქველმოქმედო აქტივობა დაგეგმა. წიგნი საქველმოქმედო ფასად, ათ ლარად იყიდებოდა. მწერლის ჰონორარი, შემოსული თანხა მოხმარდება სემინარს, რომელიც საზოგადოების ცნობიერების ამაღლების თემაზე უნდა მოეწყოს. ასევე იგეგმება ინკლუზიური ექსკურსია ბავშვებისთვის, რომლის ორგანიზებას „შატომუხრანი“ გააკეთებს. ამ აქციის ფარგლებში მწერალმა საზოგადოების ყურადღება გაამახვილა მსოფლიოში უიშვიათეს დაავადებაზე - დიდ თალასემიაზე. ეს სისხლის გენეტიკური დაავადებაა, რომელიც მართვადია. ამისთვის ძვლის ტვინის გადანერგვაა საჭირო. მათ ყოველთვიურად ძვირადღირებული მედიკამენტები ესაჭიროებათ. საქართველოში არ არსებობს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა, რომ ამ ადამიანებმა დროულად შეძლონ მედიკამენტების მიღება. თბილისში დიდი თალასემიის მქონე ორი გოგონა ცხოვრობს. სოციალური პასუხისმგებლობის თავზე ასაღებად ეკამ და თეონა დოლენჯაშვილმა კომპანიებს მიმართეს. „ჯეოსელმა“ და „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ“ 3-3 ათასი ლარით უზრუნველყვეს გოგონების მედიკამენტური მკურნალობა. „შეზღუდული შესაძლებლობა არ არსებობს“ - ეს „ჯეოსელის“ სლოგანია და მისი ჩართულობა ამ აქციაში ლოგიკურია.



ეკატერინე ტოგონიძე: - დაახლოებით ორი წელი ვმუშაობდი ამ რომანზე. ნოემბერში ბერლინის ლიტერატურული კოლოკვიუმის სტიპენდიატი გახლდით და ერთი თვის განმავლობაში ვცხოვრობდი მწერლებისთვის განკუთვნილ სახლში, სადაც ყველა პირობაა იმისთვის შექმნილი, რომ მოწყდე ყოფას, ოჯახს, მეგობრებს და მთელი დრო დაუთმო წერას. მეც რომანი დავასრულე. საქართველოში რომ დავბრუნდი დარჩენილი იყო მხოლოდ სარედაქციო საქმე. წიგნი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა.

- თქვენ გაქვთ მოთხრობა დისლექსიაზე, კითხვის უნარის დარღვევაზე. როგორც ჩანს, განსხვავებულ ადამიანებზე წერა გიზიდავთ.

- ეს ბუნებრივად მოხდა, არ იყო დაგეგმილი. ვწერ იმ საკითხებზე, რაზეც გული ყველაზე მეტად შემტკივა. ამიტომ ვეცადე წიგნის პრეზენტაციისთვის ასეთი მიმართულება მიმეცა.

ეკას მოთხრობების პირველი კრებული „ანესთეზია“ ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატი გახლდათ ნომინაციაში „საუკეთესო დებიუტი“.

ბაკურ სულაკაური: - შარშან გამოსული მოთხრობების კრებულში შესულია მოთხრობა „სხვა გზა“. ეკას შევთავაზე მისი ცალკე წიგნად გამოშვება. ეკამ ამას წინათ გადაწყვიტა, რომ მართლაც გამოეშვა „სხვა გზა“. ამასობაში კი გამოვიდა მისი რომანი „A სინქრონი“, რომელსაც ამიტომაც ვთვლი, რომ მისი პირველი რომანი კი არა, მეორე რომანია. ავტორს ახასიათებს რთული თემების შერჩევა და მათი წარმატებით დაძლევა. წაიკითხავთ და დარწმუნდებით, რომ ფაქიზ და მტკივნეულ თემებს ეხება. დამაჯერებელია და მკითხველზე ღრმა კვალს ტოვებს.

თეონა დოლენჯაშვილი: - ეს წიგნი ჩემ თვალწინ იწერებოდა, რადგან მე და ეკას ყოველდღიური ურთიერთობები გვაქვს. მას თავებად ვკითხულობდი. შეიძლება ითქვას, ეკასთან ერთად გავიარე ეს ყველაფერი. ამიტომ სუბიექტური ვარ. მე წამიკითხავს მსოფლიო ლიტერატურის შედევრები. მაგრამ იშვიათად წამიკითხავს მსგავსი თანაგანცდით დაწერილი წიგნი. თემა რთულად დასაძლევი იყო, ამიტომ, პირველ რიგში, პატივისცემა მას ჩემგან, როგორც კოლეგისგან. ეკა ნამდვილად იყო შემძვრალი თავისი პერსონაჟების, ლინასა და დიანას ტყავში. წიგნზე დამიწერა, ლინა, დიანა და მე. ეს წიგნი სამივემ მაჩუქეს. გულისშემძვრელი ისტორიაა. კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს, რა რთულია იყო განსხვავებული. ეს არ არის მხოლოდ ფიზიკურ განსხვავებაზე. საერთოდ - მენტალურად, სულიერად განსხვავებულობაზეა და იმაზე, რატომ გვიჭირს ამ განსხვავებული ადამიანების მიღება. ეს სამყაროს დიდი მრავალფეროვნების ნაწილია, რაც ღმერთმა გვაჩუქა. ეკამ ჩემი ცნობიერება ამ მხრივ კიდევ ერთ მაღალ საფეხურზე აიყვანა. მადლობა ამ სოციალური აქტივობისთვის. ეს არის გაცილებით მეტი, ვიდრე ლიტერატურა.

თეონა დოლენჯაშვილი: „მე წამიკითხავს მსოფლიო ლიტერატურის შედევრები. მაგრამ იშვიათად წამიკითხავს მსგავსი თანაგანცდით დაწერილი წიგნი. ეს არის გაცილებით მეტი, ვიდრე ლიტერატურა“

ლაშა ბუღაძე: - გადაუჭარბებლად შეიძლია ვთქვა, რომ შოკირებული ვარ. რომანი მართლაც საოცარია. ერთი შეხედვით მძიმე რომანია, სიამის ტყუპის ამბავზე. მაგრამ ეს არ არის კონკრეტული ფიზიკური მოცემულობის აღწერა. ამ უკიდურესი კონტრასტის მაგალითზე ავტორი გვიყვება იმ კონტრასტზე, რომელიც თითოეულ ადამიანში არსებობს, როდესაც გაქვს მძაფრი კონფლიქტი საკუთარ თავთან, ალტერეგოსთან. ღრმა ტექსტია. ტყუპები მხოლობით რიცხვში მოვიხსენიე და ეკამ გამისწორა - ისინი ორნი არიანო. მართლია, ეს სიამის ტყუპები ორი უკიდურესად უცხო ადამიანია ერთმანეთისთვის. თითქოს იმაზე მეტად სიახლოვე რა უნდა იყოს, როდესაც ადამიანს საზიარო ტანი აქვს, მაგრამ ერთიცა და მეორეც განწირულია საოცარი მარტოობისთვის. მარკესს ჰკითხეს, თქვენ შემოქმედებაში რა ვერ აღწერეთო? ის ამბობს, ერთადერთი წუხილი ჩემი ის არის, რომ მე ვერ აღვწერ საკუთარ სიკვდილსო. ყველაფრის მოყოლა შეგიძლია, მაგრამ ამ რეალობის - არა. ეკას ტექსტში დგას ისეთი სიკვდილის ფაქტი, როდესაც ადამიანს შეუძლია დაინახოს თავისი ფიზიკური არსებობის დასასრული. იმდენად ღრმა და მოულოდნელი ტექსტია, მე სხვა ანალოგი არ მახსენდება. ეს არის მნიშვნელოვანი და არაზედაპირული რომანი ეკას ბიოგრაფიისთვის და ჩვენი ლიტერატურისთვის.

ეკატერინე ტოგონიძე: - ლაშა ბუღაძეს ვიცნობ იმ პერიოდიდან, როცა მხოლოდ ჟურნალისტი ვიყავი. მაშინ მეხუმრებოდა, უნდა დაწეროო. ეს მაშინ სერიოზულად არ მიმიღია. გავიდა დრო და ლაშა ჩემი ნაწერის ერთ-ერთი პირველი მკითხველი გახდა. მისი შეფასება ჩემთვის ავტორიტეტულია.

მწერლის მეუღლე, ყოფილი დეპუტატი რატი სამყურაშვილი ამბობს, რომ ეკას წერა ღამით ურჩევნია.

რატი სამყურაშვილი: - ხშირად წერაში დასთენებია. ამას იმით ვიგებდი, რომ მე იმ დროს ვიღვიძებდი, როდესაც ეკა დაძინებას აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლისგან სუბიექტურია შეფასება, ჩემი წარმოდგენით „A სინქრონი“ სერიოზული რომანია. ამ თემატიკაში დიდი მოცულობის ნაწარმოები არ შექმნილა. კარგად არის დანახული და გაშლილი თემა და ღრმად არის წარმოდგენილი საკითხები, რომლის მკითხველამდე მოტანასაც ავტორი მიზნად ისახავს.

ანა კორძაია-სამადაშვილი: - ეს არის ერთ-ერთი იმ წიგნთაგანი, რომლის წაკითხვის შემდეგ ძალიან დიდხანს ვფიქრობდი. და ფიქრს კიდევ დიდხანს განვაგრძობ. ერთხელ, სავსემთვარიან ცოტა უცნაურ ღამეს მე და ეკატერინე ტოგონიძე ერთად აღმოვჩნდით. მან მიამბო, რის დაწერას აპირებდა. მაშინ ვიფიქრე, ამ წიგნს ვერ წავიკითხავ-მეთქი, რადგან ძალიან მძიმედ, უცნაურად ჟღერდა. აღმოჩნდა, რომ ეს ორი გოგო ჩემიანია. მათთან დააახლოება არ მომიწია. აღმოჩნდა, რომ ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ. მძიმე რომანია, მაგრამ ამავდროულად ძალიან სიცოცხლის დამმკვიდრებელი, დიდი სინათლით გაჟღენთილი. შეიძლება ზღვაში ვერასდროს გაცურო, მაგრამ სიზმარში ისეთი ზღვა ნახო, რომელიც არც კი დაგსიზმრებია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N5 (255) ორშაბათი, 10 თებერვალი 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„შინი“ და მარიკო ეზრალიძე - ქართული გზავნილი „ევროვიზიაზე“

EXCLUSIVE

„თბილისი LIVE“ „რუსთავი 2“-ზე ბრუნდება

გენმოდიფიცირებული თესლი - არა! საკვები - კი!

მიზანშეწონილია თუ არა გენმოდიფიცირებული საკვების მიღება?

EXCLUSIVE

ყველაზე ტიტულოვანი პარაოლიმპიელი დღეს სპორტის სამინისტროსთან შიმშილობას იწყებს

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენი სპორტის მინისტრის მოადგილეს კორუფციაში ადანაშაულებს

ISSN 1987-7404

9 771987 740005

ბაადურ წულაძე - რეჟისორი, რომელსაც კომედიანტად იცნობენ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება